

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

კახაბერ ქამადაძე

**„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) გვიან
შუასაუკუნეებში (წერილობითი წყაროებისა და
არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“**

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. შ. მამულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ა. კახიძე

ბათუმი

2016

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია	
§ 1. წერილობითი წყაროები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ -----	9
§ 2. საკითხის შესწავლის ისტორია -----	20
§ 3. რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო -----	26
თავი II. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების არქიტექტურული ძეგლები	
§ 1. გონიოს ციხის გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობები -----	30
§ 2. ბათუმის ციხის გვიანი შუასაუკუნეების არქიტექტურა -----	44
§ 3. პეტრა-ციხისძირის გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობები -----	46
§ 4. ზენდიდის ციხე -----	53
§ 5. ხიხანის ციხის გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობები -----	57
თავი III. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა	
§ 1. ფაიფური -----	67
§ 2. ფაიანსი -----	78
§ 3. მოჭიქული კერამიკა -----	102
§ 4. სადა კერამიკა -----	127
§ 5. ჩიბუხები -----	134
§ 6. ლითონის ნაწარმი -----	138
§ 7. მონეტები -----	142

IV თავი. მეურნეობა და სამეურნეო ყოფა გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-
დასავლეთ საქართველოში

§ 1. მიწათმოქმედება -----	144
§2. მევენახეობა-----	148
§3. მეხილეობა -----	151
§ 4. მესაქონლეობა -----	153
§ 5. მეფუტკრეობა -----	156
დასკვნები -----	158
გამოყენებული ლიტერატურა -----	166
შემოკლებათა განმარტება -----	198
ტაბულების აღწერილობა -----	199
ტაბულები -----	202

შესავალი

თემის აქტუალობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იყო აქტიურად ჩართული მსოფლიო ისტორიულ პროცესებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობაში. აჭარის სტრატეგიული მდებარეობა მნიშვნელოვნად განაპირობებდა გარე სამყაროს მუდმივ დაინტერესებას აქ მიმდინარე მოვლენებით. ფაქტობრივად, აჭარა წარმოადგენდა არამარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთ მთავარ საყრდენ პუნქტს. ამ გარემოებას თან ერთვოდა აქ გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზებიც, რომელთა მეშვეობითაც აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა თუ სამხრეთის ქვეყნები ერთმანეთთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს ამყარებდა. ამ გზების დაუფლებისა და მათზე კონტროლის დაწესების სურვილი კი, ყველა დროის დიდ სახელმწიფოებს ჰქონდათ.

მძიმე განსაცდელის ხანა დაუდგა ჩვენს ქვეყანას გვიანშუასაუკუნეებში. XV საუკუნის II ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იწყება რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი. საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის გაჩაღებულ ბრძოლას პირველობისათვის, თან დაერთო გარეშე მტერთა გააქტიურება. სამწუხაროდ კრიზისით მოცულმა ქვეყანამ მრავალრიცხოვან მტერთან გამკლავება ვერ შეძლო. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ბრძოლა ამიერკავკასიაში გაბატონებისთვის, ორ აგრესიულ სახელმწიფოს - ირანსა და ოსმალეთს შორის დასრულდა 1555 წლის ამასიის ზავით, რომლის მიხედვით დამპყრობლებმა ამიერკავკასიის ტერიტორია გაინაწილეს. აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანს ერგო, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ოსმალეთს. მართალია, ბრძოლა პირველობისათვის ამ ორ სახელმწიფოს შორის კიდევ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ საზავო მოლაპარაკებების დროს ამასიის საზავო პირობები ძირითადად უცვლელი რჩებოდა.

ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის აჭარაც. ოსმალთა ბატონობა მეტად მძიმე და ხანგრძლივი აღმოჩნდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აჭარის ოსმალთა მფლობელობაში გადასვლის ზუსტი თარიღი დღემდე უცნობია. ოსმალების მიერ აჭარის დაპყრობის სხვადასხვა თარიღია მითითებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისით აჭარა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიებს შორის ყველაზე გვიან, XVII ს-ის I ნახევარში იქნა დაპყრობილი. ასეთი შეხედულებების საფუძველს ქმნიდა ის ფაქტი, რომ 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აჭარა არ არის შეტანილი. აღნიშნულ საკითხზე ბოლო პერიოდში საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა თურქოლოგმა ზ. შაშიკაძემ. მკვლევარი სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივებში ახლად აღმოჩენილი დოკუმენტური მასალების საფუძველზე მიუთითებს: „ირკვევა, რომ აჭარა ბევრად უფრო ადრე, 1561 წლიდან უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება და მის ტერიტორიაზე მყარდება ადმინისტრაციული მმართველობა. ეს კი, ამასთან ერთად ნიშნავს ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმების და საგადასახადო სისტემის დამკვიდრებასაც, რასაც ადასტურებენ აჭარის შესახებ არსებული, მომდევნო წლებით დათარიღებული დოკუმენტური მასალებიც“ [შაშიკაძე 2002 ა:149].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა აქ სასურველი წესრიგის დამყარება დაიწყეს. დაპყრობილ ქართულ მიწაზე ოსმალთა მტკიცედ გაბატონებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმფლობელობის ოსმალური წესების დანერგვას და ქართული ფეოდალური წესწყობილების მთლიანად განადგურებას. აჭარის მოსახლეობას არასოდეს დაუკარგავს დედასამშობლოსთან დაბრუნების იმედი. ქართული მიწა-წყლის დასაბრუნებლად არაერთი თაობა იბრძოდა. საბოლოოდ მიზანი მიღწეული იქნა XIX ს-ის II ნახევარში. 1877-1878 წწ რუსეთ-თურქეთის ომს შედეგად მოჰყვა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნება.

ისტორიკოსთა მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი სამუშაოებით, შესაძლებელი გახდა გარკვეულწილად განსაზღვრულიყო აჭარაში

მიმდინარე ისტორიული პროცესები. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, თუმცა გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა, განსაკუთრებით არქეოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ნაწილობრივად დამუშავებული ან შეუსწავლელია. ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლა კი, შესაძლებლობას იძლევა ახლებურად გაშუქდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხი.

აჭარის ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა სრულიად ახალი მასალებით შეივსო იმ გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც რეგიონში დღემდე ახორციელებს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია.

განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს გვიანი შუასაუკუნეების მონუმენტური საფორტიფიკაციო, საერო, საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა გამოვლენა-შესწავლა, გვიანი შუასაუკუნეების სტრატეგრაფიის დადგენა. საკუთრივ საკვლევი ეპოქის კულტურული ფენებისა და სამშენებლო ეტაპების ქრონოლოგიური გამიჯვნა და წერილობით წყაროებთან შესაბამისობაში მოყვანა.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (კონკრეტულად აჭარის) ისტორიისა და არქეოლოგიის გარკვეული საკითხების შესწავლა წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე. მითუმეტეს, რომ რეგიონში მრავლად ფიქსირდება ამ ეპოქის საფორტიფიკაციო, სამეურნეო თუ სხვა ტიპის ნაგებობები, ნასახლარები და ნივთიერი ძეგლები (სადა თუ მოჭიქული კერამიკა, ფაიანსი, ფაიფური, ლითონის ნაწარმი და ა.შ.), რომელთა მონოგრაფიული კვლევა დღემდე არ განხორციელებულა.

დისერტაციის წყაროთმცოდნეობითი ბაზა ძირითადად არქეოლოგიურია და დაფუძნებულია ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ექსპედიციების მიერ წლების მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრეს მონაპოვრებზე.

სიახლე და მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, წინა ეპოქებთან შედარებით საკვლევი პერიოდის ძეგლები საქართველოში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებით ნაკლებად შესწავლილია. მათი უმეტესი ნაწილი სხვადასხვა მრავალფენიანი ძეგლის გათხრასთან დაკავშირებითაა აღმოჩენილი. მათი დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია ან მხოლოდ ნაწილობრივია შესწავლილი. სადისერტაციო ნაშრომში პირველად კომპლექსურადაა განხილული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის გვიანშუასაუკუნეების ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები. არსებითად ახლად შედის სამეცნიერო მიმოქცევაში წლების მანძილზე სავლეთ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, 20 პარაგრაფის და ზოგადი დასკვნებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, გრაფიკული და ფოტო მასალები. სადისერტაციო ნაშრომი კომპიუტერულად ნაბეჭდი, გრაფიკულ და ფოტო ილუსტრაციებთან ერთად 258 გვერდია.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზანი. მოცემულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი მნიშვნელობა.

I თავი. წერილობითი წყაროები და ისტორიოგრაფია:

შედგება 3 პარაგრაფისაგან, სადაც მიმოხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების შესახებ არსებული წერილობითი წყაროები და საკითხის შესწავლის ისტორია, ასევე აღწერილია საკვლევი რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო.

II თავი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების არქიტექტურული ძეგლები:

მოიცავს 5 პარაგრაფს და მასში განხილულია გონიო-აფსაროსის, ბათუმის, პეტრაციხისძირის, ზენდიდისა და ხიხანის ციხეები. ყურადღება გამახვილებულია გვიანი

შუასაუკუნეების სამშენებლო პერიოდზე. შესწავლილია ციხეების ტერიტორიაზე გამოვლენილი სხვადასხვა დანიშნულების ამ ეპოქის ნაგებობები.

III თავი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილი გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა:

შედგება 7 პარაგრაფისაგან, სადაც შესწავლილია ციხეებზე გამოვლენილი გვიანი შუასაუკუნეების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: ფაიფურის ნაწარმი, ფაიანსი, მოჭიქული და სადა კერამიკა, ჩიბუხები, ლითონისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი, მონეტები.

IV თავი. მეურნეობა და სამეურნეო ყოფა გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში:

მოიცავს 5 პარაგრაფს და ეხება გვიანი შუასაუკუნეების აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის განხილვას წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით. მიმოხილულია მეურნეობის ისეთი დარგები, როგორცაა: მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.

დასკვნით ნაწილში მოკლედ არის წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებზე კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები.

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

§1. წერილობითი წყაროები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

შესახებ

საკვლევი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროები წარმომავლობის მიხედვით ოთხ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ქართული, თურქული, რუსული და ევროპული

ქართული წყაროები. წერილობითი ცნობები გვიანშუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ, ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში ძალზედ მწირია. ამის გამო, აღნიშნული პერიოდის აჭარის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარ ვაკუუმს წარმოადგენს. მიუხედავად სიმწირისა, ცალკეული პრობლემური საკითხების შესახებ ქართულ წყაროებში მაინც მოგვეპოვება მნიშვნელოვანი ცნობები.

პირველ რიგში, აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრება“. მასში შემავალი თხზულებებიდან ჩვენთვის ის ცნობებია განსაკუთრებით საინტერესო, რომელიც „ახალი ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებითაა ცნობილი. ბერი ეგნატაშვილის რედაქტორობით შედგენილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ სამი ტექსტიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ცნობები შეეხება გურიის სამთავროში, ოსმალების შემოსევას, გურიელის მიერ ოსმალთა ჯარის დამარცხებასა და მდ. ჭოროხამდე მათ განდევნას. აქვეა დაცული ცნობები, კახეთის მეფე თეიმურაზ I-თვის ოსმალეთის სულთნის მიერ გონიოს ციხის გადაცემის შესახებ [ბერი ეგნატაშვილი 1959 ა: 326-442]. მსგავსი ცნობები დაცულია „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტშიც [ბერი ეგნატაშვილი 1959 ბ:477-540].

„ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი იწვევს. XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართველ მეცნიერთაგან ვახუშტი პირველი იყო, რომელმაც მაშინდელი საქართველოს ცალკეული ხევებისა თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების პარალელურად, აჭარის აღწერილობაც მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში მას არ უმოგზაურია და მხოლოდ მანამდე არსებული მონაცემები შეკრიბა და გაანალიზა,

მისი ნაშრომი მაინც ფასეულია იმდროინდელი აჭარის ისტორიის შესასწავლად. მკლევარი მოკლე ცნობებს გვაწვდის „მცირე ქალაქების მსგავს“ ქედაზე, ქობულეთზე, გონიოზე, ბათუმზე და პეტრას ციხეზე [ვახუშტი ბატონიშვილი 1941;1973].

გვიანი შუასაუკუნების აჭარის ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად წყაროს წარმოადგენს XV-XIX სს-ის ქართველი და უცხოელი მოგზაურების ჩანაწერები. როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მკლევარ-მოგზაურებმა მრავალმხრივ საინტერესო მასალები შეკრიბეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესახებ, აღწერეს მხარის მატერიალური კულტურის ძეგლები, სამიმოსვლო გზები და ა.შ.

ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში ქართველ მოგზაურ-მკლევართაგან პირველმა, 1873 წელს დ. ბაქრაძემ იმოგზაურა. მკლევარმა შეკრიბა მეცნიერებისათვის მეტად ღირებული მასალა, რომელშიც ასახულია აჭარის ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული წარსული. არ დარჩენილა აჭარის იმდროინდელი სამეურნეო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის არცერთი საკითხი, რომელსაც იგი არ შეხებოდეს. მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რომელიც გურია-აჭარისა და მთლიანად სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წარსულს ეხება [Бакрадзе 1878; ბაქრაძე 1987].

ბაქრაძის შემდეგ, 1874 წელს აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში იმოგზაურა გ. ყაზბეგმა. მკლევარმა მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა აჭარის ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული კუთხით. მის ნაშრომებში ასახულია აჭარის ისტორიული წარსული ოსმალთა ბატონობამდე და შემდეგი პერიოდის სამეურნეო ცხოვრება, ადმინისტრაციული წყობა, ოსმალური საგადასახადო სისტემა, სწავლა-განათლება, სულიერი კულტურა, სამიმოსვლო გზები და აშ. მოგზაურობისას გ. ყაზბეგმა აღწერა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, ხიდები, ეკლესიები და ციხე-კოშკები. მრავალი ძეგლი მომდევნო პერიოდში იმდენად დაზიანდა, რომ მხოლოდ ნანგრევები შემორჩა, ზოგი კი მთლიანად განადგურდა. ამდენად, გ. ყაზბეგის ჩანაწერებს ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ასევე შეიძლება ითქვას ტოპონიმებზე. ადგილთა მრავალი სახელი თურქულით შეიცვალა, ამიტომ იგი დღევანდელი მეცნიერებისათვის უცნობია. გ. ყაზბეგის ნაშრომში საფუძვლიანადაა მოცემული ოსმალთა ბატონობის დროინდელი სამუსლიმანო საქართველოს ტოპონიმის კაზნერ [Kazner 1876; ყაზბეგი 1960; 1995].

საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის შესწავლაში დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის შემდეგ, დიდი წვლილი შეიტანეს სხვა ქართველმა მოგზაურმა მკვლევარებმა. მართალია, ისინი აჭარაში მხარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ - XIX ს-ის 70-90-იან წლებში მოგზაურობდნენ, მაგრამ მათ ნაშრომებში მეტად საყურადღებო ცნობებია დაცული ოსმალთა ბატონობის პერიოდის აჭარის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე.

აჭარის წარსულის შესწავლას ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თვალსაზრისით დიდი ამაგი დასდო ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელმაც XX ს-ის დამდეგს რამდენჯერმე შემოიარა ფეხით სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, მათ შორის აჭარა-ქობულეთის მხარე და მაჭახლის ხეობა. ქართული წიგნების გავრცელებასთან ერთად, მან ძვირფასი მასალა შეკრიბა ჩამოთვლილი კუთხეების ისტორიულ წარულზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე, გეოგრაფიაზე, ეთნოგრაფიაზე თუ ფოლკლორზე [ჭიჭინაძე 1901; 1906; 1907; 1909; 1911 ა; 1911 ბ; 1913; 1917 ა; 1917 ბ; 1927; 2004].

საკვლევი პერიოდის აჭარის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის თუ ტოპონიმის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული თ. სახოკიას ნაშრომში „მოგზაურობანი“ [სახოკია 1985]. მკვლევარი მოკლედ მიმოიხილავს აჭარის წარსულს, ადმინისტრაციას, სამართალს, მცხოვრებთა რაოდენობას, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას, სწავლა-განათლებას და ა.შ.

აჭარაზე თხრობას თ. სახოკია იწყებს მხარის ოსმალთა ბატონობამდელი პერიოდის ისტორიული დახასიათებით და შემდეგ ცალკეული ხეობების მიხედვით აღწერს შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლებს. აჭარის მთის მოსახლეობის ყოფა და კულტურა XIX ს-ის მოგზაურ-მკვლევართაგან რეგიონი ისე მრავალმხრივ არავის შეუსწავლია, როგორც ეს თ. სახოკიამ შეძლო.

აჭარის ოსმალთა ბატონობის პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების საკითხებია ასახული ს. მესხის წერილებში. მას ეკუთვნის წერილები ბათუმსა და აჭარაზე, ქრისტიანთა და მაჰმადიანთა ცხოვრებასა და ურთიერთობაზე. იგი მონაწილე იყო იმ პოლიტიკური მოვლენებისა, რომლებიც წინ უსწრებდა ოსმალთაგან აჭარის განთავისუფლების ცდებს. მის წერილებში სწორად არის ასახული აჭარაში შექმნილი მდგომარეობა. მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური ყოფა და მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები [მესხი 1968; 1970; 2000].

1879 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ პ. უმიკაშვილმა. თავის სტატიებში იგი გულისწუხილით აღწერს მაჰმადიანი ქართველების ეკონომიკური და კულტურული განვითარების მძიმე მდგომარეობას ოსმალთა ბატონობის დროს [უმიკაშვილი 1973].

თურქული წყაროები. გვიანშუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის ოსმალურ წყაროებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ოსმალეთის იმპერიის მიერ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ ქართული წყაროები მათ შესახებ მწირ ინფორმაციას გვაწვდიან. ამ სიცარიელეს ავსებს ოსმალური დოკუმენტური თუ ნარატიული წყაროები, სადაც არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული საქართველოსა და ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გასათვალისწინებლად.

თურქულ დავთრებს შორის ყველაზე უფრო სრულყოფილია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, [ჯიქია 1941; 1948; 1958]. მასში დაცულია ცნობები ახალციხის საფაშოს (გურჯისტანის ვილაიეთის) 8 სანჯაყის: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრას, დიდი არტანის და ფანაკის შესახებ. დავთარს დართული აქვს გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი, რითაც ამ მხარეში დაკანონდა ოსმალური ბეგარა-გადასახადები და მოსაკრებლები. დავთარში აისახა ქართული სოფლების ტოპონიმები და მაცხოვრებელთა გვარ-სახელები. მასში მოცემულია ჩილდირის ვილაიეთის მოსახლეობის კომლების რიცხოვნობა, გადასახადების სახეები და ოდენობა, როგორც ნატურალური, ისე ფულადი სახით. მიუხედავად იმისა, რომ მასში არ მოიპოვება ცნობები აჭარის, ართვინის, არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის შესახებ, დავთარი მაინც უაღრესად

დიდმნიშვნელოვანი წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ დემოგრაფიული საკითხების შესასწავლად.

აჭარის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“. მასში მოცემული ცნობები ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 21 სანჯაყს და ქრონოლოგიურად 1694-1732 წწ მოიცავს. დავთრის ცნობები შეეხება ქვემო და ზემო აჭარას, შავშეთს, ლივანას, ნისფი ლივანას, არტანუჯს, ოლთისს, დიდ და პატარა არტანას. მასში არ გვხვდება ცნობები ბათუმის, ქობულეთისა და ლაზეთის შესახებ.

მიუხედავად ამისა, დავთარი მნიშვნელოვანი წყაროა XVIII ს-ის I ნახევრის მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ისტორიული საკითხების კვლევაში [აბულაძე 1979].

XVI-XVIII სს-ის ოსმალური დოკუმენტური წყაროებიდან აღსანიშნავია კანუნ-ნამეები (კანონთა წიგნები), რომლებიც საინტერესო წყაროს წარმოადგენენ ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხების შესწავლაში.

პირველ რიგში აღსანიშნავია კოჩიბეი გორიჯელის მიერ სულთან იბრაიმის ზეობის დროს (1640–1648 წწ) შედგენილი მეორე რისაღე. რისაღეს მიხედვით სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია სანჯაყებად იყო დაყოფილი და არზრუმის, ჩილდირისა და ტრაპიზონის ვილაიეთებში იყო გადანაწილებული. რისაღეში დაცული ცნობებით ორად არის გაყოფილი აჭარის ტერიტორიაც - აჭარისა და ბათუმის სანჯაყებად. ამათგან აჭარის სანჯაყი მოქცეული იყო ჩილდირის ვილაიეთის ხოლო ბათუმის სანჯაყი კი ტრაპიზონის ვილაიეთის შემადგენლობაში [შენგელია 1974:181].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული და ეკონომიკური ვითარების გასარკვევად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მონაცემები აქვს XVII ს-ის დასაწყისის სახელმწიფო მოღვაწეს აინი ალის. 1611 წელს სულთან აჰმედ I ბრძანებით აინი ალიმ აღწერა ოსმალეთის იმპერიის პროვინციები. მისი ცნობით იმპერია დაყოფილი იყო 32 ელაიეთად. ქართული ტერიტორიების ძირითადი ნაწილი ჩილდირის ელაიეთში შედიოდა. აინი ალის ცნობითაც აჭარის ტერიტორია

განაწილებულია ორ სანჯაყში - ჩილდირის ელაიეთში შედიოდა აჭარის, ხოლო ტრაპიზონის ელაიეთის შემადგენლობაში კი ბათუმის სანჯაყი [ალასანია 1971: 227].

აჭარის ორ სანჯაყად - ბათუმისა და აჭარის სანჯაყებად დაყოფა დასტურდება XIX ს-ის ფირმანებითაც და რაც მთავარია, ირკვევა, რომ სანჯაყ-ბეგები ხიმშიაშვილები და აბაშიძეები მამულებს ფლობდნენ იურთლუქისა და ოჯაქლიქის საფუძველზე (კერძო საკუთრებაში და მემკვიდრეობით). სწორედ ეს უფლებაა ის თავისებურება, რომლითაც აჭარა გამოირჩეოდა სხვა პროვინციებისაგან და რომელიც აჭარელი ბეგების პრივილეგიებს განსაზღვრავდა [ავალიანი 1960:57].

აჭარის შესახებ საინტერესო ცნობები მოგვეპოვება ბულგარეთის (სოფია) კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში დაცულ XVI-XIX სს-ის ოსმალურ დოკუმენტებში. ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანი წყაროა ბათუმის, გონიოს და ციხისძირის ციხეებში იანიჩართა ნაწილების განლაგებისა და რაოდენობის, მათი შენახვის ხარჯების, აგრეთვე მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის თუ ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლად [შენგელია 1978].

უკანასკნელ წლებში სტამბოლისა და ანკარის არქივებში გამოვლინდა XVI-XVII სს-ით დათარიღებული აჭარის ისტორიისათვის უაღრესად საინტერესო შემდეგი დავთრები: „ზემო და ქვემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, შედგენილი სულთან სელიმ I-ის დროს (1566-1574 წწ), „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, „ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“. ზემო და ქვემო აჭარის, ბათუმის ლივების ვრცელი და მოკლე დავთრები პირველხარისხოვანი წყაროა XVI-XVIII სს-ის აჭარის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. მათში დაცულია ცნობები იმდროინდელი აჭარის მოსახლეობაზე, სოფლების რაოდენობაზე, გამაჰმადიანების პროცესზე, ქრისტიანი და გამუსლიმებული მოსახლეობის საგადასახადო ვალდებულებებზე, ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებზე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაზე და ა.შ.[შაშიკაძე 2009:10-11].

აჭარის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებშიც.

ადრეული ცნობები გვხვდება XVII ს-ის მოგზაურის ევლია ჩელების ატომიანი ისტორიის II ტომში. მისი ცნობით ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა და ცალკე სანჯაყებად ითვლებოდა ზემო აჭარა და ბათუმი. ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა ასევე გონიო, ჯანშა და ტრაპიზონი. გონიოში იყო მოწყობილი ოსმალეთის საბაჟო და საქართველო-ოსმალეთის საზღვარი მდ. ჭოროხზე გადიოდა [ჩელები 1971: 82].

XVII ს-ის პირველი ნახევრის ბათუმის საბეგლარბეგოზე ცნობებს ვხვდებით ამავე პერიოდის თურქი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ქათიბ ჩელების თხზულებებში [ჩელები 1978:173]. ავტორი გურიის ფარგლებში გულისხმობს ბათუმს.

ბათუმის საბეგლარბეგოს შესახებ ქათიბ ჩელების ცნობებს არსებითად იმეორებს სულთნის კარის პირველი ოფიციალური ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა. იგი აღგვიწერს თეიმურაზ I-სა და ქართლის მეფის როსტომ ხანის დაპირისპირებას, რომელიც 1633-1634 წწ-ში ძირითადად იმერეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. აღნიშნავს ამ ბრძოლებში როსტომისა და მისი მოკავშირე დადიანის გამარჯვებას და მათი მეოხებით მთელ საქართველოში გაბატონებულ ირანელების მიერ შავი ზღვის სანაპირების გონიოსა და ტრაპიზონს საზღვრების დარბევას [ნაიმა 1979].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ ცნობები დაცულია თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებშიც. ოსმალეთ-ირანის ომები კავკასიაში გაბატონებისათვის XVI-XVII სს-ში და ოსმალთა მიერ ბათუმის, აჭარისწყლის ხეობის, მაჭახლის, ქობულეთის მხარის დაპყრობის, ოსმალურ მფლობელობაში გადასვლისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაქვემდებარების საკითხებზე ცნობები დაცულია თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა - ფ. ქირძიოღლუს [Kirzioğlu 1976; 1998], ბ. ქუთუქოღლუს [Kütükoğlu 1962;1993], ი. უზუნჩარშილის [Uzuncarsili 1954; 1988], ნ. ოზდემირის [Özdemir 2002], აიდინის [Aydin 1998] და სხვათა ნაშრომებში.

რუსული წყაროები. აჭარის ისტორიის მოცემული პერიოდის შესახებ არანაკლებ საინტერესო ცნობები მოგვეპოვება რუსულ წყაროებშიც. პირველ რიგში აღსანიშნავია რუსი მოგზაური მკვლევარები - ა. ფრენკელი და ვ. ლისოვსკი, რომელთა ნაშრომებში მრავალმხრივია გაშუქებული ოსმალთა ბატონობის დროინდელი და

წინა პერიოდის აჭარის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებანი.

ა. ფრენკელი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ჩვენი მხარის გეოგრაფიის, მცხოვრებთა ჩაცმულობის, ხასიათის, საქმიანობის, საკულტო ნაგებობათა, ადმინისტრაციული მოწყობისა და საზღვრების შესახებ. დახასიათებულია მხარის სამეურნეო ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ვაჭრობა და ხელოსნობა, სამიმოსვლო გზები **[Френкель 1879; ფრენკელი 2012]**.

ვ. ლისოვსკის ნარკვევში „ჭოროხის მხარე“ მოხსენიებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალი ტოპონიმი, მიმოხილულია ბათუმის მოკლე ისტორია, დასახლებულია ბათუმის ახლოს მდებარე ადგილები და ჰიდრონიმები. უაღრესად საინტერესოა ლისოვსკის მიერ შედგენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლების სია (სულ 461 სოფლის სახელწოდება), რომელიც ღირებულ წყაროს წარმოადგენს საკვლევ ტერიტორიის ოიკონიმიის შესასწავლად **[Лисовский 1887]**. შეიძლება ითქვას, რომ ა. ფრენკელისა და ლისოვსკის ცნობებს, დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის ნაშრომების მსგავსად, მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და მათ გარეშე შეუძლებელია სრულად იქნეს შესწავლილი არამართო აჭარის, არამედ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსული, მისი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა, რუსმა კავკასიოლოგმა, ბუნებისმეტყველმა, ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა, მოგზაურმა ე. ვეიდენბაუმმა. ამ უკანასკნელმა 1878 წლის ოქტომბრის მიწურულსა და ნოემბრის დამდეგს იმოგზაურა ახლად შემოერთებულ პროვინციებში, კერძოდ, ბათუმში, ციხისძირსა და ართვინში. ვეიდენბაუმს აღწერილი აქვს ქ. ბათუმი, რომელიც „თურქული ქალაქის კვალობაზე, კარგი სანახავია“. დახასიათებული აქვს ციხისძირის გეოგრაფიული მდებარეობა და ციხის მშენებლობის ტექნიკა. **[Вейденбаум 1901; ვეიდენბაუმი 2005]**.

ბათუმის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება ნ.მ. დაკიშვიძის. მისი ნაშრომი იყო ერთ-ერთი პირველი მეცნიერული ნარკვევი, რომელიც ახლად

გათავისუფლებულ საპორტო ქალაქს მიეძღვნა. დაკიშევიჩი ვრცლად სარგებლობს სტატისტიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით და ცნობებს გვაწვდის მიწათმფლობელობის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელ სისტემაზე, მიწის ფასებზე, ბათუმის ექსპორტ-იმპორტზე და აშ. [Дакишевич 1890; დაკიშევიჩი 2011].

აჭარისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ჭოროხის მხარე, ლაზეთი) შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული პ. უვაროვას [Уварова 1891], ვ.მასალსკის [Масальский 1886], ი. კანევსკის [Каневский 1886], ნ. დერჟავინის [Державин 1906], ი. პროსკურიაკოვის [Проскуряков 1906], ნ. შავროვის [Шавров 1907], ი. ვორონოვის [Воронов 1910], ნ. ვერუს [Веру 1910] და სხვათა ნაშრომებში.

დასახელებულ ავტორთაგან პ.უვაროვა პირველი იყო, რომელმაც ზემო აჭარის არქეოლოგიური ძეგლები მოინახულა და აღწერა. მან რუსეთის საიმპერიო არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით 1888 წელს იმოგზაურა აჭარა-შავშეთში. მკვლევარმა დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა ყოფაცხოვრებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ [Уварова 1891].

ევროპული წყაროები. საკვლევი პერიოდის აჭარის შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ევროპული წყაროებიდან ყველაზე ადრეულია XV ს-ის 70-იანი წლების იტალიელი მოგზაურების იოსაფატ ბარბაროსა და ამბროჯიო კონტარინის ჩანაწერები. ირანში მიმავალმა ელჩებმა გზად საქართველო გაიარეს და მწირი ცნობები ბათუმის შესახებაც დაგვიტოვეს. ბარბარო შავი ზღვის პირას სამ ციხეს ასახელებს - ბათუმს, გონიოსა და სებასტოპოლისს (ცხუმი). ბათუმი და გონიო მოხსენიებულია „ვატისა“ და „გორის“ სახელწოდებით. „ვატკის“ სახელწოდებით გვხვდება ბათუმი აგრეთვე კონტარინთან. იგი თანამედროვე პეტრას ციხესაც აღწერს და მას კალთიხეას უწოდებს [მამისტვალიშვილი 1981: 55].

ქრონოლოგიურად შემდეგი ეტაპის ევროპული წყაროები XVII საუკუნეს მიეკუთვნება. გონიოს ციხის შესახებ ცნობა მოეპოვება იტალიელ მისიონერს დონ კრისტოფორო დე კასტელს. მას მოცემული აქვს გონიოს ციხის დასურათება და აღნიშნავს, რომ ეს იყო ადგილი, სადაც „დიდი რაოდენობით იყიდებოდა სულითა და ხორციით ქართველები, აფხაზები და სხვ“ [კასტელი 1976: 171. სურ.442].

უცხოელ ავტორთა შორის, რომელთაც საქართველოს შესახებ ცნობები მოეპოვებათ, XVII ს-ის ცნობილ მოგზაურს ჟან შარდენს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს [შარდენი 1935; 1975]. შარდენი აჭარაში ზღვით შემოვიდა და პირველად გონიოში გაჩერდა. იგი აღწერს გონიოს ციხეს და აღნიშნავს, რომ: „აქვეა საბაჟო, რომლისგანაც ადგილობრივ მცხოვრებლებს საკმაოდ დიდი შემოსავალი აქვთ, ხოლო ევროპელთათვის კი ის არის ნამდვილი ყაჩაღების ბუნაგი“ [შარდენი 1975: 259-260]. ოსმალთა მეზობლების ძალმომრეობა თავისთავზე შარდენმაც გამოსცადა, იგი მთლიანად გაძარცვეს. შარდენის ცნობით „გურიელის სამფლობელოს უჭირავს ადგილი იმ მდინარემდინ (მდ. ჭოროხი), რომელიც გონიოდან ნახევარ ეჯზე ჩამოდის“ [შარდენი 1975: 21]. ამ ცნობით დასტურდება, რომ XVII ს-ის 70 წლებში ბათუმი ჯერ კიდევ საქართველოს შემადგენლობაშია, კერძოდ გურიელის სამფლობელოა და აქ ოსმალთა გავლენა ჯერ კიდევ არ დამყარებულა. გონიოდან აჭარის წყლის ხეობის გავლით იგი ახალციხეში ჩავიდა. შარდენი აღფრთოვანებული დარჩენილა ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობით. მოკლედ აღწერს მათ სამეურნეო ყოფას და საოჯახო საქმიანობას [შარდენი 1935: 54-55].

XIX ს 80-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა ორიენტალისტმა ჟან მურიემ. მან საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ბათუმის ოლქიც მოიარა და მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა ამ მხარის ისტორიაზე, მოსახლეობაზე, გზებზე და ა.შ. [მურიე 1962]. მურიეს დახასიათებული აქვს ბათუმის ოლქის მდინარეთა სისტემა, ვაჭრობა, ვრცლად აქვს აღწერილი აჭარის წარსული, ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, ჰავა, მეურნეობა, ეთნოგრაფიული ყოფა, წეს-ჩვეულებანი და სხვა. აღწერს გონიოს ციხეს და ეხება სიტყვა „გონიოს“ ეტიმოლოგიას. უკავშირებს რა ციხის მშენებლობას სულთან სულეიმანს, მურიე აღნიშნავს რომ სულთანს მშენებლობისას ვერცხლი დაკლებია, ტყავის ასიგნაციები გამოუშვია და ამიტომაც ციხისათვის გონია ე.ი ტყავის ფული დაურქმევია [მურიე 1962:19]. როგორც ვხედავთ, მის ცნობებში ზოგჯერ უზუსტობანიც შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ავტორი საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა აჭარის შესახებ.

ფრანგი მოგზაურებიდან აჭარის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება ჟაკ ფრანსუა გამბას. გამბა XIX ს-ის 20-იან წლებში საფრანგეთის კონსულად მუშაობდა თბილისში. მისი ამიერკავკასიაში მოგზაურობის ორტომიანი წიგნიდან პირველი დასავლეთ საქართველოს ეძღვნება. მასში ავტორი სხვა კუთხეებთან ერთად მოკლედ აღწერს ბათუმსა და მის ნავსადგურს, ქალაქის მდგომარეობას, მოსახლეობას, ვაჭრობას, ნაწილობრივ ეხება ზემო აჭარასაც [გამბა 1987: 262-263].

ყველაზე უხვი ცნობები ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის შესახებ დაგვიტოვა ინგლისელმა დიპლომატმა ჯიფორდ პალგრევმა, რომელიც XIX ს-ის 60-70-იან წლებში კონსულად მუშაობდა ტრაპიზონში. მის ანგარიშებში აღწერილია ლაზისტანის სანჯაყში შემავალი მაზრები (ყაზები), სოფლები, მოსახლეობის რიცხოვნობა, ბეგარა-გადასახადების სახეები და საბაჟო გამოსაღებების ოდენობა. ნაჩვენებია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ადგილობრივი ძირძველი ხალხის ხასიათი და ფიზიკურ-გარეგნული აღნაგობა. დახასიათებული აქვს ლაზისტანის სანჯაყის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, ნიადაგები, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა, სოფლის მეურნეობა, ადებ-მიცემობა. ხაზგასმულია ბათუმის, როგორც შავ ზღვაზე ბუნებრივი ნავსადგურის დიდ მომავალზე. ზოგადადაა მიმოხილული აღმასრულებელი, სასამართლო, საფინანსო, სამხედრო, საბაჟო-საგადასახადო ორგანოების საქმიანობა. ასე, რომ ჯ. პალგრევის ცნობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება XIX ს-ის მეორე ნახევრის ლაზისტანის სანჯაყის ისტორიის შესასწავლად [Пальгрев 1872; პალგრევი 2012].

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოსა და კავკასიაში ორჯერ იმოგზაურა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, კარლ ჰაინრიხ ემილ კოხმა. მან დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოკლედ აღწერა ქობულეთი, ციხისძირი, ბათუმი და გონიო. მიუხედავად იმისა, რომ კოხი სპეციალობით ბოტანიკოსი იყო და მოგზაურობის ძირითადი მიზანიც ქვეყნებში ნანახი ფლორის აღწერა იყო, მის დღიურებში აჭარის მოსახლეობის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები გვხვდება. მას მოკლედ აღწერილი აქვს ბათუმი და მისი ნავსადგური, აჭარლების

დამოკიდებულება ოსმალური რეჟიმისადმი და მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის [კობი 1981].

აჭარის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი და დღემდე ნაკლებად ან სრულიად უცნობი დოკუმენტური წყაროებია თავმოყრილი ინგლისელი მკვლევარის ლესლი ჯარმანის სამტომეულში „ბრიტანეთის არქივები აჭარის შესახებ“, ჩვენთვის ქრონოლოგიურად საინტერესოა სამტომეულის პირველი ტომი „აჭარა და ოსმალეთის იმპერია“, რომელიც 1830-1878 წლებს მოიცავს. სამტომეულში ძირითადად თავმოყრილია საარქივო მასალები [Jarman 2003].

§2. საკითხის შესწავლის ისტორია

გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებს, კერძოდ, ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობას, ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის გავრცელებას, ოსმალურ მიწათსარგებლობის და მიწათმფლობელობის წესებს, ბეგარა-გადასახადების ფორმებსა და სახეებს და საერთოდ, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას არაერთი სპეციალური ნაშრომი მიემდგვნა [ჯიქია 1941; 1948; 1958; აბულაძე 1979; ალასანია 1971; ავალიანი 1960; ბარამიძე 1959; თურმანიძე 1994; 2001] და ა.შ.

საკვლევი პერიოდის (XVI-XIX სს) როგორც აჭარის, ისე მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ. შენგელიამ. მან სრულად მოიძია თურქეთისა და ბულგარეთის არქივებსა და წიგნსაცავებში არსებული ოსმალური დოკუმენტური და ნარატიული წყაროები. მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა მკვლევარებს დიდ დახმარებას უწევს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმების, ოსმალური გადასახადების, საგადასახადო სისტემის თუ სხვა ბევრი საინტერესო საკითხების შესწავლაში [შენგელია 1974;1978;1980;1987;1996;2009ა;2009ბ].

XVI-XIX სს საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ საყურადღებო შრომები გამოაქვეყნა მ.სვანიძემ. პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად მის გამოკვლევებში საინტერესოაა გადმოცემული სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის

საკითხები, დახასიათებულია ოსმალური მიწისმფლობელობის წესები და ფორმები [სვანიძე 1963;1967;1990;2009].

გვიანი შუასაუკუნეების აჭარის შესახებ საინტერესოა ვ. იაშვილის ნაშრომი „აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში“. ნაშრომში ვრცლად არის საუბარი ამ პერიოდის აჭარის მიწათმოქმედებაზე, მესაქონლეობაზე, სამეურნეო ყოფაზე, მეფუტკრეობაზე, ვაჭრობაზე, ხელოსნობაზე და მიწათმფლობელობის ფორმებზე [იაშვილი 1948].

აჭარის ისტორიის საინტერესო საკითხებს ეხება შ.ვარშანიძის ნაშრომი „ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან“. ავტორს მიმოხილული აქვს აჭარის ხეობის სახმელეთო-სამდინარო გზების სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაში. ვრცლად არის საუბარი აჭარის საზღვრების შესახებ. აჭარის მდგომარეობაზე ირან-ოსმალეთის ომის დროს. ათაბაგობის დასასრულზე და ოსმალური ბატონობის საწყის პერიოდზე [ვარშანიძე 1974].

გვიანი შუასაუკუნეების აჭარის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხ. ახვლედიანმა. მის შრომებში ზოგადად მიმოხილულია ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში არსებული მიწისმფლობელობის ფორმები, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და აგრარული მოძრაობის საკითხები, ოსმალური მმართველობის სისტემა და სხვა [ახვლედიანი 1944;1946;1956;1972;1978].

გვიანი შუასაუკუნეების აჭარის მოსახლეობის ტრადიციული და სულიერი კულტურა, ისლამის გავრცელება, მუსლიმანური საკულტო ნაგებობების მშენებლობა ჯამეების ხუროთმოძღვრულ-დეკორატიული თავისებურებები, ორნამენტის ძირითადი მოტივები და ქართული ხალხური ხუროთმოძღვრული და სახვითი ხელოვნების ნიმუშების გავლენა ჯამეების მორთულობაში შესწავლილი აქვთ ჯ. ვარშალიძემ [ვარშალიძე 2007: 82-108] და რ. ბარამიძეს [ბარამიძე 2008; 2010], მეჩეთების მშენებლობა და ქართული ხითხურობის ტრადიციები, ასევე გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის საზოგადოებრივი მდგომარეობის საკითხები

განხილულია ი. ზოიძისა და მ. ჭიჭილეიშვილის პუბლიკაციებშიც [ზოიძე 2008: 144-151; 2009: 297-302; ჭიჭილეიშვილი 2015: 117-125].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის განვითარების პრობლემებს, მაჭახლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს ეძღვნება ნ. კახიძის გამოკვლევები [კახიძე 1971; 1974; 2004; 2009].

ოსმალთა ბატონობამდელი და ბატონობის დროინდელი აჭარის სოციალურ ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა მთელი რიგი საკითხების შესახებ ვრცლად არის საუბარი გ. ტივაძის [ტივაძე 1946], შ. მეგრელიძის [მეგრელიძე 1963], ჯ. ნოღაიდელის [ნოღაიდელი 1945], ქ. ჩხატარაიშვილის [ჩხატარაიშვილი 1973: 444-455], ზ. ჩიტაძის [ჩიტაძე 1974], ა. სურგულაძის [სურგულაძე 1986] და სხვათა შრომებში.

ბოლო პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებს, ოსმალურ გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას, მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესების გავრცელებას და ა.შ. წარმატებით იკვლევს თურქოლოგი ზ. შაშიკაძე. მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოირჩევა გამოყენებული საარქივო მასალის სიუხვით. ავტორი მდიდარ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ახერხებს საზოგადოების წინაშე გამოიტანოს ოსმალურ არქივებში დაცული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მასალები, რომელიც მანამდე ქართველი მეცნიერებისთვის უცნობი იყო. მკვლევარმა თურქეთის არქივებში მოიძია და სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანა აჭარის ისტორიის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროები როგორცაა: „ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“, „ზემო და ქვემო აჭარის ვრცელი დავთარი“, „აჭარის ლივის მოკლე დავთარი“ და სხვ. მკვლევარის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტური მასალები, აჭარის ისტორიის ზოგიერთი საკითხების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა [შაშიკაძე 2002 ა; 2002 ბ; 2009; 2011].

ისტორიკოსთა მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი სამუშაოებით, შესაძლებელი გახდა გარკვეულწილად განსაზღვრულიყო აჭარაში მიმდინარე ისტორიული პროცესები. როგორც ვხედავთ, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილია საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინა პერიოდიდან შეინიშნება. ამ საკითხებით არაერთი მკვლევარი თუ მოგზაური დაინტერესებულა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის დამსახურება. მატერიალური კულტურის ძეგლები აღწერეს და მათ შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს ასევე თ. სახოკიამ, პ. უვაროვამ, ზ. ჭიჭინაძემ და სხვებმა. თუმცა, არქეოლოგიური ძეგლების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა შედარებით გვიან დაიწყო.

1955 წელს გამოქვეყნდა სპეციალური კრებული „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“, რომელშიც შესწავლილია გონიოსა და ხიხანის ციხეების, სხალთისა და ხიხანის ეკლესიების ისტორია. ავტორები ვრცლად მიმოიხილავენ აღნიშნულ მატერიალური კულტურის ძეგლებს [იაშვილი 1955: 6-17; ახვლედიანი 1955: 29-84; მეფისაშვილი 1955: 85-105].

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პროფ. ი. სიხარულიძემ [სიხარულიძე 1958; 1959; 1962]. არსებული მონაცემების მიხედვით მან სცადა დაეთარილებინა აჭარისწყლის ხეობის დღემდე შემორჩენილი ძეგლების ნაწილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი 1962 წელს გამოცემული „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“. აღნიშნულ ნაშრომში ბრინჯაოსა და რკინის ხანის ძეგლებთან ერთად მიმოხილულია აჭარის შუასაუკუნეების პერიოდის საკულტო ძეგლები, ციხეები და ხიდები. აღწერილია ცივასულას, საღორეთის, გულების, ტაკიძეების (დანდალოს), კავიანის, ჭვანის (ტაკიძეების), ოქროპილაურის, მთისუბნის, ჩხუტუნეთის, ყოროლისთავის და ნიგაზეულის ციხეები. საკულტო ძეგლებიდან ცხრაფონას ამაღლების ეკლესია, ჩეხედანას ტაძარი, გვარას წმ. გიორგის ეკლესია, ქაქუთის მთავარანგელოზის ეკლესია, ხინოს კათედრალი. ხოლო საგზაო ნაგებობებიდან: ბასრიმელის (მდ. კინტრიშზე), ცხემვანის, ჩამახისურის და ჭვანის ხიდები [სიხარულიძე 1962].

აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, სასიმაგრო-თავდაცვითი და საეკლესიო ნაგებობები, სამაროვნები, სამარხეული ინვენტარი და ა.შ. მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს შ. მამულაძეს [მამულაძე 1993].

სოფ.ზენდიდის (ქედის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე არსებული გვიანი შუასაუკუნეების ციხე, აქ განლაგებული სამეურნეო ნაგებობებები განხილულია ჯ. მიქელაძის [მიქელაძე 2008: 18-33], ი. ბარამიძის [ბარამიძე 2009: 60-70], შ. მამულაძის, და მ. ხალვაშის [მამულაძე...2009: 370-371] პუბლიკაციებში.

მაღალმთიან აჭარაში ბოლო წლებში განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხიხანის ციხეზე (ხულოს მუნიციპალიტეტი) წარმოებული გათხრები. ექსპედიციამ შეისწავლა სხვადასხვა პერიოდის შენობა-ნაგებობათა ნაშთები: სასახლე, ეკლესია, მარანი, ჭა, თონე, ბუხრიანი შენობები და ა.შ. ციხის ტერიტორიაზე გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალებიც: სადა თუ მოჭიქული კერამიკა, კრამიტის ფრაგმენტები, ჩიბუხები, ზარბაზნის სხვადასხვა ზომის ჭურვები და აშ [მინდორაშვილი 2015 ა: 132-183; მინდორაშვილი 2015 ბ:1-19; 2016 ა:1-6]

რაც შეეხება ზღვისპირა ზოლის აჭარის შუასაუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლების შესწავლის ისტორიას, პირველ რიგში აღსანიშნავია პეტრა-ციხისძირი. აქ განხორციელებული გათხრების შედეგად გამოვლენილი იქნა სხვადასხვა ეპოქის, როგორც მატერიალური, ისე ნივთიერი კულტურის ძეგლები. ეს მასალები შესწავლილია ვ. მელითაურის [Мелитаური 1972: 16-20], ვ. ლექვინაძის [Леквинаძე 1973: 169-186], ა. ინაიშვილის [ინაიშვილი 1971: 91-109; 1974:102-153], ნ. ინაიშვილის [ინაიშვილი 1981:122-135; 1987: 118-146; 1988: 76-85; 1991: 62-86;1993; 2009 ბ:277-288], ლ. ჩხაიძის [ჩხაიძე 1978: 59-66] და სხვათა ნაშრომებში.

საინტერესო არქეოლოგიურ სურათს იძლევა ბათუმის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. აქ ანტიკური პერიოდის მასალებთან ერთად აღმოჩნდა განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სადა და მოჭიქული კერამიკის ნაწარმი [კახიძე...1989; კახიძე...2013: 8-51; მიწიშვილი 1976], ჩიბუხები [თავამაიშვილი 2009: 166-170]. გამოვლინდა ოსმალთა ბატონობის დროინდელი საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთებიც [კახიძე...1989].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის ძეგლებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გონიო-ავსაროსი. ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჯერ კიდევ XX ს-ის 60-იან წლებში დაიწყო, როდესაც

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები [გბელიშვილი...1964: 59-96]. ციხის კვლევაში ახალი ეტაპი 1994 წლიდან იწყება, როცა შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი და მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. 1995 წლიდან აქ ინტენსიურად ტარდება არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგად მოპოვებულია სხვადასხვა ეპოქების მდიდარი და მრავალფენოვანი მასალა. გამოვლენილია სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ნაშთები, მათ შორის გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის. მათ შესწავლას მიემდგვნა ცალკეული სტატიები თუ ნაშრომები. აქ აღმოჩენილი გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი, იტალიური ალმარდი და თურქული ფაიანსის ნაწარმი განხილულია ნ. აფხაზავას, შ.მამულაძისა და დ. მინდორაშვილის პუბლიკაციებში [აფხაზავა...1998: 269-277; მინდორაშვილი...2009: 25-28; მინდორაშვილი 2015ც:242]. ამავე პერიოდის თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების, შესახებაა საუბარი ლ. ჩხაიძის სტატიაში „გვიანფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმის ერთი სახეობა გონიოდან“ [ჩხაიძე 1982: 114-128].

გონიო-აფსაროსსა და საერთოდ, აჭარის ზღვისპირა ზოლის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კვლევისათვის მეცნიერული ღირებულების მასალას იძლევა ნუმიზმატიკური მონაპოვარი. ნუმიზმატიკური მასალა საგანგებოდ აქვს შესწავლილი ი. ვარშალომიძეს [ვარშალომიძე 1996:49-50; 1998:47-49; 2002: 99-102; 2004: 141-147; 2009].

ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის შენობა-ნაგებობათა ნაშთები, წყალგაყვანილობათა სისტემები, მონეტები, კერამიკული ნაკეთობანი: ჯამები, სასანთლები, მოჭიქული კერამიკა და ფაიანსის ნაწარმი მოკლედ განხილულია გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშებში [ხახუტაიშვილი...1995; ხახუტაიშვილი...1996; ხახუტაიშვილი..1997; ხახუტაიშვილი...1998; კახიძე...1999; კახიძე...2001] და გონიო-აფსაროსის შრომების კრებულებში [კახიძე...2002: 44-70; კახიძე...2004: 4-107; ვარშალომიძე 2004: 141-147; ხალვაში 2002: 134-167; მინდორაშვილი...2009: 25-58; სულავა 2009: 59-89].

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა საგანგებოდ აქვს შესწავლილი მ. მიწიშვილს. ავტორი მათ სხვადასხვა პერიოდით (XI-XII, XIV, XV-XVII-XVIII სს) ათარილებს და გამოყოფს ადგილობრივ და იმპორტულ ფორმებს [მიწიშვილი 1976]. განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზე (თბილისი, რუსთავი, დმანისი, გუდარები, უჯარმა, ყარაღაჯი, მცხეთა, ბათუმი, სოხუმი) აღმოჩენილ ფაიანსის ნაწარმს ეხება ნ. მამაიაშვილის მონოგრაფია [მამაიაშვილი: 1976].

§ 3. რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო

აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო განედის 41°53' და სამხრეთ განედის 41°21', დასავლეთი გრძედის 41°33' და აღმოსავლეთი გრძედის 42°35' ფარგლებში. აჭარის თანამედროვე საზღვარი სამხრეთით ემთხვევა საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. იგი გასდევს ჭანეთისა და შავშეთის ქედებს, აღმოსავლეთით - არსიანის ქედს, ჩრდილოეთით - მესხეთის ქედსა და მის განშტოებას, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. აჭარას ჩრდილოეთით ესაზღვრება ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონები, აღმოსავლეთით - ადიგენის რაიონი, ხოლო სამხრეთით - თურქეთი [პაპუნძე 2007:10].

აჭარის ფართობი 2990 კვ.კმ-ია (საქართველოს ტერიტორიის 4,3%). მის უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ წერტილებს შორის მანძილი 54,4 კმ, ხოლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ წერტილებს შორის - 89,2 კმ-ია. საზღვრების საერთო სიგრძე 304,6 კმ-ია, მათ შორის 251,1 კმ (82,4%) სახმელეთოა, ხოლო 53,5 კმ (17,6%) - საზღვაო [ზარამიძე 2016: 8].

აჭარა კავკასიის ტიპიურ მთიან მხარეს წარმოადგენს თავისებური მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით. ტერიტორიის 5,3% უჭირავს დაბლობებს, 9,3% გორაკ-ბორცვებს და 85,4% - მთისწინეთსა და მთებს. ყველაზე დაბალი ადგილია ისპანის დაბლობი (ზღვის დონიდან 8 მ.), ხოლო უმაღლესი - ყანლის მთა (ზღვის დონიდან 2992 მ). ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი მხრიდან შემოსაზღვრულია მცირე კავკასიონის აჭარა-თრიალეთის სისტემის მაღალი მთებით

[ზარამიძე 2016:8; გამყრელიძე 1949:50-58]. აჭარა-თრიალეთის მთის სისტემა დაყოფილია აჭარა-იმერეთის და თრიალეთის მთებად. აჭარა-იმერეთის მთა გაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროდან მდ. მტკვრის ხეობამდე და თავის მხრივ იყოფა აჭარა-გურიის და ახალციხე-იმერეთის მთებად.

აჭარა-გურიის ქედი წყალგამყოფია აჭარისწყლის და სუფსა-ნატანების მდინარეთა ჰიდროქსელისა. აჭარის ფარგლებში ამ ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალია საყორნის მთა (ზღვის დონიდან 2752 მ)

აჭარა-გურიის ქედს ხინოს მთასთან გამოეყოფა ქობულეთ-ჩაქვის ქედი, რომელიც გეოგრაფიულად აჭარას ყოფს ორ ნაწილად - ზღვისპირა ზოლად და მთიან აჭარად. აჭარის სამხრეთით, თურქეთის საზღვართან, მდ. აჭარისწყლის ზედა ნაწილისა და მდ. იმერხევს შორის, წყალგამყოფია შავშეთის ქედი. ამ ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალია ხევას მთა (2810 მ).

არსიანის ქედიც ასევე წყალგამყოფია შავი და კასპიის ზღვების აუზებისათვის. არსიანის ქედის დიდი ნაწილი დღეს თურქეთის საზღვრებშია, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია მისი მხოლოდ ჩრდილოეთი მონაკვეთი. არსიანის ქედზე რამდენიმე უღელტეხილია, რომელთა შორის ყველაზე მოხერხებულია - გოდერძის უღელტეხილი (ზღვის დონიდან 2025 მ)

მთიანი აჭარის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საშუალო სიმაღლის მთებს უჭირავს, რომლებიც მდ. აჭარისწყლის ხეობიდან ამფითეატრისებურად მაღლდება. როგორც მთები, ისე მთლიანად რეგიონი ძირითადად აგებულია პალეოგენური წყებებით.

გორაკ-ბორცვიანი ზონა წარმოდგენილია ჭანეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთი და ქობულეთ-ჩაქვის ქედის განშტოებათა დასავლეთი დაბოლოებებით. აღნიშნული ზონა ხასიათდება მცირე სიმაღლის ბორცვებით და მთებით, რომელთა ნიშნული ზღვის დონიდან 150-500 მ-ის ფარგლებში მერყეობს [კაპუნძიძე 2007:10-11].

აჭარის ვაკის ზონა ძირითადად ორი დაბლობითაა წარმოდგენილი:

ა) ქობულეთის, რომელიც მდინარეებს კინტრიშსა და ჩოლოქის ქვემო წელს შორისაა მოქცეული და ბ) კახაბრის დაბლობი მდ. ჭოროხის დელტა.

აჭარა ისევე, როგორც მთელი დასავლეთი საქართველო ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული ჰავით. ფიზიკურ გეოგრაფიული თავისებურება ორი კლიმატური ნაწილის არსებობას განაპირობებს - აჭარის ზღვისპირა მხარე და შიდა აჭარა. ზღვისპირა მხარეში ჰავა ტენიანი სუბტროპიკულია, ხოლო შიდა აჭარის მხარე უფრო მშრალი და ცივი კლიმატით გამოირჩევა [ზარამიძე 2016:10].

აჭარის ჰაერზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შავი ზღვა. წლის ცივ პერიოდში შავი ზღვა ზრდის ჰაერის ტემპერატურას ხმელეთის მიმდებარე მონაკვეთებზე, ხოლო ზაფხულის ცხელ თვეებში დაბლა სწევს მას. წლის განმავლობაში ზღვის ზედაპირიდან აორთქლებული ტენი, თბილი ჰაერის დინებით გადაიტანება მთის ფერდობების მიმართულებით. სამი მხრიდან გარემომცველი მთის სისტემები (აჭარა-გურიის, არსიანის, შავშეთის) წარმოადგენს მნიშვნელოვან მასტიმულირებელს დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოჭრილი თბილი, ტენიანი ჰაერის კონდენსაციისა და უხვი, ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების წარმოქმნისათვის. ამასთან, ისინი აბრკოლებენ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ცივი კონტინენტალური ჰაერის მასების შემოჭრას [პაპუნძე 2007:12].

აჭარის ჰიდროგრაფიულ სისტემაში ყურადღებას იმსახურებს მდინარეთა ხშირი ქსელი, მრავალრიცხოვანი წყაროებით და მცირე ტბებით. მათ შორის მდ. ქვაბლიანია კასპიის ზღვის აუზის, ხოლო დანარჩენები შავ ზღვაში ჩაედინება. ყველაზე წყალუხვია მდ. ჭოროხი. მისი სათავე თურქეთშია (სიგრძე 438 კმ, აჭარის ტერიტორიაზე - 26 კმ). აჭარის ადგილობრივ მდინარეთა შორის ყველაზე დიდია აჭარისწყალი, რომელიც სათავეს არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე იღებს და აქვს უამრავი დიდი და პატარა შენაკადი. შედარებით დიდი მდინარეა კინტრიში, რომელიც სათავეს აჭარა-გურიის ქედზე, ხინოს მთის მახლობლად იღებს. იგი ქობულეთთან ერთვის შავ ზღვას. ძირითად მდინარეებს მიეკუთვნება ჩაქვისწყალიც.

ტბები აჭარაში წარმოდგენილია როგორც ზღვის სანაპირო დაბლობზე, ისე შიდამთიან ნაწილში.

დიდი სიჭრელე ახასიათებს აჭარის ნიადაგულ საფარს. გორაკ-ბორცვოვან ზონაში გვხვდება წითელი მიწები. ყველაზე მეტი ფართობი მთა-ბარის ნიადაგებს

უკავია. შემდეგ მოდის მთა-მდელოთა ნიადაგები. შედარებით მცირე ადგილი უჭირავს ალპურ მდელოებს.

აჭარის ტერიტორიის 59 პროცენტს ტყეები ფარავს. წარმოდგენილია ქვედა, შუა და ზედა სარტყლის ტყეები შესაბამისი ფლორითა და ფაუნით.

აჭარის ტერიტორია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მოიპოვება სპილენძი, ოქრო, რკინა, ფერადი ქვები, საამშენებლო მასალები, ცეცხლგამძლე თიხები, ტორფი, ტყვია, პოლიმეტალები. განსაკუთრებით მდიდარია მინერალური წყლებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ჭახათის, ხუცუბნის, კვირიკეს, შუაღელეს, გორგაძეების, ჩაქვისთავის, აგარას, ზვარეს, ზენდიდის, ცხმორისის, უჩამბის, დანისპარაულის, ბეშუმის, ნამონასტრევის, კოკოტაურისა და მახინჯაურის წყაროები [ზარამიძე 2016:11].

თავი II

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების

არქიტექტურული ძეგლები

§ 1. გონიოს ციხის გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობები

გონიოს ციხე მდებარეობს ქ. ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გარეუბან გონიოს ჩრდილოეთ შესასვლელში, მდ. ჭოროხის მარცხენა მხარეს (2011 წლამდე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გონიოს ჩრდილოეთ შესასვლელში, ქ. ბათუმიდან 12 კმ-ის მოშორებით). როგორც ცნობილია, ციხე ტიპური რომაული კასტელაა (ზომები: 222x195 მ) მართკუთხედის გეგმის (ტაბ.I/1; ტაბ.XXV/1), რომელსაც 22 კოშკი იცავდა. რომის იმპერიამ იგი აღმოსავლეთ საზღვარზე, შავი ზღვის პირას ახ.წ. I ს-ში დააარსა. წერილობით წყაროებშიც ციხე პირველად ამ დროიდან იხსენიება რომაელი ავტორის პლინიუს უფროსის (ახ.წ. 23-79 წწ) მიერ.

ჩვენ საკვლევ პერიოდში გონიო-ავსაროსის ციხეს მოიხსენიებენ ვახუშტი ბატონიშვილი [ვახუშტი 1973: 814], ბერი ეგნატაშვილი [ეგნატაშვილი 1959 ა: 402-407; 1959 ბ: 477-540] თურქი ისტორიკოსები ევლია [ჩელები 1971: 82] და ქათიბ ჩელები [ჩელები 1978: 173], ფრანგი მოგზაურები ჟან ფრანსუა შარდენი [შარდენი 1975: 259–260], ჟან მურიე [მურიე 1962: 19], გონიოს ციხის დასურათება მოცემული აქვს იტალიელ მისიონერს ქრისტეფორო დე კასტელს [კასტელი 1976: 171, სურ. 442].

XVI ს-ის შუა ხანებში გონიოს ციხე ოსმალებმა დაიპყრეს და საფუძვლიანად შეაკეთეს. სწორედ, ამ ფაქტს გულისხმობს ვახუშტი ბატონიშვილი როდესაც აღნიშნავს რომ: „ოსმალთა აღაშენეს ციხე გონია“ [ვახუშტი 1973: 814]. ამიერიდან, გონიო იქცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად. აქვე იყო მოწყობილი ოსმალთა საბაჟო პუნქტი [ჩელები 1971:82; შარდენი 1975: 259-260]. ამ პერიოდში ვახუშტი ბატონიშვილი გონიოს მოიხსენიებდა მცირე ქალაქად და ციხედ [ვახუშტი 1973: 814], ხოლო იტალიელი მისიონერის კრისტეფორო დე კასტელის ცნობით, გონიო წარმოადგენდა ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს დასავლეთ საქართველოში. აქ „დიდი რაოდენობით იყიდებოდა სულითა და ხორციით საცოდავი ქართველები, აფხაზები

და სხვ.[კასტელი 1976: 171]. 1616-1618 წწ-ში გონიოს ციხე წარმოადგენდა კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის სამყოფელს. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, სწორედ აქედან მიიწვიეს თეიმურაზი ქართლში, გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ ირანელთა წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების შემდეგ [ეგნატაშვილი 1959 ა: 402-407; 1959 ბ: 477-540].

ციხის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია 1959 წელს განხორციელდა ო. ლორთქიფანიძის და თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით [ლორთქიფანიძე...1960: 761-768], ხოლო მომდევნო წელს გააგრძელა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ ა. ინაიშვილის ხელმძღვანელობით [გძელიშვილი...1964:59-96; გძელიშვილი...1973: 8-30].

1994 წლიდან ძეგლზე მუშაობს მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც გონიო-აფსაროსის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის ბევრი ახალი და საინტერესო მასალები გამოავლინა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხის შიდა ტერიტორიაზე გამოკვეთილია საკმაოდ მძლავრი რომაული (I-III სს), ბიზანტიური (VI-VII სს) და ოსმალური (XVI-XIX სს) პერიოდის კულტურული ფენები. სახეზეა როგორც წინა ეპოქების, ასევე გვიანი შუასაუკუნეების სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები.

გვიანშუასაუკუნეების შენობა-ნაგებობებიდან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი აბანოს უჭირავს. აბანო მდებარეობს ციხის ცენტრალურ ნაწილში (ზომები: 22x11,5მ). ის დაშენებულია რომაული პერიოდის აბანოზე (ტაბ.I/2; ტაბ.XXV/2) მშენებლობისას მთლიანადაა გამოყენებული რომაული აბანოს სამირკველი და ძველი კედლების ნაწილი, თუმცა ძველი და მოგვიანო აბანოების კედლების წყობა მკვეთრად განსხვავებულია. გვიანი შუასაუკუნეების აბანო ნაგებია შედარებით პატარა ზომის მოშავო კვადრებით. ის შედგება სხვადასხვა განყოფილებებისაგან. პირველი განყოფილება საქვაბეა - “Külhan”(prefornium), რომელზეც ოსმალური აბანოებისათვის დამახასიათებელი მოზრდილი წყლის სათავსია მიშენებული (6,5x4,6მ). საქვაბეზე დაშენებულია კასრისებული მოყვანილობის (დმ-1,15 მ) საცეცხლე განყოფილება (ტაბ.II/1). საქვაბეს

ჩრდილოეთით მდებარეობს ცხელი განყოფილება-“sıcaklık”(caldarium). ის შედგება აღმოსავლეთისა და დასავლეთი ნაწილისაგან (ზომები: აღმოსავლეთის-2,9x2,85; დასავლეთის-2,85x2,85) საქვაბედან თითოეული განყოფილების ქვეშ შედიოდა საგანგებოდ მოპირკეთებული გვირაბი, რომელშიც ჰაერის ცხელი მასა მოძრაობდა. ცხელ აბანოს მოსდევს თბილი აბანო - “ılıkılık”(Tepidarium), ისიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის განყოფილებებისაგან შედგება. ცხელი აბანოს იატაკქვეშა განყოფილება თბილ აბანოსთან დაკავშირებულია 1,05 მ სიგანისა და 0,65 მ სიმაღლის ღიობით, საიდანაც ვრცელდებოდა თბილი ჰაერი [კახიძე...2004:11, ტაბ.IX-XIX]. თბილი აბანოს დასავლეთი კედლის მთელს სიგრძეზე მიშენებულია კიდევ ერთი განყოფილება, შესაძლოა ეს ყოფილიყო გასახდელ-მოსაცდელი ოთახი (ზომები: 4,2x2,3 მ). აბანოს ქონია ცივი განყოფილებაც - “soğukluk”(„Frigidarium“), რომლის მხოლოდ სამიერკვლის კონტურებია შემორჩენილი. ოსმალებს რომაული აბანოს გეგმა შეუცვლიათ (ტაბ.I/2; ტაბ.XXV/2). ის თავისი ფორმით აღმოსავლურია.

მართალია, ისლამური სამყაროს აბანოები, რომაული აბანოების მსგავსად შედგება 4 განყოფილებისაგან: ცხელი (sıcaklık), თბილი (ılıkılık), ცივი (soğukluk) გასახდელ-მოსაცდელი ოთახისა და საქვაბესაგან (Külhan), მაგრამ განსხვავდებიან გადახურვის ფორმებითა და ტექნიკით. აღმოსავლური აბანოები გადახურულია გუმბათით [აბრამიშვილი...2000: 209; Reyhan 2004: 12; Smolijaninovaitė 2007: 19]. ასეთივე გადახურვა ჰქონია გონიოს აბანოს. გუმბათით გადახურულია აბანოს ცხელი და თბილი განყოფილების ოთხივე ნაწილი. შესაბამისად ქონია 4 გუმბათი. დამატებითი კედლები ამოყვანილია პატარა ზომის აგურით, რომელიც შემდეგ კირხსნარის ფენით არის შელესილი. კედლებზე სხვადასხვა სახის ნახატები იყო თავის დროზე გამოსახული (ცხვარი, ცხენი, აფრიანი გემი და ა.შ.).

გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში აბანოს კედლებზე მხატვრობის კვალი სხვა ძეგლებზეც შეინიშნება. მაგალითად, თელავის ბატონის ციხის ე.წ. ერეკლეს აბანოზე, ამილახორთა აბანოზე ქვემო ჭალაში [ციციშვილი 1955: 85]. როსტომ მეფის აბანოზე ნარიყალას ციტადელში და ა.შ. თუმცა, უმეტესად

აბანოს კედლები კირით იყო შეთეთრებული ან უბრალოდ შელესილი [კვანტიძე 2012: 120].

გვიანი შუასაუკუნეების აბანოები განსაკუთრებით მრავლად არის შემორჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ პერიოდს განეკუთვნება: თბილისის ე.წ. „როსტომის აბანო“, თელავის ე.წ. „ერეკლეს აბანო“ სამშვილდეს, გრემის, ხერთვისის, ქვემო ჭალის, ახალგორის, ნიჩბისის, მმოვრეთის, გორის, ახალციხის და სხვა აბანოები [აბრამიშვილი...2000: 209; სადრამე...2014: 78-96]. დასავლეთ საქართველოში ისინი ცნობილია ქუთაისის ციხიდან [ისაკაძე 2006: 113-115] და ოზურგეთიდან [სადრამე...2014: 89-94].

ციხის ტერიტორიაზე გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნება მეჩეთი. მდებარეობს აბანოს ჩრდილოეთით (ტაბ. XXVI/1). მეჩეთი (ზომები: 14,8x11,20 მ) ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის მოშავო-მონაცრისფრო დამუშავებული ქვებით. მათი წყობა არაწესიერია. მშენებლობაში გამოყენებულია რომაული ეპოქის სხვადასხვა ზომის (80x70 სმ; 115x80 სმ) კვადრებიც. ისინი ძირითადად კუთხეებშია ჩართული. მეჩეთი საბჭოთა და თანამედროვე პერიოდში საგრძნობლად არის გადაკეთებული (დღეისათვის იგი საგამოფენო დარბაზადაა გამოყენებული). გვიანდელი შუასაუკუნეების ქვის კედლებში აქა-იქ ჩაშენებულია თანამედროვე ქვის ბლოკები და გათლილი ქვები.

მეჩეთს სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში დატანილი აქვს ორ-ორი სარკმელი, ხოლო ერთი ჩრდილოეთის მხარეს (ზომები: სამხრეთი კედლის სარკმლების 85x100 სმ, 85x80 სმ; დასავლეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების - 65x85სმ). მათი ჩარჩოები მოპირკეთებულია ოთხკუთხა ფორმის გათლილი ქვებით. ისინი დღეისათვის რესტავრირებულია თანამედროვე მასალით. სამხრეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში გამართული იყო მუსლიმი ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ადგილი-მიხრაბი. მეჩეთს ჩრდილოეთის მხრიდან აქვს სამსაფეხურიანი შესასვლელი (კარის ზომები: 1,80x90 სმ).

როგორც იყო თავის დროზე მეჩეთის გადახურვა გაურკვეველია. ზოგადად ოსმალეთის იმპერიისათვის დამახასიათებელი იყო გუმბათოვანი მეჩეთები, რომელიც წარმოადგენდა წამყვან არქიტექტურულ ტიპს ისლამურ სამყაროში

[Hoteit 2015: 13552; Buhlfaia 2006: 13-15; Yatim 2011: 492-498]. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად მეჩეთები, ფორმით, ზომით და გადახურვის წესით არ განსხვავდებოდა საცხოვრებელი ნაგებობებისაგან და გარეგნული ფორმითაც არ იქცევდა ყურადღებას, განსაკუთრებით კი სოფლის მეჩეთები, რომელთა უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა მუსლიმური ძეგლებისათვის აუცილებელი კიდეც ერთი კომპონენტი - მინარეთი [ზარამიძე 2008: 153; ზოიძე 2008: 147; ვარშალომიძე 2007: 88]. ასეთივე სურათი ჩანს გონიო-აფსაროსშიც. დასავლეთ საქართველოში, ოსმალების მიერ აშენებული კიდეც ერთი მეჩეთი ცნობილია ქუთაისის ციხიდან, რომლის მშენებლობის თარიღად XVII ს-ის ბოლო პერიოდი არის მიჩნეული [ისაკაძე 2006:113].

საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული მეჩეთები დმანისის ნაქალაქარზეა მიკვლეული. ამათგან, ერთ-ერთი XII-XIII სს-ით დათარიღებული მინარეთიანია, ხოლო მეორე XIII-XIV სს მიკუთვნებული ჩვეულებრივია. აღსანიშნავია, რომ დმანისის მეჩეთებიც ადგილობრივ გარემოებებსა და მოთხოვნებზე ჩანს მორგებული და დიდად არ განსხვავდება ნაქალაქარზე გამოვლენილ და შესწავლილ სხვა შენობა-ნაგებობებისაგან. ერთადერთი რაც მათ განასხვავებს სხვებისაგან, ეს მეჩეთებისათვის დამახასიათებელი კანონიკურობაა - მექისაკენ ორიენტაცია და სამხრეთ კედელში არსებული მიჰრაბი [ჩხვიმიანი 2011: 214-246].

მეჩეთების უმნიშვნელოვანეს და ძირითად ნაწილს სამლოცველო დარბაზისა და მინარეთის გარდა, წარმოადგენდა სანიტარულ-ჰიგიენური ოთახი ე.წ. „აბდესხანა“, სადაც იბანდნენ ხელებს, ფეხებს, სახეს, სუფთავდებოდნენ და ემზადებოდნენ სამლოცველო ოთახში შესასვლელად [ზარამიძე 2008: 151-155; Hoteit 2015: 13552; Buhlfaia 2006:13-15; Yatim 2011: 492-498].

გონიოში 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიკვეთა ამ ტიპის ნაგებობის ნაშთები (ტაბ.II/2; ტაბ.XXVI/2). მისი სამხრეთი მონაკვეთი ოვალური მოყვანილობისაა. შემორჩენილია წყობის ერთი რიგი. ნაგებობის კედლები დულაბით იყო ნაშენი. ნაგებობის შუაში განთავსებულია მართკუთხედის ფორმის წყობა, რომელიც დულაბით დაკავშირებული ქვებისა და

აგურებისაგან შედგება. წყობის სამხრეთით ოვალურ კედლამდე ფართობი ფლეთილი და რიყის ქვებითაა შევსებული. ნაგებობის აღმოსავლეთ კედლის გაყოლებით მიემართება თიხის მილებისაგან შედგენილი წყალსადენი, რომელიც თანდათან იწევს ზევით და შედის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ნახვრეტების მქონე გვერდებდამუშავებული ქვის მონოლითში, რომელიც წყლის გამანაწილებელს წარმოადგენს [თავამაიშვილი...2013: 169]. როგორც ჩანს, ეს შენობა წარმოადგენდა სწორედ აბდესის ალების ადგილს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ გარდა წყალსადენი მილებისა, შენობის აღმოსავლეთ კედელთან ოსმალებს დამატებით გაუკეთებიათ ჭაც.

გვიან შუასაუკუნეებში გადაკეთებულია ციხის სამხრეთი კარიბჭე. რომაულ და ბიზანტიურ პერიოდში ის უფრო ფართო და ოთკუთხა მოყვანილობის იყო. ოსმალების მიერ ორივე მხარის კარი დავიწროვებულია და თაღისებური მოყვანილობა აქვს. ამალეებულია ზღურბლიც [კახიძე...1999:8]. კარიბჭესთან მდებარე მე-20 კოშკის წინ საგუმბაგო პოსტი იყო მოწყობილი (ფართობი: 4,15x2,6 მ). კოშკის იატაკი კირხსნართაა მოგებული. დულაბის გარეშე, დიდი ზომის კვადრებისაგან სახელდახელოდ ამოყვანილია ოთკუთხა მოყვანილობის კედლები (ტაბ.III/1). მშენებლობაში გამოყენებულია ციხის ჩამონგრეული კვადრები. წყობის პირველი რიგი მთლიანადაა გადარჩენილი, მეორესი ალაგ-ალაგ [კახიძე...2004: 46].

საგუმბაგო კოშკის დასავლეთით, ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს გვიანი შუასაუკუნეების კიდევ ერთი ნაგებობა - სასახლე. ის ოთკუთხა მოყვანილობისაა. დასავლეთ და სამხრეთ კედლად ციხის გალავნის კედლებია გამოყენებული (ტაბ.III/2; ტაბ.XXVII/1). რაც შეეხება აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს, ისინი შემდეგაა მიშენებული. მისი ზომებია: სიგრძე 26 მ, სიგანე 18 მ, შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,20-1,30 მ-ია, ხოლო კედლის სისქე 70-80 სმ. ნაგებობას ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლების კვეთაში ჩაშენებული აქვს წინ გამოწეული წრიული ფორმის კოშკი. მისი დმ 3,75 მ-ია. კოშკს შესასვლელი აქვს შენობის შიდა მხარიდან, რომლის სიგანე 0,70 მ-ია. ნაგებობის კედლები ნაშენებია სწორხაზოვანი წყობით. წყობაში გამოყენებულია ძირითადად

საკუთრივ გონიოს ციხის გალავნის კედლების დამუშავებული კვადრები და ცალმხრივ ზედაპირჩამოსწორებული კლდის ქვები. შეინიშნება აქა-იქ მდინარეული ქვების გამოყენების ტენდენციაც. პერანგებს შორის სივრცე კი შევსილია დულაბისა და წვრილმარცვლოვანი ქვიშისა თუ ქვების ნარევით. დარჩენილი გვერდითი სივრცეების და სწორხაზოვანი წყობის მიღების მიზნით შეინიშნება აგურისა და კრამიტის ნატეხების ჩართვის შემთხვევებიც. სასახლეს ქონდა ერთადერთი შესასვლელი, რომელიც ჩრდილოეთის კედელშია დატანებული. შემორჩენილია მისი მხოლოდ ქვედა მონაკვეთი. მისი სიგანე 0,75-80 მ-ია.

ციხის დასავლეთი კედელი საკმაოდ ბევრ ადგილას ჩანს დაზიანებული და შემდგომ შეკეთებული, რაზეც მეტყველებს კედლების წყობის განსხვავებული ხასიათი. როგორც ჩანს, ციხის დასავლეთი კედელი სხვა კედლების მსგავსად კონტრაფორსებით იყო გამაგრებული [თავამაიშვილი 1997: 18-29].

გვიან შუასაუკუნეებში (1590-1595 წწ-ში) გადაკეთება განუცდია ციხის სხვა კედლებსაც. კედლები 85-90 სმ-ით ამაღლებულია და ზემოდან დაშენებულია 140 სმ სიმაღლის ქონგურები. როგორც დამატებული კედლები, ასევე ქონგურები წინა ეპოქებისაგან განსხვავებით ნაშენია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვებით, კირ-დულაბზე. ქვებს შორის სივრცე შევსებულია „ხურდა“ ქვით. ქვის წყობა მკვეთრად არაწესიერია, ალაგ-ალაგ გამოყენებულია წინა პერიოდების საშენი მასალა და სხვადასხვა სახის კერამიკის ნატეხებიც. ქონგურები ერთმანეთისაგან დაშორებულია 80-85 სმ-ით, ხოლო კოშკებთან 95-100 სმ-ით. (ქონგურების ზომებია: სიგანე - 70-80 სმ, სისქე - 55-60 სმ, კოშკებთან: სიგანე - 110-120 სმ, სისქე - 60-65 სმ). კედლებში და ქონგურების ნაწილზე ალაგ-ალაგ დატანილია სხვადასხვა ზომის სათოფურები (ზომები: შიდა და გარე შევიწროებული მხრიდან - 60x80x65 სმ; 60x80x15 სმ, 55x100x65; 55x100x15 სმ; 50x95x50 სმ, 50x90x20სმ).

მე-20 კოშკის სამირკველთან ახლოს ციხის გარეთ, არქეოლოგიური სამუშაოებისას გამოვლინდა გვიანდელი შუასაუკუნეების ქვაფენილიანი საფეხმავლო ბილიკის ნაშთები. მისი დიდი ნაწილი მორღვეულია. ქვაფენილის წყობაში გამოყენებულია სიპი თუ რიყის მოზრდილი ქვის ფილები. მათი ზედა ნაწილი დამუშავებისა და მოსწორების კვალს ატარებს. როგორც ჩანს, ქვაფენილი

თავის დროზე კარიბჭისაგან მოშორებით, შედარებით ფართე უნდა ყოფილიყო. კარებთან მიახლოებისას, როგორც ეს შემონახული ნაშთების მიხედვით ჩანს, თანდათანობით ვიწროვდებოდა და ებჯინებოდა კარიბჭის ზღურბლს [კახიძე...2002: 44, ტაბ.III.1/2]. ქვაფენილის მოზრდილი ნაწილი შემორჩენილია ციხის შიდა ტერიტორიაზეც, რომელიც, ბუნებრივია, გარეთ არსებული ქვაფენილის გაგრძელებას წარმოადგენდა. ის მთელს სიგრძეზე მიემართება სამხრეთი კარიბჭიდან ჩრდილოეთის მიმართულებით (ტაბ.XXVII/2).

სამხრეთ კარიბჭესთან გამოვლენილია ასევე გვიანი შუა საუკუნეების სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოს ნაშთები (ტაბ.XXVIII/1). ნაგებობა სქელკედლიანი და ოთხკუთხა მოყვანილობისაა (ზომები: 3,1x3,1მ). დასავლეთი კედლის სისქე - 1,6 მ, სამხრეთის - 1 მ, აღმოსავლეთის - 0,98 მ, ხოლო ჩრდილოეთი კედლის - 0,65 მ). ქურას ჩრდილოეთი მხრიდან ქონია მისადგომი, სადაც შემორჩენილი იყო ორსაფეხურიანი კიბე და წინა მოედანი (ზომები: პირველი საფეხურის - 64x45x10 სმ, მეორე საფეხურის - 56x25x10 სმ). საცეცხლური ნაწილის ზომებია: 47x30 სმ, ხოლო ქურის შიდა სივრცის 1,3x2 მ. ქურა ხანგრძლივად ყოფილა მოქმედებაში. არქეოლოგიური გათხრების დროს მისი კედლების შიდა მხარე ცეცხლის ზემოქმედების გამო დაშლის პირას იყო მისული და მოყავისფრო ფერი ჰქონდა მიღებული. ქურის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დატანებული ყოფილა სავენტილაციო ხვრელი, ხოლო იატაკი მოზრდილი ქვებით ყოფილა მოგებული. იგი თავის დროზე ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ქვედა - საცეცხლე ნაწილი და ზედა - კერამიკის გამოსაწვავი განყოფილება [კახიძე...2004:9, ტაბ.XX-XXI; ხახუტაიშვილი...1995:3].

ორ განყოფილებიანი კერამიკის გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოები გავრცელებული იყო ოსმალეთის იმპერიაში. მაგრამ გონიოს ქურისაგან განსხვავებით სამშენებლო მასალად აგური გამოიყენებოდა, ხოლო ზოგჯერ სითბოს დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, ქვედა - საცეცხლე ნაწილი შენდებოდა მიწისაგან. ქურები თავისი ფორმით შეიძლება ყოფილიყო მართკუთხა ან კვადრატული ფორმის და წრიული [Kirmizi 2004: 20].

გვიან შუასაუკუნეებს განეკუთვნება ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი ჭაც. ერთი მათგანი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჭა გარედან დულაბით შეკრული ფლეთილი ქვებითაა ამოყვანილი, ხოლო შიგნით პირმოსწორებული ფილებითა და აგურებით არის შედგენილი. ჭის დიამეტრი 0,6 მ-ია. სიღრმის განსაზღვრა ჭირს. იგი რთული ამოსაწმენდია. ჭიდან ამოკრეფილი მასალაც გვიანი შუასაუკუნეების დროინდელი იყო.

მეორე ჭა მდებარეობს ციხის ცენტრალურ ნაწილში. მეჩეთის წინ. აბდესხანის შენობის ნაშთებთან ახლოს (ტაბ.II/2; ტაბ.XXVI/2). ჭის ზედა ნაწილი წრიული ფორმისაა მისი კედლების წყობაში გამოყენებულია მოზრდილი და საშუალო ზომის ფლეთილი ქვები. დიამეტრი ზედაპირთან შეადგენს 1,9 მ, შიდა მხრიდან - 0,8 მ. მისი ქვედა კედლებიც ასევე ამოყვანილია საშუალო და დიდი ზომის ქვებით. ჭის მშენებლობა აბდესხანის თანადროული ჩანს.

ციხის ტერიტორიაზე სხვადასხვა უბანზე გამოვლინდა წყალგაყვანილობის გვიანდელი სისტემებიც (ტაბ.XXVIII/2). ისინი ზედაპირულად მოზრდილი ზომის ქვების წყობითაა დაფარული. ქვების შიგნით მიწაში, დულაბში ჩასმული მილებია განთავსებული. მილები საკმაოდ სქელ დამცავ პერანგშია მოთავსებული. ზემოდან კი, სადაც მოსალოდნელი იყო მიწის ჩაყრა-ჩაწოლა მთელს სიგრძეზე დალაგებულია დიდი ზომის ქვები. ეს ქვები თავიდანვე ჩანს მილებთან ერთად დაკირული. ხშირად მილსადენისათვის გაჭრილი ხაზი საკმაოდ ღრმადაა ჩაშვებული. იგი ზოგჯერ საერთო დონიდან 75-80 სმ, ხოლო, ოსმალური პერიოდის კულტურული ფენიდან კი 35-40 სმ-ზეა ჩაჭრილი. მილების სიგრძე - 50-52 სმ. შევიწროვებული ნაწილის დმ-7, ფართო მხარის-10 სმ (ტაბ.XXII /7-8).

გვიანი შუასაუკუნეების კულტურული ფენებიდან ცალკე გამოსაყოფია ე.წ. „ოსმალური ორმოები“. „ორმოები“ შიდაციხეში წარმოებული გათხრების შედეგად მეტ-ნაკლები ინტენსივობით, თითქმის ყველა უბანზე ფიქსირდება. მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ორმოების კონტურები ჰუმუსოვანი ფენის აღების შემდეგ იკვეთება, განსაკუთრებით, კი ნათლად ჩანს 70-80 სმ შემდეგ, როცა მიწის ფერი მკვეთრად იცვლება და ღია-ყავისფერი ხდება. აქ, ორმოები თავისი შეფერილობით

უფრო ნათლად იკითხება. უმრავლესობა წრიული ფორმისაა. მათი დიამეტრი მერყეობს 1-1,7 მ შორის, სიღრმე კი განსხვავებულია.

ოსმალური ეპოქის ამ ტიპის ორმოებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნის მიზნით მოკლედ დავახასიათებთ რამოდენიმე მათგანს.

2001 წელს ექსპედიციამ საგანგებოდ შეისწავლა ციხის ჩრდილო-დასავლეთ უბანზე გამოვლენილი 8 ოსმალური ორმო, რომელიც შემდეგ სურათს იძლევა:

ორმო №1. წრიული ფორმის. დმ -1 მ, სიმაღლე -1,70 მ. ორმო შევსებული იყო შავი ფერის მიწით. მასში აღმოჩნდა უსისტემოდ ჩაყრილი შემდეგი არქეოლოგიური მასალა: 1. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი (გ.ა.2001/1757); 2. ღია ყავისფერი თიხის ფეხიანი სასმისი (გ.ა.2001/1750); 3. ყვავილოვანი ორნამენტით გაფორმებული ფაიფურის დოქის ნატეხები (გ.ა.2001/1758); 4. ასევე ყვავილოვანი ორნამენტით გაფორმებული ფაიფურის ხუფის ფრაგმენტი (გ.ა.2001/1755); 5. რკინის ლურსმნები და ნალი (გ.ა.2001/1753); 6. მინის ფეხიანი სასმისის ქუსლი (VI ს); 7. ქვაბ-ქოთნის პირის ფრაგმენტი (გ.ა.2001/1756); 8. სპირალური ორნამენტით გაფორმებული სხვადასხვა მოჭიქული ჯამის ქუსლის, ძირისა და პირის ფრაგმენტები (გ.ა.2001/1766); 9. თვალადი მძივი (გ.ა.2001/1717).

ორმო №2. წრიული ფორმის. დმ - 1,2 მ, სიმაღლე - 1,50 მ. შევსებული იყო შავი ფერის მიწით. მასში აღმოჩენილი ნივთებია: 1. მწვანედ მოჭიქული ჯამის ნატეხები (გ.ა.2001/1714,1710); 2. მწვანედ მოჭიქული ლანგრის პირები (გ.ა.2001/1860,1874, 1875); 3. ყვითელი და ყავისფერი ლაქებით გაფორმებული და ყვითლად მოჭიქული ჯამის ნატეხი (გ.ა.2001/1713); 4. ფაიფურის ჭურჭლის მცირე ნატეხი (გ.ა.2001/1711); 5. მწვანედ მოჭიქული დოქის ნატეხები (გ.ა.2001/1873); 6. დოქის სადაზედაპირიანი და დახრილი ჭდეებით შემკული ყურები (გ.ა.2001/1877,1876); 7. ქოთნის ყურის და ტანის ნატეხი (გ.ა.2001/1862); 8. სპირალური ორნამენტით შემკული მოჭიქული ჯამი (გ.ა.2001/1775);

ორმო №3. დმ - 1 მ, სიმაღლე - 1,3 მ. წრიული ფორმის. შევსებული იყო შავი ფერის მიწით. მასში აღმოჩნდა: 1. მწვანედ და ყვითლად მოჭიქული ჯამის პირები (გ.ა.2001/1607;1608); 2. ფაიფურის ჯამის ნატეხი (გ.ა.2001.1709); 3. დოქის პირის ყელისა და ყურის ნატეხი (გ.ა.2001/1705); 4. რკინის ლურსმანი (გ.ა.2001/1706); 5. VI ს-

ის ამფორის ყური (გ.ა.2001.1700); 6. VI ს-ის კოლხური წელში გამოყვანილი ამფორის ყური (გ.ა.2001/1704).

ორმო №4. წრიული ფორმის. დმ - 1,2 მ, სიმაღლე - 80 მ. წრიული ფორმის. შევსებული იყო შავი ფერის მიწით, რომელშიც დაფიქსირდა კერამიკის მეტად უსახური ნატეხები.

ორმო №5. წრიული ფორმის. დმ - 1,3 მ, სიმაღლე - 1,2 მ. შევსებულია შავი ფერის მიწით. ორმოში აღმოჩნდა: 1. ღია-მწვანე, ოდნავ მოყვითალო შეფერილობის ჭიქურით დაფარული ჯამის გვერდისა და პირის ნატეხი (გ.ა.2001/1704); 2. ე.წ. „მარმარილოსებური“ ტექნიკით მოჭიქული, ყავისფერი და მწვანე საღებავებით გაფორმებული ჯამის ქუსლისა და ძირის ფრაგმენტი (გ.ა.2001/1975). 3. ანალოგიური დეკორით გაფორმებული ჯამის ქუსლისა და კალთის ნატეხი (გ.ა.2001/1877).

ორმო №6. წრიული ფორმის. დმ - 1,7 მ, სიმაღლე - 1,20 მ. შევსებული იყო შავი ფერის მიწით. ორმოში აღმოჩნდა: 1. ყავისფერკეციანი, წიწვისებური ორნამენტით გაფორმებული ჩიბუხი (გ.ა.2001/1966). 2. თეთრ ფონზე კობალტის ლურჯი სღებავით მოხატული ფაიფურის ჯამის პირისა და კალთის ნატეხი (გ.ა.2001/1967).

ორმო №7. წრიული ფორმის. დმ - 1 მ, სიმაღლე - 1,20 მ. შევსებული იყო შავი ფერის მიწით. ორმოში აღმოჩნდა: 1. მოჭიქული ჯამის პირისა და კალთის ფრაგმენტები (გ.ა.2001/2066); 2. მოჭიქული ჯამის პირისა და კალთის ფრაგმენტი (გ.ა.2001/2067); 3. ბრტყელი აგურის ფრაგმენტი (გ.ა.2001/2065).

ორმო №8. წრიული ფორმის. დმ - 1,2 მ, სიმაღლე - 2 მ. შევსებული იყო შავი ფერის მიწით. ადრე გამოვლენილ ორმოებს შორის ყველაზე უფრო ღრმაა. ორმოში აღმოჩნდა: 1. დოქი; 2. ხელადა; 3. სპილენძის ჭურჭლის ძირი; 4. რკინის თოხი [კახიძე...2001: 11].

მსგავსი სურათია 2014-2015 წლებში ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში შესწავლილი „ორმოების“ მიხედვითაც. ამ უბანზე გამოვლენილი 17 ორმოდან ექსპედიციამ ჯერჯერობით შეისწავლა რამდენიმე:

ორმო №1. (საველე დავთარში II ორმო) წრიული ფორმის. დმ - 1,2 მ, სიმაღლე 1,7 მ. აღმოჩნდა შემდეგი სახის მასალა: 1. რკინის ისრისპირი (გ.ა.2014/1043); 2. ყვითელი და მწვანე საღებავებით გაფორმებული მოჭიქული დოქის კედლის

ფრაგმენტი (გ.ა.2014/1044); 3. შავი, მწვანე და ლურჯი საღებავებით სხვადასხვა მცენარეული ორნამენტით მოხატული ფაიანსის ფინჯანი (გ.ა.2014/1045); 3. მწვანედ მოჭიქული ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტი. (გ.ა.2014/1046;1060); 4. მინის სასმისის ძირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1047). 5. კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი (გ.ა.2014/1048). 6. მრავალფერად მოჭიქული და ამოკაწვრის ტექნიკით გაფორმებული სხვადასხვა ჯამის ძირ-ქუსლისა და პირ-კედლის ფრაგმენტები (გ.ა.2014/1049;1050;1052;1053;1054;1055;1058;1059); 7. ღია-მწვანედ მოჭიქული ჯამების ძირის ფრაგმენტები (გ.ა.2014/1051;1057). 8. მრავალფერად მოჭიქული, ყავისფერი და მწვანე საღებავებით გაფორმებული ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტი; 9. ჭურჭლის ყური (გ.ა. 2014/1062); 10. სხვადასხვა ქოთნის ძირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2015/1511;1517;1519;1522); 11. სხვადასხვა ჭურჭლის ძირ-ქუსლისა და კედლის ნატეხები (გ.ა.2015/1512;1513;1516;1518;1525); 12. დერგის ძირისა და კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2015/1514); 13. ყელწიბოიანი ამფორის პირ-ყელი (გ.ა.2015/1515); 14. ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2015/1520); 14. ჭურჭლის პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2015/1521); 15. შურდულის ქვა (გ.ა.2015/1523); 16. დოქის პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2015/1524).

ორმო №2. (საველე დავთრის მიხედვით დიდი ორმო). დმ-1,5 მ, სიმაღლე- 2,3 მ. ორმოში აღმოჩნდა შემდეგი სახის მასალები: 1. ხუფი (გ.ა. 2014/1063); 2. ჭურჭლის პირისა და კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1063); 3. ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა. 2014/1064); 4. ქვაბ-ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1065); 5. ლანგრის პირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1066); 6. მოყვითალო-მოყავისფროდ მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1067); 7. წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1068); 8. ჭურჭლის ყურები (გ.ა.2014/1069;1070); 9. ამფორის კედლისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1070); 10. ჭურჭლის პირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1072); 11. ჭურჭლის პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1073); 12. ლუთერიის პირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1074). 13. ლანგრის პირის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1075); 14. სხვადასხვა ჭურჭლის ყელის, ყურისა და კედლის ფრაგმენტები (გ.ა. 2014/1076;1077;1078;1079;1080;1081;1083;1084;1085;1096;1097;1098); 15. ამფორის ყური (გ.ა.2014/1082); 16. ქვევრის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1086); 17. სოლენის ტიპის კრამიტი

(გ.ა.2014/1087;1089;1100); 18. დოქის პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2014/1088); 19. კეცები (გ.ა.2014.1089;1094); 20. ქოთნის ძირისა და კედლის ნატეხები (გ.ა.2014/1091;1092;1093); 21. ამფორის კედელი (გ.ა.2014/1095); 22. ლურსმანი (გ.ა.2014/1099); 23. ჭურჭლის ძირისა და კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2015/1526); 24. ქოთნის ძირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა.2015/1527); 25. ამფორის ყელისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2015.1528); 26. სხვადასხვა ჭურჭლის ყურები (გ.ა.2015.1529;1530;1532); 27. ქოთნის პირი და ყური (გ.ა.2015/1531;1534); 28. ლუთერიის პირი (გ.ა.2015/1533); 29. სოლენის ტიპის კრამიტი (გ.ა.2015/1535); 30. მრავალფრად მოჭიქული და სპირალური ხვიებით გაფორმებული სხვადასხვა ჯამის ძირ-ქუსლისა და კედლის ფრაგმენტები (გ.ა.2015;1536;1538;1541); 31. მწვანედ მოჭიქული ჯამის პირ-ყელისა და კედლის ფრაგმენტები (გ.ა.2015/1537;1539;1543); 32. ყვითლად მოჭიქული ჯამების ძირ-ქუსლის ფრაგმენტები (გ.ა.2015/1540;1542); 33. მრავალფრად მოჭიქული ლანგრის პირ-კედლის ნატეხი (გ.ა.2015/1544); 34. ყვითლად მოჭიქული ჯამის პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2015/1545); 35. კოჭობი (გ.ა.2015/1546); 36. ჭურჭლის ძირისა და კედლის ნატეხი (გ.ა.2015/1547); 37. ყური (გ.ა.2015/1548). 38. სხვადასხვა ამფორის კედლის ნატეხები (გ.ა.2015/1549; 1550).

ორმო №3. დმ - 1 მ, სიმაღლე 1,20 მ. მასში აღმოჩნდა შემდეგი სახის მასალა: 1. ფაიანსის მწვანე და ლურჯი საღებავით მოხატული და შავი კონტურით გაფორმებული სხვადასხვა ფინჯნის ნატეხები (გ.ა.2015/1460;1476); 2. მწვანედ მოჭიქული ჯამის ძირ-ქუსლისა და კედლის ნატეხი (გ.ა.2015;1461); 3. ღია-ყვითლად მოჭიქული ჯამის ძირ-ქუსლისა და კედლის ნატეხი (გ.ა.2015/1462); 4. ღია-ყვითლად მოჭიქული ჯამის პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2015/1463;1464;1488;1489); 5. მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის ყური (გ.ა.2015/1465); 6. ღია-მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის პირ-ყელი (გ.ა.2015/1487); 7. ჭრაქის ყური (გ.ა.2015/1466); 8. ლურსმნები (გ.ა.2015/1467;1469;1471;1473;1474;1475); 9. რკინის ნივთის ფრაგმენტი (გ.ა.2015/1468); 10. ნალი (გ.ა.2015/1472); 11. სხვადასხვა ჭურჭლის პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტები (გ.ა.2015/1477;1478;1498); 12. სხვადასხვა ჭურჭლის ძირები (გ.ა.2015/1479;1481); 13. დოქის პირ-ყელისა და ყურის ნატეხი (გ.ა.2015/1480); 14. სხვადასხვა ჯამის პირისა და კედლის ნატეხები (გ.ა.2015/1482; 1483;1485;1486;1491);

15. კობალტის ლურჯი საღებავით გაფორმებული ფაიანსის ჭურჭლის პირი (გ.ა.2015/1490); 16. თეთრ ფონზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ფაიფურის ნატეხი (გ.ა.2015/1484); 17. ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი (გ.ა.2015/1485); 18. მინის ძირი (გ.ა.2015/1492); 19. სხვადასხვა ამფორის ძირისა და ყურის ნატეხები (გ.ა.2015/1494;1495;1496;1497;1499); 20. ლუთერიის პირის ნატეხები (გ.ა.2015/1500;1506;1507); 21. ქოთნის პირ-კედელი (გ.ა.2015;1501); 22. ჭრაქის ყურის და კედლის ნატეხი (გ.ა.2015/1502); 23. მინის ფიალა (გ.ა.2015/1503); 24. ამფორის კედელი (გ.ა.2015/1504); 25. ამფორის პირ-ყელი (გ.ა.2015/1505); 26. ჭურჭლის ყური (გ.ა.2015/1507₁); 27. დერგის პირ-კედელი (გ.ა.2015/1508); 28. ჭურჭლის პირისა და კედლის ნატეხები (გ.ა.2015/1509); 29. ქოთნის ძირ-კედელი (გ.ა.2015/1510).

როგორც ვხედავთ, ორმოებში მოპოვებულ მასალებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა არ შეინიშნება (ბუნებრივია აქ არ იგულისხმება რამდენიმე ორმოში ნაპოვნი წინა პერიოდის ნაწარმი, რომლებიც აქ როგორც ჩანს, ორმოს ჩაჭრის დროსაა შემთხვევით მოხვედრილი). ფორმით, ტექნიკითა და მოხატულობის მიხედვით უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი პერიოდის მასალებთან. მათი ურთიერთშედარების გზით, ყველა ორმო XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს. ჭრილების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ორმოები ასახავს ციხის ცხოვრების ბოლო ეტაპს. მათი ამოჭრის დროს დარღვეულია ძველი (ბიზანტიური, რომაული) კულტურული ფენები.

ოსმალების მიერ გარკვეული მოსაზრებით ორმოების ამოთხრის ტრადიცია დასტურდება სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზეც. კერძოდ მსგავსი სურათი შეინიშნება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ე. აზოვის სხვადასხვა უბნის გათხრების შედეგად გამოვლენილია არაერთი ორმო, მათ შორის ყველაზე ადრეული XIV ს-ითაა დათარიღებული, ხოლო უმრავლესობა გვიანი შუასაუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება [Гончарова...2014:142-162; Широченко...2009: 164-189; Алядинова 2015: 452-480].

მათ დანიშნულებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს: ფიქრობენ, რომ ორმოები ასრულებდა „ჭა-მაცივრების“ (ე.წ. საცივები)

დანიშნულებას. უფრო ხშირად კი მათ სანაგვე ორმოების სახელით მოიხსენიებენ [კახიძე...2001: 11; Станчева 1972: 82].

როგორც განხილული მასალებიდან ჩანს ორმოებში გვხვდება უსისტემოდ ჩაყრილი სხვადასხვა დანიშნულების თიხის, მინისა და რკინის ნაკეთობები, სამშენებლო კერამიკა და ა.შ. რაც მათ სანაგვე დანიშნულებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

§ 2. ბათუმის ციხის გვიანი შუასაუკუნეების

არქიტექტურა

ბათუმის ციხე მდებარეობს ქ. ბათუმის ჩრდილო-აღმოსავლეთ შესასვლელთან, ზღვის შესართავთან, მდ. ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე ერთ-ერთ მაღალ ბორცვზე.

ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა XX ს-ის 60-იან წლებში დაიწყო, კვლევებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ბორცვზე, სადაც ციხეა აღმართული, ცხოვრება ძვ.წ. VIII-VI სს-დან უწყვეტად მიმდინარეობდა ელინისტური ხანის ბოლომდე, ხოლო ადრე შუასაუკუნეების საწყის პერიოდში, აქ ციხე აუშენებიათ [კახიძე...1989: 42-57]. ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 2012 წელს ბათუმის არქეოლოგიურმა მუზეუმმა განაახლა. ექსპედიციამ შეისწავლა დასავლეთ ფერდზე არსებული სხვადასხვა ეპოქის კულტურული ფენები [კახიძე...2013: 8-51].

ჩვენამდე ციხე საკმაოდ დაზიანებული სახითაა მოღწეული. მისი ნანგრევები მიმოფანტულია ბორცვის აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილო ფერდობებზე. ციხე განსაკუთრებით დაზიანდა მეორე მსოფლიო ომის დროს. აქ გაიმართა ბათუმის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ერთ-ერთი ქვედანაყოფის საცეცხლე პოზიცია. მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის განადგურება კი განაპირობა 1960 წელს კაფე-პავილიონის მშენებლობამ, რომელმაც მისი ტერიტორიის 200 მ² ფართობი დაიკავა.

ციხის ფერდობებზე კულტურული ფენები დააზიანა აგრეთვე გამწვანების ტრესტის მიერ გავლებულმა ტერასებმა [ინაიშვილი 2009 ა:154].

მიუხედავად იმისა, რომ მისი კედლები მრავალგზის არის გადაკეთებული. გამთხრელებმა მშენებლობის ხელოვნების მიხედვით, შესძლეს ორი ფენის გამოყოფა - შემორჩენილი ციხის ნაშთები - „შიდაციხე I და წინამორბედი ციხის ნაშთები „შიდაციხე II“ [კახიძე...1989: 47].

გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის (XVII-XVIII სს) თავდაცვითი სისტემა ბათუმის ციხეზე (შიდაციხე I) წარმოდგენილია სწორკუთხა მოყვანილობის კვადრებითა და დულაბით ნაგები კედლებით. ციხეს გეგმაში სწორკუთხედის ფორმა აქვს (ტაბ.IV/1-2; ტაბ. XXIX/1). მისი შიდა ზომებია: 18,65 (დას-აღმ) x18,55 მ (სამხ-ჩრდ). თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი ციხის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ადგილ-ადგილ ორმაგი კედელი გამაგრებულია ნახევარწრიული მცირე კონტრფორსებით; გამაგრების ეს ხერხი დამახასიათებელია სწორედ გვიანი შუასაუკუნეების ხანის ნაგებობებისათვის. ჩრდილო-დასავლეთის კედლის საპირისპიროდ მიემართება სამხრეთ-დასავლეთი კედელი, რომელსაც აქვს რამდენიმე გარე მინაშენი და კონტრფორსი. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მინაშენი ქმნის სათავსს. ციხის შიგნით აღმოსავლეთ კედელზე, მიშენებული იყო სწორკუთხა კოშკი (ზომები: 6,20x7,30 მ), რომელიც დღეისათვის 1-2 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ასევე 2 მ-მდე აღწევს გალავნის შემორჩენილი სიმაღლეც.

ციხის ტერიტორიაზე ყველაზე კარგად შემორჩენილი ნაგებობა სასახლეა. იგი თავის დროზე ორსართულიანი ყოფილა. გადარჩენილია ქვედა სართულის საკმაოდ დიდი ნაწილი. სასახლე ნაგებია ქვის კვადრებითა და კირხსნარით. ნაგებობას კარი სამხრეთ-დასავლეთ კედელში აქვს დატანებული, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი იმავე დროს ციხის კედელსაც წარმოადგენდა. ნაგებობის კედლების სიგანე 150 სმ-ია [კახიძე...1989: 47].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებში გარკვეულ რაოდენობას გვიანი შუასაუკუნეების ნაწარმი ქმნის. კერძოდ გვიან შუასაუკუნეებს მიეკუთვნება მოჭიქული კერამიკა, ფაიანსი, ჩიბუხები, სადა კერამიკა, კეცები, ლითონის ნაწარმი: ნალი, ჭურვები და ა.შ. არქეოლოგიურმა მასალებმა დაადასტურა,

რომ ბათუმის ციხე მრავალფენიანი ძეგლია. ურბანიზებულ სამოსახლოს ბევრი გადაკეთება, თავდასხმა და რბევა განუცდია, მაგრამ ციხის მძლავრი რბევა განსაკუთრებით გვიან შუასაუკუნეებისათვის მომხდარა. ამასვე გვიჩვენებს გათხრებისას აღმოჩენილი ქვისა და რკინის ჭურვები.

ციხე თავის ფუნქციას საბოლოოდ XIX ს-ში კარგავს [კახიძე...1989: 47; კახიძე...2013: 8-51].

§ 3. პეტრა-ციხისძირის გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობები

პეტრა-ციხისძირი წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს. ციხე მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისძირში, ზღვის პირას არსებულ შემალღებულ ბორცვზე. იგი მეტად სტრატეგიულ ადგილზეა აშენებული (ტაბ.IV/3; ტაბ.XXIX/2). რუსი კავკასიოლოგი, ბუნებისმეტყველი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და მოგზაური ე. ვეიდენბაუმი, რომელმაც 1878 წ მოინახულა ციხისძირი, აღნიშნავდა რომ: „თვითონ ბუნებამ მიუთითა აქ ციხესიმაგრის ადგილზე, რადგან მანვე ჩაკეტა გასასვლელი ზღვის ნაპირის გასწრივ. სხვა ასეთი ხელსაყრელი ადგილი ციხესიმაგრისთვის, ძველი სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით აქ არ მოიძებნება“ [ვეიდენბაუმი 2005: 45].

ციხემ ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. მისი კედლები XIX ს-ის 90-იან წლებში ბათუმის ნავსადგურის მშენებლობისათვის მთის ძირში მოწყობილმა კარიერმა დააზიანა. დასავლეთი ფერდობი ციხის კედლებითურთ აფეთქების შედეგად დაინგრა [სიჭინავა 1957:42-60]. XX ს-ის 30-იან წწ-ში ბორცვის აღმოსავლეთ და ჩრდილო ფერდობებზე ლიმონარიუმის მშენებლობის შედეგად განადგურდა კულტურული ფენები და ნაწილობრივ დაზიანდა ციხის კედლებიც. სამხრეთ ბორცვზე მდებარე საფორტიფიკაციო სისტემის ერთ-ერთი კოშკი კი XIX ს-ის ბოლოს კერძო აგარაკის მშენებლობის დროს, ადგილის მოსწორების მიზნით, ააფეთქეს [ინაიშვილი 1974: 118-120].

ბეგლის არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ 1962-1965 წწ განხორციელდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური მასალა და შენობა-ნაგებობები. ციხე და აღმოჩენილი არტეფაქტები შესწავლილი იქნა კ. მელითაურის [Мелитаური 1972: 16-20], ვ. ლეკვინაძის [Леквинадзе 1973: 169-186], ა. ინაიშვილის [ინაიშვილი 1971: 91-109; 1974:102-153], ნ. ინაიშვილის [ინაიშვილი 1981:122-135; 1987: 118-146; 1988: 76-85; 1991: 62-86;1993; 2009b:277-288], ლ. ჩხაიძის [ჩხაიძე 1978: 59-66] და სხვათა მიერ.

ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 2016 წელს განახლდა. ექსპედიციამ შეისწავლა სამხრეთ და ჩრდილოეთ ბორცვს შორის მოქცეული დაბლობი, შიდაციხის აღმოსავლეთ კარიბჭის მიმდებარე ტერიტორია და ციხის დასავლეთ ფერდზე გამოვლენილი ნაგებობის ნაშთები [მინდორაშვილი 2016 ბ: 1-17].

პეტრას ციხე აშენებულია ორ ბორცვზე. ციხის კედლების მშენებლობაში ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა: ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების. VI ს-ს მიეკუთვნება ჩრდილოეთი ბორცვის აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ციხის კედლები და კოშკები [Мелитаური 1971:16-20; Леквинадзе 1973:174]. თუმცა, გვიან შუასაუკუნეებში მათაც განიცადეს მნიშვნელოვანი გადაკეთება, რამაც შეცვალა მათი თავდაპირველი სახე. გვიანი შუასაუკუნეებისაა ჩრდილოეთ ბორცვზე სასიმაგრო კედლების უმეტესი ნაწილიც.

ყველაზე უკეთ შესწავლილია ციტადელი, რომლის ჩვენამდე მოღწეული ნაწილი სიგრძით დაახლოებით 200 მ-ია, ხოლო სიგანე-100 მ. სიგანე თავის დროზე უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, მას აკლია ხელოვნურად ჩამოკვეთილი თუ გადანგრეული დასავლეთი მხარე. ციხის კედლების სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მორღვეულია და მხოლოდ აქა-იქ ჩანს საძირკვლები და კედლის ნაშთები [ინაიშვილი 1974: 102-153; ზაქარაია 2002: 95-96].

ციხის აღმოსავლეთ კარიბჭისათვის სამხრეთ და ჩრდილოეთ კუთხეზე გვიან შუასაუკუნეებში გარედან (აღმოსავლეთი მხრიდან) მიუშენებიათ აღმოსავლეთ-

დასავლეთ ხაზზე დამხრობილი მოგრძო კედლები, რომლებიც აღმოსავლეთიდან შეკრულია პერპენდიკულარი კედლით. ამრიგად, აღმოსავლეთ კარიბჭეზე გვიან შუასაუკუნეებში კოშკი მიუდგამთ. კოშკის სამხრეთი კედელი (ტაბ.XXX/1) ჯერ კიდევ 1962 წელს გაიწმინდა [ინაიშვილი 1974: 138-140]. მისი შემორჩენილი ზომებია - სიმაღლე 4მ, სიგრძე 3,30 მ, სისქე 1,40-1,90 მ. ნაშენია ბაზალტის ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით კირხსნარზე. ის დაშენებულია გალავნის ადრეული შუასაუკუნეების კედელზე თუ კონტრაფორსზე [მინდორაშვილი 2016 ბ: 6].

კარიბჭის ჩრდილოეთი მინაშენი ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული ორი კედელია (ზომები: შემორჩენილი სიგრძე 5,50 მ, სიმაღლე 3,10 მ, სისქე 1,50 მ). სამხრეთი მინაშენიდან დაშორებულია 2,90 მ-ით. ნაგებია ბაზალტის ფლეთილი ქვით კირხსნარზე. კედლის შუა ნაწილი შევსებულია წვრილი ქვებით (ტაბ.XXX/2). კარიბჭის სამხრეთი კედლის მსგავსად ისიც მიდგმულია VI ს-ის კედელზე და მის ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს. კედელზე სამხრეთიდან მიუშენებიათ მეორე კედელი (ზომები: სიგრძე 5,50 მ, შემორჩენილი სიმაღლე 2,20 მ, სისქე 0,45-0,50 მ) [მინდორაშვილი 2016 ბ: 7].

კარიბჭეზე სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მიშენებულ პარალელურ კედლებს კრავს კირხსნარზე ნაგები ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე დამხრობილი კედელი, რომელიც კარიბჭის სამხრეთ მინაშენთან კუთხეს ქმნის. კედლის შემორჩენილი ზომებია: სიგრძე 1,50 მ, სიმაღლე 0,45 მ, სისქე 0,50 მ (ტაბ.XXX/3). ირკვევა, რომ აღწერილი სამი კედლით, რომელთაგან ორი უშუალოდ კარიბჭეზეა მიდგმული, თურქებს გვიან შუასაუკუნეებში შეუქმნიათ კარიბჭის დამცავი კოშკი (ფართობი: 3,30x2,90 მ), რითაც ციხეში შესასვლელი ამ მხრიდან საკმაოდ კარგად გაუმაგრებიათ. კოშკის გავლის გარეშე ციხის ტერიტორიაზე აღმოსავლეთი მხრიდან მოხვედრა შეუძლებელი იყო.

კარიბჭეზე ჩრდილოეთი კუთხიდან მიშენებული ორმაგი კედლის პარალელურად, ჩრდილოეთით 2,30 მ-ის დაშორებით, მდებარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 1,80 მ სიგრძეზე შემორჩენილი 0,50 მ სისქისა და 0,70 მ სიმაღლის მშრალი წყობით ნაგები ტერასის შემაკავებელი ნაგებობის კედელი, რომელიც ასევე გვიანდელი შუასაუკუნეებისაა.

ორმაგ კედელსა და მშრალი წყობით ნაგებ კედელს შორის განთავსებულია ქვითა და კირხსნარით ნაგები და ზემოდან კირხსნარით გადალესილი სტრუქტურა, რომელიც VI ს-ის კედელზეა მიდგმული, ხოლო სამხრეთიდან ორმაგი კედლითაა შემოსაზღვრული (ტაბ.XXXI/1). სტრუქტურა წარმოადგენს დასავლეთიდან აღმოსავლეთით რამდენადმე დაქანებულ ბაქანს (გათხრილი ფართობი 4,50x2,30). ბაქანი შექმნილია VI ს-ის კედლის გამაგრების მიზნით. ამ ადგილიდან ვიდრე ციხის სწორკუთხა კოშკამდე ძველ კედელს გარედან 27 მ სიგრძეზე შემოსდევს გვიანი შუასაუკუნეების კედელი (ტაბ.XXXI/2). ამგვარად აღდგენილია ზღუდის დანგრეული მონაკვეთი [მინდორაშვილი 2016: 7-8].

აღმოსავლეთ კარიბჭის, ჩრდილოეთი კუთხიდან 10 მ-ის დაშორებით, მოგვიანო კედელს ებმის სწორკუთხა კონტრფორსი (5x6 მ) (ტაბ.XXXI/3). მისგან ჩრდილოეთი კუთხიდან მოგვიანო კედელი 6 მ-ზე გრძელდება, აკეთებს კუთხეს, უხვევს ჩრდილო-დასავლეთით და გრძელდება 7 მ-მდე. კედელი დასავლეთით ზღვის მხარეს უნდა გაგრძელებულიყო [მინდორაშვილი 2016 ბ:10]. კონტრფორსიდან სამხრეთით 17 მ მანძილზე მდებარეობს კარი, რომლის სიგანე 2,8 მ-ია. კარიდან სამხრეთი კედელი პირდაპირი ხაზით 33 მ-ზე გრძელდება, შემდეგ უხვევს დასავლეთისაკენ და 20 მ მანძილზე მდებარეობს სამხრეთ აღმოსავლეთი კოშკი, რომელსაც ნახევარწრისებური ფორმა აქვს და მისი გარე მხარე ძირითადი კედლის გაგრძელებაა. სამხრეთი კედლის გასწვრივ მოთავსებულია სამხრეთ-დასავლეთი კოშკი, მისგან მოშორებით 12 მ-ში მდებარეობს კიდევ ერთი, სამხრეთი ოთხკუთხა კოშკი [ინაიშვილი 1974: 102-153; ზაქარაია 2002: 95-96].

ციტადელიდან სამხრეთ-დასავლეთით მიემართება პარალელურად განლაგებული ორი კედელი, რომელიც დაახლოებით 60 მ-ში უერთდება გორაკზე მდგარ კოშკს. კოშკისაგან მხოლოდ სამირკვლის ფრაგმენტებია გადარჩენილი. გამთხრელების აზრით ის წრიული მოყვანილობის იყო [ინაიშვილი 1974: 102-153]. პარალელურად მიმავალ კედლებს შორის მანძილი საშუალოდ 3 მ-ია. კედლები ზოგიერთ ადგილზე 5 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო სისქე 2,5 მ-ია.

ორმაგი კედლებიდან დასავლეთით მდებარე შედარებით მაღალია და იგი ძირითად კედელს წარმოადგენს. მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა

კარიბჭე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან დამცავი სწორკუთხა კოშკი გააჩნია [Мелитаური 1972: 16-20; Леквинадзе 1973: 174; ინაიშვილი 1974: 102-153].

ციხის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობებიდან ზოგიერთს გვიან შუასაუკუნეებში საგრძნობი გადაკეთება განუცდია. კერძოდ, ციხის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ნაგებობას. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ თავის დროზე იგი წარმოადგენდა მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიას. რომელიც გვიან შუასაუკუნეებში სამეურნეო სათავსოდ გადაუკეთებიათ. მას შესასვლელი ჰქონდა დასავლეთიდან და სამხრეთიდან. სამხრეთის შესასვლელი გვიან შუასაუკუნეებში ამოუქოლავთ. შენობა ნაგებია დამუშავებული ქვებით და კირხსნართაა გამტკიცებული. მისი ზომებია: სიგრძე - 9 მ, სიგანე - 9,75 მ, უკეთ შემორჩენილი ჩრდილოეთი კედლის სიმაღლე - 3 მ [ინაიშვილი 1993:10].

გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობებიდან აღსანიშნავია აბანო, რომელიც მდებარეობს ციხის აღმოსავლეთი ჭიშკრის ჩრდილო-დასავლეთით. იგი მიშენებულია (ფართობი 12x8,40 მ) ზღუდის აღმოსავლეთ კედელზე და სწორკუთხა კოშკზე. ამ მხარეს აბანოს კედლის სისქე 1,40 მ-ია. კედლების სისქე აბანოს მხრიდან 4 მ-ია. აბანოს აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2,50 მ სიმაღლეზე, შემორჩენილია 0,90 მ სიმაღლის, 1,50 მ სიგანისა და 1,50 მ სიგრძის ღრმული, რომელსაც ქვების ნაწილი აკლია (ტაბ. XXXII/1). აბანოს ჩრდილოეთი კედლიდან შემორჩენილია კედლების კუთხის მოზრდილი ნანგრევი (ტაბ. XXXII/2), რომელიც იმდენად არაზუნებრივადაა დამხრობილი, რომ უეჭველია იგი აფეთქების შედეგად, ძალადობრივი გზით უნდა იყოს დანგრეული. კედლის ამ ნაწილის სისქე 0,70 მ-ია.

თითქმის აღარაა შემორჩენილი აბანოს დასავლეთი კედელი, გარდა მისი სამხრეთი კუთხის პატარა ნაწილისა, რომელიც 1,50 მ სიგრძეზე ფიქსირდება. მისი სიმაღლე გარეპირიდან 3,50 მ-ია, სისქე 0,70 მ (ტაბ. XXXII/3). კედლის წყობაში შეინიშნება აგურისა და ქვის რიგების მონაცვლეობა. კედელს ძირზე შემოუყვება 0,20 მ სიგანის საფეხურ-ჩამოსაჯდომი, რომელიც თავის დროზე უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან აბანოს სამხრეთ კედელსაც გაუყვება ასეთივე საფეხურ-

ჩამოსაჯდომი, რომლის სრული სიგანე 0,30 მ-ია. აბანოს დასავლეთი კედლის უდიდესი ნაწილი ტერასის ძირასაა გადავარდნილი.

შედარებით უკეთაა შემორჩენილი აბანოს სამხრეთი კედელი (ტაბ. XXXIII/1). მისი სიგრძე 9 მ-ია, სისქე ზედა ნაწილში 0,75 მ. კედელი თავის მხრივ დაშენებულია 1,15 მ სიმაღლისა და 1,30 მ სისქის ცოკოლზე. კედლის საერთო სიმაღლე 3,40 მ-ია. მას სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან გაუყვება 0,30 მ სიგანის საფეხურ-ჩამოსაჯდომი. სამხრეთი და დასავლეთი კედლის საფეხურ-ჩამოსაჯდომები ერთმანეთს ებმის ამ ორი კედლის კუთხეში [მინდორაშვილი 2016 ბ: 11-12]. აბანოს სამხრეთი კედლის ხილული ნაწილი 6 მ სიგრძეზე ფიქსირდება. ამის შემდეგ, ვიდრე ზღუდის კედლამდე მხოლოდ ცოკოლის ნაშთებია შემორჩენილი.

სამხრეთ კედელს 0,90 მ-ის დაშორებით, პარალელურად გაუყვება ბაზალტის ფლეთილი ქვებითა და აგურით ნაგები, კირით მოლესილი მასიური კედელი, რომელიც ძლიერაა დაზიანებული აფეთქების შედეგად (ტაბ. XXXIII/1). კედლის აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის სისქე 2,20-2,25 მ-ია და შემორჩენილია 3 მ სიმაღლემდე ორგანულადაა ჩაშენებული ზღუდის კედლის წყობაში. ზღუდის კედელი და აბანო თანადროული უნდა იყოს. კედელში ჩაშენებული ყოფილა აგურითა და ბაზალტის ფლეთილი ქვებით ნაგები აბაზანა (ტაბ. XXXIII/1). რომელიც შიგნიდან კირხსნარით ყოფილა მოლესილი (ზომები: 1,5x1,5x0,70 მ). აბაზანაზე ჩრდილოეთი მხრიდან მიდგმული ყოფილა კედელი, რომელიც 1,70 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. მისი სიმაღლე 0,80 მ-ის, სიგანე 0,70 მ. კედლის ზედაპირი და აბაზანის ჩრდილოეთი კედლის მხარე კირხსნარით ყოფილა მოლესილი. როგორც კედლებზე აქა-იქ შემორჩენილი ნალესობის მიხედვით ჩანს, აბანო როგორც გარედან, ისე შიგნიდან კირხსნარით ყოფილა შელესილი.

შენობის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია აღმოსავლეთ მხარეს გადაწოლილი აბანოს გუმბათის ნანგრევები (ტაბ. XXXIII/2). გუმბათს ცენტრში ჰქონია მაღალი ცილინდრული მოყვანილობის ერდო, რომელიც შენობის სინათლის წყარო იყო (ტაბ. XXXIII/3). თუმცა, შენობას დღის განათების სხვა წყაროებიც უნდა ჰქონოდა სარკმლების სახით. ერდოს ზომებია: სიმაღლე 1,80 მ, დმ 0,55 მ. იგი შიგნიდან კირხსნარითაა მოლესილი. გუმბათი, რომელიც ბაზალტის ფლეთილი

ქვით, აგურითა და კირხსნარითაა ნაშენი ზემოდან გადალესილია კირხსნარის სქელი ფენით (ტაბ. XXXIII/2). გუმბათის თავი ცენტრალურ ნაწილში, ერდოს თავზე რამდენადმე შემადლებულია და კვადრატულად ჩაღრმავებული. ამ ჩაღრმავებას სარკმლის მინა ფარავდა.

გუმბათი შედგება ოთხი კედლისაგან, რომელთაგან სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები აგურით ნაშენი თაღებია (ტაბ. XXXIII/2). თაღებს შორის მანძილი 3,60 მ-ია, კედლების სისქე - 0,40 მ. თაღი შიგნიდან კირხსნარითაა ნაღესი. გუმბათის საყრდენი დასავლეთი კედელი ჩრდილო-სამხრეთი კედლებისაგან განსხვავებით ვერტიკალურია და აგურისა და ქვების ჰორიზონტალური რიგებითაა ნაშენი. დასავლეთი კედლის ნაწილებების მიხედვით, გუმბათის სიმაღლე 2 მ-ია. აბანო ძლიერაა დაზიანებული ამიტომ დღეისათვის ძნელია იმის გარკვევა, როგორ გადადიოდა გუმბათი ძირითად საყრდენ კედლებზე.

აბანო თავისი დანიშნულებით ციხის აბანოთა რიგს უნდა განეკუთვნებოდეს. როგორც, მისი შემსწავლელი დ. მინდორაშვილი ფიქრობს, ის აფეთქებულ-დანგრეული უნდა იყოს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, კერძოდ 1878 წელს, რუსეთის საარტილერიო ჭურვებით [მინდორაშვილი 2016: 13-14], რაც სავსებით კანონზომიერი ჩანს.

პეტრაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ციხის ტერიტორიაზე ყველაზე გვიანდელი ფენა XVIII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება და დაკავშირებულია აქ ოსმალთა გარნიზონის დგომასთან. გვიანდელ ფენაში აღმოჩნდა: დერგები, ქილები, ქოთნები, დოქები, ფაიანსისა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, ჩიბუხები, აგურისა და კრამიტის ნატეხები; ლურსმნები, თოფისა და ზარბაზნის ჭურვები და ა.შ. [ინაიშვილი 1974: 130-132, 137; მინდორაშვილი 2016 ბ: 1-17].

§ 4. ზენდიდის ციხე

ზენდიდის ციხე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ზენდიდში, აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე ბათუმიდან 40 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 380 მ სიმაღლეზე.

საისტორიო წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი ციხის აგების თარიღისა და მნიშვნელობის შესახებ, მას არ მოიხსენიებს XIX ს-ის და XX ს-ის დასაწყისის თითქმის არცერთი მოგზაური (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, თ. სახოკია და აშ). ციხესთან დაკავშირებული ფაქტები დაცულია მხოლოდ ზ.ჭიჭინაძესთან და ისიც, იქ საუბარია იმის შესახებ, რომ როცა შაჰ-თამაზმა XVI ს-ის 70-იანი წლების შუახანებში დალაშქრა სამცხე, იქაურმა ფაქტობრივმა მთავარმა დედისიმედმა ზენდიდის ციხეს შეაფარა თავი და აქედან ახდენდა ქართული ლაშქრის ორგანიზებას, თუმცა ავტორი არ უთითებს, თუ რომელ წყაროს ეყრდნობა **[ჭიჭინაძე 1911 ბ]**. გამოთქმულია მოსაზრება, ციხის XVI ს-მდე გაცილებით ადრე არსებობის, ხოლო XVI ს-ის II ნახევარში მისი განახლებისა და გაფართოების შესახებ **[ბეჟანიძე 2013: 29]**. ი. მოსულიშვილი ციხესიმაგრის არქიტექტურულ დეტალებზე დაკვირვებით პარალელს უჯარმის (VI ს), რუსთავის (VIII ს) და ამ ეპოქის სხვა ძეგლებთან ავლებს **[მოსულიშვილი 1998: 2]**. ხოლო, შ. ვარშანიძის მოსაზრებით, ზენდიდის ციხე XVII ს-ის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების თხზულებაში მოხსენიებული აჭარის ციხეა **[ვარშანიძე 1974: 123]**.

ციხის აშენების თარიღისა და ფუნქციონირების ხანგრძლივობის დადგენის მიზნით 2001 წლის აგვისტოს თვეში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა ზენდიდში კომპლექსური ექსპედიცია მიავლინა (ხელმძღ. შ. მამულაძე). არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამუშაოები ერთდროულად რამოდენიმე უბანზე აწარმოა: ციხის შიდა ტერიტორიაზე - №1, 2, 3 წრიულ და ნახევრადწრიული ფორმის კოშკებში, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და ცენტრალურ ნაწილში მდებარე დიდი ზომის საცხოვრებელ ნაგებობებში.

ციხე აგებულია ძნელად მისადგომ მთაზე, მეტად ხესაყრელ ადგილზე. გარდა იმისა, რომ იგი აკონტროლებდა საკუთრივ აჭარისწყლის ხეობაზე გამავალ ბათუმი-

სამცხის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზას, ის ამავე დროს აკონტროლებდა აკავრეთას ხეობას, რომელიც აჭარისწყლის მარცხენა შენაკადია [მამულაძე...2009:370-371]. მეციხოვნეებს აქედან შეეძლოთ დაეზვერათ სამხრეთისაკენ მიმავალი გზები, რომლებიც ორცვა-ალიქოღლები-მერისის კალთებზე გადიოდა. მას დასავლეთით გვარამკალოს ქედი, ხოლო აღმოსავლეთით სოფ. გულები აკრავს [ვარშანიძე 1974: 123].

ციხის ფართობი 6000 მ² შეადგენს. მისი გეგმა მისადაგებულია რელიეფს და რამდენადმე წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ციხესიმაგრე გეგმაზე ჩრდილო აღმოსავლეთის მხარეს ოთხკუთხედი, სამხრეთ დასავლეთის მხარეს კი გამწვანებული ოვალური ფორმისაა. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია ზღუდის კედლები, კოშკები, კარიბჭეები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები (ტაბ.V/1; ტაბ.XXXIV/1-3).

ციხის მთავარი შესასვლელი მდებარეობდა ზღუდის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთში (სიგანე 2,15 მ.). მისგან შემორჩენილია სამხრეთი წირთხლი და ზღურბლის ნაწილი. კარიბჭესთან მისასვლელი გზა ორივე მხრიდან შემოსაზღვრული ყოფილა მშრალი წყობით ნაგები ქვის კედლით (ყორით). კარიბჭის სამხრეთი წირთხლიდან 2,2 მ დაშორებით ზღუდის კედელზე გარედან კვადრატული ფორმის მინაშენია (ზომები:2,55x2,18 მ). მის ქვის ფილებით შედგენილ ზედაპირზე ქვათლილებით ამოშენებული ყოფილა გუმბათოვანი მოყვანილობის ფურნე, რომლისგანაც ქვის წყობის მხოლოდ ორი რიგია შემორჩენილი. ფურნე ნაწილობრივ ფარავს ჭიშკარის სამხრეთით, ზღუდის კედლის ქვედა ნაწილში არსებულ ზარბაზნისათვის განკუთვნილ ღიობს (ზომები:0,8x0,7x1,1მ). სამხრეთი კედლის მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლეა - 2,25 მ, სისქე - 1,1 მ. სამხრეთი კედლის ბოლოს, ციხის დასავლეთი ჭიშკრიდან 20,85 მ-ის დაშორებით, მდებარეობს წრიული გეგმის №2 კოშკი (ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 2,1 მ, დმ - 2,2-2,5 მ, კედლის სისქე 1,1 მ). ნაგებია ბაზალტის სხვადასხვა ზომის ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით კირხსნარზე. კოშკი ზღუდის კედელზე გარედანაა მიშენებული. შესასვლელი მოწყობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. კოშკის ჩრდილოეთ კედელში

სარკმელია (ზომები: შიგნიდან 41x42x52 სმ, გარედან 34x12x18 სმ.). ასეთივე სარკმელი კოშკს უნდა ჰქონოდა სამხრეთ-დასავლეთიდანაც.

№2 კოშკიდან ზღუდის კედელი მიემართება სამხრეთით ამ ნაწილში კედელი შემორჩენილია 1,5 მ სიგრძეზე. ამის შემდეგ ის (დაახ. 10–12 მ სიგრძეზე) იკარგება თანამედროვე სახლის ქვეშ [მამულაძე...2001:3]. ციხეში შესასვლელი თანამედროვე გზიდან, კედელი უხვევს აღმოსავლეთით და ებჯინება ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე №1 კოშკს, რომელიც გეგმაში არაწესიერი ნახევარწრეა (ტაბ.V/1). მისი აღმოსავლეთი კედელი სწორხაზოვანია, სამხრეთით კედელი თანდათან ქმნის ოვალს და ისე ებმის ზღუდის კედელს. კოშკის შიდა ფართობია: 3x2,4 მ. კედლის სისქე 1,2 მ, შემორჩენილი სიმაღლე 4 მ. ნაშენია ბაზალტის მოზრდილი, ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით კირხსნარზე, წყობაში აქა-იქ გამოყენებულია კრამიტის ნატეხები. აღმოსავლეთ კედელში შემორჩენილია სამი სარკმელი (ზომები: პირველის - 1,2x60 სმ, მეორეს - 1,2x40 სმ, მესამეს - 1,2x70 სმ). ერთი სარკმელი შემორჩენილია დასავლეთ კედელზეც (ზომები: 1,2x70 სმ). აღმოსავლეთი კედელი, რომელიც ამავე დროს ზღუდის კედელიცაა, სწორხაზოვანია და გრძელდება ჩრდილოეთით 7,2 მ. სიგრძეზე (სიმაღლე-1,1 მ. სიგანე-1,2 მ). ზღუდის კედელში, კოშკში შესასვლელიდან 2,95 მ დაშორებით ციხეში შესასვლელი 0,95 მ სიგანის კარია. მისგან ჩრდილოეთით, ასევე ზღუდის კედელში არის მცირე ზომის წყალსაწრეტი ხვრელი. ამის შემდეგ კედელი უერთდება მასიური, კარგად გათლილი კვადრებით კირხსნარზე ნაშენ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის სიგანეა 2,25 მ. ნაწილობრივ დაზიანებული ზღურბლი შედგენილია ბაზალტის ბრტყელი ქვებით, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ებმის ცხრასაფეხურიანი 3,2 მ სიგანის ქვის კიბე. ციხის აღმოსავლეთი კედელი კარიბჭიდან მიემართება ჩრდილოეთით ებჯინება დიდი ზომის ნაგებობას (ზომები: 12,40x17,40 მ), რომელიც თითქმის სამირკვლის დონემდეა დანგრეული (ტაბ.V/2). შენობა ორსართულიანი ყოფილა. მისი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედელი პირდაპირ გალავანზეა დაშენებული. სწორედ აქ ფიქსირდება ციხის ზღუდის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე - 5,70 მ. აღმოსავლეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გაკეთებულია, ჭრილში კონუსური ფორმის

სარკმელი (ზომები: 90x70 სმ). მისი წირთხლები მასიური, გათლილი ქვებითაა შედგენილი. სამხრეთი კედელი (ზომები: 12,80x1 მ) ძლიერ დაზიანებულია. ნაწილი გალავანზეა დაშენებული. თითქმის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა ნაგებობის თავდაპირველი შესასვლელი, რომელიც მოგვიანო პერიოდში ახალი იატაკის მომზადების დროს იქნა გაუქმებული (ზომები: 1,37x80). ნაგებობის დასავლეთი კედელიც საპირე მხარეს დამუშავებული ნაგლეჯი, ზოგჯერ კვადროვანი ქვითაა ნაგები. კედლის ცენტრალურ ნაწილში მოცემულია 1,50 მ სიგრძისა და 50 სმ სიგანის ლოდებისაგან შედგენილი მეორე სართულზე ასასვლელი საფეხურების ორი რიგი. სარდაფის ინტერიერში გამოიყოფა ორი დიდი (ფართობი:106,9 მ²) და პატარა სათავსი (ფართობი: 38,11 მ²) რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება 1 მ სიფართის გამყოფი ტიხარით. [მამულაძე...2001:6).

ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს №3 კოშკი (ტაბ.V/1) გეგმით ის წრიულია და ზღუდეზე გარედანაა მიშენებული (ფართობი 3,4x2,75 მ. სიმაღლე 2,1 მ, სისქე 0,9 მ.). კედელი დაფუძნებულია 1,2 მ სიმაღლის საძირკველზე. კოშკის იატაკი მიწატკეპნილია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან (კარის ზომებია: სიმაღლე-1,7 მ, სიგანე-0,6 მ). კარის ზედა ნაწილი თაღოვანია. ზღურბლი შედგენილია დამუშავებული ქვების ორი რიგით. კოშკში შესასვლელიდან ზღუდის კედელი 7,9 მ გრძელდება და ებმის ციხის დასავლეთ კარიბჭეს.

ციხის კედლები ერთნარი სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები. ნაშენია ბაზალტის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. წყობა თარაზულია. არათანაბარი ზომის ქვებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით ან კრამიტით. კედლის სისქე 1,2 მ-ია. დუღაბი ზომიერადაა გამოყენებული. მწკრივების სიმაღლე თითქმის ყველგან ერთნაირია და აღწევს 25 სმ-ს. კედლის პერანგებს შორის არსებული ნაწილი შედარებით მცირე ზომის ნაგლეჯი ქვებითაა შევსებული. სარკმლები, კარიბჭეები, ნაგებობათა კუთხეები და საწრეტები ნაშენია კარგად დამუშავებული, გათლილი ქვებით [მამულაძე... 2001: 5].

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადგინა, რომ ზენდიდის ციხე გვიანი შუასაუკუნეების ერთფენოვანი ძეგლია და როგორც არქეოლოგიური მასალები მიუთითებს ის XVII ს-ში უნდა იყოს აგებული. ციხის სხვადასხვა უბნის გათხრებისას

გამოვლინდა არც თუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა. მათი აბსულუტური უმრავლესობა კერამიკაა და დანიშნულების მიხედვით იყოფა სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნაწარმად. თავისი ფორმებით, იერით შემკულობით, დამუშავების ტექნიკით, გამოწვის ხარისხით და სხვ. ეს კერამიკა არის გვიანი შუა საუკუნეების გვიანდელი ეტაპის ნაწარმი და ძირითადად თარიღდება XVII–XVIII სს-ით [მამულაძე... 2001: 24].

§ 5. ხიხანის ციხის გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობები

ხიხანის ციხე მდებარეობს, ხულოს მუნიციპალიტეტში, არსიანის ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, ხიხანისწყლის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 2235 მ-ზე. მაღალი კლდოვანი მასივის თხემი, რომელზეც ციხეა აშენებული წაგრძელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (ტაბ. VI). ციხის სიგრძე 350 მ-ია. სიგანით მისი ტერიტორია საკმაოდ ვიწროა და 15-25 მ შორის მერყეობს. ის ყველა მხრიდან მიუდგომელია, რადგან გარშემო აკრავს მაღალი და ციცაბო კლდეები. ერთადერთი, ისიც საკმაოდ რთული მისადგომი ციხეს თავის დროზე ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან. ამჟამად ციხეზე ასვლა ხდება დასავლეთ ფერდზე ბოლო პერიოდში გაკეთებული ბილიკით.

ციხე აგებულია უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას. ის აკონტროლებდა რამდენიმე სავაჭრო-საქარავნო გზას, რომლებიც სწორედ ხიხანის მიდამოებში იყრიდა თავს. სოფ. თხილვანაზე და ბაკოზე, გადიოდა საქარავნო გზა ახალციხისაკენ, სოფ. კალოთასა და ჩირუხზე შავშეთისაკენ, ხოლო ახალციხე-არტაანიდან ხიხანისაკენ გზა ბათუმისაკენ მიემართებოდა [მინდორაშვილი 2015 ა:132; მამულაძე 1993: 49].

ხიხანის ციხე სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო სისტემის მეთაურ ციხედ [მამულაძე 1993: 49]. მკვლევართა ყურადღება ციხემ ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისში მიიპყრო. მის შესახებ წერდნენ გ. ყაზბეგი [Казбег 1876: 23-24], პ. უვაროვა [Уварова 1891: 245] თ. სახოკია [სახოკია 1985:

220], შემდგომ პერიოდში ხიხანის ციხის ისტორიის საკითხებს იკვლევდნენ ხ. ახვლედიანი [ახვლედიანი 1955: 29-84], ი. სიხარულიძე [სიხარულიძე 1962: 29-32], შ. მამულაძე [მამულაძე 1993: 48-51].

მიუხედავად მკვლევართა ყურადღებისა, ციხეზე პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია მხოლოდ 2013 წელს ჩატარდა დ. მინდორაშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ შეისწავლა ციხის ტერიტორიაზე არსებული განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების შენობა-ნაგებობები: სასახლე, ეკლესია, ორი მარანი (მათ შორის ერთი წყლის რეზერვუარია), თონე, ბუხრიანი შენობები და ა.შ. [მინდორაშვილი 2015ა: 132-183; მინდორაშვილი 2015 ბ: 1-19].

ციხის ყველაზე გამორჩეული ნაგებობა სასახლეა, რომელიც მდებარეობს მაღალი გალავნით შემოსაზღვრული ზედა ციხის გარეთ, ქვედა ტერასაზე (კოორდინატები N 41.54172; E 42.56511, სიმაღლე ზღვის დონიდან 2225 მ). სასახლე ერთსართულიანი, გეგმით სწორკუთხა შენობაა. (15,70x8,70 მ). (ტაბ.VI; ტაბ.VII/1; ტაბ.XXXV/1). 90-100 სმ სისქის კედლები ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი. კედლის მაქსიმალური სიმაღლე დასავლეთ კართან 3,80 მ-ია. აქვს ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგებული ორი კარი.

სასახლის ტერიტორიაზე გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობებიდან აღსანიშნავია, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩაშენებული პატარა ნაგებობა (5,60X4,70 სმ), კედლების სისქე 60-70 სმ. შენობის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები მიდგმულია სასახლის კედლებზე (ტაბ.VII/2; ტაბ.XXXV/1). მათი მაქსიმალური სიმაღლე 1,90 სმ აღწევს. მშრალად ნაგები კედლების წყობაში მეორადი გამოყენებით ჩართულია სასახლის კირხსნარისკვალისანი ქვები და ლორფინები. შენობას 90 სმ სიგანის შესასვლელი აქვს სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში. აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში ბუხარია (ზომები: სიმაღლე-75 სმ, სიგრძე-85 სმ, სიგანე-53 სმ). ბუხრის ზედა საპირე ქვა ნაწილობრივია გათლილი და ოვალური მოყვანილობა აქვს. ბუხრის სამხრეთით იატაკიდან 1,30 მ სიმაღლეზე შემორჩენილია პატარა თახჩის ნაშთი (30x50x45 სმ). შენობის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილი 50 სმ შიგნითაა შეწყული. სხვა კედლებისაგან განსხვავებით

დასავლეთი კედლის გარე მხარე არაწესიერადაა ნაწყობი. ნაგებობის იატაკზე აქა-იქ შემორჩენილია კირხსნარის ნალესობა, რომელიც თავდაპირველი სასახლის დროინდელია. ისე კი გვიანდელი ნაგებობის იატაკი მიწატკეპნილია.

მეორე გვიანდელი შენობა სასახლისათვის აღმოსავლეთის კედელზე გარედან მიუშენებიათ (ტაბ.VII/2; ტაბ.XXXV/1). ნაგებობა გეგმით კვადრატს უახლოვდება (4,10x3,40მ). 1,6 მ სიმაღლეზე შემორჩენილი 70-80 სმ სისქის მშრალად ნაგებ კედლებში ჩართულია სასახლის კირხსნარის კვალიანი ქვები და ლორფინები. ნაგებობის 1,30 მ სიგანის კარი ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ კუთხეშია. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში ბუხარია. (ზომები: 80x70x50 სმ). ბუხრის თავსართი ქვა გათლილია და თაღოვანი მოყვანილობა აქვს. ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში იატაკიდან 1,45 მ სიმაღლეზე თახჩაა (30x25x40-45 სმ). იატაკი მიწატკეპნილია [მინდორაშვილი 2015 ა: 142].

გადაკეთება განუცდია სასახლის დასავლეთ კედელზე მიშენებულ ნაგებობას (ფართობი 5x7,5 მ). კედელი, რომელიც 5 მ-მდე გრძელდება (შემორჩენილი სიმაღლე - 35 სმ, სისქე-60 სმ). შედგება კირხსნარით შეკრული ქვების მასებისაგან. თავდაპირველი, სასახლის დროინდელი კედლის ადგილას სასახლის ნანგრევებიდან აღებული ქვების მასებით ახალი კედელი აუგიათ (ტაბ.VII/2; ტაბ.XXXV/2).

გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობები მდებარეობს ციხის სხვადასხვა უბნებშიც. ერთ-ერთი მათგანი გამართულია ციხის №4 კოშკიდან დასავლეთით 50 მ-ის დაშორებით (კორდინატები: N 41.54218; E 42.56241), ფერდობზე (ტაბ.VIII/1; XXXVI/1). ნაწილობრივ ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზე ამოღებულია ქვაბული, რომელშიც შენობის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებია აგებული. ნაგებობა ნაშენია კლდის ნატეხი ქვით. წყობა მშრალია. 0,9 მ სიგანის შესასვლელი აქვს დასავლეთი კედლის უკიდურეს სამხრეთ მონაკვეთზე. ჩრდილოეთი კედლის შუა ნაწილში გამართულია ბუხარი (ზომები: სიმაღლე-70 სმ, სიგრძე-80 სმ, სიგანე-60 სმ). მისი გვერდითი და ზურგის კედლები კლდის ნატეხი ქვითაა ამოყვანილი. თავსართად მოგრძო კლდის ქვაა გამოყენებული. ბუხრიდან აღმოსავლეთით კედელში ერთი სწორკუთხა თახჩაა მოწყობილი. (ზომები:30x30 სმ). ნაგებობის კედლების შემორჩენილი სიმაღლეა 1,9 სმ, კედლების სისქე - 0,8-0,9 სმ-ია.

ექსპედიციამ შეისწავლა №1-2 კომპს შორის მდებარე ნაგებობა (ტაბ.VIII/2; XXXVI/2), რომელიც მდებარეობს №1 კომპიდან დასავლეთით 23 მ-ის დაშორებით. დასავლეთიდან აღმოსავლეთით მკვეთრად დაქანებულ ფერდობზე, საგანგებოდ მოჭრილ და მოსწორებულ ტერასაზე (კოორდინატები: N 41.54089; E 42.56580). ნაგებია კლდის ნატეხი ქვით. წყობა მშრალია. დასავლეთის კედელი მიდგმულია კლდოვან ფერდობზე. ნაგებობა გეგმაში კვადრატს უახლოვდება (შიდა ზომები: 4,2x4,3 მ). კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლეა 1,9 მ, სისქე-1 მ. იატაკი მიწატკეპნილია. ნაგებობის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის კედლები საფასადე მხრიდან თავიდანვე მიწაში იყო გამართული. აღმოსავლეთი კედლის შუა ნაწილში გამართული იყო შესასვლელი (სიგანე-0,7 სმ), რომელიც მოგვიანებით ამოუქოლავთ და შესასვლელი სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გაუკეთებიათ. შენობის დასავლეთი კედლის შუა ნაწილში გამართულია ბუხარი. (ზომები: სიმაღლე-1,28 მ, სიგრძე-1,8 მ, სიგანე - 0,58 მ).

კიდევ ერთი ბუხრიანი ნაგებობა მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მკვეთრად დაქანებულ ფერდობზე, №2 კომპის სამხრეთით 50 მ-ის დაშორებით (კოორდინატები: N 41.54096; E 42.56516). ნაგებობა აშენებულია ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზე (ტაბ.VIII/3; ტაბ.XXXVI/3). შენობა ნაგებია კლდის ნატეხი ქვით. წყობა მშრალია. ნაგებობა გეგმაში კვადრატს უახლოვდება (შიდა ზომები: 3,20x3,45 მ, კედლების სისქე-70-90 სმ, კედლების მაქსიმალური სიმაღლე -1,8 მ). აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები ზურგით ფერდობზეა მიდგმული. შენობა ნახევრად მიწური ყოფილა. შესასვლელი დასავლეთი მხრიდან უნდა ექონოდა. აღმოსავლეთ კედლის შუა ნაწილში ბუხარი ყოფილა გამართული (ზომები: სიმაღლე-90 სმ, სიგრძე-65 სმ, სიგანე-50 სმ). ბუხრის ჩრდილოეთით, იატაკიდან 1 მ სიმაღლეზე კედელში მოწყობილია ორი მცირე ზომის სწორკუთხა თახჩა (25x25x25 სმ, 27x24x19 სმ), რომლებიც ერთმანეთის თავზეა განლაგებული.

№1-2 კომპს შორის მდებარე ნაგებობიდან 7,2 მ-ის დაშორებით, ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს კიდევ ერთი ბუხრიანი ნაგებობა (ტაბ.XXXVII/1). ნახევრად მიწური შენობა კლდის ფლეთილი ქვებითაა ნაგები. წყობა მშრალია, გეგმა კვადრატული - (3,60x3,50). მისი დასავლეთი კედლის ზურგი მთლიანად მიწაშია

ჩამჯდარი. (ზომები: სიმაღლე 1,80 მ, სისქე - 0,70 მ). კედლის შუა ნაწილში გამართულია ბუხარი, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია (ბუხრის ზომები: სიმაღლე 1,50 მ, სიგანე 0,85 მ, სიღმე 0,45). ნაგებობის სამხრეთი კედელი ნახევრად მიწაშია ჩადგმული (ზომები: მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე 1,80 მ, მინიმალური - 0,60-0,70 მ, კედლის სისქე 0,70 მ). ნაგებობის დასავლეთი და სამხრეთი კედელი ერთმანეთთან ბლაგვ კუთხეს ქმნიან, რაც იმითაა გამოწვეული, რომ, მშენებლებს ამ ორი კედლის გადაბმისას გამოუყენებიათ კლდის ბუნებრივი მასიური შვერილები და მათზე ამოუყვანიათ ნაგებობის კუთხე. სამხრეთი კედლის შუა ნაწილში იატაკის დონიდან 0,90 მ სიმაღლეზე სამკუთხა მოყვანილობის ნიშია (ზომები: სიმაღლე 0,40 მ, სიგანე 0,55, სიღმე 0,60 მ). ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლეა 1,80 მ, მინიმალური - 0,30. 0,90 სისქის კედლის წყობაში ჩართული იყო ლორფინის ერთი მცირე ფრაგმენტი. ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი ყველაზე ცუდადაა შემორჩენილი (ზომები: მაქსიმალური სიმაღლე 0,80 მ, მინიმალური - 0,20 მ, კედლის სისქე 0,80 მ). შენობას შესასვლელი ჰქონია ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხესთან. სავარაუდოდ კარის სიგანე 1-1,10 მ უნდა ყოფილიყო. შენობის იატაკი მიწატკეპნილია.

ციხის ცენტრალურ ნაწილში XI-XII სს-ის 43 ქვევრიანი მარნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გალავნიდან 0,40-0,50 მ-ის დაშორებით (კოორდ. x 0296927; y 4601698), 2015 წელს ექსპედიციამ შეისწავლა კიდევ ერთი მშრალი წყობით ნაგები ბუხრიანი შენობის ნანგრევები (ტაბ. XXXVII/2). შენობა ძლიერ იყო დაზიანებული (ფართობი: 4,10x3 მ). დამხრობილი ყოფილა სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩრდილო-დასავლეთ ხაზზე. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში, კუთხესთან ბუხრის ნაშთებია (ზომები: შემორჩენილი სიმაღლე - 0,90, სიგრძე - 1,05 მ, სიგანე - 0,50 მ). ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის სისქე 1,20 მ-ია. აღნიშნული კედელი, რომელიც შუაში 1,50 მ სიგრძეზე მორღვეულია და მისი კვალი თითქმის აღარ შეიმჩნევა, აღმოსავლეთ მხარეს 1,30 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. შენობის ამ კედლის დიდი ნაწილი მიწაში იყო მოქცეული. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კედლის მხოლოდ ქვედა ფენაა შემორჩენილი. მისი სისქე 0,70 მ-ია. კედელი შედარებით უკეთ ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ფიქსირდება. აქ მისი

სიმაღლე 0,90 მ-ს აღწევს. ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კედლის სიმაღლე შემორჩენილია 0,20-0,40 მ-ზე, სისქე 1,40 მ-ია. მას შეასვლელი უნდა ჰქონოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში, რომლის კვალი თითქმის მთლიანადაა წაშლილი. აღნიშნული კედლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შემორჩენილი შენობის აღმოსავლეთ კუთხესთან. ნაგებობის იატაკი მიწატკეპნილია.

ციხის ცენტრალურ ნაწილში არსებული გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობებიდან აღსანიშნავია ჭიდან დასავლეთით 1 მ-ის დაშორებით (კოორდ. x 0296929; y 4601709) მდებარე შენობა - გალავანზე მიშენებული ე.წ. ოვალურკედლიანი ნაგებობა (ფართობი: 5x3,40 მ). ნაგებია მშრალი წყობით (ტაბ. XXXVII/3). შენობის დასავლეთი კედელი გალავანია. მას 1,20 მ სიგანის შესასვლელი აქვს ჩრდილოეთ მხარეს. გალავანზე მიშენებული მშრალი წყობით ნაშენი კედელი 10,50 მ სიგრძისაა და 1,60 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. მისი სიგრძე 0,80 მ-ია. ის ოვალურად მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით. 5,30 მ სიგრძეზე კედლის სისქე მკვეთრად იცვლება და ის 1,60 მ ხდება. შენობის იატაკი სხვა გვიანდელი ნაგებობების მსგავსად მიწატკეპნილია [მინდორაშვილი 2015 ბ: 12-18].

გვიანი შუასაუკუნეების კიდევ ორი ნაგებობის შესწავლა მოხერხდა 2016 წლის ექსპედიციის დროს. პირველი მათგანი მდებარეობს (ფართობი 3,30x3,10 მ) ეკლესიის სამხრეთ კედელსა და გალავნის კედელს შორის (ტაბ. XXXVIII/1). შენობის სამი კედელი მშრალი წყობითაა ნაგები. რაც შეეხება მეოთხე - სამხრეთის კედელს, ის ციტადელის კირხსნარით ნაშენი კედელია. ამ ადგილას ის 5 მ სიმაღლეზეა შერჩენილი. კედელში იატაკის დონიდან 2,20 მ სიმაღლეზე სამი საკოჭე ღრმულია. შედარებით უკეთ შემორჩენილი ღრმულის ზომა 0,45x0,30x0,35მ-ია. დანარჩენი ღრმულები ჩამოშლილია და თავდაპირველ ზომებთან შედარებით გაცილებით დიდია. ჩანს, მასზე გადებულ კოჭებს ეკავა ნაგებობის სახურავი. ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის თავზე, იქ სადაც შესასვლელი უნდა ყოფილიყო, კარი იატაკის დონიდან 1,70 მ სიმაღლეზე, ციტადელის კედელში გამოუღიათ 1მ სიგრძის, 0,20 მ სიმაღლისა და 0,25 მ სიღმის ღრმული, რომელიც საკოჭე ღრმულებზე 0,35 მ-ით დაბლაა და რომელშიც კარის თავზე გადებული ძელები უნდა დამაგრებულიყო. ღრმულის სიგრძე იმდენივეა, რამდენიც ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის სისქე - 1

მეტრი. ამდენად, კარის თავზე გადებული ძელები ერთი მხრივ გალავანზე, მეორე მხრივ ნაგებობის აღმოსავლეთ კედელზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. ნაგებობის დასავლეთი კედლის შემორჩენილი სიმაღლე 2,20 მ-ია, სისქე - 0,70 მ. დასავლეთი კედლის სიმაღლეზეა შემორჩენილი ნაგებობის აღმოსავლეთი კედელიც, რომლის სისქე 1 მ-ს აღწევს. კედლის სამხრეთ ნაწილში, ზღუდის კედელთან უნდა ყოფილიყო შენობაში შესასვლელი, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია. თუმცა, სავარაუდოდ მისი სიგანე 1,10 მ უნდა ყოფილიყო. მთლიანად მიწურია ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი, რომლის აშენების დროს დაუნგრევიათ ეკლესიის სუბსტრუქციის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. დასავლეთ მხარეს მოწყობილია ბუხარი, რომლის ქვედა ნაწილი ვერტიკალურად ჩადგმული გათლილი ქვებითაა შედგენილი 0,80 მ სიმაღლემდე (ზომები: ბუხრის ქვედა ნაწილის სიგანე 1,05 მ, სიღმე - 0,50 მ). ამის შემდეგ შედარებით მომცრო ქვებით გამოყვანილია თალი, რომლის საერთო სიმაღლე დაახლოებით 2 მ უნდა ყოფილიყო. ამავე კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ბუხრის გვერდზე, გამართულია მოზრდილი თახჩა, რომელიც ბუხრის მსგავსად კედლიდან გარეთაა გამოწეული. თახჩის ქვედა ნაწილი კარგად გათლილი ქვების სამი რიგითაა ამოყვანილი იატაკიდან 0,70 მ სიმაღლეზე. თახჩის სიმაღლე სავარაუდოდ 1,30-1,40 მ უნდა ყოფილიყო, სიგანე 0,90 მ-ია, სიღმე - 0,70 მ. ამ ნახევრად მიწური ნაგებობის კედლების დიდი ნაწილი ნაშენია კარგად გათლილი მოზრდილი ქვებით. ნაგებობის ჩრდილოეთ კედელს ჩაჭრილი აქვს XIII ს-ის 30-იანი წლების ეკლესიის სუბსტრუქციის სამხრეთი კედლის ნაწილი. ამასთან, ნაგებობის მშენებლობაში ეკლესიის ქვებია გამოყენებული.

მეორე ნაგებობა მდებარეობს ციტადელის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XXXVIII/2), ციტადელის ოვალურ კედელსა და ეკლესიას შორის არსებულ ტერიტორიაზე (ფართობი: 2,35x2,40 მ). ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კედელს წარმოადგენს ზღუდის კედელი, რომელიც ამ მონაკვეთში 6 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი (კედლის სისქე 1,10 მ). ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი მშრალი წყობითაა ნაშენი და საკმაოდ ცუდად შემორჩენილი. კედლის გარეპირი უსწორმასწოროა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შენობის ეს მხარე მიწური იყო. ეს კედელი ფაქტობრივად ტერასის შემაკავებელი კედელია, რომელიც ზღუდიდან

იწყება და ეკლესიის დასავლეთით მდებარე ბაქნისაკენ მიემართება 5,40 მ სიგრძეზე (ზომები: კედლის შემორჩენილი სიმაღლე 0,90 მ, სისქე 0,80). შენობის მშრალი წყობით ნაშენი სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი მიდგმულია ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე (ზომები: კედლის სიგრძე 4,30 მ, შემორჩენილი სიმაღლე 1,20 მ, სისქე - 0,70 მ). ნაგებობას 0,40 მ სიგანის ვიწრო შესასვლელი ჰქონია სამხრეთ-დასავლეთ კედელში, რომელიც ასევე მშრალადაა ნაშენი. კედელი თითქმის ძირამდეა დანგრეული (ზომები: სიგრძე 0,40, შემორჩენილი სიმაღლე 0,40 მ, სისქე - 0,70 მ). შენობის იატაკი მიწატკეპნილია.

კიდევ ერთი გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობა მდებარეობს №2 კოშკსა და წყლის რეზერვუარს შორის. კედლის აღმოსავლეთი მხარე ქვების უსწორმასწორო რიგია, როგორც ჩანს ამ მხარეს კედელს მიწა ფარავდა. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ამ კედელზე მიდგმულია, ასევე მშრალი წყობით ნაშენი პატარა სათავსი, რომლის სამხრეთი კედლის სიგრძე მხოლოდ 1,40 მ-ია, მისი სიმაღლე 0,45 მ-ზეა შემორჩენილი, სისქე 0,70 მ-ია. კედელი ქმნის კუთხეს ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე დამხრობილ ასეთივე მშრალი წყობით ნაგებ კედელთან. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 0,45 მ-ია, სისქე - 0,90 მ [მინდორაშვილი 2016 ა: 1-6].

საფიქრებელია, რომ ბუხრიანი ნაგებობებიდან ყველა ყავრით იყო გადახურული. შესწავლილ ნაგებობებს აერთიანებს შემდეგი ნიშნები: ისინი საკმაოდ პატარა ფართობისაა და მხოლოდ ერთი ოთახისაგან შედგება; 2. ყველა ნახევრად მიწურია; 3. შენობები ნაგებია მშრალი წყობით; 4. ყველა მათგანში, აუცილებლად გვხვდება ბუხარი (გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ერთი - ციტადელის ოვალურ კედელსა და ეკლესიას შორის მდებარე ნაგებობა), მაშინ, როცა ციხის უფრო ადრეული ხანის ნაგებობებში გამათბობელი საშუალებები საერთოდ არ ჩანს. ყველა შენობა ერთ პერიოდში - გვიან შუასაუკუნეებშია აშენებული. მათი თარიღი XVII-XVIII სს-ით უნდა განისაზღვროს. ამ ნაგებობებს ციხის ფუნქციონირების ბოლო ეტაპზე XIX ს-ის დასაწყისშიც უნდა ეარსებათ [მინდორაშვილი 2016 ა: 12-18].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხის სხვადასხვა ნაგებობების გათხრებისას გამოვლინდა გვიანი შუასაუკუნეების მასალებიც. კერძოდ: სადა კერამიკა, კეცები, ქოთნები, ჯამები, დოქები, მოჭიქული ჯამების ნატეხები, ფაიანსის

სხვადასხვა ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, კრამიტის ნატეხები, ჩიბუხები, ლითონის ნაწარმი: სხვადასხვა ლურსმნები, ნალები, ასტამი, ზარბაზნის ჭურვები და ა.შ. არქეოლოგიური მასალაც XVII-XVIII სს-ით თარიღდება.

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ განხილული საფორტიფიკაციო ნაგებობები გვიან შუასაუკუნეებში მნიშვნელოვან გადაკეთებას განიცდის. ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ვ. ბერიძის სამართლიანი შენიშვნით: „საქართველოში არ არსებობს თითქმის არც ერთი ციტადელი და ციხე-სიმაგრე, რომელშიც ამდროინდელი მშენებლობის კვალი არ ჩანდეს. ეს ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, არის ციხე-სიმაგრეთა აღდგენის და არა მშენებლობის ხანა“ [ბერიძე 1983: 91; 2014: 405].

გვიანმა შუასაუკუნეებმა წინა დროისაგან მემკვიდრეობით მიიღო ბევრი ციხე-სიმაგრე, რომლებიც განლაგებული იყო საქართველოს უმთავრეს გზებსა და ხეობებში, უმთავრესად კი სტრატეგიულ პუნქტებში. ყველაზე დიდი და სახელგანთქმული ციხეები სხვადასხვა ისტორიულ მხარეებში და მათ შორის აჭარაშიც, თითქმის ყველა ანტიკურ, ადრე შუა და ძირითადად განვითარებულ შუა საუკუნეების ეპოქაშია შექმნილი. რაც შეეხება გვიან შუასაუკუნეებს, უმძიმესი საშინაო და საგარეო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების გამო, ციხეების მშენებლობა აღემატებოდა მეფეთა და ფეოდალთა ძალღონეს. სამაგიეროდ დიდი ადგილი უჭირავს ძველი ციხეების აღდენა-განახლებას [ბერიძე 2014: 405]. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იშვიათად მაგრამ მაინც ხდება ახლის აგებაც. აჭარის რეგიონში, სწორედ ამ პერიოდშია აშენებული ზენდიდისა და ნიგაზეულის ციხეები.

სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მრავალჯერ გადაკეთება-განახლების გამო ხშირად რთულდება გვიანი შუასაუკუნეების საამშენებლო ფენის გამიჯვნა წინა პერიოდებისაგან. მიუხედავად ამისა, ეს ეპოქა მაინც განსხვავდება ადრეული და განვითარებული შუასაუკუნეების სამშენებლო ხელოვნებისაგან. გვიან შუასაუკუნეებში ქვები უფრო ხშირად უხეშადაა დამუშავებული და წყობაც არაწესიერია. მშენებლობაში გამოყენებულია ნატეხი ქვა და ზოგჯერ აგურიც [ბერიძე 1974: 72; ბერიძე 2014: 406].

გვიანი შუასაუკუნეების მშენებლობის კვალი კარგად ჩანს გონიო-აფსაროსის, ბათუმის, პეტრა-ციხისძირისა და ხიხანის ციხეებზე. ნაგებობათა მშენებლობისას ზოგჯერ გამოიყენება მშრალი წყობა. ასეთი წყობითაა ნაგები ხიხანის ციხეზე შემორჩენილი გვიანი შუასაუკუნეების ყველა ნაგებობა. სხვადასხვა დანიშნულების შენობათა აღდგენა-გამაგრებისათვის, ასევე ხშირად არის გამოყენებული წინა პერიოდის საშენი მასალაც. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება წესიერი წყობით და კარგად დამუშავებული, გათლილი ქვებით ნაგები ციხეებიც. აჭარის ტერიტორიაზე ასეთია ზენდიდისა და ნიგაზეულის ციხეები. მათი კედლები ერთნარი სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები. წყობაში გამოყენებულია შედარებით კარგად დამუშავებული მოზრდილი ქვები. არათანაბარი ზომის ქვებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით ან კრამიტით. მწკრივების სიმაღლე თითქმის ყველგან ერთნაირია, ხოლო კედლის პერანგებს შორის არსებული ნაწილი შედარებით მცირე ზომის ნაგლეჯი ქვებითაა შევსებული.

სიმაგრეთა სათავდაცვო არქიტექტურის თავისებურებებს XV ს-დან განსაზღვრავდა ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენა და გავრცელება. არქიტექტურაზე ამ ახალი ტექნიკის გავლენა საქართველოში განსაკუთრებით შეიმჩნევა XVI ს-დან [აბრამიშვილი... 2000: 188; წურჭუმია 2014: 86]. ცეცხლსასროლი იარაღი ჩვენს ქვეყანაში უცხოეთიდან შემოდის. სამხრეთ და დასავლეთ საქართველოსათვის ასეთი იარაღის წყარო ოსმალეთის იმპერიაა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის ირანი. სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენასთანაა დაკავშირებული ოსმალეების მიერ გონიო-აფსაროსის ციხის კედლების ამაღლება და ქონგურების დაშენება. საკუთრივ ქართველების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მხოლოდ XVI ს-ის მეორე ნახევარშია დადასტურებული, თუმცა მისი გავრცელების ქრონოლოგია სადღეისოთ დასადგენია [წურჭუმია 2014: 86].

თავი III

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა

§1. ფაიფური

გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალებში ყველაზე ადრეულ ჯგუფს ქმნის გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიფურის ნაწარმი. ყველა მათგანი ფინჯნის ტიპისაა. ახასიათებთ მტკიცე, მაღალი ხარისხის თეთრი კეცი. მრგვალი, რგოლისებური, გამოყვანილი ქუსლი და ნახევარსფეროსებრი ან ზარისებრი ფორმის კალთა. დეკორის, მოხატვის ტექნიკისა თუ მხატვრული გაფორმების მიხედვით ფინჯნები, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

I ჯგუფი: ერთიანდება თეთრ ფონზე გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ფინჯნები. ამ ჯგუფს წამყვანი ადგილი უჭირავს აღმოჩენილ მასალებს შორის (გ.ა.89/256; გ.ა.95/298,1998,2371; გ.ა.96/27,604,775,894,2851,3120; გ.ა.98/970; გ.ა.2002/2379,2284; გ.ა.2011/217; გ.ა.2014/10). მხატვრული გაფორმების ძირითადი სახეა მრავალფურცლა ყვავილი ან მრავალფურცლა ყვავილი ირგვლივ მოხატული სხვადასხვა სახის წვრილი მცენარეული ორნამენტებით, ოვალური ან მრგვალი წრიული ფორმის გეომეტრიული ორნამენტი (ტაბ.IX/2-6; ტაბ.XXXIX/2-10). გამონაკლის წარმოადგენს ერთი, ფრინველის გამოსახულებიანი ნიმუში (გ.ა.98/63). ფრინველის ფიგურა მოხატულია ორ პატარა ბორცვს შორის, უკანა ფონზე მოცემულია ხუთი წაგრძელებულფოთლებიანი მცენარე (ტაბ.XXXIX/5).

ამ ჯგუფის ფინჯნებში შიდა ზედაპირზე ნახატი უმთავრესად მოხატულია ჭურჭლის ძირზე, ორნამენტის კონტურები ძირითადად შესრულებულია მუქი-ლურჯი საღებავით, ხოლო ნახატი შედარებით ღია-ცისფერი ფერისაა. ერთ-ერთი ფინჯნის ძირზე გარე მხრიდან დატანილია მარკა (გ.ა.2015/1123). ცისფერი საღებავით გავლებულია სხივი, რომელსაც ირგვლივ შემოუყვება სპირალურად დახვეული მსგავსი სისქის ზოლი. მარკა ჩასმულია ორ ცისფერ წრიულ ზოლში (ტაბ.XXXIX/9).

მარკაა მოცემული კიდევ ერთი ფინჯნის ძირზე (გ.ა.95/298). ორი პარალელური ვიწრო ცისფერი ზოლით შედგენილია რომბისებრი ფიგურა (ტაბ.XXXIX/10).

კეცის მიხედვით კობალტის ლურჯი საღებავით გაფორმებულ ფინჯნებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ა) თხელკედლიანი და ბ) სქელკედლიანი. უმრავლესობას თხელკედლიანი ფინჯნები ქმნიან.

II ჯგუფი: ამ ჯგუფს მიეკუთვნება ფინჯნები რომელთა შიდაპირი სადაა, უორნამენტო, ხოლო გარე კალთა თეთრ ფონზე კობალტის ლურჯი საღებავითაა მოხატული, წვრილი მცენარეული ორნამენტებით (გ.ა.98/913; გ.ა.05/22; გ.ა.09.2289) (ტაბ.IX/7-9; ტაბ.XXXIX/11-12). ერთ-ერთ მათგანზე მოხატულია პალმა (გ.ა.09/2289) (ტაბ.IX/9; ტაბ.XXXIX/11), ხოლო ერთ-ერთი ფინჯნის (გ.ა.05/22) ბრტყელ ძირზე გარე მხრიდან ცისფერ წრეში ჩასმული 6 ჩინური იეროგლიფია მოცემული (ტაბ.IX/8; ტაბ.XXXIX/12).

III ჯგუფი: ერთიანდება პოლიქრომული დეკორით გაფორმებული ნიმუშები, მოხატულია სხვადასხვა ლურჯი, ცისფერი, მარჯნისფერი და ღია-მწვანე საღებავებით (გ.ა.89/254; გ.ა.95/2856; გ.ა.96/1406; გ.ა.98/5218) (ტაბ.IX/10-11; ტაბ.XL/1-4).

IV ჯგუფი: ამ ჯგუფს მიეკუთვნება ყავისფერი საღებავით მოხატული ფინჯნები. გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ა) უმრავლესობას ქმნიან ფინჯნები (გ.ა.95/84;174; გ.ა.96/290;2813; გ.ა.98/55; გ.ა.2000/1109; გ.ა.2006/288), რომელთა შიდაპირი კობალტის ლურჯი საღებავითაა მოხატული, სხვადასხვა სახის მცენარეული ორნამენტით (ძირითადი სახეა პალმისებური დეკორი), ხოლო გარე კალთა ყავისფრადაა მოხატული. ყავისფერი საღებავი სხვადასხვა შეფერილობისაა მუქი და შედარებით ღია (ტაბ.IX/12; ტაბ.XL/5-11). ბ) ორივე მხრიდან ყავისფრად მოხატული (გ.ა.99/5284). ეს ქვეჯგუფი ჯერჯერობით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ფრაგმენტით (ტაბ.IX/13; ტაბ.XL/12).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფაიფურის სამშობლოა ჩინეთი, თუმცა დამზადების ზუსტი თარიღი უცნობია. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ

ეს უნდა მომხდარიყო ხანის დინასტიის მმართველობის დროს (206-221 წწ.) [Кузьменко 1980:4], უმრავლესობა კი ტანის დინასტიის მმართველობის პერიოდს უკავშირებს (618-906 წწ) [Кречетова...1947:7; Гудименко 2005:178; Sharma 2012: 2–3; Vroom 2005:163]. მისი დამზადების ტექნოლოგია დიდი ხნის მანძილზე უცნობი იყო და მხოლოდ XVIII ს-ის დასაწყისში აღმოაჩინეს მეისენში (გერმანია) [Vroom 2005:163].

ფაიფურის ნაწარმი მრავალგვარი და მრავალფეროვანი იყო. დროთა განმავლობაში იხვეწებოდა როგორც ფორმები, ისე გაფორმების ტექნიკა და დეკორი. ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე ჩნდება სხვადასხვა ორნამენტებით გაფორმებული ფაიფური.

როგორც ფიქრობენ, თეთრ ფონზე ჭიქურქვეშ კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ფაიფური, პირველად ჩნდება XIV ს-ში იუანის დინასტიის დროს (1280-1368 წწ) [Кузьменко 1980:5; ბოკუჩავა 2010: 294]. ყველაზე ადრეულ თარიღად მიჩნეულია 1351 წელი [Carswell 1995:11; Frick 1993: 238]. თუმცა, არის ცნობები ამ ტიპის ფაიფურის ყველაზე ადრეული ნიმუშების ტანის დინასტიის (618-907 წწ) მმართველობის პერიოდში დამზადების შესახებაც [Siobhán 2009:10; Обухов... 2007:21]. თავდაპირველად კობალტი ჩინეთში არაბ და ირანელ ვაჭრებს შემოჰქონდათ ირანიდან და ძალიან ძვირად ფასობდა. იგი მუსლიმური საღებავის სახელწოდებით იყო ცნობილი. მართალია, ჩინეთს ჰქონდა კობალტის ოქსიდის საკუთარი რესურსიც, მაგრამ ირანული კობალტი თავისი ხარისხით ბევრად აღემატებოდა ჩინურს. დღეისათვის მკვლევარებს უჭირთ იმის დადგენა, თუ პირველად როდის მოხდა ირანული (ქაშანური) კობალტის შეტანა ჩინეთში, მაგრამ როგორც ფიქრობენ ეს უნდა მომხდარიყო იუანის მონღოლური დინასტიის მმართველობის დროს [Carswell 1995:11]. XIII ს-ში მონღოლთა იმპერიამ დაპყრობით გააერთიანა შორეული და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ხელი არ შეეწყო ამ უკანასკნელთა შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების გაცხოველებისათვის [მამაიაშვილი 1976: 63]. მინის დინასტიის პერიოდში (1368-1644 წწ) აზრებულის სავაჭრო გზის მეშვეობით უკვე აქტიურად მიმდინარეობს ირანთან ვაჭრობა და კობალტის

ოქსიდის გავრცელება. მოგვიანებით ჩინელებმა ირანის ქაშანურ კობალტზე უარი თქვეს და საკუთარის გამოყენება დაიწყეს. ადგილობრივი, ჩინური კობალტი რამდენიმე რეგიონში მოიპოვებოდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით, კი ცინდენჩენში, ამიტომაც „ლურჯი-თეთრი“ ფაიფურის წარმოების მთავარი ცენტრი XIV ს-დან ქ. ცინდენჩენი გახდა [Арапова 1977:7; Кузьменко 1980:4].

ამ ტიპის ფაიფურის განვითარების ოქროს ხანა მინის დინასტიის მმართველობის პერიოდს (1368-1644 წწ) განეკუთვნება. 1369 წლიდან მინის დინასტიის დამაარსებელმა ჰონგ ვუმ ქ. ცინდენჩენიდან წარმოების ცენტრი საიმპერატორო კარზე გადაიტანა და ფაიფურის წარმოებაზე მკაცრი კონტროლი დააწესა. საიმპერატორო კარი აქტიურად უჭერდა მხარს „ლურჯი-თეთრი“ ფაიფურის წარმოებას, ფორმების სრულყოფასა და განვითარებას [Sugimura 2000:41; Гусач 2011: 394]. იგი გახდა ძალიან პოპულარული პროდუქტი, როგორც ჩინეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ჩინეთის საექსპორტო ნაწარმის დიდი ნაწილი სწორედ ლურჯად მოხატული ფაიფურისაგან შედგებოდა. მინის დინასტიის „ლურჯი-თეთრი“ ფაიფური იყო სწორედ პირველი ჩინური ფაიფურის ნაწარმი, რომელიც ექსპორტირებული იყო ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტის მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი XVI ს-დან, როდესაც გაიხსნა საზღვაო გზა ევროპასა და ჩინეთს შორის [Арапова 1977:7; Кречетова...1947:9; Кузьменко 1980:5; Стужина 1970: 62; Гусач 2011: 394].

მინის ეპოქიდან ჩინელებმა დაიწყეს ფაიფურის მარკირება. როგორც წესი, მარკა ექვსი იეროგლიფით გამოისახებოდა. მარკაში მოცემული იყო დინასტიის დასახელება და მმართველი დინასტიის დევიზი. ადრეულ და შუა მინის (1368-1521 წწ) ხანაში ამ ექვს იეროგლიფს ორმაგ წრეში სვამდნენ [ბოკუჩავა 2010: 295; Гусач 2011: 400]. ამ პერიოდით ვათარიღებთ გონიოში აღმოჩენილ ფაიფურის ფინჯანს (გ.ა.05/22.), რომლის ძირზე გარე მხრიდან ცისფერ წრეში ჩასმული 6 ჩინური იეროგლიფია გამოსახული (ტაბ.IX/8; ტაბ.XXXIX/12). გაფორმების ტექნიკით ეს ფინჯანი, რამდენიმე ფინჯანთან ერთად II ჯგუფში გავაერთიანეთ. მართალია, ასევე ექვსნიშნა დამლაა დამახასიათებელი, გვიანი მინის ხანისათვის (1522-1644 წწ), მაგრამ იგი უკვე აღარ არის წრეში ჩასმული. მარკა ყოველთვის ჭიქურს ქვეშ კობალტით

იწერებოდა. ცინის დინასტიის მმართველობის დასაწყისში (1644-1911 წწ) მარკირებული ფაიფური შედარებით ნაკლებად მზადდებოდა. ამის მიზეზი 1667 წლის ბრძანებულება იყო, რომლის ძალითაც კერძო საწარმოებს თავიანთ ნაწარმზე მმართველი იმპერატორის დევიზის ამსახველი მარკის გამოსახვა აეკრძალათ. ამიტომ, კერძო საწარმოები ჭურჭლის ძირზე მარკის ნაცვლად უფრო ხშირად ათასფურცელას ფოთოლს ან რომბს გამოსახავდნენ [ბოკუჩავა 2010: 295; Гусац 2011: 400]. ამ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ I ჯგუფში გაერთიანებული ფინჯნის ძირი (გ.ა.95/298), რომელზეც გარე მხრიდან რომბისებრი მარკაა დატანილი, ხოლო შიდაპირზე მოხატულია წვრილი მრავალფურცელა ყვავილი (ტაბ.XXXIX/10). გეომეტრიული ორნამენტია მოცემული კიდევ ერთი ფინჯნის ძირზე (გ.ა.2015/1123), ცისფერი საღებავით გავლებულ სხივს, ირგვლივ შემოუყვება სპირალურად დახვეული ზოლი. ორნამენტი ჩასმულია ორ ცისფერ წრიულ ზოლში, შიდაპირზე მოხატულია მრავალფურცელა ყვავილი და ფოთლები (ტაბ.XXXIX/9).

XVI ს-ის დასასრულიდან XVIII ს-ის პირველ ნახევრამდე ფაიფურზე ისეთი მარკებიც გვხვდება, რომლებიც კეთილი სურვილების გამომხატველი შინაარსის მქონე წარწერებითაა დამშვენებული. ზოგჯერ მარკა ინფორმაციას იძლეოდა ნივთის დანიშნულების შესახებ, აგრეთვე იმ ადგილისა და სახელოსნოს შესახებ, სადაც ნივთი იყო დამზადებული, მაგრამ ფაიფურის დამამზადებელი ხელოსნის სახელი მარკაში ძალიან იშვიათად იყო ასახული. მარკებს ცინის პერიოდშიც ხშირად მინის იმპერატორების დევიზით გამოსახავდნენ და უფრო ხშირად იეროგლიფებისაგან იყო შედგენილი, რომლებიც წინა ეპოქების იმიტაციას წარმოადგენდა. თუმცა მათგან განსხვავებით იეროგლიფების ხარისხი ცუდი იყო და ზოგჯერ ძნელად წასაკითხიც კი [Виноградова 1962: 42; Hobson 1923: 24].

მინის დინასტიის მართველობის ბოლოს ჩინეთში განვითარებული საბრძოლო მოჭმედებების გამო ფაიფურის წარმოება დაეცა და ხარისხი გაფუჭდა. კერამიკის ოსტატებმა დატოვეს ჩინდენჩუნენი და სხვაგან გადასახლდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ მცირდება ფაიფურზე მოთხოვნაც. მართალია ფაიფური იყო სასურველი პროდუქტი, მაგრამ ძვირი ღირდა და არ იყო ხელმისაწვდომი მოსახლეობის ფართო მასებისათვის. ამიტომ, ჩინური ფაიფურის იმიტაციამ აღმოსავლეთის ქვეყნებში

დააკმაყოფილა ევროპის და მახლობელი აღმოსავლეთის მოთხოვნა ფაიფურზე. მხოლოდ ცინის დინასტიის დროს (1644-1911 წწ) პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დალაგების შემდეგ განახლდა ფაიფურის წარმოება და ჩინურმა ფაიფურმა თანდათან XVII-XVIII სს-ში მიაღწია მინის ეპოქის ფაიფურის ხარისხს, უფრო მეტიც განვითარების უმაღლეს დონეს. იმპერატორ კანსის (1662-1722 წწ) მმართველობის წლებში იწყება ახალი ეტაპი ფაიფურის წარმოებაში, რომელიც გაგრძელდა იუნჩენის მართველობის დროსაც (1723-1735 წწ). კერამიკის ოსტატებმა ერთი მხრივ შეინარჩუნეს წინა პერიოდის მიღწევები (ტანის, სუნის და მინის დინასტიის დროინდელი), ხოლო მეორე მხრივ განავითარეს ახალი ტექნიკა და ორნამენტული მოტივები. ამ პერიოდიდან ფაიფურის ნაწარმზე მოთხოვნა კვლავ იზრდება.

XVII ს-დან სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ევროპის ქვეყნებს შორის და მაღალმა მოთხოვნამ ფაიფურის ნაწარმზე გამოიწვია წარმოების დახვეწა, ფორმების კიდევ უფრო სრულყოფა და განვითარება. მასში ევროპულ ბაზრებზე გულუხვად იხდიდნენ თანხას, ეს კი სტიმული იყო კერამიკის ხელოსნებისათვის მაღალი ხარისხის საექსპორტო ფაიფურის დასამზადებლად [Арапова 1977:23; Кузьменко 1980:6; Стужина 1970:63; Гусач 2011:396]. ამ პერიოდში ფაიფურით ვაჭრობის მნიშვნელოვან საერთაშორისო-სატრანზიტო ცენტრს წარმოადგენდა სამხრეთ ჩინეთის საპორტო ქალაქი კანტონი (გუანდუნის პროვინცია).

1680-1690 წლებში ჩინური ფაიფურით ვაჭრობამ გამოიწვია ნამდვილი მსოფლიო სენსაცია. ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი და ჰოლანდიელი ვაჭრები ჩინეთიდან ყიდულობდნენ ფაიფურის იმდენად დიდ ნაწარმს, რომ მალე დასავლეთ ევროპის ქვეყნების კოლექციებში ჩინურმა ფაიფურმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა [Гусач 2011: 396; Beurdeley 1974: 30; Jörg 1997: 89].

ფაიფურის ოსტატები ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ მუსულმანურ ქვეყნებსაც და ფაიფურის დამზადებისას ითვალისწინებდნენ ასევე მათ მოთხოვნასა და გემოვნებასაც. ხშირად ეს ახალი „ლურჯი-თეთრი“ ფაიფური მზადდებოდა სპეციალურად ისლამური სტილით, რადგან ექსპორტირებული

ყოფილიყო ახლო აღმოსავლეთში [Watson 2004: 61]. ამდროინდელი ჩინური ფაიფური არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია სამარაში (ერაყი), ნიმაბურში (ირანი), ჰამაში (სირია), იზნიკში, ბითლისის ციხეზე (თურქეთი), აფეასიაში (უზბეკეთი), ნისაში (თურქმენეთი), ოთარაში (ყაზახეთი) და სხვ. [Sugimura 2000:41; Baş 2012: 149]. ირანში მისი გავრცელება ჯერ კიდევ XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ში იწყება, ხოლო XVI ს-დან მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ვრცელდება თურქეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც სელიმ I-მა 1514 წელს დაამარცხა ირანი და 1516-1517 წლებში წარმატებით დაამთავრა აღმოსავლური ლაშქრობა [Fehérvári 1973: 150; Findik 2014: 55-67]. XVII ს-დან კი, ფაიფურის ნაწარმი უკვე აქტიურად ვრცელდება. იცოდნენ რა, თურქების მიდრეკილება ყავის მოხმარებისადმი, სპეციალურად მათთვის ამზადებდნენ პატარა ზომის ფაიფურის ყავის ფინჯნებს და თასებს [Pope 1952: 22-23].

როგორც ზემოთ აღინიშნა „ლურჯი-თეთრი“ ფაიფური, დიდი რაოდენობით იწარმოებოდა, როგორც მინის (1368-1644 წწ), ისე ცინის (1644-1911 წწ) დინასტიის მმართველობის დროს. მიუხედავად ამისა, მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან არცთუ ისე ძნელია, რადგან ორივე პერიოდში დამზადებულ ფაიფურს გააჩნია თავისი მახასიათებლები, კერძოდ ცინის პერიოდში დამზადებულ ფაიფურზე: 1. ჭურჭლის ზედაპირზე ორნამენტი უფრო მეტად წარმოდგენილია წვრილი მცენარეული მოტივებით. 2. ორნამენტის მოხატვა თავისუფალია და არ არის დამოკიდებული ჭურჭლის ფორმებზე. 3. ორნამენტის მოხატვისას კობალტის ორგვარი საღებავია გამოყენებული ღია-ცისფერი და მუქი-ლურჯი. 4. ნახატის კონტურები შედგება წვრილი სხვადასხვა ხაზებისაგან, ხოლო ჭიქური გამჭვირვალეა, უფერო, თხელი და კარგი ხარისხის [Гусац 2011: 397].

როგორც უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფენ, „ლურჯი-თეთრი“ ფაიფური ყველაზე ხშირად იმ ადგილებში გვხვდება, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში იყო. მსგავსი დეკორის ფაიფურის ჭურჭელი აღმოჩენილია უნგრეთის ციხესიმაგრეებისა და ქალაქების: ეგერის, კანიზსას, სზოლნოკის, ბუდას, გიულას და სხვ. XVI ს-ის ბოლო და XVII

ს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენებში. შარმ-ელ-შეიხში, წითელი ზღვის სანაპიროზე XVIII ს-ის თურქულ ჩიბუხებთან და წითელკეციან კერამიკასთან ერთად. აზაკში თურქული ციხესიმაგრის XVII ს-ის ბოლო და XVIII ს-ის დასაწყისის კულტურულ ფენებში [Гуцау 2011: 398; Szalai 2013: 159-172], ბალაკლაგაში XVII ს-ის თურქულ მასალებთან ერთად [Karasiewicz-Szczypiorski...2012: 173-182] და ა.შ.

„ლურჯი-თეთრი“ ფაიფურის გარკვეული რაოდენობა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებშიც [ბოკუჩავა 2010: 292-305]. აქ დაცული ზოგიერთი ნიმუშები გონიოს ციხის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიფურის ნაწარმის მსგავსია.

XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში ფაიფურის ნაკეთობების გასაფორმებლად კობალტის ლურჯ საღებავთან ერთად, დაიწყეს სხვადასხვა ფერის საღებავის გამოყენებაც, მზადდება პოლიქრომული დეკორით შემკული ნაწარმი [Гуцау 2011: 394]. მსგავსი ტიპის ფაიფურის რამოდენიმე ფრაგმენტი გონიოს ციხის ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი. ამ ტიპის ფაიფური III ჯგუფში გავაერთიანეთ.

ერთ-ერთი მათგანის შიდაპირზე ცენტრში წითელი საღებავით მოხატულია ყვავილი (გ.ა.96/1406). გარე კალთა კი გაფორმებულია ლურჯი, წითელი, ყვითელი და ღია-მწვანე საღებავებით. კალთის ცენტრალური ნაწილიდან ქუსლისაკენ ტალღისებურად შემოუყვება ნახევარმთვარისებური ლურჯი ფერის ფართო ზოლები, ხოლო ზედა ნაწილში გამოსახულია გვირილები, რომელთა კონტურები წითელი ფერისაა, ფოთლები ღია-მწვანე, ბუტკო კი ყვითელი ფერის. პირის კიდეც შემოუყვება ერთი ცისფერი ზოლი და ღია-მწვანე ფერით ერთმანეთზე გადაბმული წვრილი მცენარეული ორნამენტი. ჭურჭლის ქვედა ნაწილში ქუსლისაკენ მოცემულია წითელი ფერის სამი პატარა ვერტიკალური რკალი და 3 წერტილი. გარე მხრიდან ძირზე ფრაგმენტულად შემორჩენილია მცენარეული ორნამენტი (ტაბ.IX/10. ტაბ.XL/1).

მეორე ფინჯნის გარე კალთაზე შემორჩენილია ლურჯი საღებავით მოხატული მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტები (გ.ა.98/5218₁). შიდაპირზე ორ

ღია-ცისფერ წრიულ ზოლში ჩასმულია ლურჯი საღებავით მოხატული მცენარე, რომლის ფოთლები ალაგ-ალაგ გაფორმებულია მოწითალო ფერის საღებავით. მცენარის ერთ-ერთ ტოტზე შემომჯდარია ფრინველი, რომელიც ასევე ლურჯი საღებავითაა მოხატული (ტაბ.XL/4).

ერთ-ერთი ფინჯნის შიდაპირზე ცენტრში მოცემულია ცისფერ წრეში ჩასმული მბრუნავი ორნამენტი (გ.ა.89/254), ლურჯი და მარჯნისფერი საღებავებით მოხატულია 6 ურთიერთმონაცვლე სამკუთხედი. ლურჯი და მარჯნისფერი საღებავით გაფორმებული ყოფილა გარე კალთაც, მცენარეული ორნამენტი ფრაგმენტულობის გამო არ იკითხება (ტაბ.XL/3).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება კიდევ ერთი ფინჯანი (გ.ა.95/2856). განსხვავებით სხვა ფინჯნებისაგან, იგი შედარებით პატარაა, მინიატურული ფინჯნის შიდა მხარე სადაა, გარე კალთა კი მოხატული ყოფილა შავი, მარჯნისფერი და ღია-მწვანე ფერის საღებავებით. მცენარეული ორნამენტი მოხატულია მარჯნისფერი საღებავით, ხოლო ღია-მწვანე და შავი გამოყენებულია დამხმარე ფერად. ფრაგმენტულობის გამო არ ჩანს მცენარეული ორნამენტის სახე (ტაბ.IX/11. ტაბ.XL/2).

ფაიფურის ფინჯნებს შორის ცალკე გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომელთა გაფორმებაში წამყვან ადგილს იჭერს ყავისფერი საღებავი. ამ ტიპის ფინჯნებს ვაერთიანებთ IV ჯგუფში და გაფორმების მიხედვით შეიძლება დავყოთ ორ ქვეჯგუფად: ა) ფინჯნები რომელთა შიდაპირი თეთრ ფონზე გამჭვირვალე კრიალა ჭიქურის ქვეშ კობალტის ლურჯი საღებავითაა მოხატული სხვადასხვა სახის მცენარეული ორნამენტებით, ხოლო გარე კალთა დაფარულია ყავისფერი საღებავით. ამ ქვეჯგუფის ფინჯნებში ყავისფერის ორგვარი შეფერილობაა გამოყენებული: მუქი და შედარებით ღია-ყავისფერი (ტაბ.IX/12; ტაბ.XL/5-11) და ბ) ფინჯნები რომელთა ზედაპირი ორივე მხრიდან მთლიანად ყავისფერი საღებავითაა მოხატული (ტაბ.IX/13; ტაბ.XL/12).

მსგავსი დეკორით ფაიფურის მოხატვა პოპულარული გახდა XVII ს-ის ბოლოდან იმპერატორ კანსის მმართველობის დროს (1662-1722 წწ). ამ ტიპის ფაიფური XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში დიდი მოწონებით სარგებლობდა ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და ამერიკაში, თუმცა

პოპულარობა დიდი ხანი არ გაგრძელდა. იმპერატორმა კანსიმ მისი მმართველობის ბოლო ხანებში XVIII ს-ის I მეოთხედში აკრძალა და მთლიანად გააქრო ბაზრებიდან ფაიფურის ჭურჭლის ზედაპირის ყავისფერი საღებავით მოხატვა [Гыча 2011: 398].

ყავისფერი საღებავით გაფორმებული ყავის ფინჯნები და თასები პოპულარობით სარგებლობდა ოსმალეთის იმპერიაშიც. თურქები ფართოდ მოიხმარდნენ მსგავსი დეკორით გაფორმებულ ნაწარმს. ამ ტიპის ფინჯნები მრავლად არის აღმოჩენილი სტამბოლში, სარაჩანის XVII ს-ის კულტურულ ფენებში. XVII ს-ის ბოლო და XVIII ს-ის დასაწყისით დათარიღებულ უნგრეთის ციხესიმაგრეების კულტურულ ფენებში: ონდოში, სზენდროში და სხვ. ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, აზაკისა და ბალაკლავას ციხეების ამავე პერიოდის ფენებში [Гыча 2011: 398; Karasiewicz-Szczypiorski...2012: 173-182].

აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი დეკორის ფაიფურის ფინჯნებს 1720-1775 წლებში აწარმოებდა მეისენიც (გერმანია). XVIII ს-ის ბოლოდან და XIX ს-ის მანძილზე ევროპაში ფაიფურის მწარმოებლები, ჩინური სტილის ფაიფურის პროდუქციას და მათ შორის ყავის ფინჯნებს, აქტიურად ყიდნენ თურქულ ბაზრებზე. ამ დროს ოსმალეთის იმპერიას შესანიშნავი ურთიერთობები აკავშირებდა გერმანიასთან. XVIII ს-ში მათი წარმოების დიდი წილი, სწორედ გერმანიაში ე. მეისენში დამზადებულ ფინჯნებზე მოდიოდა [www.academia.edu/AnnadeVincenz:74]. ყავისფერი საღებავით მოხატული ფაიფურის ფინჯნები აღმოჩენილია ისრაელში ე. იაფას ოსმალური პერიოდის მასალებში, რომლებიც დათარიღებულია XVIII ს-ით და მეისენის საწარმოო ცენტრით არის განსაზღვრული [www.academia.edu/AnnadeVincenz:71].

გაფორმების ტექნიკითა და დეკორით IV ჯგუფში ერთიანდება ყავის ფინჯნების რამდენიმე ნატეხიც (გ.ა.95/279,2369). მათი შიდაპირი გაფორმებულია კობალტის ლურჯი საღებავით შესრულებული ტრადიციული ჩინური მოტივებით, ხოლო გარე კალთა დაფარულია მუქი ყავისფერი საღებავით (ტაბ.XL/13-14). კეცის მიხედვით აღნიშნული ფინჯნები მკვეთრად განსხვავებულია. მათი კეცი უხარისხოა, შედარებით უხეში და წარმოადგენს შუალედურ რგოლს ფაიფურსა და ფაიანსის კეცს

შორის. აშკარაა, რომ ფინჯნები დამზადებულია ჩინეთის სხვა საწარმოო ცენტრში, რომელიც როგორც ჩანს არ გამოირჩეოდა ხარისხიანი პროდუქციის დამზადებით. სადღეისოდ საწარმოო ცენტრის გარკვევა ჭირს, თუმცა როგორც სხვა მსგავსი დეკორით შემკული ფინჯნები ისინიც XVII ს-ის ბოლოთი და XVIII ს-ით უნდა დათარიღდეს.

ვფიქრობთ, გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიფური შემოტანილია ოსმალთა ჯარისკაცების მიერ და ემსახურებოდა მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იგი არ წარმოადგენდა სავაჭრო-საექსპორტო საგანს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ფაიფურის ნაწარმი არც თუ ისე მრავალრიცხოვანია და უმრავლესობა ფინჯნის ტიპს განეკუთვნება. გარდა ამისა, აღმოჩენილია თურქეთის საწარმოო ცენტრებში იზნიკსა და ქუთაიაში დამზადებულ ფაიფურის ნაწარმთან ერთად. მსგავსი სურათი გვაქვს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების მიხედვითაც. როგორც, „ლურჯი-თეთრი“, ასევე პოლიქრომული და ყავისფერი საღებავით მოხატული ფაიფური ყველაზე ხშირად იმ ადგილებში გვხვდება, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში იყო. ჩინური ფაიფური დიდი პოპულარობით სარგებლობდა ოსმალეთის იმპერიაში და საკმაოდ მოთხოვნად პროდუქტსაც წარმოადგენდა მოსახლეობის მაღალ ფენებში. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთრივ ოსმალეთის იმპერიაში ფაიფურის წარმოება, პირველად მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს იწყება, კერძოდ 1845 წელს როდესაც სულთან აბდულ მეჯიდის დროს (1839-1861 წწ) სამხედრო მინისტრმა ახმედ ფეთჰი ფაშამ სხვადასხვა ადგილებში მცხოვრები ხელოსნები ერთად შეკრიბა და ქარხანა დაარსა [Kamuran 2007: 38; Ateş 1983: 3]. მხოლოდ ამის შემდეგ კლებულობს თანდათან ჩინური და ევროპული ფაიფურის ექსპორტი ოსმალეთის იმპერიაში, თუმცა მათი შეტანა გარკვეული რაოდენობით კვლავ გრძელდებოდა.

ფაიფურის ფინჯნებთან ერთად აღმოჩნდა მინის სხვადასხვა ჭურჭლის ორი ნატეხი, ამიტომ მათ ფაიფურთან ერთად განვიხილავთ. ერთ-ერთი მათგანი სადა, უორნამენტო მოზრდილი ზომის სქელკედლიანი ფინჯანია (გ.ა.99/5867). ახასიათებს დაბალი რგოლისებური ქუსლი. კონუსურად შეზნექილ ძირზე გარე მხრიდან ჰქონია

გამჭირვალე მინის ფეხი (ტაბ.IX/1; ტაბ.XXXIX/1). მინის ნაწარმს განეკუთვნება დოქის ყელის ნატეხიც (გ.ა.89/257). ფრაგმენტულობის გამო მასზე საუბარი ჭირს. დოქიც სადაა, უორნამენტო.

აღმოჩენის ადგილის მიხედვით აღნიშნული ნაკეთობანიც შეიძლება XVII-XVIII სს-ით დათარიღდეს.

§ 2. ფაიანსი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე, გონიოს, პეტრას, ბათუმის, ზენდიდისა და ხიხანის ციხეებზე გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მონაპოვრებში გვხვდება ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში - იზნიკსა და ქუთაჰიაში დამზადებული ფაიანსის ნაწარმიც. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა აღმოჩენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ფაიანსი თეთრი, ნასვრეტოვანი კეცის მქონე მოჭიქულ ნაწარმს აღნიშნავს და ამ ტიპის კერამიკის სახელწოდება იტალიის ქალაქ ფაენცადან (ფრანგ. faïence) მომდინარეობს, რომელიც XVI ს-ის დასაწყისში კერამიკული წარმოების ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი იყო [მამაიაშვილი 1976: 5]. კერამიკული ნაწარმის ეს სახეობა ცნობილი ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და შუამდინარეთში იყო, მაგრამ წარმოება რამდენიმე საუკუნის გასვლის შემდეგ უკვალოდ გაქრა და ხელმეორედ VIII-IX სს-ის ირანში (ხორასანში) ჩნდება [Галенко 2005: 497].

გვიან შუა საუკუნეებში, XV ს-ის ბოლოსა და XVI ს-ის დასაწყისში ფაიანსის წარმოება ჩინური ფაიფურის მიბაძვით იწყება. თავისი მრავალფეროვანი და მდიდარი დეკორაციების გამო, ფაიფური საკმაოდ ძვირი ღირდა, მისი დამზადების ტექნოლოგია, კი საუკუნეების მანძილზე უცნობი იყო. ამიტომ, მზადდება თეთრ ფონზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ფაიანსის ნაწარმი, რომელიც ძალიან გავდა მინის დინასტიის პერიოდის (1368-1644 წწ) ჩინურ ფაიფურს, თუმცა ხარისხით ჩამოუარდებოდა [Skartsis 2009: 224; Akşin 1987:336; Ersoy 2008:40; Kamuran 2007:28; Bakir 2007: 279; Carroll: 2002:171]. სხვადასხვა ქვეყნის და მათ შორის ოსმალეთის იმპერიის ხელოსნებიც ცდილობდნენ ისეთი ნაწარმი შეექმნათ, რომელიც ახლოს იქნებოდა ფაიფურთან.

ოსმალური კერამიკა XII-XIII სს-დან მოყოლებული ითვისებდა აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან (სირია, ირანი, ჩინეთი) გარკვეულ ელემენტებსა და მოტივებს, საბოლოოდ კი XVI-XVII სს-ში მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს. ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი ცენტრი ამ დროისათვის იყო ქ. იზნიკი (ძველი ნიკუა) [Гуцач 2005: 476]. იზნიკური კერამიკა ჯამები, თევზები, დოქები და ა.შ. საკმაოდ ცნობილი იყო არამარტო ოსმალეთის იმპერიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აღსანიშნავია, რომ იზნიკში კერამიკის წარმოების დაწყებაზე დიდი გავლენა მოახდინა ირანიდან გადმოსახლებულმა ხელოსნებმა. ჩალდირანის ბრძოლაში (1514 წ), ირანელების დამარცხების შემდეგ ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა აიღო ირანის სატახტო ქალაქი თავრიზი და მის ხელთ აღმოჩნდა თავრიზის სასახლის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კერამიკული ნაწარმი. სულთნის ბრძანებით ასობით ირანელი ხელოსანი გადაასახლეს სტამბოლში, იზნიკში, ქუთაისსა და თურქეთის სხვადასხვა ცენტრებში, რათა თურქულ კერამიკულ ხელოვნებას მიეღწია იმ სიმაღლისათვის და ყოფილიყო ისეთი განვითარებული და მაღალხარისხოვანი, როგორც იყო ეს იმ პერიოდის ირანში [Мишлер 1965:44; Aliyeva 1994:13-18]. ხელოსნების მუშაობა რეგულირდებოდა სულთნის სპეციალური ბრძანებებით (ჭურჭლის ფერი, ზომა, ფორმა და ა.შ.), რის შედეგადაც, ოსმალურმა კერამიკამ განავითარა ახალი სტილი, დაიხვეწა ფორმები, ტექნიკა და დეკორი, რამაც ოსმალური ფაიანსის ნაწარმი იმდროინდელ მსოფლიოში ძალიან ცნობილი გახადა. XVII ს-ის დასაწყისში როდესაც სასახლის მხარდაჭერა შემცირდა, კერამიკის ფორმებმა მიიღო უფრო ეკონომიკური ხასიათი. მართალია ფორმა და ტიპი უცვლელი დარჩა, მაგრამ მზადდება შედარებით უხარისხო ნიმუშები [Erkmen 2009: 120; Kamuran 2007:27].

ამდენად, ოსმალური თეთრკეციანი კერამიკის განვითარების პირველი ეტაპი სასახლის კარის მხარდაჭერით განვითარდა და ძირითადად ემსახურებოდა საზოგადოების მაღალი ფენის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას [Pala 2006: 315]. მიუხედავად იმისა, რომ კერამიკის წარმოებას უნდა გაეარა შესაბამისი პროცედურები, იგი სასახლის გარეთაც გავრცელდა საშუალო და დაბალი ფენის

მოსახლეობაში, რადგან მდიდარი საზოგადოებისთვის განკუთვნილი ეს პროდუქტი აქტიურად იყიდებოდა ბაზარზე [Kamuran 2007: 27].

დღეისათვის ნათლად არის გარკვეული ის მიზეზები, თუ რატომ გახდა ოსმალეთის იმპერიის მთავარი საწარმოო ცენტრი იზნიკი. სპარსეთიდან გადმოსახლებული ხელოსნები, იზნიკის გარდა ხომ ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში და მათ შორის სტამბულშიც მოღვაწეობდნენ. მკვლევარები ამ ფაქტს ხსნიან იმით, რომ: 1. იზნიკში ჯერ კიდევ ბიზანტიის დროიდან მოკიდებული არსებობდა კერამიკული წარმოების ტრადიცია; 2. თიხის მდიდარი საბადოები იზნიკის ირგვლივ და 3. ქალაქზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები [François 1996: 232].

ფერებისა და მხატვრული გაფორმების მიხედვით მკვლევარები გამოყოფენ იზნიკური კერამიკის განვითარების სამ ძირითად პერიოდს: იზნიკი I (აბრაჰამის ქუთჰაია - 1480/90-1525/30 წწ), ლურჯი საღებავით თეთრ ფონზე გაფორმებული ნიმუშები. იზნიკი II (დამასკოს სტილი - 1525/1530-1555 წწ), ლურჯ საღებავთან ერთად ჩნდება სხვადასხვა ფერები. იზნიკი III (როდოსის სტილი - 1555-1700 წწ). პოლიქრომული კერამიკა გაფორმებული წითელი, მწვანე, ცისფერი და ლურჯი საღებავებით, რომელთაც შემოვლებული აქვთ შავი კონტურები და წამყვან ფერს წარმოადგენს წითელი.

იზნიკური კერამიკის ცნობილი მკვლევარის ჰეისის დასკვნით, როდესაც ახალი ფერი ჩნდება, ეს ახალი ფაზის დასაწყისია, მაგრამ ძველი ფერებიც მთლიანად არასდროს არ ქრება და განაგრძობენ არსებობას [Hayes 1992:244-256]. იმის გამო, რომ რთულია და ხშირად ვერ ხერხდება ქრონოლოგიურად გამიჯვნა თუ ზუსტად როდის იწყება ამა თუ იმ ფერის გამოყენება, ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია იზნიკური კერამიკის მხოლოდ ორ ნაწილად დაყოფაც: ადრეულ იზნიკურ კერამიკად (1490-1555 წწ) და გვიან იზნიკურ კერამიკად (1555-1700 წწ) [Féhevári 1973:145].

იზნიკი I-ის კერამიკა მოხატულია თეთრ ფონზე, გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ კობალტის ლურჯი საღებავით. ამასთან კობალტის ორი შეფერილობა გამოყენებული, ღია ძირითადად ნახატისათვის და მუქი - კონტურებისათვის.

დეკორაციაში ძირითადი ადგილი დაიკავა ყვავილოვანმა მოტივებმა [Миллер 1965: 40]. ამ ადრეული ტიპის იზნიკური კერამიკის ძირითადი წამყვანი მოტივი იყო უმეტესწილად ლოტოსის ყვავილის გამოსახვა, რომელსაც თურქულად „ხატაი“-ის უწოდებდნენ [Carswell 1998:82; Ersoy 2008:41; Skartsis 2009:217; Bakir 2007:279; Carroll: 2002:171]. იზნიკი I თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც ქუთაჰიის კერამიკის აბრაჰამის სტილი და თვლიდნენ, რომ ქ. ქუთაჰიაში იყო წარმოებული რადგანაც ინგლისში გოლდმანის იზნიკური კერამიკის კოლექციაში ნაპოვნ რამდენიმე ფორმას ქონდა სომხური წარწერა „1510 აბრაჰამის ქუთაჰია“, თუმცა ქ. იზნიკში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა მათი იზნიკში წარმოება [Aslanapa 1965 ა:16-31; 1969: 62-73; 1971; 1984; Altun...1996: 515-529; Altun 2007: 309-325].

იზნიკი I-ის კერამიკა გონიოს ციხის ტერიტორიაზე წარმოდგენილია, თეფშების, ჯამებისა და დოქების სახით.

თეფშებს აქვთ ფართოდ გადაშლილი პირი, ზემოთ აწეული პირბაკო და არათანაბრად დაშვებული კალთა (გ.ა.95/308; გ.ა.2001/42,132,133;196; გ.ა.02/2284; გ.ა.2015/1107,1153). შიდაპირზე თეთრ ფონზე მოხატულია მრავალფურცელა ყვავილი კონტურები მუქი-ლურჯი ფერისაა, ხოლო ნახატი ლურჯი. სხვადასხვა სახის მცენარეული დეკორით გაფორმებულია გარე კალთაც. აქვთ დაბალი, წრიული ფორმის ქუსლი და ბრტყელი ძირი (ტაბ.IX/14; ტაბ.XLI/1-4).

ჯამები ძირითადად წარმოდგენილია ძირ-ქუსლისა და კედლის ნატეხებით (გ.ა.99/663; გ.ა.2000/820; გ.ა.2014/38). ახასიათებთ ოდნავ მაღალი ქუსლი. ზოგიერთი მათგანის კალთის გარე ზედაპირზე კობალტის ლურჯი საღებავით მრავალფურცელა ყვავილია მოხატული, ხოლო შიდაპირი სადაა უორნამენტო. გადავლებული აქვთ კრიალა ფერის ჭიქური. ერთ-ერთი ჯამის (გ.ა.2014/38) შიდაპირი დაფარულია ღია-მწვანე ჭიქურით, ხოლო ქუსლისა და კალთის შეერთების ადგილი გაფორმებულია ურთიერთგადამკვეთი ტალღისებური ორნამენტით, რომელსაც ქუსლთან ახლოს შემოუყვება ორი ლურჯი წრიული ზოლი (ტაბ.XLI/6). ანალოგიური დეკორითაა გაფორმებული კიდევ ერთი ჯამის ძირი (გ.ა.99/663). ტალღისებური ორნამენტი მოცემულია ქუსლზე და კალთის ქუსლთან შეერთების არეში, ორნამენტს ქუსლთან

შემოუყვება ორი, ხოლო ზემოთ, კალთის მხარეს ერთი წრიული ზოლი, რომელზეც მოხატულია სამკუთხედისებური ფიგურები (ტაბ.XLI/5). ერთ-ერთი თეფშის შიდაპირზე ლურჯი საღებავით მოხატულია სუმბული და მრავალფურცელა ყვავილი (გ.ა.99/327). ლურჯი საღებავით მოხატული ყოფილა გარე კალთაც. ახასიათებს ბრტყელი ძირი და მაღალი, გამოყვანილი, რგოლისებური ქუსლი. ქუსლისა და კალთის შეერთების არეში შემოუყვება ორი ლურჯი ფართო წრიული ზოლი. (ტაბ.XLI/7).

იზნიკი - I კერამიკაში საინტერესო ჯგუფს ქმნის „ჰალიჩის სტილის“ („ოქროს რქის“ სტილი) ნაწარმი. ამ ტიპის კერამიკის დიზაინი შედგება პატარა ყვავილებისა და სუროს მსგავსი სპირალებისაგან. თავდაპირველად ფიქრობდნენ, მსგავსი დეკორით გაფორმებული ნაწარმი მზადდებოდა სტამბოლში „ოქროს რქის“ სანაპიროზე („Golden horn“), და აქედან გამომდინარე კერამიკასაც ეს სახელი ეწოდა. მაგრამ იზნიკში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დამტკიცდა მათი იზნიკში წარმოება [Ersoy 2008: 41].

„ჰალიჩის სტილითა“ გაფორმებული გონიოში აღმოჩენილი ერთ-ერთი ჯამის ძირი (გ.ა.2000/820). შიდა კალთის ზედაპირი და ქუსლი მოხატულია წვრილი მცენარეული, სუროსებური ერთმანეთში გადახლართული ორნამენტებით. ორნამენტი ჩასმულია ცისფერ ფართო წრიულ ზოლში (ტაბ.XLI/8). „ჰალიჩის სტილს“ მიეკუთვნება ასევე ორი სხვადასხვა უნომრო თეფშის პირ-კედლის ნატეხებიც.

იზნიკი I-ის ჯგუფში ერთიანდება ფიალის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.2014/273). ახასიათებს ნახევარსფეროსებური კალთა და მომრგვალებული პირ-ბაკო. შიდა მხრიდან პირ-ბაკოს შემოუყვება ლურჯი ზოლი. გარე კალთა მოხატულია კობალტის ლურჯი საღებავით. პირ-კალთის ზედა ნაწილში ფართო ლურჯ ზოლებში ორ რიგად ჩასმულია ლურჯი ტალღისებური ორნამენტი. ორნამენტის შიდა სივრცეები თეთრია. კალთის ცენტრალურ არეში ასევე ლურჯი საღებავით მოხატულია მრავალფურცელა, გვირილას მსგავსი ყვავილი და შროშანი (ტაბ.IX/15; ტაბ.XLI/9).

გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ხუფის ერთი ნატეხიც (გ.ა.2014/537). შემორჩენილი აქვს მრგვალი სახელური, ზედაპირი გაფორმებულია

ოდნავ დახრილი ფართო ლურჯი ზოლებით, რომელთაც ირგვლივ შემოუყვება შავი კონტურები. ორნამენტი ჩასმულია ორ ვიწრო შავ ზოლში (ტაბ.IX/16; ტაბ.XLI/10).

იზნიკი I - ის კერამიკის შემდეგ ჯგუფს დოქები ქმნიან. წარმოდგენილია რამდენიმე ნატეხის სახით (გ.ა.96/69,2723; გ.ა.06/177; გ.ა.2011/69).

ერთ-ერთი მათგანი სქელკედლიანია (გ.ა.06/177), საშუალო ზომის. კედლის გარეპირი მოხატულია ცისფერი საღებავით. სექტორებად დაყოფილ ფართო პარალელურ ზოლებს შორის მოცემულია ყვავილოვანი ორნამენტი. აქვს მაღალი, გამოყვანილი, წრიული ფორმის ქუსლი (ტაბ.XLI/12). გარეპირზე ლურჯი საღებავითაა მოხატული მეორე დოქის პირ-ყელისა და კედლის ნატეხიც (გ.ა.96.2723). ორნამენტი დატანილია ყელისა და ტანის შეერთების ადგილზე, ორნამენტის სახე ფრაგმენტულობის გამო არ იკითხება (ტაბ.XLI/13). შედარებით პატარა ზომისაა მესამე ნატეხი (გ.ა.96.69). აქვს სწორი ოდნავ გარეთ გადახრილი პირი. პირისა და ყელის ადგილი პარალელურ ზოლებს შორის ცისფერი საღებავითაა მოხატული წვრილი მცენარეული ორნამენტით. ზედაპირი დაღარულია. აქვს სვეტისებური მრგვალგანიკვეთიანი ყური, რომელიც გაფორმებულია ორ ფართო ვერტიკალურ ზოლში ჩასმული სქელი ლურჯი საღებავით მოხატული ნახევრად ოვალური რკალებით (ტაბ.XLI/11).

თურქული კერამიკის ყველაზე შემოქმედებითი პერიოდი არის იზნიკი II (დამასკოს სტილი). ეს პერიოდი ითვლება იზნიკური კერამიკული ნაწარმის განვითარების უმაღლეს მწვერვალად. ამ ჯგუფის კერამიკა გვიჩვენებს უნიკალურ და ორიგინალურ თურქულ სტილს მხატვრულ გაფორმებაში. გამოირჩევა თავისი მდიდარი დეკორაციული ვარიაციებით და ფერებით. 1530 წლიდან თეთრ ფონზე ლურჯად გაფორმებულ ნიმუშებს დაემატა ფირუზისფერი, მწვანე, ზეთისხილისფერი, იისფერი და შავი - ძირითადად კონტურებისათვის [მამაიაშვილი 1976: 96; Ersoy 2008: 41]. კერამიკის გასაფორმებლად ჩნდება და მალე წამყვან ადგილს იკავებს: ვარდები, სუმბულები, ცხრატყავები, ქრიზანთემები, ყველაზე მეტად კი ტიტები და მიხაკები [Мишлер 1965: 40; Kirmizi 2004: 87; Carswell 1998: 82-83; Bakir 2007: 279-305; Altun 2007:309-325]. დამასკოს სტილი ამ ტიპის კერამიკას ეწოდა იმ ნიმუშების მიხედვით, რომელზეც გამოსახული იყო დამასკოს სხვადასხვა

ისტორიული ძეგლები. ამიტომაც ფიქრობდნენ, რომ ეს ნაწარმი აქედან იყო იმპორტირებული [Lane: 1957; Öney: 1976].

იზნიკი II-ის კერამიკა გონიოს ციხის ტერიტორიაზე წარმოდგენილია თეფშებისა და დოქების ძირ-კედლის ნატეხების სახით.

უმრავლესობას ქმნიან თეფშების ნატეხები (გ.ა.96/547; გ.ა.97/3781; გ.ა.99/327; გ.ა.05/128; გ.ა.2015/1163,1164,1190,1191,1453,1460). შედარებით კარგადაა დაცული ერთ-ერთი თეფში (გ.ა.05/128). ახასიათებს ფართოდ გაშლილი პირი, არათანაბრად დაშვებული კალთა, მრგვალი ოდნავ მომაღლო ქუსლი და ბრტყელი ძირი. შიდა და გარე კალთის ზედაპირი მწვანე, ცისფერი, ლურჯი, ზეთისხილისებრი და შავი საღებავებითაა მოხატული სხვადასხვა სახის მცენარეული მოტივებით. გარე კალთის ზედაპირზე ლურჯი საღებავით მოხატულია სამფურცელა ყვავილი, კონტურებისათვის გამოყენებულია მომწვანო-მოშავო ფერი. აქა-იქ დაღვენილია შავი ლაქები. პირისა და კალთის შეერთების ადგილზე შემოუყვება 3 ფართო პარალელური მომწვანო-მოშავო ზოლი, მსგავსი ზოლი გასდევს ქუსლისა და კალთის შეერთების არეშიც. შიდა მხრიდან პირის კიდეზე ორ მომწვანო-მოშავო ხაზს შორის მოხატულია ორი სხვადასხვა მცენარე. ერთ-ერთი მათგანი ზეთისხილისფერი საღებავითაა გაფორმებული, ხოლო მეორე ორფურცელა ყვავილი ლურჯი საღებავით. ნახატის კონტურები აქაც შავი საღებავითაა შესრულებული. ორნამენტი მოცემულია ჭურჭლის ძირზეც. გამოსახულია მრავალფურცელა ყვავილი, რომელიც გაფორმებულია ლურჯი და ზეთისხილისებრი ფერებით. ირგვლივ შემოუყვება შავი კონტური, შიდა სივრცე გაფერადებულია ცისფერი საღებავით და ღრუბლების მსგავსი მოტივებით. აქა იქ დატანილია შავი ფერის სამწერტილები (ტაბ.XLI/14).

ერთ-ერთი თეფშის ფართოდ გადაშლილ პირზე მოხატულია მრავალფურცელა ყვავილი (გ.ა.97/3781). ყვავილის გასაფორმებლად გამოყენებულია სამი ფერი. კონტურები შავია, მრავალფურცელა ყვავილი მწვანე, ხოლო ფოთლები მუქი-ლურჯი. პირ-კალთას შემოუყვება ორ პარალელურ ვიწრო ხაზებში ჩასმული მწვანე და ლურჯი ფერის სამკუთხედები (ტაბ.XLI/15).

საინტერესოა კიდევ ერთი თეფშის პირის ნატეხი (გ.ა.96/547). ჰქონია ფართოდ გადაშლილი პირი და არათანაბრად დაშვებული კალთა. გარეპირზე პირის არეში

შემორჩენილი აქვს ფართო პარალელური ღია-მწვანე ფერის ზოლი. მსგავსი ფერის ზოლი ტალღისებურად შემოუყვება პირისა და კალთის არეშიც. შიდაპირზე ცისფერი საღებავით მოხატულია ფართო მწვანე ზოლში ჩასმული ნახევარმთვარისებრი ფიგურა. ფიგურის ირგვლივ სივრცე გაფორმებულია ლურჯი ფერის ლაქებით, რომელებიც შემოფარგლულია ფართო მწვანე კონტურებით (ტაბ.XLI/16).

გარდა პირ-კედლის ნატეხებისა, არქეოლოგიურ მონაპოვარში გვხვდება თეფშის ძირ-ქუსლის ნატეხებიც (გ.ა.96/1230; გ.ა.98/5039; გ.ა.2000/803).

ძირებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი ნატეხი, განსხვავებით სხვა ნიმუშებისაგან ისინი დაფარულია ღია-მწვანე ჭიქურით. განსხვავებულია მათი კეცის სტრუქტურაც. ერთ-ერთი მათგანის კეცი მოყვითალო-მორუხო ფერისაა (გ.ა.98/5039), მსხვილმარცვლოვანი. შიდაპირზე ღია-მწვანე ჭიქურის ქვეშ მოხატულია მცენარეული ორნამენტი, შემორჩენილია შავი კონტურებით გავლებული ღეროები და აქა-იქ ღია-მწვანე მოლისფერი საღებავით მოხატული ოვალური ფორმის ფოთლები. გარე კალთა და ძირი დაფარულია ღია-მწვანე ჭიქურით. ჭიქური კრიალა ფერისაა (ტაბ.XLI/17). მეორე თეფშის კეცი მოჩალისფრო-მორუხო ფერისაა (გ.ა.2000/803). შიდაპირზე მოხატულია მრავალფურცელა ყვავილი, მცენარის ბუტკო მოხატულია ლურჯად, ხოლო ბუტკოს გარშემო გვირილები იისფერი საღებავით. კონტურები და ფოთლები მოხატულია შავად. გადავლებული აქვს ღია-ცისფერი ფერის ჭიქური. მსგავსი ჭიქურით დაფარულია გარე კალთაც, კალთიდან ჩამონადვენთი ჭიქური ქუსლთან შესქელებულია. ქუსლი მაღალია, გამოყვანილი. რგოლისებური ფორმის (ტაბ.XLI/18).

აღწერილი ნიმუშები, ჩანს ჩინური სელადონის მიბაძვით არის წარმოებული. როგორც ცნობილია, სელადონი დამზადებულია რუხი-ნაცრისფერი ფაიფურისაგან. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა მისი ფორმები და სახეები. XIII-XVI საუკუნეებში პოპულარული იყო სწორედ ღია-მწვანე ჭიქურით დაფარული სელადონი. ამ ტიპის ნაწარმი ფართოდ ვრცელდება მუსულმანურ სამყაროში. ფაიანსისაგან მზადდებოდა მისი მინაბაძეებიც, რომელიც ფსევდოსელადონის სახელით იყო ცნობილი. მისი დამზადებით განსაკუთრებით გამოიჩეოდა ქაშანის საწარმოო ცენტრი (ირანი) [Коваль...2005: 457].

შემდეგი სახის ნაწარმისაგან აღსანიშნავია ფიალის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.97/123). ახასიათებს მომრგვალებული პირ-ბაკო და ნახევარსფეროსებური კალთა შიდა ზედაპირი სადაა, უორნამენტო. პირ-ბაკოს შიდა და გარე მხრიდან გასდევს ფართო მწვანე წრიული ზოლი, გარე კალთა მოხატულია ოვალური ფორმის ორფურცელა ყვავილებით, მცენარის კონტურები შავი ფერისაა, ხოლო ყვავილები მოხატულია ღია-ცისფრად და მწვანედ (ტაბ.XLI/19).

ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი დოქებიც (გ.ა.98/108; გ.ა.99/421; გ.ა.2000/1928; გ.ა.03/3073; გ.ა.2015/1484,1490). ერთ-ერთი დოქის კედელზე შავი, ლურჯი და მწვანე საღებავებით მოხატულია კვიპაროსი და პალმის ფოთლები (გ.ა.03/3073). აქაც შავი ფერი გამოყენებულია კონტურებისათვის (ტაბ.XLII/1). მეორე დოქის პირ-ყელისა და კედლის ნატეხებიც მდიდარი მცენარეული დეკორითაა შემკული (გ.ა.99/421). პირ-ყელისა და მხრების არეს შემოუყვება ორი შავი ფართო წრიული ზოლები. ზოლებს შორის ჩასმულია ერთი წერტილიდან გამომავალი და საპირისპირო მხარეს მიმავალი პატარა შავი სხივები. ქვედა ზოლზე დატანილია შავი თითისებრი რკალები, რკალებს შორის სივრცე მოხატულია ღია-ცისფრად. მხრებზე მოხატულია ოვალური ფორმის ფოთლები. აქაც მცენარის კონტურები შავი ფერისაა, ხოლო ფოთლების ერთი მხარე იასამნისფრადაა მოხატული, მეორე კი ცისფრად. დოქის ძირი გაფორმებულია ტალღისებური, მომწვანო-მოშავო ფერის ზოლებით. ყელის არეში შემორჩენილი აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყურის მიპერწვის ადგილი. ჰქონია დაბალი, მრგვალი დისკოსებური ქუსლი (ტაბ.XLII/2). დოქის პირ-კედელს უნდა წარმოადგენდეს კიდევ ერთი ნატეხი (გ.ა.98/108). შიდა და გარე მხრიდან ორ ფართო შავ ზოლში, შავი საღებავით მოხატულია ტალღისებური ორნამენტი. შიდა სივრცე მოხატულია მწვანედ (ტაბ.XLII/3).

კედლის ნატეხების გარდა არქეოლოგიურ მონაპოვარში გვხვდება დოქის ყურიც (გ.ა.2000.1928). ბრტყელგანივკვეთიანი ყური შემკულია ლურჯი, მწვანე და შავი საღებავებით მოხატული მცენარეული ორნამენტით, ყურის კიდე გაფორმებულია ტალღისებურად. კონტურები შესრულებულია შავი საღებავით, ხოლო ორნამენტისათვის გამოყენებულია ლურჯი და მწვანე (ტაბ.XLII/4).

გვიანდელი იზნიკური კერამიკის ჯგუფი, იზნიკი III თარიღდება 1555-1700 წწ-ით და ცნობილია როდოსის სტილის სახელწოდებით. სახელწოდება მომდინარეობს კ. როდოსიდან, სადაც ამ ტიპის კერამიკის დიდი ნაწილი იქნა შესყიდული პარიზის კლიუნის მუზეუმის მიერ. როდოსის სტილის კერამიკაში ოსმალთა კერამიკოსები მოხატვისას იყენებენ მკაფიო მწვანესა და განსაკუთრებით კი მკაფიო წითელ საღებავებს [Szalai 2013:164; Akşin 1987: 337; Bakir 2007: 279-305; Altun 2007:309-325]. ამან გამოიწვია იმ ფერთა გამოდევნა, რომლებიც არ იყო მათთან ჰარმონიაში. ასეთები აღმოჩნდა მომწვანო-ზეთისხილისფერი და მეწამული. ამ დროიდან ნივთების უმეტესობა ბრწყინვალე ტონების დამახასიათებელი გამით იხატება: ლურჯი, წითელი, მწვანე, ფირუზისფერი, ყვითელი, ყავისფერი და ნაცრისფერი, რომელთაც ირგვლივ შემოუყვებათ შავი კონტურები [Lane 1957: 55]. ყველაზე მაღალი ხარისხის ნაწარმი იზნიკურ კერამიკაში დამზადებულია სწორედ ამ პერიოდში და ამ ჯგუფის კერამიკა მსოფლიოს მუზეუმების ყველაზე ძვირფას კოლექციებში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავებს [Ersoy 2008: 41].

იზნიკი III-ის კერამიკა გონიოს ციხის ტერიტორიაზე წარმოდგენილია თეფშების, ფიალებისა და დოქების პირის, კედლისა და ძირის ნატეხების სახით.

თეფშის პირის-კალთის მხოლოდ ორი ნატეხია (გ.ა.99/5282; გ.ა.2000/1494). შედარებით კარგადაა დაცული ერთ-ერთი მათგანი (გ.ა.99/5282) ახასიათებს მომრგვალებული პირ-ბაკო და ფართოდ გადაშლილი პირი, ჰქონია არათანაბრად დაშვებული კალთა. გარე კალთა სადაა, უორნამენტო. შიდაპირი მოხატულია სხვადასხვა სახის დეკორით. პირ-კალთის ზედა და ქვედა მხარეს შავი კონტურებით მოხატულია ნახევარგვირილები. ყვავილების ბუტკოები მარჯნისფერია, ხოლო შიდა სივრცე თეთრი. ყვავილებს ორივე მხრიდან სამკუთხედისებურად დაუყვება შავი ფართო ხაზები, რომელთა შორის სივრცე გაფორმებულია ღია-მწვანე და იისფერი საღებავებით. ორნამენტი ჩასმულია ორ შავ პარალელურ ხაზებს შორის. პირისა და კალთის შეერთების არეში შემოუყვება ფართო ყავისფერი ზოლი. მცენარეული დეკორი დატანილია კალთაზეც. შავი კონტურებით და იისფერი საღებავით მოხატული ყოფილა მრავალფურცელა ყვავილი. გადავლებული აქვს მოცისფრო ელფერის კრიალა ჭიქური (ტაბ.XLII/5).

შედარებით მრავალრიცხოვანია თევზის ძირები (გ.ა.95/61,1863,2465; გ.ა.96/586,674,834; გ.ა.97/69; გ.ა.08/222). მრავალფეროვანია ორნამენტის სახეებიც. ერთ-ერთი თევზის შიდაპირზე მოხატულია ტიტა (გ.ა.97/69). მცენარის ფოთლები და ღერო მწვანე საღებავითაა შესრულებული, ხოლო ნახატი ლურჯი ფერისაა, შავი კონტურებით. აქა-იქ დაღვენილი აქვს მარჯნისფერი პატარა ლაქები. ქუსლი დაბალია, გამოყვანილი (ტაბ.XLII/6). შავი კონტურებით და მწვანე საღებავით მოხატული მცენარეული ორნამენტითაა გაფორმებული კიდევ ერთი თევზი (გ.ა.95/2465), შემორჩენილია მხოლოდ მცენარის ღეროსა და ერთ-ერთი ფოთლის დეკორის ნაწილი. ფოთოლს ცენტრალურ არეში დაუყვება ყავისფერი ზოლი. ყავისფერი ლაქა შერჩენილი აქვს ღეროსთანაც (ტაბ.XLII/7). ორი სხვადასხვა ყვავილით ყოფილა გაფორმებული ერთ-ერთი თევზის ძირი (გ.ა.96/834). ახასიათებს მომაღლო გამოყვანილი, რგოლისებური ქუსლი. შიდაპირზე მოხატულია გვირილა, რომლის ბუტკო ყავისფერია, ყვავილი კი იისფერი, ფოთლები მოხატულია მწვანედ. კონტურებისათვის გამოყენებულია შავი ფერი. მცენარეული ორნამენტის მეორე სახე არ იკითხება. შემორჩენილია მხოლოდ შავ კონტურებში ჩასმული ფართო ყავისფერი ღერო. ორნამენტით მოხატული ყოფილა გარე კალთაც. გადავლებული აქვს კრიალა ფერის ჭიქური (ტაბ.XLII/8). გვირილაა მოხატული კიდევ ერთი თევზის ძირზე (გ.ა.96/586), მაგრამ წინა თევზისაგან დეკორი ოდნავ განსხვავებულია. გვირილების ბუტკოები მარჯნისფერია, ყვავილები თეთრი, კონტურები აქაც შავია. გადავლებული აქვს ღია-ცისფერი ფერის კრიალა ჭიქური, მსგავსი ჭიქურით დაფარულია შემორჩენილი კალთის ნაწილი და მომაღლო გამოყვანილი ქუსლი (ტაბ.XLII/9). აღწერილი ნიმუშებისაგან განსხვავებულია ერთ-ერთი თევზის ძირი (გ.ა.96/674), აქვს შედარებით მაღალი ქუსლი. შიდაპირზე მოწითალო საღებავით მოხატულია შროშანი, შროშანის გვერდით კი კიდევ ერთი ყვავილოვანი დეკორი, რომელიც ასევე წითელი და ლურჯი საღებავითაა მოხატული (ტაბ.XLII/10). საინტერესოა კიდევ ერთი თევზის ძირი (გ.ა.08/222). თეთრ ფონზე შიდაპირზე მოხატულია გვირილები. კონტურები შავი ფერისაა. მცენარის ღეროები მწვანეა, ხოლო ფოთლები მარჯნისფერი. მცენარეების წინ მოცემულია ცისფერი საღებავით მოხატული მდინარე, რომლის ნაპირები შავი კონტურებითაა შემოსაზღვრული (ტაბ.XLII/11).

გვხვდება სხვა ნიმუშებიც რომლებიც, ასევე გაფორმებულია სხვადასხვა ყვავილოვანი ორნამენტით, მრავალფურცელა ყვავილით, შროშანით, ტიტით, გვირილით და ა.შ. მაგრამ ფრაგმენტულობის გამო მათზე აღარ შევჩერდებით.

ფიალები წარმოდგენილია ორი ნატეხის სახით. ერთ-ერთს აქვს მაღალი გამოყვანილი ქუსლი (გ.ა.2000/24), გაფორმებულია შავი, მუქი-ლურჯი და მოწითალო-მოყავისფრო საღებავით მოხატული ორნამენტით. ორ პარალელურ შავ ხაზს შორის ჩასმულია ნახევრად ყვავილი, რომლის შიდა სივრცე თეთრია, ხოლო ცენტრში წითელი წერტილოვანი ლაქებია დაღვენილი. გარე მხარე კი მოხატულია ლურჯი საღებავით (ტაბ.XLII/12). მეორე ნატეხი თეთრ ფონზე მოხატულია შავი, ლურჯი, მწვანე და წითელი საღებავებით (გ.ა.2001/2105). კალთაზე მოხატულია ორი ტიტა, რომელთა კონტურები შავია. ყვავილის ძირი მწვანეა, ხოლო თვით ტიტები ლურჯი ფერისაა. შიდა მხარეს მოცემულია სხვადასხვა მცენარეული ორნამენტი. შავ კონტურში ლურჯი საღებავით მოხატულია მრავალფურცლოვანი მცენარე, რომელთა შუაში ჩასმულია ხუთფურცლა 3 ყვავილი. ყვავილის ფოთლები თეთრია, ხოლო ბუტკო მოწითალო ფერის. გვერდზე მოხატულია პატარა მწვანე საღებავებით გაფერადებული შროშანი (ტაბ.XLII/13).

ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი დოქებიც. უმრავლესობა კედლის ნატეხებია (გ.ა.95/1815,1906; გ.ა.97/3628 გ.ა.98/78,130; გ.ა.2000/1493; გ.ა.2001/2045,1758 გ.ა.03/1794/3073,3079; გ.ა.2014/441). შედარებით კარგადაა დაცული პატარა დოქის პირ-ყელის ნატეხი (გ.ა.2000/1493). აქვს მრგვალი პირი და ცილინდრული ფორმის ყელი. პირყელის არეში ორ შავ პარალელურ ზოლში, შავი კონტურებით მოხატულია ნახევარგვირილები. გვირილების ბუტკო მარჯნისფერია, ხოლო ყვავილები თეთრი. ყვავილების ირგვლივი სივრცე მოხატულია იასამნისფრად. ყელის ცენტრალურ ნაწილზე შავი კონტურებით და ასევე იასამნისფერი საღებავით მოხატულია სუმბულის სამი ყვავილი. გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური (ტაბ.XLII/14). დოქის ყური უნდა იყოს ერთ-ერთი ბრტყელგანიკვეთიანი ყურის ნატეხი (გ.ა.98/130). ზედაპირი გაფორმებულია შავი და ცისფერი საღებავებით (ტაბ.XLII/15). ერთ-ერთი დოქის პირ-ყელის ნატეხი მოხატულია ერთმანეთის პარალელურად განლაგებული გვირილებით (გ.ა.2014/441). გვირილების ბუტკო მარჯნისფერია, ყვავილები თეთრი

ხოლო, ფოთლები მწვანე. ორნამენტის კონტურები შავი ფერისაა. გვირილებს შორის სივრცე მოხატულია ლურჯად. დეკორი ჩასმულია ორ პარალელურ შავ ზოლში. პირის არეში ასევე ორ პარალელურ შავ ზოლს შორის მოცემულია ერთმანეთის პარალელური შავი საღებავით მოხატული ტალღისებური ორნამენტი, ირგვლივ სივრცე გაფერადებულია მწვანედ (ტაბ.XLII/16). საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ერთ-ერთი დოქის პირ-ყელის ნატეხი (გ.ა.2001/1758). თეთრ ფონზე პირისა და ყელის არე მოხატულია შავ კონტურებში ჩასმული და მწვანე საღებავით გაფორმებული მაღალი მცენარეების ღეროებით და ფოთლებით, ყვავილოვანი ორნამენტი ფრაგმენტულობის გამო არ იკითხება. ყელის ცენტრალურ არეში მარჯნისფერი საღებავით მოხატულია ყაყაჩო, ყელი ტანისაგან გამოყოფილია რელიეფური ქედით, რომელიც გაფორმებულია ორ შავ წვრილ ზოლში ჩასმული ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული სამკუთხედისებური მარჯნისფერი საღებავით მოხატული ფიგურებით. მუცლის ცენტრში ასევე ლურჯი საღებავით მოხატულია მრავალფურცლა ყვავილი. ყვავილის ღერო მწვანეა, ხოლო კონტური შავი (ტაბ.XLII/17).

სხვადასხვა ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ თევზებისა და ფიალების მსგავსად დოქებიც გაფორმებული ყოფილა შავი, ცისფერი, მწვანე, მოწითალო-მოყავისფრო, იისფერი საღებავებით და სხვადასხვა სახის მდიდარი მცენარეული ორნამენტებით. წამყვანი აქაც სუმბული, ტიტა, შროშანი და სხვა ყვავილოვანი მოტივებია. ზოგიერთ მათგანზე (გ.ა.03/1794/3073,3079) მოხატულია გეომეტრიული და თევზის ფარფლისებური ორნამენტიც (ტაბ.XLII/18).

იზნიკური კერამიკის მაღალმხატვრულმა დონემ დიდი აღიარება და პოპულარობა მოუტანა თურქულ კერამიკას. იგი გასცდა თურქეთის იმპერიის საზღვრებს და ფართოდ გავრცელდა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და ჰოლანდიაში [Kirmizi 2004:90; Erkmen 2009:120; Миллер 1965:44]. ზოგიერთ ჭურჭელზე გაკეთებული ნიშანი, მკლევარებს აფიქრებინებს, რომ იზნიკური კერამიკის გარკვეული ნაწილი სპეციალური შეკვეთით მზადდებოდა ევროპული ქვეყნებისათვის [Kirmizi 2004: 90]. თხელი და ფაქიზი იზნიკური ნაწარმი ძალიან ძვირად ფასობდა და მეტი

უსაფრთხოებისათვის ზოგჯერ ის იგზავნებოდა ოქროსთან და ვერცხლთან ერთად, შესაბამისი წარწერითა და თარიღით. გასაკვირი არ არის, რომ იზნიკური ნაწარმი გახდა მისაბაძი მრავალი ქვეყნის ხელოსნებისათვის. XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში ირანში იწარმოება ჯამები და თასები, რომლებიც გაფორმების ტექნიკით იზნიკურის მსგავსია. თურქული კომპოზიციები მცირედი სახესხვაობით ჩნდება XVII ს-ის დასაწყისში ასევე იტალიური მაიოლიკის ტიპის კერამიკის ერთ-ერთ ჯგუფზეც [Миллер 1965:44].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად იზნიკური კერამიკა აღმოჩენილია ყირიმის ნ.კ-ზე (უკრაინა) [Миллер 1972: 132-137; Адаксина...2003: 14-15; Герцен...2005: 264-287; Алядинова 2015: 452-480], შავი ზღვისპირა ციხეებში: აკერმანში, ოჩაკოვში, იზმაილში, ლიუტოვში (უკრაინა) [Столярик 1982: 176-182; Беяева 1998: 41-42; Дынник 1990: 120-123; Добролюбский...1990: 168-177; Гусач 2012: 115], ვარნაში, სოფიაში (ბულგარეთი) [Плетньов 2007: 90-92; Станчева 1960: 114-122], იასში, სუჩაში, ტიგროვიშტში (რუმინეთი) [Andronic 1968:159-168], სტამბულში (თურქეთი) [Öz 1960: 43-45; Heyes 1992: 244-256], მოსკოვსა და მის შემოგარენში (რუსეთი) [Миллер 1972: 152-153], ბუდაში, ბარსში, ეგერში, ესზტერგომში, გიულაში, ოზორაში, პესში, ფეჩერვარში, სზოლნოკში, ვასში, ვისეგრანდში (უნგრეთი) [Kovács 2003: 6; Kovács 2005: 69-86; Tóth 2003: 275-278; Szalai 2013: 159-172], ვენეციაში (იტალია) [Миллер 1972: 148-149], კორინთოში, გლარენცაში, ათენში, ბეოტიაში, თესალონიკში, კ. კრეტაზე (საბერძნეთი), ეგეოსის ზღვის კუნძულებზე: სკიროსზე, კოსზე, კიკლადებზე, როდოსზე, კვიპროსზე [Skartsis 2009: 217] და ა.შ.

საქართველოში იზნიკური კერამიკის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილია თბილისის დედაციხეზე, ნარდევანის არქაულ ციხე-სიმაგრეზე (წალკა), ციხე სულორზე (ვანი) [მამაიაშვილი 1974: 201-220; მამაიაშვილი 1976: 96-98] და ქუთაისის ციხეზე [ქარციძე 2010: 191-192].

XVII ს-დან იზნიკში კერამიკული ნაწარმის დამზადება მცირდება, რაც გამოწვეული იყო ოსმალეთის იმპერიის შესუსტებითა და სტაგნაციით. შიდა არეულობებისა და საგარეო მდგომარეობის გართულების ფონზე, ოსმალეთის სულთნები უკვე სათანადო ყურადღებას ვეღარ აქცევენ ხელოვნებისა და კულტურის

განვითარებას, მათ შორის კერამიკული ნაწარმისას. 1716 წელს კერამიკული წარმოება იზნიკში საბოლოოდ წყვეტს არსებობას [Kirmizi 2004: 90; Küçükylmazlar 2006: 9]. კერამიკული წარმოების შეწყვეტას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან, ფიქრობენ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ქალაქმა დაკარგა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან აქ გამავალმა სავაჭრო-საქარავნო გზამ უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლა, უკავშირებენ ამ ადგილებში მალარიის დაავადების გავრცელებას, რის გამოც ხელოსნებმა დატოვეს ქალაქი [Kirmizi 2004: 3]. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი თვლიან მოთხოვნილების შემცირებას, რადგან იზნიკური ნაწარმი ძირითადად მაინც განკუთვნილი იყო მაღალი საზოგადოებისთვის. XVIII ს-დან, კი საზოგადოების მაღალი ფენები უპირატესობას ჩინურ ფაიფურსა და ევროპულ ნაწარმს ანიჭებს, შესაბამისად იზნიკური ნაწარმი კარგავს პოპულარობას [Carroll 2002: 174].

იზნიკური საწარმოო ცენტრის საბოლოო დაცემის შემდეგ, კერამიკის წარმოების ახალი მთავარი ცენტრი ქუთაჯია გახდა. ამ ქალაქში კერამიკის წარმოება ჯერ კიდევ XIV ს-ის II ნახევრიდან იწყება [Belgin 2007: 339; Kamuran 2007:28], როგორც ზემოთ აღინიშნა, სულთან სელიმ I-მა 1514 წელს სპარსელებთან გამარჯვების შემდეგ, თავრიზში მყოფი კერამიკის ხელოსნები გადაასახლა თურქეთის სხვადასხვა ადგილებში და მათ შორის, ქუთაჯიაშიც. ეს ქალაქი წარმოადგენდა იზნიკური საწარმოო ცენტრის დამხმარეს. თუმცა უკანასკნელ პერიოდში პროფ. ქოუმჯიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქუთაჯია წარმოადგენდა იზნიკის არა დამხმარე, არამედ კონკურენტ ცენტრს, რომელმაც XVIII ს-ის დასაწყისიდან კერამიკის წარმოებაში საბოლოოდ დაამკვიდრა საკუთარი სტილი და ფორმები [Kouymjian 2014:109]. ქუთაჯიამ გააგრძელა იზნიკური საწარმოო ცენტრის ტრადიციები, რათა დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის ფართო მასებში ის მაღალი მოთხოვნილება, რომელიც იზნიკურ ნაწარმს უკავშირდებოდა. თუმცა, იზნიკური საწარმოო ცენტრის საბოლოო დაცემის შემდეგ, ქუთაჯია გახდა მძლავრი საწარმოო ცენტრი, თავისი სტილითა და იმდროინდელი საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებით. აქ დამზადებული მრავალგვარი და მრავალფეროვანი ნაწარმი გამოირჩევა ნათელი ფერებით და ორიგინალური მოხატულობით, მაგრამ იზნიკურ კერამიკასთან შედარებით ხარისხი უფრო დაბალია. ქუთაჯური ნაწარმი მოხატულია

პოლიქრომულად ლურჯი, მწვანე, წითელი, მეწამული, ყვითელი, ყავისფერი, იისფერი საღებავებით და გაფორმებულია ყვავილოვანი, გეომეტრიული და ფიგუროვანი ორნამენტით. ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმები იყო პატარა თხელკედლიანი ჯამები, ყავის ფინჯნები და დოქები [Kamuran 2007:29; Skartsis 2009:219]. ქუთაჰის პროდუქციაზე განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ჩინურმა და ევროპულმა ფაიფურმა. იმისთვის, რომ ადვილად გაყიდულიყო ევროპის ბაზრებზე ხშირად მზადდებოდა ევროპული ნაწარმის მინაბადი ფორმებიც [Lane 1957: 63-65; Станчева 1960:123; Гусач 2012: 114-139; Aslanapa 1965 ბ:31; Миллер 1972: 157-160; Heyes 1992: 266-267].

გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქუთაჰიური კერამიკული ნაწარმის უმრავლესობას მცირე ზომის ყავის ფინჯნები და დოქის ფრაგმენტები შეადგენენ. ყავის ფინჯნებისთვის დამახასიათებელია, ნახევარსფეროსებური ან ზარისებური კალთა, სწორი, მომრგვალებული კალთასთან შერწყმული ან ოდნავ გარეთ გადახრილი და უმნიშვნელოდ გამოყოფილი პირი, მრგვალი, დისკოსებური ქუსლი და ბრტყელი ძირი. ფორმისა და მხატვრული შემკულობის მიხედვით ყავის ფინჯნები IV ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული; II. ერთფერად მოხატული („მონოქრომული“), III. ორფერად მოხატული („ბიქრომული“) და IV. მრავალფერად მოხატული („პოლიქრომული“) ფინჯნები.

I ჯგუფის ფინჯნების თეთრ ფონზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია სხვადასხვა სახის ყვავილოვანი ორნამენტი (გ.ა.89/ 252,253,255,257,258; გ.ა.95/373,1741,2370,2670,2832; გ.ა.96/447,501,545; გ.ა.97/3641; გ.ა.99/432,432,574,5290; გ.ა.2001/1793; გ.ა.2002/366; გ.ა.04/235; გ.ა.2011/430; გ.ა.2012/27,28,69; გ.ა.2013/1476). ძირითადი დეკორია მრავალფეროვანი ყვავილი, ლოტოსი, ვარდი და კიპაროსი. ორნამენტით დაფარულია გარე კალთის ზედაპირი. შიდა მხრიდან ორნამენტი გვხვდება ჭურჭლის ძირზე. ზოგიერთი ნიმუშის შიდაპირზე ორნამენტს ირგვლივ შემოუყვება ერთი ან ორი წრიული ზოლი. ნახატი ღია-ლურჯი ფერისაა, კონტურები კი მუქი-ლურჯი. ორი წრიული ლურჯი ზოლი გასდევს ზოგიერთ ფინჯანს ქუსლზეც. კეცის სისქის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ა) თხელკედლიანი და ბ) სქელკედლიანი ნიმუშები (ტაბ.X/1-12; ტაბ.XLIII/1-18). ზოგიერთი ფინჯნის ძირზე,

კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია სხვადასხვა სახის დამლა: ვარსკლავისებრი (გ.ა.2002/366; გ.ა.04/235), რომელიც შედგება 4 ან 3 გადაჯვარედინებული შტრიხისაგან და მიღებულია ექვსი ან რვაქიმიანი სახე (ტაბ.X/4-7; ტაბ.XLIII/14-15). ორი ურთიერთგადაჯვარედინებული შტრიხი, რომელიც ჩასმულია წრეში (გ.ა.95/2832) (ტაბ.XLIII/17), რომბისებური დამლები (ტაბ.X/9-10; ტაბ.XLIII/16) და ფრინველის გამოსახულების მსგავსი დამლა (გ.ა.05/7) (ტაბ.X/8; ტაბ.XLIII/18).

ყველაზე მეტად, მოცემულია ვარსკლავისებრი დამლა. მსგავსი დამლა გვხვდება ყავის ფინჯნების სხვა ჯგუფზეც, მაგრამ განსხვავებით ამ ჯგუფისაგან მათზე ისინი შავი საღებავითაა მოხატული (გ.ა.96/612; გ.ა.2001/1793). როგორც ფიქრობენ, თურქულ ფაიანსზე დასმული დამლების იდეა ევროპულია და მეისენის ან სევრის ნაწარმის მიბაძვითაა გაკეთებული [Gushion...1958:20; Lane 1957:65; Миллер 1972:168-169; Плетнов 2007: 92].

ვარსკლავისებრი დამლის მსგავსი დეკორითაა გაფორმებული ერთ-ერთი ფინჯნის პირ-კალთის შიდა ზედაპირიც (გ.ა.98/1168). თეთრ ფონზე პირ-კალთის არეში კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია რომბებში ჩასმული, ვარსკლავისებრი ორნამენტი, გარე კალთისა და პირის ნაწილი კი, გაფორმებულია ორ ლურჯ ზოლში ჩასმული ურთიერთგადაკვეთი ხაზებით, რომელთა ზედა ნაწილი დამტრიხულია პატარა ლურჯი ზოლებით, პირ-ბაკოს გასდევს ფართო შავი ზოლი (ტაბ.XLIII/3).

ქუთაპიური ყავის ფინჯნების ამ ჯგუფზე დიდი გავლენა მოახდინა მინის დინასტიის დროინდელმა (1368-1644 წწ) „ლურჯმა-თეთრმა“ ფაიფურმა. ზოგჯერ ამ ნაწარმს მოიხსენიებდნენ, როგორც ნამდვილი ჩინური ფაიფურის „შემცვლელს“ ან კიდევ „გლეხურ-ფაიფურს“. ფიქრობენ, რომ „ლურჯი-თეთრი“ ფაიფურის მიბაძვით დამზადებული ფაიანსის ყავის ფინჯნების ეს ჯგუფი ჩნდება XVII ს-ის შუახანებიდან და განსაკუთრებით პოპულარული გახდა ამავე საუკუნის ბოლო პერიოდში. ყავის ფინჯნების ეს ჯგუფი იწარმოებოდა XVIII ს-ის დასაწყისამდე, ამის შემდეგ კობალტის ლურჯი საღებავით გაფორმებულ ნიმუშებს ენაცვლება პოლიქრომულად მოხატული კერამიკა [Vroom 2007: 84; Арапова 1977:7-56].

გარდა ყავის ფინჯნებისა, გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია კობალტის ლურჯი საღებავით გაფორმებული ხუფიც (გ.ა.96/1136). ხუფი პატარა ზომისაა, მრგვალი ფორმის. შუაში შემორჩენილი აქვს სახელურის ფრაგმენტი. სახელური ირგვლივ მოხატულია ლურჯ კონტურში ჩასმული ცისფერი ოვალებით (ტაბ.X/13; ტაბ.XLIII/19).

სხვა სახის ნაწარმისაგან აღსანიშნავია თითქმის მთლიანად დაცული ფიალა (გ.ა.98/5080). აქვს დაბალი ქუსლი და ნახევარსფეროსებრი კალთა. ღრმა ტევადობის სწორი პირი მთავრდება ვიწრო მომრგვალებული ბაკოთი. გარე კალთის ზედაპირი დაფარულია კობალტის ლურჯი საღებავით შესრულებული და მუქი-ლურჯი კონტურებით შემოფარგლული დამტრიხული ზოლით. წყვილ წრებაზე მორის გადმოცემულია ურთიერთმონაცვლე 3 მცენარეული ორნამენტი ერთ-ერთი მცენარის ტოტებზე მოხატულია ოთხ-ოთხი კოკორი, შუაზე კი ოთხშტოიანი ვარდული, რომლის ზემოთ მოცემულია წყვილი ფოთოლი, ერთ-ერთი ფოთოლი მოხატულია ქვედა კოკრის შტოზეც. სამივე გამოსახულება ერთგვაროვანია. უფრო სტილიზებულია მცენარეული ორნამენტის მეორე სახეობა. აქაც ცენტრალურ ნაწილში უფრო მსხვილ ღეროებზე გამოსახულია ოთხფურცლიანი ვარდული. მის ზემოთ მოცემულია გაშლილი ყვავილი. ღეროსთან ახლოს, ორივე მხარეს წყვილშტოიანი ფოთლებია გამოსახული. ღეროებზე ორივე მხარეს გაუშლელი ყვავილები და სტილიზებული ფოთლებია გამოსახული. პირის, როგორც გარეთა, ასევე შიდაპირზე მოხატულია გაშლილი ყვავილის და ფოთლების ჰორიზონტალური ზოლი. შიდაზედაპირზე ძირზე ორი ფართო წრებაზით შემოფარგლული სამყვავილიანი მცენარის ფოთლოვანი ტოტებია მოხატული (ტაბ.XLIV/1).

II ჯგუფი. ყავის ფინჯნების შემდეგ ჯგუფს მონოქრომულად მოხატული ფინჯნები წარმოადგენს. მასში ჯერჯერობით ერთიანდება მხოლოდ ერთი ფინჯნის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.2015/1485). ახასიათებს მომრგვალებული პირ-ბაკო და ზარისებური კალთა. თხელი კეცი ორივე მხრიდან დაფარულია ფირუზისფერი კრიალა ჭიქურით (ტაბ.XLIV/2).

ორფრად და მრავალფრად მოხატული ფინჯნები ჩნდება გვიან, XVIII ს-ის I ნახევარში და ვრცელდება უფრო ფართოდ ვიდრე კობალტის ლურჯი საღებავით და ყავისფერი საღებავით მოხატული ფორმები.

III ჯგუფი. ვაერთიანებთ ფინჯნებს რომლებიც მოხატულია ორი სხვადასხვა საღებავით. ახასიათებთ ზარისებური კალთა, ოდნავ გარეთ გადახრილი პირი და დაბალი რგოლისებური ქუსლი. ერთ-ერთი ფინჯნის (გ.ა.96/2901) გარეპირზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია ყვავილოვანი ორნამენტი. ფართო ცისფერ წრიულ ზოლში ჩასმული ყვავილია გამოსახული შიდაპირზეც ჭურჭლის ძირზე. პირისა და კალთის შეერთების არე გაფორმებულია ცისფერი ზოლით, ხოლო პირ-ბაკო მოხატულია ოქროსფერი საღებავით (ტაბ.XLIV/3). განსხვავებული დეკორითაა შემკული კიდევ ერთი თითქმის მთლიანად დაცული ფინჯანი (გ.ა.96/2850). ფინჯნის გარეპირზე მწვანე და წითელი საღებავით მოხატულია კვიპაროსის მსგავსი მცენარე, ხოლო შიდა კალთა სადაა, უორნამენტო. (ტაბ.X/14; ტაბ.XLIV/4). ამ ჯგუფში შემავალი კიდევ ორი ფინჯნის შემკულობაში წამყვან ფერს ყავისფერი საღებავი წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანის კალთის ორივე მხარე მოხატულია ღია-ყავისფერი ჭიქურით (გ.ა.95/404), აქვს თხელი კეცი, სწორი პირი, ნახევარსფეროსებრი კალთა და გამოყვანილი, რგოლისებური ქუსლი. ბრტყელი ძირი დაფარულია მუქი მწვანე ფერის საღებავით (ტაბ.XLIV/5). ხოლო მეორე ფინჯნის შიდაპირზე მოხატულია ხე (გ.ა.98/991), ხის ფოთლებად ლურჯი ფერის პატარა წერტილებია მოცემული, გარე მხრიდან ყავისფერი საღებავი შედარებით ღია ფერისაა (ტაბ.X/15; ტაბ.XLIV/6)

ყავისფერი საღებავით ფინჯნების მოხატვა, პოპულარული გახდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის I მეოთხედში იმპერატორ კანსის (1662-1722 წწ) მმართველობის დროს ჩინეთში დამზადებული ფაიფურის ფინჯნების გავლენით [Гуцач 2011: 398]. ჩინური ფაიფურის მსგავსი ყავისფერი საღებავით გაფორმებულ ყავის ფინჯნებს ფართოდ მოიხმარდნენ ოსმალეთის იმპერიაშიც და საკმაოდ მოთხოვნად პროდუქტს წარმოადგენდა.

IV ჯგუფი. მასში ერთიანდება მრავალფრად მოხატული ფინჯნები. მათთვის დამახასიათებელია თეთრი ფერის, მტკიცე თიხის კეცი. წვრილი მცენარეული

ორნამენტი, ხშირად შერწყმულია გეომეტრიულთან. შავი ან მუქი ყავისფერი საღებავებით გამოყვანილია მოხატულობის კონტური, ხოლო თვით მოხატულობა მკაფიო ყვითელი, მწვანე, ცისფერი ან წითელი ფერისაა, რაც ჭურჭელს საზეიმო ელფერს ანიჭებდა [მამაიაშვილი 1976:98; Мюллер 1972:164]. მცენარეული ორნამენტი შედგება: ყვავილების, ფოთლების, რტოების, ყურძნის მტევნების, კიპაროსებისა და მედალიონებისაგან.

გონიოში აღმოჩენილი მრავალფერად მოხატული ფინჯნები შეიძლება ორ ქვეჯგუფად დაიყოს: ა) ფინჯნების მოსახატად გამოყენებულია ცისფერი, მწვანე, შავი, წითელი ლურჯი და სოსნისფერი საღებავი (გ.ა.96/612; გ.ა.2001/1793; გ.ა.05/30; გ.ა.2015/438). (ტაბ.X/17-18; ტაბ.XLIV/7-9). ერთ-ერთი ფინჯნის (გ.ა.2001/1793) ბრტყელ ოდნავ შიგნით შეზნექილ ძირზე, გარე მხრიდან, შავი საღებავით დატანილია ურთიერთგადამკვეთი შტრიხებისაგან შედგენილი 8 ქიმიანი ვარსკლავისებრი დამლა, შიდაპირზე კი, შავი კონტურით და ლურჯი საღებავით მოხატულია პატარა ყვავილი (ტაბ.XLIV/7). ანალოგიური დეკორითაა გაფორმებული კიდევ ერთი ფინჯანი (გ.ა.96.612). (ტაბ.X/17; ტაბ.XLIV/8). განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი ფინჯნის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.05/30). სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით შემკულია სხვადასხვა სახის მდიდარი და მრავალფეროვანი ორნამენტით. გარე კალთა შავი საღებავით დაყოფილია სექტორებად. თითოეულ სექტორში მოხატულია ერთნაირი 8 ფურცლა ყვავილი. მცენარის ფოთლები სოსნისფერია, ბუტკო მომწვანო-მოლურჯო, ხოლო ფოთლები ღია-მოყვითალო. ფართო ლურჯ ზოლში ჩასმული ყვავილოვანი ორნამენტია მოხატული შიდაპირზე ჭურჭლის ძირზეც. ყვავილის გასაფორმებლად მსგავსი ფერებია გამოყენებული (ტაბ.X/18; ტაბ.XLIV/9).

ბ) მიეკუთვნება ფინჯნები, რომლებიც მოხატულია შავი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, ყავისფერი და შავი საღებავებით (გ.ა.95/271; გ.ა.96/482,775,1314,1315,1316,1317,1382; გ.ა.98/964,5538; გ.ა.2015/1147). მოხატულობაში ძირითად ფერს ყვითელი წარმოადგენს (ტაბ.X/19-20; ტაბ.XLIV/10-15). გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომელთა გარეპირი რომბისებურად ან ფოთლისებურადაა დანაწევრებული და მოხატულია ყვავილოვანი ორნამენტით

(გ.ა.96/482,775,1314,1315,1316,1317,13821). კონტურები ყველა ფინჯანზე შავი ფერისაა. ხოლო სამფურცლა და ოთხფურცლა ყვავილები ყვითელი და ღია-მწვანე. ზოგჯერ მცენარის ფოთლები და ღეროები დაწინწკლულია ყავისფერი წერტილოვანი ბურთულებით. (ტაბ.X/19-20; ტაბ.XLIV/10-15). უმრავლესობას ქმნიან მოზრდილი ფინჯნის ფრაგმენტები, რომელთა გარე კალთა რელიეფურად რომბისებურადაა დანაწევრებული და მოხატულია ყვითელი, ყავისფერი, შავი, მწვანე და ცისფერი საღებავებით (გ.ა.375; გ.ა.96/1382,1406; გ.ა.98/77; გ.ა.99/5346) მცენარეული ორნამენტი შერწყმულია გეომეტრიულთან. ნახატის კონტურები აქაც შავი ფერისაა. ორნამენტი სხვადასხვაა, გვხვდება კიპაროსი, რომლის ფოთლები ბოლოვდება ყავისფერი ბურთულებით (ტაბ.XLIV/12-15). ზოგიერთი ფინჯნის შიდაპირი შემკულია ორ პარალელურ ხაზებს შორის მოთავსებული გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით (გ.ა.99/5346) პარალელური ხაზები ცისფერია, ხოლო ორნამენტი შავი, ყვითელი და ღია-მწვანე ფერის. გარე კალთა მოხატულია წრეში ჩასმული, ამოდარული ფოთლის ორნამენტით. შუა სივრცეში, შავ კონტურში ორი რკალია მოცემული, რომლებიც დაშტრიხულია ზიგზაგისებურად, შავი საღებავით. რკალების ნაწილი მოხატულია ლურჯი საღებავით, შუა ნაწილში კი დატანილია ყავისფერი ლაქები. ფოთლის ორნამენტს ირგვლივ შემოუყვება შავი კონტურებით შესრულებული და ლურჯი, ყვითელი, მწვანე საღებავით მოხატული წვრილი მცენარეული, ყვავილოვანი ორნამენტი, რომელსაც ალაგ-ალაგ დატანილი აქვს ყავისფერი ლაქები (ტაბ.XLIV/15).

მცირე ზომის ქუთაიური ფინჯნები დაკავშირებულია ყავის კულტურის გავრცელებასთან. ზუსტი თარიღი, თუ პირველად როდის ჩნდება ეს კულტურა ოსმალეთის იმპერიაში დღემდე უცნობია. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა თარიღს გვაწვდის (მაგ. ფ. ბრაუდელი ასახელებს 1511 წელს, უ. ჰეისე - 1517 წელს, ქ. ჩელები - 1543 წელს, ე. ჩელები - 1554 წელს და ა.შ.). უდაოა მხოლოდ ის, რომ ყავა ოსმალეთში ცნობილი გახდა ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, ხოლო პირველი ყავის სახლები ე.წ. „ყავახანები“ 1550 წლიდან ჩნდება [Atilgan...2014: 70].

XVI-XVII სს-ში იმის გამო, რომ „ყავახანებში“ ყავის სმასა და თამბაქოს მოწევასთან ერთად განიხილებოდა იმდროინდელი ოსმალეთის იმპერიის

სოციალური და პოლიტიკური საკითხები ყავის მოხმარება აკრძალული იყო და მხოლოდ, გარკვეული პერიოდის შემდეგ იქნა ნებადართული ხელისუფლების მიერ. ყავის მოხმარება პირველ რიგში, დაკავშირებული იყო მოსახლეობის მაღალ ფენებთან და მდიდარ ოჯახებთან. ქუთაისური ნაწარმი სწორედ მდიდარი და პრივილეგირებული ფენისათვის იყო განკუთვნილი [Skartsis 2009: 220].

ქუთაისური ნაწარმის გარდა გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია, სხვადასხვა საწარმოო ცენტრში დამზადებული ყავის ფინჯნების რამდენიმე ნატეხიც. ერთ-ერთი მათგანი (გ.ა.96/587) ირანის ქ. ქაშანში უნდა იყოს დამზადებული. ახასიათებს მოყვითალო-მონაცრისფრო ფერის კეცი. შიდაპირზე მოხატულია ორ ცისფერ ზოლში ჩასმული წვრილი მცენარეული ორნამენტი. ანალოგიური დეკორითაა გაფორმებული გარე კალთაც. ბრტყელი ძირი მოხატულია ფირუზისფერი საღებავით (ტაბ.XLIV/16). ღია-მონაცრისფრო მღვრიე ელფერი გადაჰკრავს და გამოწვის შედეგად ჭიქურთან მიერთების მიდრეკილება დამახასიათებელია სწორედ ქაშანური ნაწარმისათვის. აღნიშნული ქალაქის ნაწარმი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში თბილისის დედაციხეზე, ყარაღაჯში, დმანისსა და გუდარეხში [მამაიაშვილი 1976: 82]. ჩვენს საკვლევ რეგიონში ჯერ-ჯერობით ეს პირველი შემთხვევაა. საიდან არის მოხვედრილი გონიოს ტერიტორიაზე, სადღეისოდ ამის თქმა რთულია.

სხვადასხვა საწარმოო ცენტრშია დამზადებული კიდევ ორი ფინჯანი. (გ.ა.89/859, გ.ა.2012/29), ფინჯნების შიდაპირი სადაა უორნამენტო, ხოლო გარე კალთა მოხატულია ყავისფერი საღებავით. ერთ-ერთი მათგანის შიდაპირი თეთრ ფონისაა (ტაბ.XLIV/17), ხოლო მეორეს გადავლებული აქვს ლურჯი ფერის კრიალა ჭიქური (ტაბ.XLIV/18). ორივე მათგანი XVIII ს-ის ნაკეთობებს მიეკუთვნება.

ყავის ფინჯნების გარდა, გონიოს ციხის ტერიტორიაზე გვხვდება ქუთაისის საწარმოო ცენტრის ფიალები. ერთ-ერთი გაფორმებულია მოგრძო ფოთლებითა და ყვავილებით (გ.ა.96/1382). კონტურებისათვის გამოყენებულია შავი ფერი. ხოლო, ყვითელი, ყავისფერი, ლურჯი საღებავები ორნამენტისათვის (ტაბ.X/22; ტაბ.XLIV/19). თითქმის ანალოგიური დეკორითაა გაფორმებული მეორე ფიალაც (გ.ა.96/1382). ტაბ.XLIV/20). შედარებით მოზრდილია და განსხვავებული დეკორითაა შემკული

კიდევ ერთი ფიალა (გ.ა.2001.3304). ახასიათებს მაღალი ქუსლი, რომელსაც გარე მხრიდან ირგვლივ შემოუყვება ორი ჰორიზონტალური შავი წრიული ზოლი და ბრტყელი ძირი. შიდაპირზე ყავისფერ ფონზე მოხატულია გვირილები. მცენარის კონტური შავი ფერისაა, ფოთლები თეთრი, ხოლო ბუტკო შავ კონტურშია ჩასმული და ლუჯადაა მოხატული (ტაბ.X/21; ტაბ.XLIV/21).

გვხვდება დოქის ნატეხიც, რომლებიც სხვადასხვა დეკორითაა გაფორმებული. ნაწილი მოხატულია ყავისფერი საღებავით (გ.ა.95/337; გ.ა.96/348). ღია-ყავისფერ ფონზე მოხატულია ორი სხვადასხვა ფორმის ყვავილი. ორივე მცენარის ღერო შავი ფერისაა. ერთ-ერთი მათგანის ბუტკო თეთრია, ხოლო ხუთფურცლა ყვავილი ცისფერი. ღეროზე სულ 6 ასეთი ყვავილია შემოჩენილი. მეორე მცენარეული ორნამენტს წარმოადგენს 5 ოვალური ფორმის ყვავილი. განსხვავებით წინა ყვავილისაგან მცენარის ბუტკო ლურჯია, ხოლო ოვალური ფორმის ყვავილები თეთრი (ტაბ.XLIV/22).

ქუთაჰიის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს პატარა ზომის დოქის პირ-კედლის ნატეხი. ახასიათებს თხელი კეცი, გარეპირი დაფარულია სოსნისფერი ჭიქურით (ტაბ.XLIV/23).

ქუთაჰიური ფაიანსის რამდენიმე ნატეხი აღმოჩენილია ბათუმისა და პეტრას ციხეებზეც [მამაიაშვილი 1976: 98; ინაიშვილი 1974:130-132,137]. მცირე რაოდენობით გვხვდება მაღალმთიანი აჭარის ძეგლებზეც. ზენდიდის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია თხელკედლიანი პატარა ფეხიანი ჭურჭლის ნატეხი (ზდს.2001/265). ქუსლის შიდა მხარეს ცისფერი საღებავით დატანილია ორი ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან შედგენილი დამლა (ტაბ.X/16). ფირუზისფრად მოჭიქული ფიალის კედლის მცირე ნატეხი აღმოჩენილია ხიხანის ციხეზეც (ხც.2015/151), ფრაგმენტულობის გამო ფორმაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა ჭირს. ფიალას უნდა მიეკუთვნებოდეს ასევე ხიხანის ციხეზე მრავალფრად მოხატული ჭურჭლის კედლის ნატეხი (ხც.2013/3). თეთრი ფონი მოხატულია ცისფერი ზოლებითა და მწვანე ფერის მცენარეული ორნამენტით.

მიუხედავად, არცთუ მაღალი მხატვრული დონისა, ქ. ქუთაჰიაში ფაიანსის ნაწარმი მზადდებოდა მთელი XVIII ს და XIX ს-ის დასაწყისში. ამის შემდეგ ქალაქი

კარგავს თავის მნიშვნელობას და კერამიკული წარმოების ცენტრი ჩანაქვალეში (დარდანელი) ინაცვლებს [Ersoy 2008:43].

ქუთაჯიური ნაწარმი საკმაო პოპულარობით და მოწონებით სარგებლობდა არამარტო ოსმალეთის იმპერიაში, არამედ ევროპაშიც. ფერთა ჭრელი შეხამება ყურადღებას იქცევდა და შედარებით იაფ და ეგზოტიკურ „აღმოსავლეთის სევრის“ ნაწარმს, როგორც ევროპაში უწოდებდნენ, სიამოვნებით ყიდულობდნენ [Lane 1957: 63].

XVII ს-ის ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელმაც ქუთაჯია 1669–1670 წწ მოინახულა, თავის ცნობილ ნაშრომში „მოგზაურობის წიგნში“ გვაწვდის ცნობებს, რომ ამ ქალაქში არსებობდა 34-მდე სახელოსნო უბანი და მათ შორის ყოფილა არამუსულმანი ხელოსნების უბნებიც... აქ დამზადებული ჯამები, თასები, დოქები და სხვა სახის ნაწარმი განკუთვნილი იყო არამარტო ადგილობრივი მოხმარებისათვის, არამედ ფართო საექსპორტო საგანსაც წარმოადგენდა და მათ დამზადებაში მუსულმან ხელოსნებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული ქრისტიანი ხელოსნებიც [Гусач 2005: 476].

ქუთაჯიური ფინჯნები ხშირად მზადდებოდა სპეციალური შეკვეთით და არც თუ იშვიათად იყიდებოდა საწარმოო ცენტრიდან მომორებულ სხვადასხვა ადგილებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქუთაჯიური ნაწარმი მრავლად არის აღმოჩენილი: იერუსალიმში (ისრაელი), დამასკოში (სირია), ქაიროში (ეგვიპტე), მარსელში (საფრანგეთი), ყირიმში (უკრაინა), კოუკლიაში (კვიპროსი), ათენში, ბეოტიაში, თებეში, კორინთოში, თესალონიკში, (საბერძნეთი). ეგეოსის ზღვის კუნძულებზე: სკიროსზე, მილოსზე, როდოსზე, კრეტაზე. ამ ტიპის კერამიკის ნიმუშები აღმოჩენილია ჩრდილოეთ ამერიკაშიც [Vroom 2005: 157; Skartsis 2009: 219; Lane 1957: 63-65]. განსაკუთრებით მასობრივი გავრცელების პროდუქტს, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის არქეოლოგიურ ძეგლებზე წარმოადგენდნენ [Станчева 1960: 123; Aslanapa 1965 ბ: 31; Nicolescu 1967: 296; Миллер 1972: 173-174; Герцен...2005: 264-287; Гусач 2005: 476-481; Гусач 2006: 133-134; Алядинова 2015: 452-480].

საქართველოში ქუთაჯის ნაწარმი აღმოჩენილია თბილისის დედაციხეზე, დმანისის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი 1974: 201-220; მამაიაშვილი 1976: 98] და ქუთაისის ციხეზე [ქარციძე 2010: 191-192; ისაკაძე 2006:127].

როგორც იზნიკური, ასევე ქუთაჯური ნაწარმის გავრცელება საქართველოში და მათ შორის ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე, დაკავშირებულია ოსმალთა გარნიზონთან და ცხადია, არ უკავშირდება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ნაწარმი ჩვენთან უპირველეს ყოვლისა მილიტარისტული გზით ვრცელდებოდა და ემსახურებოდა ოსმალთა ჯარისკაცების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ძირითადად გამოვლენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბატონობის მთავარ ფორპოსტს.

§ 3. მოჭიქული კერამიკა

არქეოლოგიურ მონაპოვარში სიმრავლით გამოირჩევა მოჭიქული ნაწარმი. გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკა გვხვდება, როგორც ზღვისპირა ზოლში, გონიოს, პეტრას და ბათუმის ციხეებზე, ასევე მაღალმთიან აჭარაში, ზენდიდისა და ხიხანის ციხეებზე. განსაკუთრებული სიმრავლით და ფორმათა მრავალგვარობით გამოირჩევა გონიოს ციხის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკა. აღნიშნული ნაწარმი, როგორც კეცის, ისე ფორმებისა და მოჭიქვის ტექნიკით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ჩანს, რომ დამზადებული უნდა იყოს სხვადასხვა საწარმოო ცენტრში. კეცის მიხედვით ძირითადად გამოიყოფა სამი მთავარი ჯგუფი: ა) მოწითალო-მოყავისფრო ბ) ჩალისფერკეციანი და გ) ვარდისფერკეციანი. ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმებია ჯამები, ფიალები, ლანგრები, დოქები და შანდლები.

გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკის ყველაზე ადრეული ჯგუფი აღმოჩენილია ბათუმისა და გონიოს ციხეებზე და მიეკუთვნება ოსმალური მოჭიქული კერამიკის ჯგუფს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მილეტის ტიპის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი ამ ტიპის კერამიკის რამოდენიმე ნიმუში (სულ 5 ერთეული) გამოქვეყნებული აქვს მ. მიწიშვილს. ყველა მათგანი მოხატულია თეთრ ფონზე ლურჯი საღებავით, სხვადასხვა სახის მცენარეული ორნამენტებით და წარმოადგენს სხვადასხვა ჯამის პირ-კალთის, კალთისა და ძირ-ქუსლის ნატეხებს. ორნამენტის ძირითადი სახეა „ლოტოსის“ ფოთლის მსგავსი ყვავილი [მიწიშვილი 1976:46, ტაბ.XII/1], თხუთმეტფურცლა გვირილა [მიწიშვილი 1976:46, ტაბ.XIII], მედალიონი გაფორმებული ფართო და წვრილი ხაზებისაგან შედგენილი სხივებით [მიწიშვილი 1976:46, ტაბ.XIV]. ერთ-ერთი ჯამის შიგაპირზე მოხატულია ბლის მსგავსი ორნამენტი, ხოლო გარე კალთაზე მოკლე ხაზები და მარყუჟები [მიწიშვილი 1976:46, ტაბ.XII/2-3], წვრილი მცენარეული ორნამენტითაა გაფორმებული კიდევ ერთი ჯამის შიდაპირი, ხოლო გარე კალთაზე მოხატულია მაღალღეროიანი თავდახრილი ყვავილი [მიწიშვილი 1976:46, ტაბ.XV].

აღნიშნული ჯამები მ. მიწიშვილს სხვადასხვა სახელოსნოსა და სხვადასხვა ხელოსნის ნაწარმად მიაჩნია, რადგან ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კეციით, ფორმით და ორნამენტის სახეებით. მისი აზრით, მათი წარმომავლობის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია, თუმცა აშკარაა, რომ ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ ადგილობრივ ნაწარმს. მკვლევარი მათ ზოგადად XV-XVII სს-ით ათარიღებს [მიწიშვილი 1976:48].

„მილეტის ჯგუფს“ მიეკუთვნება გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვარდისფერკეციანი ჯამის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.95/1732). ახასიათებს მომრგვალებული კალთასთან შერწყმული პირ-ბაკო და მრგვალი კალთა. კალთის ორივე მხარე დაფარულია თეთრი ფერის საღებავით, შიდა ზედაპირზე პირ-კალთის არეში ღია-ყავისფერი საღებავით მოხატულია 10 ოვალი, რომელიც მრავალფურცლა ყვავილის დეკორაციას ქმნის. ყვავილის გვერდით შერჩენილია ირიზებული მოლურჯო ელფერის საღებავი. გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური. (ტაბ.XLV/1).

„მილეტის ტიპი“ არის ოსმალური მოჭიქული კერამიკის ყველაზე ადრეული ჯგუფი, რომელიც პირველად XIV ს-ის II ნახევარში დამზადდა. სახელწოდება შერქმეულია გერმანელი მეცნიერის ფ. სარეს მიერ. 1930 წელს ანტიკური მილეტის ადგილზე მუშაობისას აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფრაგმენტების მიხედვით, ის

ფიქრობდა, რომ ეს კერამიკა მილეტში იყო წარმოებული [Saare 1935: 72-75]. თუმცა, 1960 წლიდან ო. ასლანაფას ხელმძღვანელობით ქ. იზნიკში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ამ ტიპის მოჭიქული კერამიკის მრავალრიცხოვანი ნაწარმი, ღუმელში გამომწვარი წუნდებული და დაუმთავრებელი ნიმუშები და კერამიკის გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოების ნაშთები. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, „მილეტის ტიპის“ კერამიკის ქ. იზნიკში წარმოება [Aslanapa 1965 ა:17; 1986: 315-333; 1987: 329-349; 1992: 475-494], უკანასკნელ პერიოდში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც, კერძოდ ამ ტიპის კერამიკის ქ. იზნიკთან ერთად მცირე აზიის სხვა ქალაქებშიც, კერძოდ ქუთაჰიაში, ჩანაკკალეში, კონიაში, დიარბაქირში და ა.შ. დამზადების შესახებაც [Ylmaz 2009: 26; Гусац: 2006: 300-302]. ამკარაა, რომ კეცის მიხედვით თუ ორნამენტული მოტივებით ბათუმის ციხისა და გონიოში აღმოჩენილი „მილეტის ტიპის“ კერამიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

გაფორმების ტექნიკით „მილეტის“ კერამიკა იყოფა ორ მთავარ ჯგუფად: მონოქრომულ და პოლიქრომულ ნიმუშებად. მონოქრომული კერამიკა გაფორმებულია ცისფერი, მწვანე, მუქი და ღია ყავისფერი საღებავებით. ამ ტიპის კერამიკის დამზადების დროს, უსწორმასწორო ადგილების გასწორებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო, შიდა მხარის მთლიანად, ხოლო გარე მხარის ნახევრად, ორნამენტებით მოხატვა, ჭურჭელს გადაავლებდნენ თეთრი ან ყვითელი ფერის ანგობს. ამის შემდეგ ჭურჭლის ზედაპირი, გამოცდილი ხელოსნების მიერ ფუნჯით იხატებოდა, კეთდებოდა ცისფერი, ფირუზისფერი, იისფერი და მწვანე ხაზები, იშვიათად იყენებდნენ შავ ფერსაც. ამის შემდეგ ჭურჭელს ამოავლებდნენ ჭიქურში და გამოწვავდნენ ღუმელში. ანგობის მსგავსად ჭიქურითაც ჭურჭლის გარე მხარე მხოლოდ ნახევრამდე იფარებოდა [Aslanafa 1965 ა: 29].

„მილეტის ტიპის“ კერამიკის წარმოება ო. ასლანაფას დასკვნით XV ს-ის ბოლოს წყდება [Aslanafa 1965 ა: 29-38]. ჯ. ჰეისს კი სარაჩანეს სტრატეგრაფიულ კულტურულ ფენებზე დაყრდნობით წარმოების შეწყვეტის თარიღად 1520 წელი მიაჩნია [Hayes 1992:238]. უკანასკნელ პერიოდში გამოთქმულია მოსაზრება „მილეტის ტიპის“ კერამიკის XVII ს-ის შუახანებამდე წარმოების შესახებაც [Findik 2003:105-118].

„მილეტის ტიპის“ კერამიკა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში ქუთაჯიაში, კონიაში, ანტალიაში, სილიფკეში, ბურსაში, ანკარაში, სტამბოლსა და მალათიაში [Kirmizi 2004: 17; Ylmaz 2009: 26], ხოლო იმპერიის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ხშირად გვხვდება მთელს შავიზღვისპირეთის რეგიონში, განსაკუთრებით კი ყირიმის ნახევარკუნძულზე, მანგუპში, ბაკლში, ინკერმანში, ბალაკლავში (ჩემბალო), გურზუფში, სიმეიზაში, ორეანდში, ალუმტში, ფუნსში, სუდაკში, პარტენიტაში, აზაკში და ა.შ. [Тесленко 2005:385-410; Алядинова 2015: 452-480; Гусац 2006: 300-323].

მოჭიქული კერამიკის შემდეგი ნაკეთობანი მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნება და XVII-XVIII სს-ით თარიღდება. მხატვრული შემკულობის მიხედვით მათი დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად: 1) ერთფერად უმეტესად მწვანე და შედარებით ნაკლებად ყვითელ, ცისფერ, ყავისფერ საღებავით მოჭიქულ („მონოქრომული“ კერამიკა); 2) ორფერად მოჭიქულ („ბიქრომული“ კერამიკა) და მრავალფერად („პოლიქრომული“ კერამიკა) მოჭიქულ ნაწარმად. ანგობირებულ ზედაპირზე გადავლებული ჭიქურის ხარისხი ორგვარია: ა) კრიალა ფერის და ბ) შედარებით უხარისხო, ჩამუქებული.

1. ერთფერად მოჭიქული („მონოქრომული“) კერამიკა.

ერთფერად მოჭიქულ კერამიკაში ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ტონალობის მწვანე ჭიქუროვანი საღებავით შემკული ჯამები. შედარებით ნაკლებია ყვითლად და ყავისფრად მოჭიქული ნიმუშები, ისინი ფორმებით, ორნამენტითა და კეცის სტრუქტურით თითქმის არ განსხვავდება მწვანედ მოჭიქული ჯამებისაგან. ერთფერად მოჭიქული ჯამები წარმოდგენილია პირ-კალთისა და ძირის ფრაგმენტების სახით. კეცის მიხედვით გვხვდება ძირითადად სამი ჯგუფი: ა) მოწითალო-მოყავისფრო ბ) ჩალისფერი და ბ) ვარდისფერი. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ვარდისფერკეციანი ნაწარმი. სხვადასხვა კეცის გამოწვის ხარისხიც. გვხვდება, როგორც სუფთად განლექილი კარგად დამუშავებული, ისე უხეშად დამუშავებული კეცის ჯამები. პირ-ბაკოსა და კალთის ფორმების მიხედვით ისინი ძირითადად 4 ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

ჯგუფი I. ისინი პირმოყრილი ჯამებია (გ.ა.95/1731,1852; გ.ა.96/594; გ.ა.98/71,91,158,187,4088; გ.ა.99/5664, გ.ა.02/319,2553; გ.ა.2001/49; გ.ა.2011/431; გ.ა.2015/1352,1483,1539; ზდს.2001/11,40,93,97,98). ახასიათებთ დაბრტყელებული პირ-ბაკო და მომრგვალებული, ნახევარსფეროსებური კალთა (ტაბ.XI/1-6; ტაბ.XLV/2-10). ზოგიერთი ჯამის შიდაპირზე შემორჩენილია სამფეხა ზედადგრის კვალი. ამ ჯგუფში გაერთიანებული ჯამების ნაწილს ახასიათებს მომადლო გამოყვანილი, გარეთ გაზიდული, ბრტყელი საყრდენი არის ქუსლი. ზოგიერთი ჯამის გარე კალთის ზედა ნაწილი გაფორმებულია სამკუთხედისებური ფორმის დაკბილული ორნამენტით. საინტერესოა ზენდიდის ციხეზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ჯამის პირ-კალთის ნატეხი (ზდს.2001/11). ჯამი ვარდისფერკეციანია, შიდაპირი და პირ-კალთის გარე მხარე დაფარულია კრიალა ფერის მწვანე ჭიქურით, ხოლო პირისა და კალთის არეში ალაგ-ალაგ გახვრეტილია (ტაბ.XI/4; ტაბ.XLV/8). როგორც ჩანს, იგი თავის დროზე გატეხილა. შემდეგ საგანგებოდ შეუკოწიწებიათ და მეორადად გამოუყენებიათ. გარკვეულ ვარიაციას ქმნის გონიოს ციხეზე აღმოჩენილი ყავისფრად მოჭიქული ჯამის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.02/319). ჯამის პირ-ბაკო ამ ჯგუფში შემავალი სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით, კალთისაგან მცირედაა გამოყოფილი და ოდნავ გარეთ გადაშლილი. პირბაკო ცენტრალურ ნაწილში ღარისებურად ჩაზნექილია (ტაბ.XI/6; ტაბ.XLV/10)

ჯგუფი II. მასში ერთიანდება პირმოყრილი ჯამები, რომელთაც ახასიათებთ მომრგვალებული პირ-ბაკო და მომრგვალებული, ნახევარსფეროსებური ან ზარისებური კალთა (გ.ა.96/5,375,430,667; გ.ა.98/1,5048; გ.ა./2001,1710; გ.ა.05/25; გ.ა.2014/68; გ.ა.2015/1357; ზდს.2001/98; ხც.2013/49; ხც.2014/70; ხც.2015/131,145,147). ზოგიერთი ჯამის შიდაპირზე ამოკაწრულია ორი კონცენტრული წრე (ტაბ.XI/7-12; ტაბ.XII/1; ტაბ.XLV/11-18). ამ ჯგუფში შემავალ ჯამების ნაწილს ახასიათებს დაბალი გამოყვანილი, რგოლისებური ქუსლი. გვხვდება ჯამები, რომელთა კალთა ორივე მხრიდან მთლიანადაა მოჭიქული მწვანედ ან ღია-მწვანედ. თითქმის მთლიანადაა დაცული ერთ-ერთი ჯამი (გ.ა.05/25). ახასიათებს დაბალი, დაბრტყელებული ოდნავ შეღარული ქუსლი (ტაბ.XI/7; ტაბ.XLV/12). მწვანე კრიალა ჭიქურითაა დაფარული კიდევ ერთი ჯამი (გ.ა.2001/29). განსხვავებულია მხოლოდ ქუსლის მოყვანილობა,

ახასიათებს მომადლო ბორბლისებური ქუსლი (ტაბ.XLV/15). ერთ-ერთი ჯამს (გ.ა.98/1). გარე კალთაზე მიძერწილი ჰქონია საკმაოდ ფართო ბრტყელგანივკვეთიანი ყური. ყური მიძერწილი ყოფილა კალთის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ.XI/11; ტაბ.XLV/18). საყურადღებოა ამ ქვეჯგუფში შემავალი ყავისფერი ჭიქურით დაფარული ვარდისფერკეციანი ჯამის ნატეხი (გ.ა.99/601). სხვა ჯამებისაგან განსხვავებით აქვს შიდა მხრიდან კალთისაგან მომადლო ქედით გამოყოფილი პირ-ბაკო, რომელიც გარეთაა გადაშლილი და კალთისაგან გამოყოფილია (ტაბ.XII/1; ტაბ.XLV/11). განსხვავებულ ვარიაციას ქმნის კიდევ ერთი ჯამი (გ.ა.05/39). ახასიათებს მომრგვალებული, კალთასთან შერწყმული და უმნიშვნელოდ გარეთ გადახრილი პირ-ბაკო, მომრგვალებული, ზარისებური კალთა და მომადლო გარეთ გაზიდული ქუსლი (ტაბ.XI/9; ტაბ.XLV/13).

ჯგუფი III. მათ ახასიათებთ ფართოდ გაშლილი პირი, არათანაბრად დაშვებული კალთა და ზემოთ აკეცილი პირბაკო (გ.ა.95/334,336,2747; გ.ა.96/476,509,568,659,749; გ.ა.98/6,21,22,114,191,239; გ.ა.99/302,303; გ.ა.2000/1162, გ.ა.2002/317,318; გ.ა.2014/45,46; გ.ა.2015/1455,1520). ჭიქურით დაფარულია გარე კალთის ზედა ნაწილიც, რამოდენიმე ფრაგმენტის გარე კალთა მთლიანადაა მოჭიქული. ზოგიერთ ნიმუშებს შიდა პირზე შემოუყვება კონცენტრული წრეები, ხოლო ფართედ გაშლილ პირზე ამოფხეკილია ტალღისებური ორნამენტი (ტაბ.XII/2-6; ტაბ.XLVI/1-9).

ჯგუფი IV. მათში ერთიანდება ჯამები (გ.ა.89/219; გ.ა.96/509;654;6911; გ.ა.98/22; გ.ა.99/290; გ.ა.05/49,74; გ.ა.2014/44; გ.ა.2015/1444), რომელთაც აქვთ პროფილირებული ოდნავ გარეთ გადაშლილი და ზემოთ აწეული პირ-ბაკო და მომრგვალებული კალთა (ტაბ.XII/7-10; ტაბ.XLVI/10-18). ჯამების ნაწილი მოჭიქულია ორივე მხრიდან. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ ახასიათებთ დაბალი, გამოყვანილი ქუსლი. ზოგიერთი მათგანის შიდაპირზე მოცემულია კონცენტრული წრეები და შემორჩენილი აქვთ სამფეხას კვალი (გ.ა.05/49,74) (ტაბ.XLVI/11). ამ ჯგუფში შემავალი ჯამებისაგან გამორჩეულია ერთ-ერთი ჯამის პირ-კედლის ნატეხი (გ.ა.99/290). ჯამი ვარდისფერკეციანია, კალთის ორივე მხარე მოჭიქულია ღია-მწვანე

ჭიქურით. ახასიათებს პროფილირებული ოდნავ გარეთ გადაშლილი და ტალღისებურად გაფორმებული პირ-ბაკო (ტაბ.XLVI/15).

პირისა და კალთის ფრაგმენტებთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანია ერთფერად მოჭიქული ჯამების ძირები, თუმცა მასალის სიმრავლიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს მხოლოდ ჯამებს. მათი გარკვეული ნაწილი უნდა წარმოადგენდეს ლანგრის ან თევზის ძირქუსლებს. ქუსლის მოყვანილობის მიხედვით გამოიყოფა ორი მთავარი ჯგუფი ა) მაღალქუსლიანი და ბ) დაბალქუსლიანი ფორმები. ფორმათა ვარიაციების მიხედვით თითოეული ჯგუფი თავის მხრივ, ცალკეულ ქვეჯგუფებად იყოფა.

მაღალქუსლიანებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი:

ჯგუფი I. მათში ერთიანდება მაღალი კალთისაგან გამოყოფილი და გარეთ გაზიდული, ბრტყელი საყრდენი არის მქონე ქუსლები (გ.ა.95/632,1603,1594,1901,2264,2829; გ.ა.96/818,2609,2610; გ.ა.97/186; გ.ა.98/242,250,251; გ.ა.99/528; გ.ა.2001/53; გ.ა.2015/1350,1491) ზოგიერთ ნიმუშს შიდაპირზე შემორჩენილი აქვს სამფეხას კვალი და კონცენტრული წრეები (ტაბ.XIII/1-7; ტაბ.XLVII/1-4). ოდნავ განსხვავებულია ამ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი ვარდისფერკეციანი ჯამის ქუსლი (გ.ა.99/528). ანგობირებული ზედაპირი მოჭიქულია ღია-მწვანე ჭიქურით, ბრტყელი გარეთ გაზიდული ქუსლი, კალთისაკენ თანდათან მალდება და კონუსურად ვიწროვდება (ტაბ.XIII/2; ტაბ.XLVII/3). ამავე ჯგუფში ვაერთიანებთ სხვადასხვა ჯამის ძირებს (გ.ა.95/1929; გ.ა.2015/1454,1461,1462,1540,1488), რომელთაც სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით აქვს მომრგვალებული საყრდენი არის მქონე ქუსლები.

ჯგუფი II. მათ ახასიათებთ მაღალი კალთისაგან გამოყოფილი ბორბლისებური ქუსლი, რომლის შიდა მხარე მომრგვალებულია (გ.ა.95/2647; გ.ა.96/566,1342; გ.ა.05/181) (ტაბ.XIII/8-9; ტაბ.XLVII/5-8). ამ ჯგუფში ერთიანდება ერთ-ერთი ყავისფერკეციანი, სქელკედლიანი ჯამის ძირი (გ.ა.95/2647), რომელიც ოდნავ განსხვავებული ფერის ჭიქურითაა დაფარული. ანგობირებული შიდაპირზე გადავლებული აქვს რუხი მომწვანო-მოცისფრო ელფერის უხარისხო ჭიქური. (ტაბ.XLVII/7).

უფრო მრავალრიცხოვანია და ფორმათა მრავალგვარობით გამოირჩევა დაბალქუსლიანი ჯამები, რომლებშიც გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

ჯგუფი I. მათში ერთიანდება დაბალი კალთისაგან გამოყოფილი და დაბრტყელებული ქუსლები (გ.ა.89/242,250; გ.ა.95/18,62,154,303,309;1856,2028; გ.ა.96/293,358,536,659,1042,1389; გ.ა.97/90,234; გ.ა.99/281,5801; გ.ა.02/316; გ.ა.07/327; გ.ა.08/91; გ.ა.2011/351; გ.ა.2012/2,5,6). შიდაპირზე ზოგიერთ ფრაგმენტზე შემოჩენილია სამფეხას კვალი, ხოლო ზოგიერთზე ამოკაწრულია კონცენტრული წრეები (ტაბ.XIII/10-15; ტაბ.XLVII/9-12; ტაბ.XLVIII/1-4). ერთ-ერთი ღია-მწვანედ მოჭიქული ჯამის (გ.ა.96/659) შიდაპირზე ცენტრალურ ნაწილში ოთხ კონცენტრირებულ ზოლს შორის ჩასმულია ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებული ტალისებური ორნამენტი. ასეთივე ორნამენტი გასდევს ფართოდ გადაშლილი პირის შიდა ნაწილზეც (ტაბ.XLVII/12). ჭიქურით დაფარულია ზოგიერთი ფრაგმენტის გარე კალთა და ქუსლის ნაწილიც.

ჯგუფი II. მათ ახასიათებთ დაბალი, კალთისაგან გამოყოფილი ბორბლისებური ქუსლი (გ.ა.95/6,30,2455,2648; გ.ა.96/157,535,565,2620; გ.ა.99/536,5801; ხვ.2015/130,131,139,153) ზოგიერთ მათგანის შიდაპირზე ამოკაწრულია კონცენტრული წრეები, ზოგიერთ ნიმუშებს შერჩენილი აქვს სამფეხას კვალიც. მწვანე, ღია-მწვანე და ყავისფერი ჭიქურით დაფარულია რამდენიმე ჯამის გარე კალთა და ქუსლის ნაწილიც (XIII/16-21; ტაბ.XLVIII/5-8).

ჯგუფი III. მათში ერთიანდება ჯამები, რომელთაც აქვთ დაბალი კალთისაგან გამოყოფილი და გარეთ გაზიდული, ბრტყელი საყრდენი არის მქონე ქუსლები (გ.ა.95/18,30,2798,2436; გ.ა.96/5,837,1324,2822; გ.ა.97/13; გ.ა.98/49,75; გ.ა.02/2277; გ.ა.2000/797; გ.ა.2014/115;). ჯამების ნაწილზე შიდაპირზე ამოკაწრულია კონცენტრული წრეები, ხოლო ზოგიერთი ჯამის გარე კალთა და ქუსლის ნაწილი მთლიანადაა მოჭიქული მწვანე ან ყავისფერი ჭიქურით. ამ ჯგუფში გაერთიანებული ჯამების ქუსლების ნაწილი შედარულია (ტაბ.XIV/1-5; ტაბ.XLVIII/9-12).

ჯგუფი IV. ამ ჯგუფში ერთიანდება კალთისაგან გამოყოფილი, წრიული ფორმის დაბალი სწორკედლიანი ან უმნიშვნელოდ გარეთ გაზიდული ბრტყელი საყრდენი არის მქონე ქუსლები (გ.ა.95/59,1767,1853; გ.ა.96/1336). ჭიქური ხშირ

შემთხვევაში დაზიანებულია და ნაწილობრივ ზედაპირიდან ამძვრალია. ჭიქურით დაფარულია ზოგიერთი ჯამის გარე კალთა და ქუსლისა და ძირის ნაწილიც (ტაბ. XIV/6-11; ტაბ. LIX/1-4)

ჯგუფი V. მათ ახასიათებთ დაბალი, კალთისაგან გამოყოფილი, წრიული ფორმის სწორკედლიანი ან უმნიშვნელოდ გარეთ გაზიდული ქუსლები (გ.ა.95/2030,2724; გ.ა.96/292,1018). ჭიქური ხშირ შემთხვევაში დაზიანებულია და ზედაპირიდან ნაწილობრივ ამძვრალია. სხვადასხვა შეფერილობის მწვანე უხარისხო ჭიქურით დაფარულია ზოგიერთი ჯამის გარე კალთა და ქუსლისა და ბრტყელი ძირის ნაწილიც (ტაბ. XIV/12-15; ტაბ. LIX/5-8)

ჯგუფი VI. მასში ერთიანდება დაბალი, კალთისაგან გამოყოფილი და ოდნავ გარეთ გაზიდული ქუსლები (გ.ა.95/477,626,2309; გა.96/459; გ.ა.97/148,185; გ.ა.2014/63) ამ ჯგუფში გაერთიანებული ჯამების ქუსლებს ახასიათებს შიდა მხრიდან ძირისაკენ თანდათან მომრგვალებული კედელი. ჭიქური თითქმის ყველა ნიმუშზე უხარისხოა, ჩამუქებული და ალაგ-ალაგ ირიზებული (ტაბ. XV/1-6; ტაბ. LIX/9-12).

ერთფერად მოჭიქულ ჯამებში ცალკე ჯგუფს ქმნიან სადგამიანი ჯამები. მათი რაოდენობა მცირეა. მხოლოდ რამოდენიმე ფრაგმენტია აღმოჩენილი გონიოს შიდაციხის ტერიტორიაზე (გ.ა.95/2170; გ.ა.96/3142; გ.ა.2001/200; გ.ა.03/3179; გ.ა.2015/462). მათ ახასიათებთ მაღალი, მრგვალი, კალთისაგან გამოყოფილი და გარეთ გაზიდული სადგამი (ტაბ. XVII/1-3; ტაბ. L/1-3).

2. ორფერად („ბიქრომული“) მოჭიქული კერამიკა.

მოჭიქული ჯამების შემდეგ ჯგუფს ორფერად მოჭიქული ნიმუშები ქმნიან, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ბიქრომული“ კერამიკის სახელწოდებითაა ცნობილი. სახელწოდება შერქმეულია ი. ტესლენკოს მიერ ამ ტიპის კერამიკის ძირითადი მახასიათებლების შესწავლის შედეგად - ჯამების ზედაპირზე და გარე კალთაზე დატანილი სქელი ფერადი ზოლების მიხედვით [Тесленко 2012: 242]. გაფორმების ტექნიკით, ჭიქურის ხარისხით თუ ორნამენტით გამოიყოფა 2 მთავარი ჯგუფი: I. ყვითელი, მოყვითალო-მოყავისფრო და სხვადასხვა შეფერილობის მწვანე საღებავებით მოხატული ჯამები და II. ყვითელი, მოყვითალო-მოყავისფრო და სხვადასხვა შეფერილობის მწვანე საღებავებით მოხატული ჯამები, რომლებზეც

დატანილია ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებული სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტი: სპირალური ხვები, მარყუქები, ოვლები და აშ.

I ჯგუფის ჯამების ზედაპირზე დაღვენთილია ღია-ყვითელი, ყავისფერი, მწვანე, მუქი-მწვანე საღებავები. გადავლებული აქვთ უფერული ჭიქური. ჭიქური ორგვარია კრიალა და უხარისხო-ჩამუქებული. ფერადი ნაღვენთებით გაფორმებულია ზოგიერთი ჯამის პირ-კალთის გარე მხარეც. ახასიათებთ მაღალი ბორბლისებური ქუსლი და მომრგვალებული, ნახევარსფეროსებური კალთა (გ.ა.95/2026,2120,2347,2489,2646; გ.ა.96/158; გ.ა.98/245; გ.ა.99/680; გ.ა.08/206; გ.ა.2015/1109) (ტაბ.XV/7-9; ტაბ.L/12-16). პირის მოყვანილობის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ტიპი: ა) პირმოყრილი და პირბაკო დაბრტყელებული ჯამები (გ.ა.99/680; გ.ა.08/206) (ტაბ.L/8); ბ) პირმოყრილი და მომრგვალებულ პირ-ბაკოიანი ჯამები (გ.ა.96/1591; გ.ა.97/119; გ.ა.98/30; გ.ა.99/680; გ.ა.2000/772) (ტაბ.L/9-10) და გ) ფართოდ გადაშლილი და ზემოთაწეული პირ-ბაკოიანი ჯამები (გ.ა.96/483). ამ ჯგუფს მიეკუთვნება რამდენიმე ჯამის ფრაგმენტი. შიდაპირი მოხატულია ღია-ყავისფერი და მუქი-მწვანე საღებავებით. გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური (ტაბ.L/11).

II ჯგუფის ჯამებიც ანალოგიურადაა გაფორმებული. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჯამების გასაფორმებლად ფერად ნაღვენთებთან ერთად ნაკაწრი ხაზებია გამოყენებული. ეს ჯგუფი მრავალფერად მოჭიქულ ჯამებში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია. ჯამების ზედაპირზე ამოკაწრულია სპირალური ხვები, მარყუქები, ურთიერთგადამკვეთი რომბისებური ხაზები, ოვლები. ანგობირებული ზედაპირი მოხატულია მწვანე, ღია-მწვანე, ყვითელი, ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვთ უფერული გამჭვირვალე ჭიქური. ჭიქურის ხარისხი აქაც ორგვარია ნათელი კაშკაშა ფერის და უხარისხო ჩამუქებული. ურთიერთგადამკვეთი რომბისებური დეკორით შემკულია ზოგიერთი ჯამის პირ-კალთის გარე მხარეც. პირის მოყვანილობის მიხედვით გამოიყოფა ორი მთავარი ჯგუფი: ა) აქვთ გარე მხრიდან კალთისაგან უმნიშვნელოდ გამოყოფილი, შიგნით დაქანებული პირ-ბაკო და მომრგვალებული კალთა (გ.ა.89/225,243; გ.ა.95/675,696; გ.ა.96/172,505,1343; გ.ა.98/5158; გ.ა.99/441,540₁,540₂,540₃,2078,5328,5380; გ.ა.2000/740; გ.ა.2001/209; გ.ა.2015/1154,1256,1412,1417,1443,1536,1541,1542,1543,1545; ზდს.2001/1,13)

(ტაბ.XV/10-15; ტაბ.LI/1-5). ერთ-ერთი ყავისფერკეციანი ჯამის შიდაპირზე ამოკაწრულია მცენარეული ორნამენტი (გ.ა.96/881). სხვა ჯამებისაგან განსხვავებით ახასიათებს შედარებით პატარა მომრგვალებული, ნახევარსფეროსებური კალთა და გამოყვანილი, გარეთ გაზიდული, შიდა მხრიდან ძირისაკენ ირიბად დახრილი და დაბრტყელებული ქუსლი. ძირზე დატანილია კოპისებური ბურცობი. შიდაპირზე ამოკაწრულია ერთმანეთზე გადაბმული მარყუჟისებური ხვიები, რომელიც ყვავილის ფოთლის იმიტაციას ქმნის. მათ შორის მოთავსებულია ურთიერთგადამკვეთი საპირისპირო მხარეს დახრილი ხაზები. ძირზე ამოკაწრულია ორი კონცენტრული წრე. ჯამი გაფორმებულია ღია-მწვანე და მუქი-მწვანე ფერის საღებავებით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გარე მხრიდან პირ-ბაკოსა და კალთაზე შემოუყვება ღია-მწვანე ჭიქური (ტაბ.LI/7). ბ) აქვთ ფართოდ გადაშლილი პირი და არათანაბრად დაშვებული კალთა (გ.ა.95/334). ამ ჯგუფში შემავალი ჯამებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი ჯამის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.95/334). ფართოდ გადაშლილ და ზემოთ აწეულ პირ-ბაკოზე ამოფხეკილია სხვადასხვა მიმართულებით დახრილი ხაზები, ხოლო კალთის შიდა ზედაპირზე ამოკაწრულია მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს კრიალა ფერის ჭიქური (ტაბ.LI/6). ამოკაწრის ტექნიკით გაფორმებული ჯამების ძირები თითქმის ყველა მათგანისათვის ერთნაირია, განსხვავდება მხოლოდ ზომები. ახასიათებთ კალთისაგან გამოყოფილი, ბორბლისებური, შიდა მხრიდან დაქანებული ქუსლი (გ.ა.95/11,6581,1928,2122,2456; გ.ა.96/475,532; გ.ა.97/114; გ.ა.98/51432; გ.ა.99/374; გ.ა.2000/771,796; გ.ა.04/107; გ.ა.05/11; გ.ა.07/257; გ.ა.2014/108). ჯამების შიდაპირი გაფორმებულია სხვადასხვა დეკორით: ძირითადად გვხვდება კონცენტრულ წრეში ჩასმული ტალღისებური ორნამენტი, ურთიერთგადამკვეთი რომბისებური ორნამენტი, სექტორებად დაყოფილ ადგილებში ამოკაწრული სპირალური ხვიები და მარყუჟები (ტაბ.LI/8-16).

აღსანიშნავია, რომ კეცის მიხედვით „ბიქრომული“ ნაწარმი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და ყველა მათგანი ვარდისფერკეციანია (გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე ჯამის ძირისა და კალთის ფრაგმენტები) როგორ ჩანს, ისინი ერთი საწარმოო ცენტრის ნაწარმს უნდა წარმოადგენდნენ.

3. მრავალფერად („პოლიქრომული“) მოჭიქული კერამიკა

მრავალფერად მოჭიქულ ნიმუშებშიც ორი ჯგუფი გამოიყოფა. **I ჯგუფი.** მასში ერთიანდება სხვადასხვა ჯამები (გ.ა.89/219; გ.ა.95/1795,1808; გ.ა.99/285; გ.ა.2000/797; გ.ა.2001/2121; გ.ა.2015/1444), რომელთა შიდა და გარე კალთა მოჭიქულია სხვადასხვა ფერის ჭიქურით. ახასიათებთ დაბალი წრიული ფორმის კალთისაგან გამოყოფილი სწორკედლიანი ქუსლი და ბრტყელი ძირი (ტაბ.L/4-5). ერთ-ერთი მათგანის (გ.ა.95/1792) შიდა კალთა მოჭიქულია ყავისფერი კრიალა ჭიქურით. შიდაპირზე, ძირზე დატანილია 4 კონცენტრული წრე. გარე კალთა, ქუსლი და ბრტყელი ძირის ნაწილი მოჭიქულია მწვანე კრიალა ჭიქურით (ტაბ.L/4). ერთ-ერთი ჯამის (გ.ა.95/1808) შიდაპირი მოჭიქულია ღია მწვანედ. გარე კალთა და ქუსლი კი, მოყავისფრო-მომწვანო კრიალა ჭიქურით. ჭიქურის ნაღვენთები აქა-იქ შერჩენილია ძირზეც (ტაბ.L/5). საინტერესოა ამ ჯგუფში შემავალი კიდევ ერთი ჯამის ძირი (გ.ა. 2014.1269). ჯამის ზედაპირი დაფარულია ყვითელი ანგობით. ახასიათებს მომრგვალებული კალთა, დაბალი მრგვალი, შეღარული ქუსლი და ბრტყელი ძირი. შიდაპირი მოხატულია ლურჯი, მწვანე და ყავისფერი საღებავებით შესრულებული წვრილი მცენარეული ორნამენტით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. მწვანე საღებავის ლაქები შერჩენილი აქვს გარე კალთის ზედაპირზეც (ტაბ.XVI/1;ტაბ.L/6). განსხვავებული დეკორითაა შემკული კიდევ ერთი ჯამი (გ.ა.98/87მ). შემორჩენილია პირ-კალთის ნატეხის სახით. ახასიათებს პირმოყრილი, მომრგვალებული კალთა და დაბრტყელებული ბაკო. ყვითლად ანგობირებული კალთის შიდაპირი მოჭიქულია ღია-მოყვითალო ელფერის ჭიქურით და აქა-იქ დაღვენილი აქვს მწვანე საღებავი. ანგობითა და ასეთივე ჭიქურით დაფარულია გარე კალთის ზედა ნაწილიც, რომელზეც დატანილია ირიბად დახრილი ფართო მწვანე ზოლები (ტაბ.XVI/2; ტაბ.L/7).

II ჯგუფი. მასში ერთიანდება ე.წ. „მარმარილოსებური“ ტექნიკით გაფორმებული ჯამები (ტაბ.XVI/3-14; ტაბ.LII/1-20). წარმოდგენილია ძირისა და პირ-კალთის ფრაგმენტების სახით. ჯამები მოხატულია ურთიერთმონაცვლე, ან ერთმანეთში შერეული მუქი-მწვანე, ღია-მწვანე, ყვითელი, ყავისფერი და შავი საღებავებით. გადავლებული აქვთ გამჭვირვალე ჭიქური. ჭიქურის ხარისხი

ორგვარია კრიალა ფერის და შედარებით უსიცოცხლო, ჩამუქებული. ჯამები პირ-კალთის ფრაგმენტების მიხედვით განსხვავებულია: ა) აქვთ (გ.ა.95/193; გ.ა.96/512,1311) პროფილირებული, მაღალი შიდა მხარეს ოდნავ გადახრილი, გარე მხრიდან კალთისაგან გამოყოფილი პირ-ბაკო და მომრგვალებული კალთა (ტაბ.XVI/6 ტაბ.LII/1). ბ) აქვთ გარეთ გადაშლილი პირი და მომრგვალებული კალთა (გ.ა.95/1860; გ.ა.96/1237; გ.ა.97/31; გ.ა.98/9; გ.ა.99/5464,5870) (ტაბ.XVI/ 3-5,7; ტაბ.LII/2-6). ორი ჯამის პირ-კედლის ნატეხს (გ.ა.96/1359; გ.ა.99/5464). ვარდისფერკეციან ზედაპირზე გადავლებული აქვს ყვითელი ანგობი და მოხატულია არა ერთმანეთში შერეული, არამედ ირიბად დახრილი და ერთმანეთის მონაცვლე ფართო ყავისფერი და მოყვითალო ელფერის მქონე ზოლებით (ტაბ.XVI/3; ტაბ.LII/6). გ) აქვთ მომრგვალებული პირ-ბაკო, რომელიც შერწყმულია კალთასთან (გ.ა.95/1687; გ.ა.96/1018; გ.ა.2001/2001/31) (ტაბ.XVI/8; ტაბ.LII/7-9). „მარმარილოსებური“ დეკორით გაფორმებულია ჯამების პირ-კედლის ზოგიერთი ნიმუშის გარე კალთაც.

II ჯგუფში გაერთიანებულ ჯამებს ახასიათებს დაბალი, კალთისაგან გამოყოფილი წრიული ფორმის ქუსლი და ბრტყელი ძირი. ზოგიერთ ჯამის ძირზე, ამოკაწრულია კონცენტრული წრე. „მარმარილოსებური“ ტექნიკით გაფორმებულია ან უბრალოდ ერთი ფერის ჭიქურითაა დაფარული, ზოგიერთი ჯამის გარე კალთა და ქუსლის ნაწილიც. გაფორმების ტექნიკით ძირები განსხვავებულია: ა) ძირები, რომელთა მოხატულობაში წამყვანია მწვანე ფერი (გ.ა.95/192; გ.ა.96/648,1049,1333; გ.ა.98/131; გ.ა.2001/1975). ჯამების შიდაპირი მოხატულია დაკლაკნილი, ერთმანეთში შერეული შავი ან ყავისფერი და მწვანე საღებავებით. წამყვან ფერს წარმოადგენს სხვადასხვა შეფერილობის მწვანე, მუქი-მწვანე ან ღია-მწვანე საღებავი (ტაბ.XVI/9-11; ტაბ.LII/10-14). ერთ-ერთი ჯამის შიდაპირი მწვანე ფონზე, ყავისფერი ლაქებითაა მოხატული (გ.ა.98/131) (ტაბ.LII/14). ზოგიერთი ჯამის გარე კალთა დაფარულია ღია-მწვანე ან მწვანე მოყავისფრო ფერის საღებავით; ბ) ჯამის ძირები, რომელთა მოხატულობაში წამყვან ფერს წარმოადგენს ყვითელი (გ.ა.95/71; გ.ა.96/1402; გ.ა.99/5602; გ.ა.2012/4). ყვითელ ფონზე მოხატულია დაკლაკნილი ან ერთმანეთში შერეული ყავისფერი ზოლები. ღია-ყვითელი ჭიქურით დაფარულია ამ ტიპის ჯამების გარე კალთა და ქუსლის ნაწილიც (ტაბ.XVI/12-14; ტაბ.LII/15-18).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი ჯამის ძირი (გ.ა.2012/4). ჯამის ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ერთმანეთში შერეული ყავისფერი, მწვანე, ყვითელი, შავი საღებავით. ანალოგიური დეკორით გაფორმებულია გარე კალთაც. შიდა ზედაპირზე დეკორის ქვეშ შემოუყვება რამდენიმე კონცენტრული წრე. გადავლებული აქვს კარგი ხარისხის, კრიალა ჭიქური (ტაბ.LII/16); გ) ერთიანდება ჯამები რომელთა მოხატულობაში წამყვანია ყავისფერი ფონი (გ.ა.89/241; გ.ა.95/2748; გ.ა.98/65; გ.ა.99/339). ერთ-ერთი ჯამის შიდაპირი (გ.ა.99/339) გაფორმებულია ყავისფერ ფონზე მოხატული თეთრი ლაქებით, ყავისფერი საღებავით, თეთრი და მწვანე ლაქებით დაფარულია გარე კალთა, ქუსლისა და ძირის ნაწილი (ტაბ.LII/19). განსხვავებული დეკორითაა გაფორმებული კიდევ ერთი ჯამის ძირი (გ.ა.89/241). ყავისფერ ფონზე მოხატულია ერთმანეთში შერეული, ღია-ცისფერი და მოწითალო-მოყავისფრო საღებავებით, ყავისფერი საღებავით დაფარულია გარე კალთაც (ტაბ.LII/20).

ფიალები. ჯამებისაგან განსხვავებით ისინი უფრო მოზრდილია და ღრმა ტევადობისაა. გვხვდება, როგორც ერთი ფერის (ძირითადად მწვანედ და ყვითლად) მოჭიქული (გ.ა.96/593; გ.ა.98/408; გ.ა.02/2902) (ტაბ.XVII/4; ტაბ.LIII/1-3), ისე ამოკაწრვის ტექნიკით და მრავალფერად მოჭიქული ნიმუშებიც (ტაბ.XVII/5; ტაბ.LIII/4-5). მწვანედ მოჭიქულ ცალებში ქუსლის მოყვანილობის მიხედვით გამოიყოფა: ა) დაბალი, გამოყვანილი დაბრტყელებული და კალთისაგან გამოყოფილი, ოდნავ გარეთ გაზიდული ძირები (გ.ა.98/408; გ.ა.02/2902) (ტაბ.LIII/2-3) და ბ) მაღალი მასიური, კალთისაგან გარეთ გაზიდული სქელკედლიანი ძირები (გ.ა.96/593) (ტაბ.LIII/1). ამოკაწრვის ტექნიკით გაფორმებულ ნიმუშებს მიეკუთვნება ორი მოზრდილი ფიალა, ორივე მათგანი ვარდისფერკეციანია. ერთ-ერთი ნიმუში თითქმის მთლიანადაა დაცული აკლია მხოლოდ პირ-კალთის მცირე ნაწილი (გ.ა.99/6097). აქვს მაღალი კალთისაგან გამოყოფილი ოდნავ შიგნით გადახრილი პირ-ბაკო, თანაბრად მომრგვალებული კალთა, მაღალი, მასიური, ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი. პირ-ბაკოსა და კალთის შეერთების ადგილზე ამოკაწრულია ორი პარალელური ზოლი, რომელიც შევსებულია მწვანე ფერის საღებავით. ანგობირებული შიდაპირი დაფარულია ღია-ყვითელი ფერის ჭიქურით.

ჭიქური უხარისხოა დაზიანებული, აქა-იქ შერჩენილი აქვს მწვანე საღებავის ნალვენთები. გარე კალთაზე ამოკაწრულია ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან მიღებული რომბისებური ორნამენტი, რომელიც მოხატულია ზიგზაგისებურად, ერთმანეთის მონაცვლეობით მწვანე, ყვითელი და ყავისფერი საღებავით (ტაბ.XVII/5; ტაბ.LIII/4). თითქმის მსგავსი ფორმისაა მეორე ფიალაც (გ.ა.97/3783). შემორჩენილია მხოლოდ ძირ-კალთის ფრაგმენტი. კალთა მომრგვალებულია. ქუსლი მაღალი, მასიური, ბორბლისებური. ძირი კოპისებურადაა ამობურცული. შიდაპირზე ამოკაწრულია მარყუჟები, სპირალური ხვები და ნახევაროვალეები, დეკორი გაფერადებულია ღია-ყვითელი, მოყვითალო-მოყავისფრო და მწვანე საღებავებით. გადავლებული აქვს კრიალა ფერის გამჭვირვალე ჭიქური. ანალოგიურადაა გაფორმებული გარე კალთის ზედა ნაწილიც (ტაბ.LIII/5).

თეფშები. თეფშები მოჭიქულია ერთფერად და მრავალფერად. უმრავლესობას მწვანედ მოჭიქული ნიმუშები წარმოადგენს. თეფშების ნაწილი სადაა, ნაწილი კი შემკულია ტალღისებური ან სპირალური ორნამენტით (ტაბ.XVII/6-12; ტაბ.LIII/6-19). ახასიათებთ ვარდისფერი ან ყავისფერი კეცი. ფართოდ გადაშლილი პირი, არათანაბრად დაშვებული და მომრგვალებული კალთა. შედარებით კარგადაა დაცული ყვითლად მოჭიქული თეფშის პირ-კალთის ფრაგმენტი (გ.ა.98.244). შიდაპირზე კალთის ცენტრალურ ნაწილში შემოუყვება ორი პარალელური ღარი, რომელიც შევსებულია მოყავისფრო საღებავით. ფართოდ გადაშლილ პირზე ორ პარალელურ ზოლს შორის ამოკაწრულია ტალღისებური ორნამენტი, ხოლო პირბაკო გაფორმებულია დაკბილული ორნამენტით (ტაბ.XVII/9; ტაბ.LIII/6). ფართოდ გადაშლილ პირზე ტალღისებური დეკორია ამოკაწრული მწვანედ მოჭიქული თეფშების პირ-კალთის ნაწილზეც (გ.ა.2001/45; გ.ა.2015/1349,1355). განსხვავებით ყვითლად მოჭიქული ნიმუშისაგან, თეფშების პირ-ბაკო ზემოთაა აწეული და გადავლებული აქვთ მუქი-მწვანე ფერის უხარისხო ან კრიალა ჭიქური (ტაბ.XVII/7 ტაბ.LIII/7-9). ორფერადაა მოჭიქული რამდენიმე თეფშის პირ-კალთის ნატეხი.ერთ-ერთ მათგანს (გ.ა.95/2994) ახასიათებს სუფთად განლექილი ჩალისფერი კეცი, ფართოდ გადაშლილი პირი და ზემოთ აკეცილი პირბაკო. არათანაბრად დაშვებული კალთის ორივე მხარე ანგობირებულია. შიდაპირზე ამოფხეკილია ორი

ტალღისებური ფართო ზოლი, რომელზეც ალაგ-ალაგ დაღვენთილია მწვანე ფერის საღებავი. შიდაპირი მოჭიქულია ღია მოყვითალო ჭიქურით, ხოლო გარე კალთა მწვანედ (ტაბ.XVII/10; ტაბ.LIII/13). მწვანე საღებავითაა გაფორმებული მეორე თეფშიც (გ.ა.2015/1458,1459). ანგობირებული ზედაპირი მოჭიქულია ღია-მწვანედ, ხოლო ალაგ-ალაგ მოხატულია ვერტიკალურად დაშვებული მუქი-მწვანე ფერის ფართო ზოლებით (ტაბ.XVII/11; ტაბ.LIII/14). მრავალფერად მოჭიქულ ნიმუშებში პირ-კალთა გაფორმებულია ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებული სპირალური ხვიებით, რომელიც ჩასმულია პარალელურ ზოლებში (გ.ა.96/45; გ.ა.99/2056; გ.ა.2001/30). ხოლო, კალთა დაფარულია მწვანე, ღია-მწვანე და ყვითელი საღებავებით (ტაბ.LIII/18-19). სხვა ნიმუშებისაგან გამოირჩევა ერთ-ერთი ყავისფერკეციანი თეფში (გ.ა.2001/30). ყვითლად ანგობირებული ზედაპირზე დაღვენთილია სოსნისფერი ლაქები, აქა-იქ მოხატულია მწვანე საღებავით. ფართოდ გადაშლილ პირზე და ძირზე ამოფხეკილია ერთმანეთზე გადაბმული რკალები, ხოლო პირ-კალთის შეერთების ადგილზე და ძირზე შემოუყვება კონცენტრული წრეები (ტაბ.LIII/16). თითქმის ანალოგიური დეკორითაა გაფორმებული კიდევ ერთი ყავისფერკეციანი თეფში (გ.ა.2001/46). მას ახასიათებს ფართოდ გადაშლილი პირი და არათანაბრად დაშვებული კალთა. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია ნახევაროვალები და მორკალული ზოლები, დაღვენთილი აქვს ღია-მწვანე და ყავისფერი საღებავი. მოჭიქულია ღია მოყვითალოდ (ტაბ.XVII/12; ტაბ.LIII/15). მრავალფერად მოჭიქულ და ამოკაწვრის ტექნიკით გაფორმებულ თეფშებში განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმს ერთ-ერთი ვარდისფერკეციანი თეფში წარმოადგენს. სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით (გ.ა.99/2056). ახასიათებს ტალღისებური ორნამენტით გაფორმებული პირ-ბაკო და შედარებით დაბალი, არათანაბრად დაშვებული კალთა (ტაბ.LIII/17).

გონიოს ციხის ტერიტორიაზე მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება სამი პატარა ზომის ყავის ფინჯანი. სამივე მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ერთ-ერთი ფინჯანი ჩალისფერკეციანია (გ.ა.99/536). შიდა და გარეპირი მოჭიქულია მწვანედ. აქვს თხელი კედლები, დაბალი მრგვალი, გამოყვანილი ქუსლი ბოლოვდება ცენტრში კოპისებური ბურცობის მქონე ძირით (ტაბ.LI/18). მეორე ფინჯანი ყავისფერკეციანია (გ.ა.99/269). კალთის შიდა და გარე პირი დაფარულია კრიალა

გამჭვირვალე მოყვითალო-მოყავისფრო ჭიქურით. აქვს თხელი კედლები მომრგვალებული, ნახევარსფეროსებური კალთა და დაბალი, გამოყვანილი, დისკოსებური ფორმის ქუსლი (ტაბ.LI/17). მკვეთრად განსხვავებულია მესამე ფინჯანი (გ.ა.2011.95₁). ახასიათებს რუხი კეცი. ნახევარსფეროსებური კალთა, მრგვალი დისკოსებური ქუსლი და ბრტყელი ძირი. შიდაპირზე ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი. კალთის ორივე მხარე და ქუსლის ნაწილი მოჭიქულია უხარისხო ფერის ყავისფერი ჭიქურით. ალაგ-ალაგ ჭიქური და კეცი ცეცხლში მოხვედრის გამო გაშავებულია (ტაბ. LI/19).

სამივე ფინჯანი ოსმალური კერამიკის გვიანდელი ნაწარმია და უნდა დათარიღდეს XVIII ს-ის I მეოთხედით. საწარმოო ცენტრის გარკვევა სადღეისოდ ჭირს.

დოქები. გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება დოქებიც (ტაბ.XVIII/1-4; ტაბ.LIV/1-13). სხვა მოჭიქული კერამიკის მსგავსად, დოქებიც კეცის მიხედვით შეიძლება დავყოთ 3 მთავარ ჯგუფად: ა) ვარდისფერკეციანი; ბ) მოწითალო-მოყავისფერო კეცის და გ) ჩალისფერკეციანი. ახასიათებთ თანაბრად მომრგვალებული ძირისაკენ შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი (გ.ა.95/213; გ.ა.96/153; გ.ა.98/3; გ.ა.99/6159; გ.ა.2000/50; გ.ა.02/209; გ.ა.05/9). ზედაპირი მოჭიქულია მუქი-მწვანე, ღია-მწვანე ან ყვითელი ჭიქურით. უმრავლესობას მწვანედ მოჭიქული ნიმუშები წარმოადგენენ. ჭიქურით დაფარულია ტანის ზედა ნაწილი, ზოგიერთ მათგანს მუცელზე შემოუყვება პარალელური ღარები (ტაბ.LIV/1-4). პირ-ყელისა და ტანის მოყვანილობის მიხედვით დოქები განსხვავებულია: ა) ტუჩ-მილიანი დოქები; ბ) ვიწროყელიანი დოქები; გ) მაღალი ფართო ცილინდრული ყელის მქონე დოქები და დ) მასიური დიდი ზომის დოქები.

ა) ტუჩ-მილიანი დოქები წარმოდგენილია მილის, ტანის და ყურის ფრაგმენტების სახით (გ.ა.95/1976; გ.ა.96/225,552; გ.ა.97/96,3645; გ.ა.98/14,56; გ.ა.99/34,5297,5363,5821; გ.ა.2000/779,780; გ.ა.2001/1751; გ.ა.04/236; გ.ა.07/341; გ.ა.08/92; გ.ა.09/13; გ.ა.2011/2; გ.ა.2015/28). ახასიათებთ მომრგვალებული ტანი, რომელზეც წინა მხრიდან მიძერწილი აქვს კონუსურად შევიწროვებული მილი, ვიწრო ყელი და ბრტყელგანიკვეთიანი ყურები (ტაბ.LIV/5-6).

ბ) ვიწროყელიანი დოქები (გ.ა.95/30,305,1851; გ.ა.96/264,2558,3117; გ.ა.98/5065; გ.ა.2001/5081; გ.ა.02/402; გ.ა.2015/1487,1537). ახასიათებთ დაბრტყელებული, ოდნავ გარეთ გადაშლილი პირ-ბაკო და ვიწრო ყელი, ზოგიერთ ფრაგმენტზე შერჩენილია ოვალური ან ბრტყელგანივკვეთიანი ყურის კვალი (ტაბ.LIV/7-8). ვიწრო ყელიანი დოქების ჯგუფს მიეკუთვნება პატარა ზომის ყავისფერკეციანი, მომრგვალებული ტანის ყვითლად მოჭიქული დოქი (გ.ა.05/104), რომელსაც ზედაპირზე ცენტრალურ ნაწილში ამოკაწრული აქვს ფართო ღარი, ხოლო, ტანისა და ყელის შეერთების არეში დატანილი აქვს სამილე ნახვრეტი (ტაბ.LIV/10).

გ) მაღალი ცილინდრული ყელის მქონე დოქებში გამოიყოფა: 1. დოქებს აქვთ მაღალი, ვიწრო ან ოდნავ ფართო ცილინდრული მოყვანილობის ყელი (გ.ა.95/2034; გ.ა.98/27,79,130; გ.ა.09/11), რომელიც გაფორმებულია ამოკაწრული ერთი ან რამდენიმე პარალელური ზოლით. დოქებს აქვთ მომრგვალებული ძირისაკენ შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი. ზოგიერთ ნიმუშებზე შერჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყური. ყურის ზედა ნაწილი მიძერწილია ყელზე, ხოლო ქვედა ნაწილი მომრგვალებული ტანის დასაწყისთან (ტაბ.XVIII/3; ტაბ.LIV/9). 2. დოქებს აქვთ მაღალი ფართო ცილინდრული მოყვანილობის ყელი და დაბრტყელებული გარე მხარეს შესქელებული პირ-ბაკო (გ.ა.95/103,1850; გ.ა.96/1346; გ.ა.98/44; გ.ა.99/6159; გ.ა.02/209). ყელის არეში ორივე მხრიდან გადავლებული აქვთ მწვანე ფერის ჭიქური. ჭიქურის ხარისხი ორგვარია, კრიალა ფერის და შედარებით უხარისხო, ჩამუქებული (ტაბ.LIV/1-3,11-12). მთლიანადაა დაცული ამ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი დოქი (გ.ა.02/209) მას ახასიათებს მასიური, მრგვალი პირი და ფართო ყელი. დოქის მხოლოდ ზედა ნაწილია ანგობირებული. პირიდან მხრის დასასრულამდე გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური (ტაბ.XVIII/1; ტაბ.LIV/2). განსხვავებული დეკორითაა შემკული ერთ-ერთი დოქი (გ.ა.09/10). შემორჩენილია მისი მრგვალგანივკვეთიანი ყურისა და კედლის ფრაგმენტები. კეცი ყავისფერია. ვარდისფერი ანგობით დაფარულ ზედაპირზე მწვანე საღებავით მოხატულია წრეები, აქა იქ დაღვენთილია სოსნისფერი ლაქები, ზედაპირზე ყელის არესთან მიუყვება ჩაღმავებული ფართო ღარი. გადავლებული აქვს ღია მოყვითალო ელფერის მქონე ჭიქური (ტაბ.XVIII/4; ტაბ.LIV/13).

გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ფირუზისფრად მოჭიქული კოჭობის კედლის ნატეხები (გ.ა.2015/16). მას ახასიათებს ყავისფერი კეცი, მომრგვალებული ოდნავ გარეთ გადახრილი პირი, დაბალი ყელი და მომრგვალებული ტანი. ფირუზისფერი კრიალა ფერის ჭიქურით მთლიანადაა დაფარული ანგობირებული შიდაპირი, გარეპირზე ჭიქური შერჩენილი აქვს მხოლოდ პირ-ყელის არეში (ტაბ.LI/20).

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია პატარა ზომის დოქის ხუფებიც. ერთ-ერთი ხუფი გაფორმებულია „მარმარილოსებური დეკორით“ (გ.ა.96/613). ცენტრალურ ნაწილში მიძერწილი აქვს სახელური. ხუფის შიდაპირი მოჭიქულია ყავისფრად, ხოლო გარე მხრიდან მოხატულია ყავისფერი, მწვანე და ღია-მწვანე საღებავებით (ტაბ.LII/21). შედარებით კარგადაა დაცული მეორე ხუფი (გ.ა.2015/17). მრგვალი ფორმის ზედაპირზე მიძერწილი აქვს პატარა სახელური, გადავლებული აქვს მწვანე უხარისხო ფერის ჭიქური (ტაბ.LI/21).

მოჭიქული კერამიკის ცალკე ჯგუფს ქმნის მწვანედ მოჭიქული ე.წ. „მსხვილი“ ჭურჭლის გვერდის, ძირისა და ყურის ფრაგმენტები (ტაბ.XVIII/5-8; ტაბ.LIV/14-15). უმრავლესობას ყურის ნატეხები წარმოადგენს, ყველა მათგანი მასიურია ბრტყელგანივკვეთიანი (გ.ა.95/196,303,2348; გ.ა.96/27; გ.ა.2001/2035; გ.ა.02/2271). ისინი დერგის ნატეხებია. ჭურჭლის შიდაპირზე წასმულია ყვითელი ჭიქუროვანი საღებავი. ანგობირებული ზედაპირი კი დაფარულია მწვანე საღებავით. ზოგიერთი მათგანი შემკულია ამოღარული ორნამენტით (გ.ა.99/5547). ნაწილი გაფორმებულია 5 რიგად ერთმანეთის პარალელურად განლაგებული დახრილი ჭდეებით. აქვთ მასიური ბრტყელგანივკვეთიანი ყური და ბრტყელი ძირი (ტაბ.XVIII/5; ტაბ.LIV/14). ამავე ჯგუფში ერთიანდება წითელკეციანი ძირის ფრაგმენტი (გ.ა.95/175), რომელიც გარე მხრიდან მოჭიქულია მოყვითალო-მოყავისფრო ჭიქურით, შიდაპირზე კოპისებურად ამოზნექილი ძირი დაფარულია ღია-ყვითელი ჭიქურით (ტაბ.LIV/15).

გვიანი შუასაუკუნეების საყოფაცხოვრებო მოხმარების თიხის ნაწარმს შორის გვხვდება **სასანთლები**. აღმოჩენილი ნიმუშების მიხედვით ჩანს, რომ ისინი ამოყვანილია ჩარხზე, ძირითადად წარმოდგენილია ყავისფერკეციანი და ვარდისფერკეციანი ფორმები და მოჭიქულია მწვანედ ან ყვითლად (ტაბ.XVIII/9-11;

ტაბ.LV/1-9). ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი მთლიანად დაცული ნიმუში, ამიტომ ფორმაზე სრულყოფილი მსჯელობა ჭირს. ისინი ორ ჯგუფად იყოფა: ა) სასანთლეებს აქვთ მაღალი შეზნექილპროფილიანი პირი, რომლისგან დაახლოებით 4-5 სმ-ის მოშორებით, ფეხზე ნაპირებ აზიდული ჯამია მიძერწილი სანთლის ნალვენთისათვის. (გ.ა.89/216,218; გ.ა.95/32,72; გ.ა.96/1422; გ.ა.98/1375; გ.ა.02/240; გ.ა.2012/20; გ.ა.2013/436; გ.ა.2015/16,1244). მათ ჰქონიათ კონუსისებრი ტანი და ბრტყელი ძირი. ზოგიერთი ნიმუშის ბრტყელი ძირი ცენტრალური ნაწილში კონუსურად შეზნექილია (**ტაბ.XVIII/12-16; ტაბ.LV/5-9**). ბ) მომდევნო ჯგუფში ერთიანდება შანდლები (გ.ა.95/18,129,154; გ.ა.96/272,397,465,525,998,999,1,1319; გ.ა.99/5573,6175; გ.ა.07/960; გ.ა.08/90; გ.ა.2013/367) რომელთაც, ახასიათებთ შედარებით დაბალი, კონუსისებრი ტანი და ბრტყელი ძირი, რომელთა კიდეები დაახლოებით 2,5-3 სმ-ით აზიდულია. ეს ჯგუფი შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია, განსხვავებით წინა ჯგუფისაგან, შეზნექილპროფილიან პირთან სანთლის ნალვენთისათვის მიძერწილი ჯამი ბრტყელია (**ტაბ.XVIII/9-10; ტაბ.LV/1-4**).

მოჭიქული კერამიკის სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია ზენდიდის ციხეზე აღმოჩენილი სხვადასხვა ქილის გვერდისა და ძირის ნატეხები. ქილის ორი ფრაგმენტის თეთრად ანგობირებული გარეპირი მოჭიქულია სოსნისფრად (ზდს.2001/49) (**ტაბ.XIX/1**). კიდეც ორი სხვადასხვა ქილა ხასიათდება მომრგვალებული ოდნავ გაშლილი პირით, დაბალი ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის მოკლე და განზიდულ მხრებში (ზდს.2001/13). მათ ჰქონიათ მაღალი ცილინდრული ტანი. ყელსა და მხრებზე შემოუყვებათ ამოდარული სარტყლები. ქილების უანგობო ზედაპირი ორმხრივადაა დაფარული ყვითელი ხასხასა ჭიქურის სქელი ფენით (**ტაბ.XIX/2**). ყვითლად მოჭიქული ქილის პირ-ყელის ერთი ნატეხი აღმოჩენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზეც (გ.ა.96/2512). მას ახასიათებს ვარდისფერი კეცი. დაბრტყელებული, სამკუთხაგანივკვეთიანი პირ-ბაკო და დაბალი, ფართე ცილინდრული ყელი. (**ტაბ.LIV/16**).

აღწერილი ქილები ახლოს დგას ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო ხანებამდე შემორჩენილ ქილებთან და ისინი შესაძლოა XVIII-XIX სს-ით დათარიღდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე ბათუმის ციხეზე, ციხისძირში, გონიოს ციხეზე და ა.შ. აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის დათარიღება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მ. მიწიშვილი დასავლეთ საქართველოს მოჭიქულ ჭურჭელს ყოფს ორ ნაწილად: ადგილობრივ და შემოტანილ ნაწარმად და XI-XII, XIV, XV-XVI-XVII-XVIII სს-ით ათარიღებს, ამასთან ერთად ბათუმის ციხეზე და ციხისძირში აღმოჩენილი მასალების მიხედვით, ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ბათუმის ციხეზე არსებობდა ერთფერად მოჭიქული, ხოლო ციხისძირში მრავალფერად მოჭიქული კერამიკის დასამზადებელი საწარმოო ცენტრები [მიწიშვილი 1976: 7,30-32]. გონიოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი მკლევარის აზრით იმეორებს მოუჭიქავ ჭურჭელთა ფორმებს, რაც მათ ადგილობრიობაზე უნდა მიუთითებდეს [მიწიშვილი 1976: 33]. გონიოს ციხის ტერიტორიაზე მოჭიქულ კერამიკასთან ერთად, კულტურული ფენებში აღმოჩენილ სხვა სახის ნაწარმზე (ფაიანსი, ფაიფური, ჩიბუხები, ლითონის ნაწარმი და ა.შ.) დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობთ, რომ ისინი XVII-XVIII სს-ის ნაწარმია. თუ გავითვალისწინებთ ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალების სიმრავლეს, ასევე გარკვეული ნაწილის მსგავსებას ადგილობრივ, სადა კერამიკასთან მართლაც არაა გამორიცხული მათი ნაწილის ადგილზე დამზადება, კერძოდ ყავისფერკეციანი და ერთფერად, მწვანედ და ყვითლად მოჭიქული ნიმუშების. თუმცა, რადგანაც სადღეისოდ ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე კერამიკის გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოს ნაშთები არაა მიკვლეული, მათი ადგილობრივ ნაწარმად მიჩნევა პირობითია. ასევე შეიძლება ითქვას ბათუმისა და პეტრას ციხეებზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის შესახებაც. მითუმეტეს, რომ გონიოს ციხისაგან განსხვავებით ამ ძეგლებზე მოჭიქული კერამიკა ძალიან მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. მსგავსი სურათი შეინიშნება გვიანი შუასაუკუნეების ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ ყირიმის ნ.კ-ზეც. კაფაში (ფეოდოსია) აღმოჩენილი ერთფერად მოჭიქული ნაწარმის სიმრავლიდან გამომდინარე, გამოთქმულია თვალსაზრისი შემოტანილ ნაწარმთან ერთად, მათი ნაწილის ადგილზე დამზადების შესახებ [Yenişehirlioğlu 1999: 50].

საქართველოში გვიანი შუასაუკუნეების ერთფერად, ძირითადად მწვანედ და ყვითლად და მრავალფერად მოჭიქული ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ცნობილია: თბილისის არქეოლოგიური ძეგლებიდან - ნარიყალა [მიწიშვილი 1974: 194-195], ქარვასლა, სინაგოგა [მინდორაშვილი 2009: 24-25] თელავიდან, გრემიდან, შემახადან [ჩიკოძე 1974: 68-83; ჩიკოძე 1979:79], უჯარმიდან [ლომთათიძე 1989:187] უფლისციხიდან [მინდორაშვილი 2008:50], ჯავახეთის ახალქალაქიდან [ჯანდიერი 1974: 49-67; 1978: 35], კვეტერის ციხიდან [მინდორაშვილი 2010: 62-63], ქუთაისიდან [ქარციძე 2010: 179-181] და ა.შ.

გონიოს ციხის მოჭიქული კერამიკა, როგორც კეცის მიხედვით, ისე მოხატვის ტექნიკითა და დეკორით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და აშკარაა, რომ სხვადასხვა საწარმოო ცენტრშია დამზადებული. მათი ნაწილი შემოტანილი უნდა იყოს ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ცენტრებიდან, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი უნდა ყოფილიყო ანატოლიის ქალაქი იზნიკი (ძველი ნიკუა).

როგორც ცნობილია, ოსმალურ პერიოდში ქ. იზნიკი იყო მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი. აქ გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები სტამბოლიდან ცენტრალური ანატოლიის მიმართულებით. ამიტომ, ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრთან ერთად ის ოსმალური კერამიკული წარმოების ძირითადი ცენტრიც გახდა [Findik 2001: 3]. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის იყო, რომ კერამიკულ წარმოებას ამ ქალაქში დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა და ჯერ კიდევ ბიზანტიურ პერიოდში (X-XIII სს) იყო ცნობილი [Ersoy 2008: 40]. აქ დამზადებული ოსმალური მოჭიქული კერამიკის პირველი ნიმუშებიც სწორედ ბიზანტიური კერამიკის გავლენით არის მიღებული. მოჭიქული ჭურჭელი ბიზანტიური პერიოდიდან მოყოლებული, ინტენსიური გამოყენების საგანი იყო და სადღეისოდაც არ არის ზუსტად განსაზღვრული თუ როდის იწყება მისი წარმოება ოსმალეთის იმპერიაში. ამის მიზეზი კი არის ის, რომ როგორც კეცი, ისე მოხატვის ტექნიკა და ფორმები თავდაპირველად ორივე პერიოდისათვის ერთნაირია და ოსმალური კერამიკის პირველი ნიმუშები იმდენად გავს გვიან ბიზანტიური ხანის ნაწარმს, რომ ძალიან ძნელია მათი ერთმანეთისაგან განსხვავება [François 1996: 231; Findik 2001:159].

ცნობილი ფრანგი მკვლევარი ფრანჩოიზი რომელმაც შეისწავლა ადრეული XIV-XV სს-ში იზნიკში დამზადებული ბიზანტიური კერამიკის მსგავსი ოსმალური კერამიკა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოსმალთა კერამიკოსებმა ბიზანტიელი ხელოსნებიდან გადაიღეს ამ ტიპის კერამიკის დამზადების ტექნიკა და გააგრძელეს კერამიკული წარმოების ტრადიცია ოსმალეთის იმპერიაში. აქ დამზადებული ჯამები თუ ფიალები ბიზანტიური ტრადიციების პირდაპირი მემკვიდრეები არიან [François 1996: 231]. მკვლევარი ამას ლოგიკურ ახსნას უძებნის და აღნიშნავს, რომ თუ ნიკეის (იზნიკი) ახლოს არსებობდა თიხის საბადო, რომელიც ბიზანტიურ პერიოდში გამოიყენებოდა, გაუმართლებელი იქნებოდა ოტომანების მიერ ამ რეგიონების დაპყრობისთანავე თიხის მოპოვების მიტოვება [François 1996: 232].

მართალია, მოჭიქული კერამიკის კეცი, დამუშავების ტექნიკა და ჭიქური იგივე იყო, მაგრამ მოგვიანო პერიოდში, XVII-XVIII სს-ში ოსმალეთის იმპერიაში დამზადებული ნაწარმი უკვე აშკარად განირჩევა წინა პერიოდისაგან. ნაკეთობების ხარისხი დეგრადაციას განიცდის და ხშირად მზადდება დაუდევარი, უგემოვნო ნაწარმი, ხოლო ჭიქური ხდება უფრო უხარისხო, ჩამუქებული და უსიცოცხლო. იზნიკის რომაული თეატრის გათხრებისას აღმოჩენილი ყველაზე ადრეული მწვანედ და ყვითლად მოჭიქული ფორმები, ასევე კადმეას, განოს, დიმეთოკას და სარაჩჰანეს გათხრებისას აღმოჩენილი ნიმუშები, როგორც ფორმებით, ისე მოჭიქვის ტექნიკითა და გაფორმებით ერთმანეთის მსგავსი იყო და უკვე აშკარად წარმოადგენდნენ XVII-XVIII სს-ში ოსმალთა კერამიკოსების მიერ დამზადებულ ნაწარმს. ამიტომაც, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებზე დაყრდნობით, ფიქრობენ რომ ოსმალეთის იმპერიაში მოჭიქული კერამიკა, განსაკუთრებით მწვანედ მოჭიქული ნიმუშები აქტიურად იწარმოებოდა და ვრცელდებოდა XVII-XIX სს-ში. ხოლო იზნიკში, სადაც სხვადასხვა სახის კერამიკა უწყვეტად ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან მზადდებოდა XVII ს-ის ბოლოს წყდება [Findik 2001:160].

გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვარდისფერკეციანი და ერთფერად მოჭიქული კერამიკის გარკვეული ნაწილი, ძალიან ჰგავს ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დამზადებულ ნაწარმს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „სამხრეთ-აღმოსავლეთ ყირიმის (IOBK) კერამიკის“

სახელწოდებით. ოსმალურ პერიოდში „სამხრეთ-აღმოსავლეთ ყირიმის (იუბკ) კერამიკა“ დიდი რაოდენობით იწარმოებოდა და ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში ვრცელდებოდა. ამ ჯგუფის კერამიკა წამყვან ადგილს იჭერს ყირიმის ნახევარკუნძულის ყველა არქეოლოგიურ ძეგლსა თუ ციხე-სიმაგრეზე, ხოლო მის ფარგლებს გარეთ აზაკის ციხესიმაგრეზე, დნესტრის ბელგოროდში, ყუბანისპირეთის ძეგლებზე და ბუგსკოვ ლიმანის სანაპიროზე [Масловский 2007:86-87; Тесленко 2010: 229-230; Галенко 2005: 501-503]. „სამხრეთ-აღმოსავლეთ ყირიმის (იუბკ) კერამიკა“ აღმოჩენილია სტამბოლშიც, თექვსმეტის სასახლეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს [Yenişehirlioğlu 1999:49-50]. გონიოს ციხის ტერიტორიაზე მათი შემოტანა ოსმალთა ჯარისკაცების მიერ უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება მოჭიქული კერამიკის შემდეგ ჯგუფს, ორფერად („ბიქრომული“) მოჭიქულ კერამიკას, ამ ტიპის კერამიკა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული გვიანი შუასაუკუნეების ყირიმის ნ.კ-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე XV-XVI ბოლო და XVII ს-ის დასაწყისში. ისინი მოპოვებულია ორთა ყულეს კომპის ნანგრევებში ალუსტონის ციხეზე, სუდაკში, ბარნაბო გრილოს კომპზე, ჩემბალოს ციხეზე ბალაკლავაში, ჩუფუტ კალეში, მანგუპის ციტადელზე, პარტენიტას ციხეზე და ა.შ.[Алядинова 2015: 452-480]. XV ს-ის მესამე მეოთხედამდე, ასეთი კერამიკა უცნობია ამიტომ, სავარაუდოდ უნდა დათარიღდეს XVI-XVII ს-ის შუა პერიოდით [Тесленко 2012: 242]. სადღეისოდ ამ ჯგუფის კერამიკის წარმოშობა უცნობია. სუდაკის ციხესიმაგრეზე აღმოჩენილ ერთ-ერთ ჯამზე დატანილი წარწერის ანალიზი მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ დამზადების ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ არაბეთის რომელიმე პროვინცია[Алядинова...2010: 354]. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი კერამიკა მზადდებოდა ოსმალეთის პროვინციებშიც, საიდანაც აღნიშნული კერამიკა გონიოს ციხეშიც ხვდებოდა.

მოჭიქული კერამიკის წარმოების ერთ-ერთი ცენტრს ოსმალეთის იმპერიაში წარმოადგენდა სტამბოლის ეიუფ სულთნის ხელოსანთა უბანი. აქ კერამიკული წარმოება ჯერ კიდევ XV ს-ში იწყება და 1936 წლამდე უწყვეტად გრძელდებოდა. ყოველდღიური მოხმარების, განსაკუთრებით მწვანედ მოჭიქული ნაწარმის დამზადება კი, აქტიურად XVI-XVII სს-ში მიმდინარეობდა [Yenişehirlioğlu 1999:43-

47]. მას შემდეგ რაც 1718 წლიდან იბრაჰიმ ფაშას ინიციატივითა და თაოსნობით იზნიკში დარჩენილი ხელოსნები თექვსიურის სასახლეში გადაიყვანეს, მოხდა ეიუფ სულთნის სახელოსნო უბნის გაფართოება. თექვსიურის სასახლეში დამზადებულმა კერამიკამ ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა [Findik 2001:16-17; Yenişehirlioğlu 2007: 351]. თექვსიურის სასახლეს უკავშირებენ ოსმალეთის იმპერიაში ახალი სტილის ე.წ. „მარმარილოსებური ტექნიკით“ შემკული მოჭიქული კერამიკის დამზადებას.

ამ ტიპის კერამიკა თავდაპირველად XVI-XVII სს-ში იტალიაში ჩნდება. მას ამზადებდნენ ჩრდილოეთ იტალიის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში (პიზა, მონტელუპო, სავონა ლომბარდია და ა.შ). იგი იტალიიდან ფართოდ ვრცელდება, ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ამერიკის კონტინენტზე და ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. ე.წ. „მარმარილოსებური“ კერამიკა და მისი მინაბამები ნაპოვნია: ათენში, თებეში, ლარისაში, კორინთოში, არგოსში, ჩლემოუსის ციხეზე, თესალონიკში, ვერიაში, დიმეთოკაში, ანდროსში, კოსში, სამხრეთ პელეპონესში სამხრეთ საფრანგეთში (პროვანსი), ბალკანეთის ნ.კ-ზე, კვიპროსზე (ნიქოზია), თურქეთში (კონსტანტინეპოლში, ლიკეის კუნძულზე, მერსინში, განოში, მარმარილოს ზღვის სიახლოვეს) [Yenişehirlioğlu 2007: 351; Vroom 2005: 165] და ა.შ.

თავდაპირველად სტამბოლში ამ ტიპის კერამიკა აღმოჩნდა ბიზანტიური პერიოდის კერამიკასთან ერთად და წარმოების ცენტრი გაურკვეველი იყო, მაგრამ „მარმარილოსებური“ კერამიკა, ოსმალურ მასალებთან ერთად გამოვლინდა საბერძნეთში (დიმეთოკა), სუდანში და ყირიმში, კაფასა და სუდაკის ციხეებზე, რომლებიც თექვსიურის სასახლეში დამზადებული ნაწარმის მსგავსი იყო.

როგორც ვიქრობენ, მისი წარმოება ეიუფ სულთნის ხელოსანთა უბნის გაფართოების შემდეგ იწყება და თექვსიურის ხელოსნების სახელთანაა დაკავშირებული. ოსმალეთის იმპერიაში „მარმარილოსებური“ დეკორით გაფორმებული კერამიკა აქტიურად იწარმოება XVIII-XIX სს-ში [Yenişehirlioğlu 2007: 351; Barışta 1999: 156-163; Baş 2012: 146]

ვფიქრობთ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის გარკვეული ნაწილი, კერძოდ ერთფერად, მწვანედ და ყვითლად მოჭიქული კერამიკა და ე.წ. „მარმარილოსებური ტექნიკით“

გაფორმებული ნაწარმი, სწორედ ეიუფ სულთნის სახელოსნო უბანში უნდა იყოს დამზადებული. „მარმარილოსებური“ დეკორით შემკული ჯამები შედარებით მრავლად გვხვდება გონიოს ციხეზე. რამოდენიმე ნატეხი აღმოჩენილია ბათუმის ციხეზეც, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის დედაციხეზე. მ. მიწიშვილი მათ დაღესტნურ ნაწარმად მიიჩნევს და მის გავრცელებას საქართველოში XVIII ს-ის შუა წლებიდან დარიალის სავაჭრო გზის გააქტიურებას უკავშირებს [მიწიშვილი 1976: 48, ტაბ.XI. სურ.2].

ეიუფის ხელოსნების მიერ დამზადებული „მარმარილოსებური კერამიკა“ და მწვანედ მოჭიქული ჯამები, დოქები და შანდლები დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ყირიმში, კაფასა და სუდაკის ციხეებზე და კავკასიაში. მათი გავრცელება ოსმალთა ჯარისკაცების სახელს კავშირდება [Yenişehirlioğlu 2007: 351; Yenişehirlioğlu 1999: 49]. როგორც ფიქრობენ, ეს ნაწარმი სტამბოლიდან შავიზღვისპირეთის ქვეყნებში საზღვაო გზით ვრცელდებოდა [Yenişehirlioğlu 2007: 351]. ანალოგიური გზით უნდა მოხვედრილიყო საქართველოს ტერიტორიაზეც, მათ შორის გონიოშიც.

§ 4. სადა კერამიკა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებში, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია სადა კერამიკა, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია სამზარეულო, სუფრის და სამშენებლო კერამიკის სახით. სადა კერამიკა გვხვდება, როგორც ზღვისპირა ძეგლებზე (გონიო, ბათუმის ციხე, პეტრაციხისძირი), ისე მაღალმთიან აჭარაში (ზენდიდისა და ხიხანის ციხეები)

სამზარეულო კერამიკიდან პირველ რიგში აღსანიშნავია სხვადასხვა ზომის კეცები, რომლებიც ხასიათდება, მომრგვალებული პირით, დაბალი კალთითა და ფართო ბრტყელი ძირით (გ.ა.89/79; გ.ა.02/74; გ.ა.2013/552; ზდს.2001/61,62,125,242; ბათ.ც.1989/18,26,92,96; ხ.ც.2013/17,4; ხ.ც.2014/80,72,73,74,75,76,120,121,123; ხ.ც.2015/130₁,150₂). ჭურჭლების კედლები სქელია, თიხა მსხვილმარცლოვანი. ზოგიერთს ამკობს შიდაპირზე ამოდარული ხაზები. გვხვდება დაბალი და თხელკედლიანი კეცებიც (ტაბ.XIX/3-7; ტაბ.LV/10-13). განსხვავებულ ვარიაციებს

ქმნის ხიხანის ციხეზე აღმოჩენილი კეცების ნაწილი. ზოგიერთი მათგანი გაფორმებულია კალთაზე შემოვლებული „თოკისებრი“ ორნამენტით (ზც.2014/74,76) (ტაბ.LV/10-11), ერთ-ერთი კეცის შიდაპირზე გამოსახულია ამოღარული წრეები (ზც.2014/72), ხოლო პირი გაფორმებულია თითოთ ჩაჭდებული ორნამენტით (ტაბ.LV/10).

ეს ჭურჭელი შუა საუკუნეებიდან მოკიდებული თითქმის დღემდე ინარჩუნებს ფორმის მდგრადობას და დიდად არ განსხვავდება დღევანდელ ყოფაში გავრცელებული კეცებისაგან [მინდორაშვილი 2009: 33; მასალები...1979: 108]. ამგვარი ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების ძეგლებზე [მამულაძე 1993: 64]. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი გონიოს ციხის სხვადასხვა უბნის გვიანდელი შუასაუკუნეების ფენებში.

განათხარ მასალებში გვხვდება ტაფისებური ჭურჭლის ნატეხებიც. ამ ტიპის ჭურჭლიდან შედარებით კარგადაა დაცული გონიოში აღმოჩენილი სამფეხა ჭურჭელი (გ.ა.97/3805). მას ახასიათებს ყავისფერი კეცი, მომრგვალებული პირ-ბაკო, სწორი კალთა და ბრტყელი ძირი, რომელიც ბოლოვდება სამი პატარა სადგამით (ტაბ.LV/14).

სასუფრე დანიშნულების ჭურჭლიდან აღსანიშნავია ჯამები, რომლებიც ფორმების მიხედვით სხვადასხვა ვარიაციებს ქმნიან: I. მათ აქვთ ბრტყელი ბაკო (ზდს.2001/172), დაბალი, კალთისაგან მკვეთრად გამოყოფილი მხრები და მომრგვალებული კალთა. ჭურჭლის გარე პირი გაფორმებულია ირიბი ნაჭდევეებით (ტაბ.XIX/8). II. ჯამს (ზდს.2001/158)პირზე შემოუყვება რელიეფური ტალღოვანი ორნამენტი. შიდაპირზე შემორჩენილი აქვს მორგვისებური ხაზები (ტაბ. XIX/9). III. ჯამებს აქვთ მომრგვალებული და ფართოდ გადაშლილი პირი (ზდს.2001/126,181,183). თანაბრად მომრგვალებული კალთა ბოლოვდება ბრტყელი უქუსლო ძირით. შიდაპირზე შემორჩენილია მორგვისეული ხაზები (ტაბ.XIX/10-12).

ხიხანის ციხეზე აღმოჩენილ ჯამები ნატეხების სახითაა შემორჩენილი. გვხვდება დაბრტყელებულბაკოიანი ნიმუშები, მეტნაკლებად გარეთ გაწეული

კიდით. მხრები სწორია ან ოვალური. გვხვდება მომრგვალებულპირიანი ჯამებიც (ხც.2013/4,10,11,15,22,44 [მინდორაშვილი 2015 ა:144,ტაბ.XXXI/22-28].

სადა კერამიკის შემდეგ ჯგუფს ქოთნები ქმნიან. ზოგიერთ ქოთანს (ზდს.2001/55) აქვს ბრტყელი ბაკო, სწორი პირი, დაბალი ყელი და შვეული მხრები. მხარის დასაწყისთან შემოუყვება ამოდარული ტალღოვანი სარტყელი. შიდა და გარეპირი შემკულია მორგვისეული ხაზებით (ტაბ.XX/1). ქოთნების ნაწილი ხასიათდება დაბრტყელებული ბაკოთი, დაბალი სწორი ყელით (ზდს.2001/156,255). მხრები ყელისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ტანზე შემოუყვებათ ირიბად დახრილი ამოდარული კონცენტრული ხაზები (ტაბ.XX/2). გვხვდება სამკუთხაგანივკვეთიანი გაშლილი პირის ქოთნებიც (ხც.2013/7,8,26). აქვთ ოდნავ მომაღლო ყელი. ზოგიერთზე შემორჩენილია შესაკოწიწებლად განკუთვნილი ნახვრეტები (ხც.2013/34). ქოთნების ნაწილი შემკულია ამოდარული ტალღოვანი ორნამენტით ან „თოკისებრი“ სარტყელით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე (ხც.2013/5,6.18) [მინდორაშვილი 2015 ა: 143, ტაბ.XXXI/13-19].

საინტერესოა გონიოში აღმოჩენილი ყავისფერკეციანი, თითქმის მთლიანად შემორჩენილი ქოთანი (გ.ა.98/48). მას ახასიათებს მომრგვალებული, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. მუცელზე დაუყვება ერთი ჰორიზონტალური ზოლი. შერჩენილი აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყურის მიძერწვის ადგილი. ზედაპირი ცეცხლისაგან გაშავებულია (ტაბ.LV/15).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილ სადა კერამიკულ ნაწარმს შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანია ხელადები და დოქები (ტაბ.XX/3-11; ტაბ.XXI/1-7; ტაბ.LV/16-18) ისინი დიდი რაოდენობით გამოვლენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზე. მცირე რაოდენობით გვხვდება ბათუმის ციხეზეც (ბათ.ც.1989/27¹,27⁵,91). ხელადებში ორი ტიპის გამოყოფა ხერხდება: I ტიპს მიეკუთვნება მილიანი ხელადები. ისინი მთლიანად დაცული ნიმუშების სახით ხშირად გვხვდება გონიოს ციხის „სანაგვე ორმოებში“. ერთ-ერთ მათგანს აქვს (გ.ა.96/1362) გარეთ გადაშლილი სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, ოდნავ შევიწროვებული მაღალი ყელი, მომრგვალებული მსხლისებრი ტანი და ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირს ქვემოთაა მიძერწილი, ქვედა

- ტანის არეში. აკლია მილი. ყელის არე წყვილი რელიეფური რგოლითაა შემკული, მხრის კი - ოთხი ჰორიზონტალური ღარით. კეცი მოყავისფროა. (ტაბ.XX/4; ტაბ.LV/18).

მეორე მილიანი ჭურჭლის პირიც სამკუთხაგანივკვეთიანია (გ.ა.96/1363). ზედა კალთა ოდნავ მომრგვალებულია და გარეთკენაა გადაშლილი. აქვს შუა ნაწილში ოდნავ შევიწროვებული მომაღლო ყელი, დაქანებული მხრები, მაღალი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელი ძირი. ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ზედა ნაწილი პირს ქვემოთაა მიძერწილი, ქვედა გაბრტყელებულ-გაფართოებული ბოლო კი ტანის არეში. ყურის საპირისპირო მხარეს დამერწილია მაღალი, ზემოთკენ ამოზიდული, ოდნავ დახრილი მილი. მხარის არეს შემოუყვება ვიწრო ღარი; კეცი მოყავისფროა, მინარევებიანი (ტაბ.XX/3).

აღწერილი ნიმუშები მკლევარებს XIV-XVI სს-ის ნაკეთობებად მიაჩნიათ [კახიძე...2004: 63.სურ. 46-47]. ვფიქრობთ, რომ ამგვარი დათარიღება არ შეესაბამება რეალობას და აღნიშნული დოქები, გვიანი შუასაუკუნეების სხვა სახის ნაწარმთან ერთად XVII-XVIII საუკუნეების პერიოდს განეკუთვნება.

თითქმის მთლიანადაა დაცული კიდევ ერთი ყავისფერკეციანი ხელადა (გ.ა.96/471). მას ახასიათებს ბრტყელბაკოიანი გარეთ გადაშლილი პირი. ვიწრო, ცილინდრული ყელი, მომრგვალებული ძირისკენ შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი. ერთ მხარეს მიძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ვიწრო ყური, ხოლო მეორე მხარეს დაბალი ოდნავ დახრილი მილი (ტაბ.LV/16).

მილიანი ხელადების ოთხი ნიმუში, აღმოჩენილია ზენდიდის ციხეზე. სამი მათგანი სადაა (ზდს.2001/104,178,217). ხოლო მეოთხე ხელადის მილის ფუძეს შემოუყვება დამლით დატანილი ორნამენტი, რომელიც წარმოადგენს წრეში რელიეფური ხაზებით გამოყვანილ რომბებს (ზდს.2001/89). დამლა დასმულია მილის ფუძესთან არსებულ რელიეფურ დანამერწზე. ხელადას ტანზე შემოუყვება მორგვისებური ხაზები (ტაბ.XX/6). ფრაგმენტულობის გამო ხელადების ფორმების სრულად აღდგენა არ ხერხდება. ანალოგების მიხედვით ისინი ყურიანი ჭურჭლები უნდა იყოს. ტუჩმილიანი დოქის ერთი ფრაგმენტი აღმოჩენილია ბათუმის ციხეზეც [კახიძე...2013:18].

მილიანი ხელადები, რომელთაც ზოგჯერ „ნისკარტიან“, „მილნისკარტიან“ ან „ჩაიდნისებურ“ ჭურჭლებადაც მოიხსენიებენ, ფართოდაა გავრცელებული არამართო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე [არჩვაძე 1978: 179-18], ისინი გვხვდება XVII-XVIII სს-ის მცხეთაში, რუსთავში, თბილისში - თბილისის დედაციხეზე [არჩვაძე 1974: 179-180], ქარვასლაში [მინდორაშვილი 2009: 29-30], სინაგოგაში [მინდორაშვილი 2009: 55], კვეტერაში [მინდორაშვილი 2010: 97] და აშ.

ფიქრობენ, რომ ამ ფორმის ჭურჭელი უფრო მუსულმანური სამყაროსთვისაა დამახასიათებელი და ჩვენში ისინი ირანიდან ან თურქეთიდან ვრცელდებოდა. ამგვარი ჭურჭლების თავდაპირველად გავრცელება მართლაც, მუსულმანურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა ჭურჭლის ეს ფორმა შემდგომში იმდენად დამკვიდრდა, რომ ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაში თითქმის ბოლო ხანებამდე იყო შემორჩენილი [მასალეები... 1979: 110; მინდორაშვილი 2009: 180].

II ტიპის ხელადებს მიეკუთვნება სადა დოქები. ისინი ხშირად ჩნდება გონიოში. ზოგიერთ მათგანს აქვს სწორი, მომადლო, მხრებისაგან გაფართოებული ყელისაგან გამოყოფილი პირი (გ.ა.96/1364), მაღალი ოდნავ მომრგვალებული ტანი და ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირის ქვემოთ, ხოლო ქვედა გაბრტყელებული ბოლო ტანის არეშია მიმდრწილი. მხრის არე წყვილი ღარითაა შემკული. კეცი მოყავისფროა (ტაბ. XX/7). თითქმის ანალოგიურია ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვა ნიმუშებიც (გ.ა.02/68,81,114) (ტაბ. XX/8-11; ტაბ. LV/17).

მთლიანადაა მოღწეული ერთი ხელადა (გ.ა.02/81). მას აქვს ამოდარული, გაშლილი პირი, ყელის დასაწყისთან შემოუყვება წიბო. ცილინდრული მოყვანილობის ყელი ფართოა. გამობერილ მხრებზე შემოუყვება ამოდარული სარტყელი. ძირი ვიწროა. მუცელზე შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის კვალი (ტაბ. XX/11).

ხელადების ერთი ნაწილი ხასიათდება მომრგვალებული პირით, ვიწრო და მაღალი ყელით (გ.ა.02/137). მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელზე, რომელზეც შემოუყვება ამოდარული ტალღოვანი სარტყლები. ჭურჭლის ზედაპირი

ხაოიანია. გამომწვარია წითლად. კეცი თხელი და მკვრივია. თიხა მსხვილმარცვლოვანი (ტაბ.XXI/1).

ზოგიერთ ხელადას ახასიათებს გაშლილი სამტუჩა პირი და მკვეთრად შევიწროვებული მომაღლო ყელი (ზდს.2001/185.383) (ტაბ.XXI/2-3). ბრტყელგანიკვეთიანი ყური მიერთებული აქვთ ტუჩის ქვემოთ. ძირები ბრტყელია. იშვიათად გვხვდება ქუსლიანი ეგზემპლარებიც. ყურების უმრავლესობა სადაა, ბრტყელი ან ოვალურგანიკვეთიანი.

როგორც ხელალების, ისე დოქების ზედაპირი და ხშირ შემთხვევაში შიდაპირიც, დაფარულია მორგვისეული ხაზებით. გარდა ამისა, მხატვრული შემკულობის სახეებია: ამოდარული კონცენტრული სარტყლები; ირიბი ნაჭდევების სარტყლები; გამოყვანილი ორნამენტი (ტაბ.XXI/4-5). ზენდიდის ციხის ერთ-ერთი დოქის კედელზე (ზდს.2001/279) დამლით აღბეჭდილი ვარდულება გამოსახული (ტაბ.XXI/6), ხოლო კიდევ ერთ ნიმუშზე (ზდს.2001/239) მოცემულია არაბული წარწერა (ტაბ.XXI/7).

II ტიპის ხელალები და დოქები გვიანი შუა საუკუნეების მოგვიანო ეტაპის კერამიკის ტიპური ნიმუშებია და ისინი მილიან ხელალებთან ერთად ძირითადად XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

განათხარ მასალაში მცირე რაოდენობით გამოვლენილია ქილებიც. ისინი ხასიათდება (ზდს.2001/142,233). სამკუთხაგანიკვეთიანი ოდნავ გაშლილი პირითა და მაღალი ყელით. ჭურჭელს გარე და შიდაპირზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები (ტაბ.XXI/8-9).

ქილის პირ-ყელისა და ძირის ნატეხი აღმოჩენილია ხიხანის ციხეზეც (ხც.2013/36). მას აქვს სამკუთხაგანიკვეთიანი ოდნავ გაშლილი პირი. პირზე დაძერწილი აქვს მასიური კოპი [მინდორაშვილი 2015: 143, ტაბ. XXXI/20]. ქილის ნაწილი უნდა იყოს კიდევ ერთი ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ხც.2013/21). ჭურჭლის ძირი ბრტყელია. ოდნავ პროფილირებული ქუსლი საკმაოდ დაუდევრადაა გამოყვანილი. ზედაპირი დაფარულია ვერტიკალურად დატანილი ამოკაწრული წვრილი კონცენტრული ხაზებით [მინდორაშვილი 2015: 143, ტაბ. XXXI/20].

გარდა აღწერილი ნიმუშებისა, განათხარი მასალიდან აღსანიშნავია გონიოს ციხის ტერიტორიაზე №10 კომპოში გათხრებისას აღმოჩენილი მოთეთრო-მონაცრისფრო კეცის მქონე ორი ჭურჭლის ნატეხი. ერთი მათგანი ხელადის მსგავსი ჭურჭელია (გ.ა.02/213) ფართო პირით, დაბალი ყელითა და პატარა ყურით, რომელზეც შემორჩენილია რელიეფური დანამერწის კვალი. შიდაპირზე ყელთან რელიეფური სარტყელი შემოუყვება (ტაბ. XXI/10). მეორე ჭურჭელი ხასიათდება გაშლილი პირითა და დაბალი ყელით (გ.ა.02/137). ყელის შიდა ნაწილზე შეიმჩნევა ჩამონატეხი (ტაბ. XXI/11). როგორც ფიქრობენ, ეს უნდა იყოს „საწურიანი“ ჭურჭელი [მინდორაშვილი...2009:34, ტაბ. XV. სურ. 5]. მსგავსი საწურიანი ჭურჭელი აღმოჩენილია: თბილისში [გრძელიშვილი...1961: ტაბ. XII 60,72], რუსთავში [ჭილაშვილი 1958: 108], დმანისში [ჯაფარიძე 1956: 22], უჯარმაში [ლომთათიძე 1989: 201], თელავში [ჩიკოიძე 1979: 53] და სხვ. ფიქრობენ, რომ ასეთი საწური მწერებისაგან იცავდა ჭურჭელში არსებულ სითხეს [ჭილაშვილი 1958: 108].

სადა კერამიკაში ცალკე ჯგუფს ქმნის დერგის ნატეხები (ტაბ. XXI/12-14). მათთვის დამახასიათებელია ბრტყელი პირი და ვიწრო მომაღლო ყელი. ხაოიანი ზედაპირი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით ან რელიეფური თოკისებური ორნამენტით (გ.ა.69,118,220; ბათ.ც.89/12,16²,44¹,96,108). გამომწვარია წითლად. თიხა მკვრივია. დერგები საკმაო სიმრავლითაა წარმოდგენილი ზენდიდის ციხის განათხარ მასალაში (აღმოჩენილია 20-მდე ერთეული), მათ შორის გამოირჩევა რამდენიმე ტიპი. I. მასიური დერგები ფართო და ბრტყელი ბაკოთი და ნაჭდევებიანი ქობით (ზდს.2001/10,77). ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებით ზოგიერთ დერგს ამშვენებს ამოღარული მცენარეული ორნამენტი (ზდს.2001/10) (ტაბ. XXII/1-2). II. ბრტყელბაკოიანი, სადა დერგები, რომელთაც ტანზე შემოუყვებათ მორგვისეული ხაზები (ზდს.2001/230) (ტაბ. XXII/4). III. დერგი ხასიათდება ბრტყელი ბაკოთი. ვიწრო მომაღლო ყელი შემკულია რელიეფური სარტყელით (ზდს.2001/54) (ტაბ. XXII/3). მასიური ყურების ნატეხებითაა წარმოდგენილი დერგები ხიხანის ციხეზეც. ზოგიერთი მათგანი ბრტყელგანივკვეთიანია და მხართან მიერთების ადგილას აქვს თითით დატანილი ფართო ნაჭდევი (ხც.2013/38,43) [მინდორაშვილი 2015 ა: 143, ტაბ. XXXI/9-10⁴].

სადა კერამიკის შემდეგ ჯგუფს საამშენებლო კერამიკა - კრამიტები და აგურები წარმოადგენს. ყველაზე მრავალრიცხოვანია ღარიანი კრამიტები (ტაბ.XXII/5; ტაბ.LV/19). კრამიტები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი გონიოს ციხის ტერიტორიაზე. შედარებით მრავლად მოპოვებულია ზენდიდის ციხეზე. გარკვეული რაოდენობით გვხვდება პეტრა-ციხისძირისა და ბათუმის ციხეებზეც. იშვიათად გვხვდება ხიხანის ციხეზე. ჩანს, რომ გვიან შუასაუკუნეებში ნაგებობათა გარკვეული ნაწილი კრამიტით ყოფილა გადახურული. ისინი დამზადებულია წითლად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. მათი საშუალო ზომა 40 სმ-ია. კრამიტებთან შედარებით მცირერიცხოვანია აგური. ისინი სწორკუთხაა, ვიწრო და მოგრძო ფორმის. მათი შემორჩენილი ზომებია: სიგრძე 12 სმ, სიგანე სხვადასხვაა და ძირითადად მერყეობს 10-14 სმ შორის. აგურების სიმაღლე 2,5 სმ-ია. (ტაბ.XXII/6).

საამშენებლო კერამიკა, ისევე როგორც სადა კერამიკის სხვადასხვა ნაწარმი, ადგილზე უნდა იყოს დამზადებული. აღნიშნული ნიმუშები, განსაკუთრებით მრავლად არის წარმოდგენილი გონიოს ციხის გვიანი შუასაუკუნეების ფენებში. ციხის ტერიტორიაზე სამხრეთ კარიბჭესთან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია ქურა-სახელოსნოს ნაშთებიც. [კახიძე...2004:9, ტაბ.XX-XXI; ხახუტაიშვილი...1995:3].

საამშენებლო კერამიკაც თანმხლები და პარალელური მასალების მიხედვით XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

§ 5. ჩიბუხები

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მრავლადაა მოპოვებული თიხის ჩიბუხები. გვიანი შუასაუკუნეების სხვა კერამიკის მსგავსად, მათი აბსოლუტური უმრავლესობა გონიოს ციხის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. გარკვეული რაოდენობით გვხვდება ასევე ბათუმისა (ბათ.ც.89/75,75¹,75²,75³,75⁴) [კახიძე...1989: 122-124, ტაბ.XVII] და პეტრას ციხეებზე [ინაიშვილი 1974: 130,132,137], ხოლო ზემომთიან აჭარაში ყველაზე მეტად ზენდიდის ციხის მონაპოვრებშია წარმოდგენილი (ზდს.2001/81,83,90,93,94,95,202,203,246,263,264,276,278). ორიოდ ნატეხი

აღმოჩენილია ხიხანის ციხეზეც (ხც.2013/12; ხც.2014/18) [მინდორაშვილი 2015 ა:145; ტაბ.XXXII.სურ.10]. თიხის ჩიბუხები მცირე რაოდენობით მოპოვებულია აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების ძეგლებზეც [მამულაძე 1993: 70-72].

ჩიბუხების ფორმა და ორნამენტი მრავალფეროვანია. ძირითადი ნაწილი ყალიბშია ჩამოსხმული და შემკულია ჭდეული გეომეტრიული თუ მცენარეული ორნამენტით. ზოგიერთ მათგანს წასმული აქვს ყავისფერი ან წითელი წერნაქი, გვხვდება დამდიანი ნიმუშებიც. ფორმის მიხედვით ჩიბუხები ჩამოგავს გაშლილ ყვავილს, ზარს, ძაბრს, დისკოს, გირჩს და ა.შ.[ტაბ.XXIII-XXIV; ტაბ.LVI]. როგორც წესი, ჩიბუხების ტარისა და ტანის შეერთების ადგილები გამოყოფილია მკვეთრი ჭდეული და წერტილოვანი ხაზებით. კეცის მიხედვით შეიძლება მათი დაყოფა წითლად, მოწითალოდ, ნაცრისფრად და თეთრკეციანებად. ჩიბუხების ნაწილს აქვს კანელურებით შემკული ტანი და ცილინდრული პირი, ნაწილი ბრტყელძირაა. გვხვდება დაბრტყელებულ ტანიანი და სწორი, მრავალწახნაგა პრიზმულძირიანი ჩიბუხებიც. მათი ტანი და პირ-ყელი პარალელური ხაზებით იმდენ არედაა დაყოფილი, რამდენი გვერდიც აქვს პრიზმულ პირს. ამ ტიპის ჩიბუხები შემკულობის მოტივების მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. 1. დაწახნაგებული პირის ჩიბუხები, მათი ზედაპირი დაფარულია პალმეტებით, რომლებიც ბოლოვდება ამოტვიფრული ვარდულით 2. ჩიბუხები რომლებზეც გამოსახულია მოზრდილი პალმეტები და 3. ჩიბუხები რომლებზეც მოცემულია თვალის სქემატური გამოსახულებები. ჩიბუხების ნაწილს აქვს დაბალი ყელი და ოდნავ გაშლილი პირი. ამ ტიპის ჩიბუხების ტანი დაფარულია ვერტიკალური კანელურებით. ნაწილი დისკოსებური ტიპისაა. მათ ახასიათებთ მაღალი, სადა ზედაპირის ცილინდრული ტანი. ჩიბუხების ნაწილი საშუალო მოცულობისაა. გონიოში აღმოჩენილი ჩიბუხების რამოდენიმე ნიმუშს დაწახნაგებულ ტარზე და გვირგვინზე დატანილი აქვს სპარსულ-არაბული წარწერაც (გ.ა.1-97:1073; გ.ა.1-97:1299). განსხვავებულ ჯგუფს ქმნის ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი ჩიბუხების ნაწილი. მათ ახასიათებთ ზარისებური ფორმა (ბათ.ც.89/75¹,75²,75⁴), რომელთაც მთელ სიგრძეზე გასდევს ბადისებრი ჭდეების ორნამენტირებული ზოლი [კახიძე...1989: 122-124, ტაბ.XLVII]

ცალკე ჯგუფში ერთიანდება სხვადასხვა კეცის ჩიბუხები, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ტახტა ჩიბუხების“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ტიპი ოსმალური ჩიბუხების ერთ-ერთ პოპულარულ ჯგუფს განეკუთვნება. ახასიათებთ დიდი მოცულობის ჯამი, გამობერილი ტანი, სქელკედლიანი, ცილინდრული ფორმის პირი და ბრტყელი გვერდებმომრგვალებული ქობა, რომელიც შემოსაზღვრულია ჭდეული წერტილოვანი შტამპის თითო ზოლებით. ტანი დაყოფილია რვა წახნაგად და ერთმანეთისაგან გამოყოფილია წვრილი მსუბუქი ვერტიკალური ღარებით [ტაბ.XXIV/11-16; ტაბ.LVI/13,16].

თიხის ჩიბუხებს ძირითადად უკავშირებენ მუსულმანურ სამყაროს. მათი უმეტესობა ისეთ ადგილებშია გამოვლენილი, რომლებიც ხანგრძლივი დროით ეპყრა ირან-ოსმალეთს [არჩვაძე 1978: 11-131; ჩხაიძე 1982:114-128]. კლიმატურმა და კულტურულმა განსხვავებებმა ევროპასა და აღმოსავლეთს შორის გამოიწვია ორი განსხვავებული ტიპის ჩიბუხების დამზადება, ევროპულის და აღმოსავლურის. ცხელმა ჰავამ ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნა და უპირატესობა მიანიჭა ე.წ. „ცივ მოწევას“, თამბაქოს კვამლის ცივად შესუნთქვას, ხოლო ცივი ამინდის ევროპის ქვეყნებში, მწვევლები უპირატესობას „ცხელ კვამლს“ ანიჭებდნენ. ამ საკითხის ტექნიკური გადაწყვეტა იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში და მათ შორის ოსმალეთის იმპერიაში ჩიბუხების დამზადებისას, მილის სამ ნაწილად დაყოფა. უფრო გრძელი ღერო მოწვევის დროს ცივი იყო, ვიდრე ის მწვევლამდე მიაღწევდა და ხშირად სველი აბრეშუმი იყო გამოყენებული ღეროს დასაფარად და მისი სიგრილის შესანარჩუნებლად [Dekkel 2008:114].

არსებითად თურქული წარმომავლობის აღიარება გახდა საფუძველი ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრის, რომ საქართველოში მათი შემოტანის თარიღი XVI ს-ით უნდა განისაზღვროს [არჩვაძე 1978: 11-131; ჩხაიძე 1982:114-128]. მაგრამ, უახლესი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ XVI ს-ში საქართველოში თურქული ჩიბუხების შემოტანა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან არც წერილობით და არც არქეოლოგიური მონაცემებით, XVI ს-ის ბოლო წლებამდე მათი დამზადება თურქეთშიც არ დასტურდება [თავამაიშვილი 2009:167-168].

ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს მოსაწევი ჩიბუხები ცნობილი გახდა XVII-ის დასაწყისისა და მისი გამოყენება სხვადასხვა მიზეზების გამო მკაცრად იყო აკრძალული. ხალხი მალე გახდა დამოკიდებული თამბაქოს მოწევაზე, ამიტომ უკვე 1612 წ სულთან აჰმედ I-მა მისი გამოყენება აკრძალა, ხოლო 1633 წელს მურად IV-ის დროს, კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდა და თამბაქოს მომხმარებელი სასტიკად ისჯებოდა. თამბაქოს მოწევაზე შეზღუდვა, საბოლოოდ 1646 წელს მეჰმედ IV გააუქმა, რადგან მთავრობამ მის გავრცელებაში დაინახა ეკონომიკური შემოსავლების წყარო. აქედან მოყოლებული, თამბაქო და თიხის ჩიბუხები ვრცელდება სწრაფად და შედეგად მისი წარმოების ცენტრები მრავალ ქალაქში გაიხსნა: სტამბოლში, სივასში, კაისერში, კონიაში, დიარბაქირში, იზნიკში, ქუთაჰიაში, ედირნეში, მარდინში და აშ. [vroom 2005:173-174; www.academia.edu/AnnadeVincenz:101].

თამბაქოს ჩიბუხების თავდაპირველი ნიმუშები პატარა ზომის და თეთრკეციანი ან ღია-ნაცრისფერი იყო, რადგან თამბაქო იმდროინდელ მსოფლიოში, ჯერ კიდევ იშვიათ და ძვირადღირებულ პროდუქტს წარმოადგენდა და შესაბამისად, ჩიბუხებიც პატარები მზადდებოდა. XVII ს-ის ბოლოდან თეთრი და ნაცრისფერი ჩიბუხების ნაცვლად იწყება წითელკეციანი და შედარებით დიდი ზომის ჩიბუხების წარმოება [Rebecca...1985:153; Robinson...1983:266].

აღნიშნული ნაწარმის საქართველოში შემოტანის რეალურ თარიღად, თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების, აგრეთვე სხვა ფაქტორების (თამბაქოს სიძვირე, სხვადასხვა სახის აკრძალვები) გათვალისწინებით პროფ. გ. თავამაიშვილს XVII ს-ის პირველი ნახევრის ბოლო ათწლეული მიაჩნია. მკლევარი კონკრეტულად ბათუმის ციხეზე აღმოჩენილ ჩიბუხებს, ძირითადი პარამეტრებით, ზომებით, სათუთუნე ჯამის ფორმებით, ჯამსა და ღეროზე დატანილი ორნამენტის მიხედვით, საბერძნეთის, თურქეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ანალოგებთან შედარების საფუძველზე XVIII ს-ით ათარიღებს [თავამაიშვილი 2009:167-168].

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ძეგლებზე თიხის ჩიბუხები გვხვდება: თბილისში, გორში, ყარაღაჯში, მცხეთაში, რუსთავში, გრემში, გუდარეხში, დმანისში, ნადარბაზევში, თელავში, იყალთოში; ქვემო ქართლის ნასოფლარებზე - რკინის წყალი, ძველი ბოგვი, ფოლადაური; სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში:

ახალქალაქი, ახალციხე, ვარძია, ვანის ქვაბები, ქუთაისი, წაქვინჯა [არჩვაძე 1978:119-129; ჯანდიერი 1974: 60-62; ჩიკოძე 1979: 119; მინდორაშვილი 2009: 58; ისაკაძე 2006: 127]. ისინი ყველგან ძირითადად XVII-XVIII სს-ით თარიღდება.

§ 6. ლითონის ნაწარმი

გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება რკინისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული სხვადასხვა სახის ნაწარმი. მათ შორის ყველაზე ადრეულია გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი, ალებარდის ტიპის საბრძოლო იარაღი. ერთ-ერთი მათგანი ჯერ კიდევ 1995 წელს განხორციელებული ექსპედიციის დროს იქნა მოპოვებული. ალებარდი წვერწამახვილებულია [ტაბ. XXII/9], რომისებრგანივკვეთიანი, ცალ მხარეს აქვს წალდისებური შვერილი, ხოლო მასრაზე გარდამავალ ადგილას წყვილი მრგვალგანივკვეთიანი წვეტი. მასრა მობრტყო ოთხკუთხაგანივკვეთიანია. „წალდის“ მხარეს აქვს ორკბილა გაგრძელება, ხოლო წალდისებრი პირის საპირისპირო მხარეს, ფართო ოვალურგანივკვეთიანი ნაწილის სიმეტრიულად შემორჩენილია ოთხკუთხა შვერილი, რომელიც მახვილწვერა სამკუთხედისებრი სახვრეტის საფუძველი უნდა იყოს. იარაღის საერთო სიგრძეა - 53 სმ [ავბაზავა...1998: 269; კახიძე...2004: 64; სურ.52].

ანალოგიური იარაღი აღმოჩნდა 2002 წელსაც მე-20 კოშკის გათხრებისას. იარაღს მასრაზე გარდამავალ ადგილას, ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს, აქვს ორი პატარა შვერილი [ტაბ. XXII/10]. მასრა რამდენადმე ბრტყელია, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ხის ტარზე დასამაგრებელი ნახვრეტებითა და ლურსმნებით. „წალდისებური“ ნაწილის ზემოთ ბრტყელი შვერილის ნაკვალევია შემორჩენილი. წალდისებურ ნაწილს ჩამოტეხილი აქვს „ნისკარტი.“ მის გაგრძელებას წარმოადგენს მოგრძო, ოთხკუთხაგანივკვეთიანი შვერილი, რომელიც უნდა მთავრდებოდეს მახვილი წვერით, იარაღის შემორჩენილი სიგრძე 34 სმ-ია [მინდორაშვილი...2009: 37, ტაბ. XIV სურ.1].

როგორც ცნობილია, ალებარდი ევროპული ტიპის გრძელტარიანი იარაღის საერთო სახელწოდებაა და წარმოადგენს შუბისა და წალდის კომბინაციას. ამ იარაღს სხვა სახელებთან ერთად უწოდებდნენ „ბილ“-ს, რომელიც ძალზე მოხერხებული იყო

ცხენოსან რაინდებთან საბრძოლველად და თავისი გავრცელებით მეორე რიგის იარაღი იყო ევროპაში. იარაღის ეს სახეობა განსაკუთრებით პოპულარული იყო ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. XV-XVI სს-ში მსგავსი იარაღით აღჭურვილ ფეხოსანთა რაზმებს ბილისტებს უწოდებდნენ [აფხაზავა...1998: 270]. გონიოში აღმოჩენილი ალეზარდისებური იარაღები იტალიური ტიპისაა და ზუსტი ანალოგების მიხედვით XV-XVI სს-ის I ნახევრით თარიღდება. ფიქრობენ რომ, მათი შემოტანა გენუელების სახელთანაა დაკავშირებული. მკლევარების აზრით, იმ დროს, როდესაც ოსმალები XVI ს-ის შუა ხანებში გონიოს ციხეში მკვიდრდებიან ეს იარაღი ევროპაში თითქმის გასულია ხმარებიდან, ხოლო ამავე საუკუნის ოსმალურ მინიატურებზე, რომელიც ასახავს ოსმალების ბრძოლას ევროპელებთან (ავსტრიელები, უნგრელები და ა.შ.) ბილის ტიპის იარაღით ყოველთვის ევროპელები არიან აღჭურვილი [აფხაზავა...1998: 269].

როგორც ცნობილია, გენუელთა დასახლებები, მათი სავაჭრო ფაქტორიები ყირიმში და მთლიანად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ჩნდება XIII-ის ბოლოს, როცა ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ პალეოლოგთან დადებული ნიმფეის ზავით (1261 წ) გენუელებს საშუალება მიეცათ შეეღწიათ შავ ზღვაში და ევაჭრათ მის სანაპიროზე განლაგებულ ქვეყნებთან. XIV ს-ის ბოლოს მათ ხელში იყო შავიზღვისპირეთის ვაჭრობა. მათ ეკავათ ყირიმისა და აზოვისპირეთის მნიშვნელოვანი პუნქტები – კაფა, ტანა და სხვ. [Берадзе 1989:99]. გენუელმა ვაჭრებმა საქართველოს ზღვისპირეთშიც, კერძოდ: სოხუმში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში, გაგრამი, ბათუმში და გონიოშიც დაარსეს თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები [კახიძე...2004: 60]. საინტერესოა ისიც რომ, ციხის ახალი სახელწოდება „გონიო“ XIII ს-დან ჩნდება და მკლევარ ვ. იაშვილის აზრით ეს სწორედ გენუელების სახელთანაა დაკავშირებული [იაშვილი 1955: 6-17].

ცხადია, ალეზარდისებური იარაღი არ იყო ოსმალთა შეიარაღების ძირითადი სახე, მაგრამ როგორც დ. მინდორაშვილი აღნიშნავს ეს იარაღი თურქების ხელში მოხვდა, როგორც საბრძოლო ალაფი მათ ევროპულ ქვეყნებში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს [მინდორაშვილი 2015 გ: 242]. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ შეხედულებას და

ვფიქრობთ რომ ოსმალთა ჯარისკაცების მიერ უნდა იყოს გონიოს ციხეში შემოტანილი.

რკინის ნივთებიდან ყველაზე მეტად გვხვდება ყუმბარები და სფერული ფორმის ღრუ ნაღმები (ტაბ. XXII/13), რომელთაც აქვთ სქელი კედლები (5 სმ სისქის). ნაღმში დენთი იტენებოდა საპატრუქე ხვრელიდან, რომელიც სფეროდან რამდენადმე ამოწეულია. ამგვარი ნაღმები ძირითადად კედლების დასანგრევად უნდა გამოეყენებინათ. მისი ზარბაზნით გასროლა გამორიცხული იყო სფეროზე არსებული რელიეფური საპატრუქე ხვრელის გამო. ნაღმები და ყუმბარები ლითონის სხვა ნაკეთობებისაგან განსხვავებით საკმაო რაოდენობითაა მოპოვებული, როგორც ზღვისპირა ძეგლებზე გონიოში, ბათუმის ციხეზე და პეტრა-ციხისძირში, ასევე მაღალთიან აჭარაში ზენდიდისა და ხიხანის ციხეებზე. 2015 წელს არქეოლოგიური ექსპედიციისას ხიხანის ციხის ერთ-ერთი გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობის გათხრის დროს insitu მდგომარეობაში 166 ერთეული 3 სხვადასხვა კალიბრის ზარბაზნის ჭურვები აღმოჩნდა. ხოლო გონიოს ციხის ერთ-ერთ კოშკში აღმოჩნდა (კოშკი № 6) ზარბაზნის ლულის ნატეხიც. რკინის ბირთვები გვიანი შუასაუკუნეების ბოლო ეტაპია და XIX ს-ით უნდა დათარიღდეს.

სხვა სახის რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია გონიოში აღმოჩენილი სასწორი (გ.ა.96.2756), შემოჩენილია მხოლოდ ბრტყელგანივკვეთიანი ღერო (ტაბ. LVII/7); მრგვალი ფორმის ტყვიის ჩამოსასხმელი ყალიბები (ტაბ. LVII/1-2); ლურსმნები (ტაბ. XXII/13; ტაბ. LVII/6). ლურსმნები ორი სახისაა: ა) საკმაოდ დიდი (20-21 სმ სიგრძის), აქვთ ოთხკუთხა თავი და ოთხკუთხა განივკვეთიანი ღერო და ბ) ასეთივე ფორმის, ოღონდ გაცილებით მცირე ზომის (5 სმ) ლურსმნები. ლითონის ნაკეთობებში ხშირად ჩნდება სხვადასხვა ზომის რკინის ნაღებიც (ტაბ. XXII/11-12; ტაბ. LVII/3-5). სხვა სახის ნაკეთობებისაგან აღსანიშნავია ხიხანის ციხეზე აღმოჩენილი პატარა ზომის ასტამი (ხვ.2014/91) (თონიდან პურის მოსაცილებელი ხელსაწყო) (ტაბ. LVII/8).

გარდა რკინის ნაკეთობებისა, მცირე რაოდენობით გვხვდება ბრინჯაოს მასალებიც. მათგან, პირველ რიგში აღსანიშნავია გონიოში აღმოჩენილი ჭურჭელი. ერთ-ერთი მათგანი პატარა ზომის როდინია (სანაყი) (გ.ა.2002. 39 №10). აქვს

დაბრტყელებული პირი, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. მუცელზე დატანილია ვერტიკალური წიბოები (ზომები: პირის დმ - 4,5 სმ, ძირის დმ - 6 სმ) (ტაბ.LVII/11).

თუნგის სახურავს უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთი „შლემის“ ფორმის თავსახური (გ.ა.99. 5606). სახელურთან შერჩენილი აქვს ჯაჭვის ფრაგმენტი (ტაბ.LVI/10).

შემდეგი სახეობის მასალისაგან აღსანიშნავია დოქი. (გ.ა.08.214.). ახასიათებს ძაბრისებური პირი და ვიწრო ტანისაგან რგოლისებური ქედით გამოყოფილი ყელი და სფეროსებური ტანი. ჰქონია მარყუჟის ფორმის ბრტყელგანივკვეთიანი ყური, რომელზეც დატანილია პატარა წრიული რგოლი. ძირისაკენ შევიწროვებული ტანი ბოლოვდება გამოყვანილი ქუსლით და ბრტყელი ძირით (ზომები: ძირის დმ - 9,5 სმ, პირის დმ - 7,9 სმ, ყელის დმ - 6,5 სმ)(ტაბ.LVII/9).

გვხვდება პატარა ზომის მინიატურული ჭურჭელიც. ახასიათებს გარეთ გადაშლილი კალთა და ძირისაკენ შევიწროვებული, ოდნავ შეღარული კალთა და ბრტყელი ძირი.

სხვა სახის ბრინჯაოს ნაკეთობებისაგან აღსანიშნავია ქამრის ბალთა (გ.ა. 2014.15). ოთხკუთხა ფორმის. ზედაპირი დაყოფილია ორ სექტორად და გაფორმებულია ყვავილოვანი ორნამენტით. ცალი მხარე მომდევნო ბალთასთან მიერთების ადგილში მომრგვალებულია. ბალთის მოპირდაპირე კუთხეებში ამოკაწრულია სამფურცელა ყვავილი, ხოლო ფურცლებს შორის რომბისებური დეკორი, რომბის ორ მოპირდაპირე წვეროზე ამოკაწრულია ოვალეები. ბალთის ქვედა სექტორზე მოცემულია ერთი ძირიდან გამომდინარე, სამღეროიანი ყვავილი, რომელიც ჩასმულია ორ პარალელურ, ვერტიკალურ ზოლებს შორის. ზოლებს შორის სივრცე დასარულია შტრიხებით და პატარ-პატარა წერტილებით (ტაბ.LVII/12).

ბრინჯაოს ნაკეთობები, რკინის ნაწარმის მსგავსად გვიანი შუასაუკუნეების მოგვიანო პერიოდის ნაწარმს განეკუთვნება და მათ მსგავსად XVIII ს-ის ბოლო და XIX ს-ით უნდა დათარიღდეს.

§ 7. მონეტები

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე, შემთხვევითი აღმოჩენებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია გვიანი შუასაუკუნეების მონეტებიც.

ჯერ კიდევ 1913 წელს ბათუმის მახლობლად, სამების მთის წვერზე, შემთხვევით აღმოჩნდა XVII ს-ის თურქული და სპარსული წვრილი ვერცხლის ფული (573 ც). [დუნდუა...2009: 21; ვარშალომიძე 2009: 71]. განძის ნაწილი, 29 თურქული ახჩა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდში, მონეტები ძალზე გაცვეთილია, მხოლოდ ერთზე იკითხება ზარაფხანის სახელი - კონსტანტინეპოლი და მოჭრილია სულეიმან შაჰის (1667-1694 წწ) მეფობის დროს [ანთაძე 1982: 59-60]. შემთხვევით მონაპოვრებს მიეკუთვნება ასევე 1900-იან წლებში ბათუმში რკინიგზის მეოთხე კილომეტრზე აღმოჩენილი თიხის ქილა 106 თურქული ვერცხლის მონეტით, რომლებიც ოდესის ისტორიისა და სიძველეების საზოგადოებას გადასცეს. განძი შეიცავდა აბდულჰამიდ I-ის (1774-1789 წწ) სახელით მოჭრილ მონეტებს. კიდევ ერთი შემთხვევითი აღმოჩენა მოხდა 1916 წელს ბათუმის გარეუბანში თხრილის გაყვანის დროს. ნაპოვნი იყო ერთი ოქროსა და ერთი ვერცხლის რამდენიმე მსხვილი ოსმალური ნომინალი, რომლებიც XVIII-XIX სს-ით დათარიღდა [ვარშალომიძე 2009: 71].

ოსმალური მონეტების შემდეგი მონაპოვრები, უკვე არქეოლოგიური ექსპედიციების დროსაა გამოვლენილი. 1964 წელს ციხისძირში განხორციელებული ექსპედიციის შედეგად, შიდაციხის ბაზილიკის ჩრდილო ნაგში აღმოჩნდა აჰმედ III ახჩა. ოსმალური მონეტები შედარებით მრავლადაა აღმოჩენილი გონიოს ციხის ტერიტორიაზე. მონეტები ძირითადად: აჰმედ III (1703-1730 წწ), მაჰმუდ II (1808-1839 წწ) და მეჰმედ რაშიდ V (1909-1918 წწ) პერიოდითაა განსაზღვრული [ვარშალომიძე 2009: 70].

ცხადია, ჩვენს ქვეყანაში ოსმალური ფულის შემოსვლა და გავრცელება საქართველოსა და ოსმალეთს შორის არსებული პოლიტიკური სიტუაციის შედეგი იყო. თურქეთის დაპყრობებმა ამიერკავკასიაში, საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოიწვია ოსმალური ფულის დიდი რაოდენობით

დაგროვება [ვარშალომიძე 2009: 72]. აქ აღმოჩენილი ოსმალური საფასეები, როგორც ჩანს, იანიჩარების ხელფასის ნაწილი იყო, რაც დასტურდება წერილობითი დოკუმენტებითაც [შენგელია 1987: 68,72,82,101,136,202].

გონიოს ციხის ტერიტორიაზე და სოფ. ხუცუბანში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილია XVII-XVIII ს-ის ვენეციური დუკატების [ვარშალომიძე 1996: 49; ვარშალომიძე 2004:141-147], ისინი სულ რამოდენიმე ცალია. ვენეციური დუკატების გონიოში მიმოქცევა დადასტურებულია წერილობით წყაროებშიც. ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის ცნობით: „ყველა ქრისტიანი სასულიერო წოდების კაცი, რომელიც გონიოზე გაივლის, ვალდებულია მისცეს გონიოს მმართველს ორასი დუკატი [შარდენი 1935: 46]. როგორც ცნობილია, გონიოს ციხეში მოწყობილი იყო საბაჟო პუნქტი, ამიტომ ევროპული მონეტების აღმოჩენა სავსებით კანონზომიერი ჩანს [ვარშალომიძე 1996: 29-30].

გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია რამოდენიმე პოლონური მონეტაც, ყველა მათგანი სიგიზმუნდ III (1587–1632 წწ) სახელზეა მოჭრილი [ვარშალომიძე 1998: 47; ვარშალომიძე 2004:141-147]. სიგიზმუნდ III დრაიპოლკერი აღმოჩნდა 1991 წელს სოფ. ხინოშიც, ეკლესიის ეზოში განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციის დროს [ვარშალომიძე 2002:101].

როგორც ფიქრობენ, პოლონური მონეტები საქართველოში ვრცელდება XVII ს-ის I ნახევრიდან და მათ გავრცელებას განაპირობებდა პოლონეთთან პოლიტიკური ურთიერთობა ოსმალეთის მზარდი ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში, სავაჭრო ურთიერთობები, კათოლიკე მისიონერების საქმიანობა გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში, დნეპრისა და დონის კაზაკების მიმოსვლა და სხვ. [ქეზულაძე 1971: 123-130]. გონიოს ციხის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, შემოტანილი უნდა იყოს კაზაკების მიერ. ისინი მრავალჯერ დაესხნენ თავს ციხეს, მოაოხრეს და დაანგრიეს, ხოლო 1647 წელს კი აიღეს კიდეც [ჩელები 1972: 94]. სწორედ ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის შედეგად უნდა დარჩენილიყო პოლონური მონეტები ციხის ტერიტორიაზე.

IV თავი

მეურნეობა და სამეურნეო ყოფა გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

§ 1. მიწათმოქმედება

აჭარაში სოფლის მეურნეობა უძველესი დროიდან დაწინაურებული დარგი იყო. ამის შესახებ მეტყველებს მდიდარი ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეურნეობის მთავარი წამყვანი დარგები იყო და თავიდანვე შერწყმული, სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა.

აჭარის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა: „არს აჭარა ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა არს ტყიანი“ [ვახუშტი 1973: 676].

ოსმალთა ბატონობამ მძიმე დალი დაასვა აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას საერთოდ და კერძოდ, სოფლის მეურნეობას. საგადასახადო სისტემა, რომელსაც ოსმალეთი ამკვიდრებდა დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ძირფესვიანად განსხვავდებოდა საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემისაგან. ოსმალური დავთრების მიხედვით ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე იყო გაწერილი გადასახადი უშური, რაც მთელი მოსავლის მეათედს უტოლდებოდა. გარდა ამისა, მოსახლეობა იხდიდა სხვადასხვა სახის გადასახადებს: ისფენჯი, გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ბოსტანზე, იონჯასა და თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ცხვარზე, იალალზე, ხილზე და ა.შ. რაც ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებდა მეურნეობის განვითარებაზე [შენგელია 2009: 245].

აჭარაში მიწის სიმცირის გამო, მინდვრის კულტურების მოსაყვანად იყენებდნენ თითქმის ყველანაირ ფართობს. ითესებოდა ვაკე, ფერდობები, მდინარის ნაპირები, ტყის ზოლი, მსუყე და მწირი ნიადაგები და ა.შ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებითა და მოგზაურ-მკვლევართა ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ აჭარაში გვიან შუასაუკუნეებში მოჰყავდათ ისეთი მარცვლეული კულტურები, როგორცაა: სიმინდი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, ხორბალი,

ბრინჯი, ღომი და სხვ. [სახოკია 1985: 217; ყაზბეგი 1995: 35]. თუ რაოდენ დიდი ადგილი ეჭირა შორეულ თუ ახლო წარსულში აჭარის სამეურნეო ყოფაში ჩამოთვლილ მარცვლეულ კულტურებს, მოწმობს თითოეულ მათგანთან დაკავშირებული ადგილთა სახელები, რომლებიც მრავლად მოგვეპოვება მთისა და ბარის თითქმის ყველა სოფელში. ასეთებია ნაფეტვარი, ნაპურვარი, ნადიკვარი, ნალომვარი, ნაქერვარი, ჭვავნარი და ა.შ. „აჭარა ყოვლით მარცვლითა არს ტყიანი“ წერდა ვახუშტი ბატონიშვილი [ვახუშტი 1973: 676].

ხორბლის კულტურის მოვლა-მოყვანის ყველაზე უტყუარი ნივთმტკიცებაა ზემო აჭარაში შემონახული კვერები, რომლებშიც ხარ-კამეჩს უბამდნენ. აქ დამზადებული კვერები გასაყიდად ყარს-არტაანშიც კი გაჰქონდათ [კახიძე 2009: 302].

პურეული კულტურის ამ რეგიონში გავრცელებაზე მეტყველებენ არქეოლოგიური მასალებიც. ამ მხრივ საყურადღებოა ჯერ კიდევ 1984 წელს ჭვანის (ტაკიძეების) ციხის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარცვლეული კულტურის ნაშთები. აღმოჩენილ მასალაში განსაზღვრული იქნა რბილი და მაგარი ხორბლის ჯიშები. მათ შორის დოლის პურისა და დიკას ნიმუშები, ასლი, ჭვავი, ღომი, ცულისპირა და ოსპი [მამულაძე 1993: 146].

დოლის პური თითქმის ერთნაირად ხარობდა როგორც სარწყავ, ისე ურწყავ ზოლში, ასევე როგორც ნოყიერ და ძლიერ, ისე მწირ და ქვიან ნიადაგებში. ეს გარემოება კი, აჭარის მკვიდრთათვის განსაკუთრებით ფასეული უნდა ყოფილიყო, რადგან აქ ბევრია ისეთი სოფელი, სადაც რწყვა შეუძლებელი ხდებოდა და რამდენადმე თავისებურია გეოკლიმატური პირობებიც. დოლის პური, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება ხულოს მუნიციპალიტეტის ზემო სოფლებში ითესებოდა XIX ს-ის ჩათვლით და იგი საბოლოოდ სიმინდმა განდევნა [ჩიჯავაძე 1966: 122].

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ აჭარაში XIX ს-ის ბოლომდე გაზაფხულის პურეულიდან, მხოლოდ დიკა მოჰყავდათ, იგი საქართველოს მაღალი ზონის ენდემურ ჯიშს წარმოადგენს, რასაც მისი ბოტანიკური თვისებებით ხსნიან [ჩიჯავაძე 1966: 122]. დიკადან ნაწარმოები ტოპონიმები საკმაო სიმრავლით გვხვდება

აჭარაში, განსაკუთრებით კი, ზემო აჭარასა და მთისწინა ზოლის სოფლებში [სიხარულიძე 1958: 147].

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აჭარაში საშემოდგომო ხორბლის ისეთი სახეებიცაა დამოწმებული, როგორცაა მტრედისფერა, ყირმიზი - წითელი პური, ნიქსარულა და სხვ. მტრედისფერას სახელწოდების პური ძირითადად ქედაში ყოფილა გავრცელებული. ასევე ქედასა და განსაკუთრებით შუახევში შედარებით პოპულარული ყოფილა ნიქსარულა [ჩიჯავაძე 1966: 123].

აჭარის მემინდვრობაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქერს. ამ კულტურის პოპულარობაზე მეტყველებს აქაურთა სამეურნეო ყოფაში დღემდე მტკიცედ შემონახული ტერმინი „ქერობა“, რომელიც საერთოდ ხვნა-თესვას აღნიშნავს. ხალხური ეტიმოლოგიით ქერობა ქერის თესვიდან მომდინარეობს. მისი ფართოდ გავრცელება იმით იყო განპირობებული, რომ მას გვალვის მეტი ამტანიანობა და სიმაღლესთან შეგუების უნარი ახასიათებდა. ამავე დროს შედარებით გარანტირებული მოსავალი იცოდა. აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ხშირად გვხვდება ქერთან დაკავშირებული სახელწოდებები ნაქერალი, ნაქერვალი და სხვ. [სიხარულიძე 1958: 35-122]. ეს კულტურაც სხვა სახის ხორბლეულის მსგავსად XIX ს-დან სიმინდმა განდევნა.

არქეოლოგიურ მონაპოვარში წარმოდგენილ მარცვლეულთა შორის აღსანიშნავია ასევე ჭვავის არსებობაც. ჭვავის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული მაჭახლის ხეობაში და საზოგადოდ მთელ აჭარაში, რაც ახსნილია როგორც ბუნებრივ-კლიმატური პირობების დადებითი მაჩვენებლით, ასევე თვით მცენარის ეკოლოგიური თვისებებით. მას ახასიათებს მწირი ნიადაგების მიმართ, კარგი შეგუება და გარემო პირობებისადმი ნაკლები მომთხოვნელობა. ამავე დროს იგი კარგად ეგუება სიცივესა და ყინვებს, კარგად ხარობს სხვა მარცვლეულთან მეზობლობაში და ა.შ. აჭარაში და განსაკუთრებით მთიან ზოლში მისი განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი გეოკლიმატური პირობები არსებობდა [კახიძე 1974: 24].

აჭარის მარცვლეულ კულტურებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ასლს. იგი არქეოლოგიურ მასალაში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ჭვანის არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აჭარის შუა ზოლის მეურნეობაში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ღომის კულტურაც. როგორც ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, აჭარაში გავრცელებული ყოფილა საადრეო - წითელი ღომი და საგვიანო - თეთრი ღომი [კახიძე 1974: 38].

მარცვლეული კულტურის გავრცელებას მოწმობს ოსმალური დავთრებში დაცული ცნობებიც, საიდანაც ირკვევა, რომ ისფენჯის შემდეგ (გადასახადი არამუსლიმან მოსახლეობაზე) ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობა იხდიდა გადასახადს ხორბალზე, რომელთა ოდენობა იანგარიშებოდა ქილებში და ახჩებში. დავთრების მიხედვით, მთელი ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობაზე ხორბალზე შეწერილი გადასახადი 23 240 ქილას შეადგენდა, რომლის საერთო ღირებულება იყო 227 130 ახჩა. მთელ აჭარაზე შეწერილი ქერის გადასახადი უდრიდა 2 060 ქილას ანუ 178 985 ახჩას. ჩანს რომ, აჭარის მოსახლეობას უფრო ინტენსიურად მოჰყავდა ხორბლეული [შენგელია 2009: 246].

გვიანი შუასაუკუნეების აჭარაში გავრცელებული ყოფილა ლობიოს კულტურაც. თ. სახოკიას ზემო აჭარაში დაფიქსირებული აქვს ლობიოს 9 ჯიში: მიწა-ლობიო, ყურშუმა, მადა, შვიდ-კვირა, პაპაყურა, მისირულა, სურუნჯა, ხანუმა და ხიმტა [სახოკია 1985: 218].

ფართოდ ყოფილა გავრცელებული მებოსტნეობაც. მოგზაურ-მკლევარების ცნობებით მაღალმთიანი აჭარის სოფლებში უხვად მოჰყავდათ ხახვი, პრასა, რეჰანი, ქინძი, პიტნა, ნიორი, ქონდარი, მზესუმზირა და ა.შ. [ბაქრაძე 1987: 47; სახოკია 1985: 219].

ნაკლებად, მაგრამ მაინც გავრცელებული იყო თამბაქოს კულტურა, სათუთუნე ნიადაგი შედარებით კარგი ყოფილა ქვემო აჭარაში, ხოლო ზემო აჭარაში ამ მხრივ გამორჩეული იყო სოფ. სხალთა [სახოკია 1985: 219]. კარგი ხარისხის თამბაქო მოჰყავდათ მაჭახლის ხეობაშიც [ვეიდეზაუმი 2005: 49].

§2. მევენახეობა

მეურნეობის ეს დარგი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში იყო განვითარებული და წამყვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებაში. აჭარა ამ მხრივაც დაწინაურებულ კუთხეს წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა“ [ვახუშტი 1941: 134; 1973: 676], ხოლო საკუთრივ ბათუმის, გონიოსა და ერგეს აღწერაში იგი აღნიშნავდა, რომ აქ იყო: „ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან სუნიანი მრავლად“ [ვახუშტი 1941: 176; 1973: 793].

მევენახეობა აჭარის ყველა კუთხეში ყოფილა განვითარებული. სხალთის ხეობაში ვაზი ისე კარგად იზრდება, როგორც ქართლსა და კახეთში, აღნიშნავდა ჟ. მურიე [მურიე 1962: 20].

XIX ს-ის ქართველი და უცხოელი მოგზაური-მკვლევარები საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ იმ ფაქტს, რომ აჭარაში ვაზი მაღალ ხეებზე იყო მიშვებული. წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი წერდა: „დასავლეთ საქართველოში უმეტესად მაღლარი ვენახი უნდა ყოფილიყო გაბატონებული და დაბლარი შედარებით ნაკლებად იქნებოდა გავრცელებული [ჯავახიშვილი 1986: 354]. აჭარაში მოგზაურობის დროს თ. სახოკიაც აღნიშნავდა, რომ აქ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია-სამეგრელოში. ვაზი უზარმაზარ ხეზეა გაშვებული [სახოკია 1985: 222]. კაკლისა და თუთის ჭალებთან ერთად მრავალი მაღლარი ვაზის ხე უნახავს სოფ. ჩაოსთან გ. ყაზბეგს [ყაზბეგი 1960: 91]. მურყანსა და ხურმაზე გაშვებული ვაზი დაფიქსირებული აქვს დ. ბაქრაძესაც [ბაქრაძე 1987: 47]. თ. სახოკიამ აჭარაში ჩვიდმეტი სახელწოდების მაღლარი ვაზის ჯიში აღრიცხა [სახოკია 1985: 224], ხოლო ივ. ჯავახიშვილის ცნობით, ამავე პერიოდისათვის აჭარაში ოცდახუთზე მეტი ჯიში ყოფილა შემორჩენილი [ჯავახიშვილი 1986: 354].

მაღლარი მევენახეობის განვითარებას აჭარაში ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიც უწყობდა ხელს. მცირემიწიანობისა და მთაგორიანობის პირობებში, საუკეთესო მიწები მთლიანად მემინდვრეობას ეთმობოდა და ასეთ

მიწებზე დაბლარი ვენახი ვერ გაშენდებოდა, მაღლარი კი სახნავ-სათესად სავარგული მიწების დაბანდებას არ მოითხოვდა, რადგან მას უშვებდნენ მაღალ ხეებზე, რომლებიც ბუნებრივად იზრდებოდა ან საგანგებოდ ირგვებოდა ეზო-კარმიდამოზე, გზების, ღელეების პირას, სახნავ-სათესების ირგვლივ. დაბლარისათვის ვერც აქაური მკაცრი და ყინვიანი ზამთარი იქნებოდა ხელსაყრელი. მაღლარის ჯიში კი ასეთ პირობებს ადვილად იტანდა [კახიძე 1971: 5].

მევენახეობა-მელვინეობის განვითარებაზე მიუთითებს შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარანთა სიმრავლე, კლდეში ნაკვეთი თუ კლდეებზე მიშენებული საწნახლები, მიწაში მრავლად ჩაფლული სხვადასხვა ტევადობის ქვევრები და ა.შ. [კახიძე 1974: 45]. მათ შორის, სოფ. სხალთაში, სხალთის ტაძართან ახლოს არსებულმა კომპლექსურმა მარან-საწნახელმა ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს მიიქცია მოგზაურ-მკლევართა ყურადღება. თ. სახოკია წერდა: „ტაძრამდე ასიოდე ნაბიჯის მანძილზე, გზის პირას, ძველი შენობაა ქვითკირისა, ანუ სხალთის ტაძრის მარანი, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრებით. საკვირველია ამდენ აოხრებასა და მუსვრას როგორღა გადარჩა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ნაშთი ძველი ქართული კულტურისა. ეტყობა ძველად სხალთის არემარეში დიდძალი ღვინო მოდიოდა, რომ მის შესანახად ასეთი ქვევრები სჭირდებოდათ“ [სახოკია 1985: 299].

მევენახეობა-მელვინეობის განვითარების უტყუარი მტკიცებაა ქვევრების სიმრავლე. მცირე და დიდი ტევადობის ქვევრებით მოფენილია როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარის სოფლები. მევენახეობა-მელვინეობის განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ასევე ისეთი ჭურჭლეულის აღმოჩენა, როგორცაა: დოქები, ჩაფები, კოკები, სასმისები, ჯამები, ფიალები და ა.შ., რომლებიც დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი.

გვიან შუასაუკუნეებში, აჭარაში მევენახეობა დაკნინდა, მელვინეობა კი თითქმის მოისპო. ისლამის სარწმუნოება კრძალავდა ღვინის დაყენებასა და მოხმარებას [კახიძე 1971:9], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არა მევენახეობას. ამასთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია შემდეგი ფაქტი: ზემო და ქვემო აჭარის და ბათუმის ლივების შესახებ არსებული ოსმალური საგადასახადო დავთრებით (XVI-XVII სს)

ირკვევა, რომ სხვა გადასახადებთან ერთად, აჭარის მოსახლეობა საკმაოდ დიდ გადასახადს იხდიდა შირაზე (ყურძნის ბადაგი) [შენგელია 2009: 238-244]. ღვინის დაყენება და სმა მუსლიმანური კანონმდებლობის ძალით აიკრძალა. ამასთან დაკავშირებით თ. სახოკია გულისტკივილით აღნიშნავდა: „მევენახეობის შესახებ რაღა ვსთქვათ? დაგვრჩენია მხოლოდ ავღნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტი, რომ მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისათვის ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმასღა ჰმოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა; მაგრამ მხოლოდ „ოდესღაც“, დღეს კი, სადაც არ დამტვრეულა ძველი ქვევრები, საცაა დაიმსხვრევა, ვაზები მოუვლელობით და უპატრონობით გახმება და გადაიჩეხება [სახოკია 1985: 222].

მართალია, ოსმალებმა მოსპეს მეღვინეობა, მაგრამ მევენახეობა კვლავ განაგრძობდა არსებობას (ძირითადად დარჩა მხოლოდ საჭმელი ძირები). მიუხედავად იმისა, რომ ისლამის კანონმდებლობით ღვინის დაყენება და მოხმარება იკრძალებოდა, ზემო აჭარის მოსახლეობა, ყურძნის წვენისაგან მაინც ამზადებდა ტკბილ დასალევს - ხარდალს და მას ღვინის მაგიერ ხმარობდა [სახოკია 1985: 223].

უნდა აღინიშნოს რომ, ადრე საღვინე ყურძენი და ღვინო ექსპორტის საგანიც კი იყო. ზემო აჭარის მაგალითზე გ. ყაზბეგი წერდა: „რამდენიმე წლის წინათ აჭარაში მოდიოდნენ ახალციხის სომხები, ყიდულობდნენ ყურძენს და იქვე წურავდნენ ღვინოს, მაგრამ ახლა ამ საქმეს აღარ მისდევენ, ალბათ იმიტომ, რომ სარფიანი ვერ გამოდგა [ყაზბეგი 1962: 108].

აჭარაში ღვინის დაყენების ტრადიციაზე ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟ. შარდენიც. აჭარის აღწერისას იგი აღნიშნავდა, რომ: „მიწაში ჩადგმულ ქვევრის ზედაპირს ფარავენ მდოგვის ფაფით და ნელა ასხამენ შიგ ახლად დაწურულ ტკბილს. ქვევრს ხის მრგვალ სარქველს ახურავენ და ერთი, ორი ან სამი დღის შემდეგ მაჭარი დადულდება და კარგი ხარისხის შუშხუნა ღვინო დადგება [მურიე 1962: 31].

აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს მევენახეობა-მეღვინეობის დაცემის მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა და იგი დაკავშირებულია როგორც, რელიგიურ,

ისე სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან. რელიგიურმა ფაქტორმა პირდაპირი გავლენა იქონია ღვინის დაყენებისა და მოხმარების, ვაზის საღვინე ჯიშების შემცირება-დაცემაზე, თუმცა არა მთლიანად მევენახეობის მოსპობაზე [კახიძე 2009: 314].

§3. მეხილეობა

აჭარაში მეხილეობის ფართოდ გავრცელებისა და ყოფაში მისი გამოყენების შესახებ საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა. ის წერდა, რომ აჭარისა და ხინოს ხეობებში, ბათუმის, გონიოს და ერგეს მიდამოებში ხარობდა „ხილნი მრავალნი“, აგრეთვე ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული და სხვ. [ვახუშტი 1973: 676,793].

მეხილეობის ფართოდ გავრცელებაზე ცნობებს გვაწვდიან XIX ს-ის II ნახევრის მოგზაური-მკვლევარები, ასევე ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც აჭარას წარმოგვიდგენენ, როგორც მეხილეობით, მებაღეობა-მეხოსტნეობით განვითარებულ მხარეს. ამ მონაცემების მიხედვით, ირკვევა, რომ, გვიანი შუასაუკუნეების აჭარაში ხეხილის მრავალი სახეობა ყოფილა გავრცელებული: ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი, ქლიავი, თუთა, ლელვი, ტყემალი, შინდი, კაკალი, თხილი, ნესვი და სხვ. განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ვაშლი და მსხალი [ყაზბეგი 1995: 57].

დ. ბაქრაძის ცნობით, აჭარაში ხარობდა საზამთრო და ნესვიც, უხვად ყოფილა ყურძენი, ხოლო აქაური მსხალი ძალზე გემრიელი ყოფილა [ბაქრაძე 1987: 54].

აჭარის აღწერისას თ. სახოკიაც აღნიშნავდა რომ: „აჭარა მთლიანი ბაღია, ხილი და განსაკუთრებით მსხალი ყველგანაა. ხეხილს აშენებენ ძველებურად: ხეს გადაჭრიდნენ, გააპობდნენ და ზედ კარგი ჯიშის ხეხილის ყლორტს დაამყნობენ...განსაკუთრებით მიჩნეული ადგილი ხეხილს არა აქვს, იზრდება, სადაც კი ბუნება აღმოაცენებს: ყანაში, ეზოში, ეზოს უკან, მინდვრად“. მოგზაურს აღნიშნული აქვს ვაშლის 14 და მსხლის 38 ჯიში [სახოკია 1985: 222]. მსხალი განსაკუთრებით ბევრი ყოფილა სოფ. ფურტიოში. საზამთროდ ხილისაგან, განსაკუთრებით კი მსხლისაგან ამზადებდნენ ჩირს, რომლისგანაც ზამთარში ამზადებდნენ წვენს, რომელსაც ხოშიავს ეძახდნენ [სახოკია 1985: 222]. მსხლის ნაყოფის

დადულებით მზადდებოდა ბეთმეზი, რომელსაც, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. იგი ცვლიდა ხელოვნურ შაქარს. მსხლისა და ვაშლის შემდეგ ბლომად მოდიოდა ქლიავიც. თ. სახოკიას აღწერილი აქვს ქლიავის 5 ჯიში: ქლიავი, ოტური, ვარვალა, ჭანჭური და ღორ-ქლიავა [სახოკია 1985: 222].

მეხილეობის განვითარებას აჭარაში აღნიშნავს ჟ. მურიეც. იგი წერს: „თბილი ჰავის წყალობით ბარში მშვენიერი ხილი მოდის. მრავალრიცხოვანი მსხლის ხეების კარგმა ნაყოფმა თავისი სახელი მისცა ერთ ხეობას (*იგულისხმება სხალოთისწყლის ხეობა - კ.ქ.*), კარგად ხარობს ნესვი და საზამთრო... აჭარის ჰავა საკმაოდ ზომიერია ზეთისხილის ხეებისა და ჟოლოს ბუჩქებისათვის [მურიე 1962: 30].

მეხილეობის განვითარებაზე აჭარაში მიგვანიშნებს თურქი ისტორიკოსის ქათიბ ჩელების სიტყვებიც. არტაანის ახლომდებარე ციხე-სიმაგრეებზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ: „ქენზეს ციხე, ყაზანის ციხე და სხვები ლალა მუსტაფა ფაშას დაპყრობილია, ყმაწვილების სასწავლებლები, მცირე ბაზრები, აქა-იქ პატარა ფუნდუკები არის. რადგანაც მისი ჰავა ცივია, ბალვენახი არ აქვს. ხილი თორთუმიდან და აჭარის ციხიდან მოდის“ [ჩელები 1978: 303].

ხილი არამარტო აკმაყოფილებდა აჭარის მოსახლეობის მოთხოვნილებას, არამედ გასაყიდი პროდუქტი და შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც ყოფილა. ლისოვსკის ცნობით აჭარიდან იგი ყოველწლიურად გაჰქონდათ ახალციხესა და ახალქალაქში, სადაც ჰყიდნენ ან ცვლიდნენ პურსა და მარილზე [Лисовский 1887:106]. ხილი იცვლებოდა ადგილზე სხვადასხვა საგნებზე: მარილზე, საქალამნე ტყავებზე და აშ. [სახოკია 1985: 221].

§ 4. მესაქონლეობა

გვიანი შუასაუკუნეების აჭარაში გავრცელებული ყოფილა მეცხოველეობაც. ოსმალთა ბატონობის ხანაში საქონლის სულადობა მკვეთრად შემცირებულა, რისი მიზეზიც პირუტყვის ყოლაზე გაზრდილი გადასახადი ყოფილა. მიუხედავად ამისა, მესაქონლეობა აჭარაში მაინც რჩებოდა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად. ზემო აჭარის სოფლებში მეცხოველეობა ძლიერაა განვითარებული წერდა გ.ყაზბეგი [ყაზბეგი 1995: 32].

მესაქონლეობა არამარტო საოჯახო მოხმარებისათვის ვითარდებოდა, არამედ იგი წარმოადგენდა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროსაც. პირუტყვი და მესაქონლეობის პროდუქტები (კარაქი, ყველი, ნალები, ტყავი) გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა. თ. სახოკიას ცნობით, ამ პერიოდში აჭარიდან საკლავი საქონლის გაყვანას გურიაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა [სახოკია 1985: 119], ხოლო გ. ყაზბეგის მონაცემებით, მხოლოდ ღორჯომიდან ერთი წლის განმავლობაში ასი სული პირუტყვი გაუყიდიათ [ყაზბეგი 1962: 108].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მესაქონლეობის კვლევისათვის კონკრეტული მასალები ცოტა გვაქვს. სამწუხაროდ ოსტეოლოგიური მასალები შესწავლილი არ არის, მაგრამ წინასწარი დაკვირვებით ჩანს, რომ სხვადასხვა ძეგლების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ძვლოვან მასალაში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია მსხვილფეხა საქონლის ძვლები. არის თხის, ცხვრის, ღორის, ცხენის, გარეული ცხოველებისა თუ ფრინველების ძვლებიც. ჩვენს ცოდნას ამ მხრივ გარკვეულად ავსებს თიხის სამეურნეო ჭურჭლის ანალიზი, წერილობითი ცნობები და ეთნოგრაფიული მასალები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ სამეურნეო ჭურჭლებს შორის (დერგები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, სადღვებებლები და ა.შ.). ბევრია ისეთი, რომლებიც აშკარად მესაქონლეობის პროდუქტების გადამუშავებასა და შენახვასთან იყო დაკავშირებული [მამულაძე 1993: 161, ტაბ.11.4-7].

მეურნეობის ეს დარგი აჭარის ყველა რაიონში ერთნაირად არ ყოფილა განვითარებული, რისი მიზეზიც სამოვრებისა და სათიბების სიმცირე ყოფილა. ქვემო აჭარაში მეცხოველეობა ძირითადად საოჯახო მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

მეცხოველეობის მხრივ დაწინაურებული იყო ზემო აჭარა: „მესაქონლეობა ზემო აჭარაში ძლიერაა განვითარებული სოფლებში: ბაკოში, ხიხადირსა და თხილვანაში. განსაკუთრებით ღორჯომსა და ნაღვარევში“ წერდა გ. ყაზბეგი [ყაზბეგი 1995: 57]. სოფ. ღორჯომში, შეძლებულ ოჯახს 20-30 მეწველი ძროხა, რამდენიმე უღელი ხარი და შედარებით ნაკლები ცხვარი (25-30 სული) ჰყოლია [ყაზბეგი 1995: 34]. თ. სახოკია აღნიშნავდა რომ: „საქონლის მოშენებას ისეთ საზოგადოებებში მისდევენ, სადაც მთის იალღები ახლოს აკრავთ. ასეთებია ზემო აჭარაში, განსაკუთრებით ღორჯომის, აგარის, შუახევისა და ფურტიოს საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათა მცხოვრებნი შედარებით შეძლებულად ცხოვრობენ [სახოკია 1985: 219].

ზემომთიან აჭარაში ჰყოლიათ ცხენებიც, აქ გავრცელებული ყოფილა ახალციხური ჯიშის ცხენები, „რომლებიც საკმაოდ ღონიერი იყვნენ, მეტად მაგარი ფეხისანი და აღმართებზე სიარულში სწორუპოვარნი“ [სახოკია 1985: 220]. ნაკლებად მაგრამ, მაინც ჰყოლიათ სახედრებიც, ძირითადად იმ სოფლებში საიდანაც ზაფხულობით სამოვრებზე ადიოდნენ [სახოკია 1985:220]. მცირე რაოდენობით ჰყოლიათ კამეჩებიც.

„აჭარის მკვიდრნი საქონლის მოვლას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. გლეხი თავის თავს დააკლებს და საქონელს კი როგორმე საკვებს არ დააკლებს. წარმოდგენაც ძნელია, თუ რა ციცაბოზე ადის გლეხი, ოღონდ ერთი მუჭა მეტი თივა მოიმარაგოს ზამთრისათვის... შორს გზაზე წავა აჭარელი, თავისი ცხენის საგზალი თივა მიაქვს. კიდევ ამიტომ ჰყავთ ხოლმე ცხენები დასუქებულები. მთელს აჭარაში იშვიათად შევხვედრილვარ მქლე და უღონო ცხენსა“- წერს თ. სახოკია [სახოკია 1985: 12]. მაღალმთიან სოფლებში, სადაც უფრო განვითარებული იყო მეურნეობა, პირუტყვი თითქმის ნახევარი წლის მანძილზე, ნოემბრიდან მოყოლებული მარტ-აპრილამდე ბაგურ კვებაზე ჰყავდათ. ბარის სოფლებში, სადაც თოვლი უფრო გვიან მოდიოდა და ადრე შრებოდა, საქონელიც უფრო დიდხანს ჰყავდათ სამოვარზე.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფენ, რომ აჭარაში რძის პროდუქტების, პირველ რიგში კარაქისა და ყველის დამზადების საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა [კახიძე 1974: 51]. აჭარაში რძის პროდუქტების, კერძოდ, ყველის დამზადების მაღალ ხელოვნებაზე თავის დროზე ვახუშტი ბატონიშვილიც

მიუთითებდა. ის წერდა: „აჭარაში ამზადებენ ყველს, ერთი იქნების მ (40 ლ),იე (15 ლ) და კ (20 ლ) ლიტრა არაოდესვე წახდების, არც დაობდების, რა ჟამს გნებავს შემგზარი კეთილსახმარი არს“ [ვახუშტი 1941: 134; 1973: 676-677].

თ. სახოკიას ცნობით, პირუტყვი და რძის პროდუქტები, რომლებიც საოჯახო მოხმარებისათვის არ სჭირდებოდათ, ბათუმში გასაყიდად მიჰქონდათ. აჭარის მკვიდრნი მეცხოველეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ მეზობელი გურიის რეგიონის მოსახლეობასთან. პროდუქტებს ყიდდენ ან საჭირო სამრეწველო საქონელზე ცვლიდნენ. ყოველ ზაფხულს ზემო აჭარის თითოეული კომლი 10 ფუტამდე გაჰყიდის ერბოს ბათუმსა თუ გურიაში [სახოკია 1985: 219-220]. ჭვანისა და ღორჯომის მცხოვრებლებს შეეძლოთ გაესაღებინათ თავიანთი პირუტყვი და რძის ნაწარმი ქ. ოზურგეთში [ყაზბეგი 1995: 57].

მსხვილფეხა საქონლის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა წვრილფეხა პირუტყვის ცხვრისა და თხის მოშენებას ზემო და ქვემო აჭარის ლივის დავთრების მიხედვით აჭარის თითქმის ყველა სოფელზე იყო შეწერილი ცხვარზე გადასახადი, რაც 7661 ახჩას შეადგენდა [შენგელია 2009: 248; შაშიკაძე...2011: 42]. ზუსტად არ ჩანს და უცნობია, რა წესით ახდევინებდნენ ამ სახის გადასახადს. გურჯისტანის ვილაიეთის დავთარის მიხედვით, ცხვარი და ბატკანი ერთად იანგარიშებოდა და ორ ცხვარზე ერთ ახჩას ახდევინებდნენ. ეს ოდენობა მთელ ოსმალეთის იმპერიაში იყო დაკანონებული [ჯიქია 1941: 3].

ზემო და ქვემო აჭარის დავთრების მიხედვით, აჭარაში განვითარებული ყოფილა მეღორეობაც. ამის დასტურია თვით დავთრებში ფიქსირებული გადასახადი ღორზე, რომელიც თითქმის ყველა სოფელზეა შეწერილი. მართალია, დავთარში არ ჩანს, თუ რა რაოდენობით იხდიდა თუთოეული კომლი ღორზე გადასახადს, მაგრამ თვით ამ გადასახადის არსებობა მრავლისმთქმელია - მეღორეობას აჭარაში გვიან შუასაუკუნეებშიც მისდევდნენ და ამ დარგის ერთბაშად აღმოფხვრა ოსმალებმა ვერ მოახერხეს [შენგელია 2009: 248; შაშიკაძე...2011: 44]. რადგან მეღორეობა წმინდა ქრისტიანული მეურნეობა იყო. ნ. შენგელია თვლის, რომ ღორზე შეწერილი გადასახადი გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ცხვრის გადასახადი, რადგან

ოსმალეები ყველანაირად შეეცდებოდნენ, რომ მოესპოთ მელორეობა, როგორც მათი რელიგიური დოგმების საწინააღმდეგო მოვლენა [შენგელია 2009: 248].

დავთარში ჩანს, რომ ზემო აჭარის ორი სოფლის - სხალთისა და ზაქარაულის გარდა, ყველა სოფელზეა შეწერილი ღორზე გადასახადი. მისი საერთო რაოდენობაა 4323 ახჩა (2005 ქვემო, ხოლო 2318 ზემო აჭარაში), რაც იმის დასტურია, რომ მელორეობა აჭარაში მეცხოველეობის ერთ-ერთი განვითარებული დარგი იყო [შაშიკაძე...2011: 44].

§ 5. მეფუტკრეობა

გარდა მესაქონლეობისა აჭარაში განვითარებული ყოფილა მეფუტკრეობაც. მეფუტკრეობას მისდევდნენ მთიანი სოფლები [პალგრევი 2010: 77-106]. ფუტკარი განსაკუთრებით ბევრი ჰყოლიათ ზემო აჭარის ორ სოფელში: ფუმრუკაულსა და ინწკირვეთში [სახოკია 1985: 226]. „მეფუტკრეობა ძველთაგანვე შეადგენდა აჭარის სიმდიდრეს, ახლა კი უმნიშვნელოდაა განვითარებული, რაც მეტისმეტად დიდი გადასახადის შემოდებით აიხსნება. საფუტკრე არსად მინახავს, ისე კი ამბობენ, რომ სკები მიმალული აქვთ ხშირ ტყეში, რათა თავი აარიდონ მეთედ გადასახადს. თაფლი თითქმის ყოველ ოჯახში აქვთ, მაგრამ ამით არ ვაჭრობენ“ აღნიშნავდა გ. ყაზბეგი [ყაზბეგი 1995 58].

ფუტკრის მოსაშენებლად ცარიელ სკებს აწყობდნენ როგორც საკარმიდამო ნაკვეთში, ისე ტყეში. სკების ხეებზე შემოწყობის წესზე ამახვილებდნენ ყურადღებას XIX ს-ის II ნახევრის ქართველი მოგზაური მკვლევარები გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, თ.სახოკია და სხვები. თ. სახოკიას ცნობით ფუტკარი ისეთ სკებში ყოფილა მოქცეული როგორც გურია-სამეგრელოში: „ორი არშინის სიგრძე მრგვალი ძელი შუაშია გაპობილი, ორსავე ნაწილს გული ამოდრუტნული აქვს, იქით-აქეთ ბოლოები ერთი ხელის დადებაზე მთელია და ერთმანეთზე ადევს. ქვეშიდან დასაჭერად თავსა და ბოლოში კაპიანი სარები ურჭვიათ, ერთი ადლის სიმაღლისა. სახლის გარდა, ასეთი სკები ტყეშიაც შეგხვდებათ ხეებზე დატანილები და ტოტებზე ჩამოკიდებულები, რომ დათვი ვეღარ მიწვდეს: გაზაფხულზე, როცა თაფლით

გაივსება, ჩამოიღებენ ძირს, თაფლს ამოაცლიან და ცარიელ სკას ისევ ხეზე დაკიდებენ მეორე გაზაფხულამდე [სახოკია 1985: 225].

წიფლის ხეებზე გადებული სკები სოფ. ხინოში უნახავს დ. ბაქრაძესაც და აღნიშნავდა, რომ სკების წიფლის ხეებზე შედგმა, გარდა კინტრიშის ხეობისა, ჩვეულებრივად აქვთ აჭარასა და გურიაში [ბაქრაძე 1987: 47]. ამ წესს აჭარაში ყველგან მიმართავდნენ, მაგრამ განსაკუთრებით მაინც, აჭარისწყლის, სხალთის, მართის, ჭვანის, მაჭახლისა და კინტრიშის ხეობები გამოირჩეოდა.

წიფლის ხეებზე სკების გადების პრაქტიკა იმით იყო ნაკარნახევი, რომ ასეთ ხეებზე, მისი სიდიდისა და ქერქის სიმაგრის გამო, დათვი ვერ ადიოდა და სკასაც საშიშროება არ მოელოდა.

ეთნოგრაფიული მასალები საინტერესო სურათს იძლევა მეფუტკრეობის პროდუქტების (თაფლი, სანთელი, დინდგელი) დამუშავებისა და ყოფაში მრავალმხრივი გამოყენების შესახებ. XIX ს-ის 70-იანი წლების მონაცემებით ხინოში თაფლის ნაწურისაგან არომატულ არაყსაც ხდიდნენ. მას საოჯახო დანიშნულება ჰქონდა და კუჭის დაავადებისას ხმარობდნენ. ამ პერიოდში არყის გამოხდის ფაქტი განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს, რამდენადაც მისი მოხმარება შარიათის კანონმდებლობით იკრძალებოდა [კახიძე 2016: 107].

მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, სანთელი) აჭარაში საექსპორტო საგანს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად, მის ექსპორტიორს წარმოადგენდა ბათუმი, საიდანაც დ. ბაქრაძის ცნობით, კონსტანტინოპოლის ბაზარზე გაჰქონდათ ათი ათასი ოყა თაფლი და სამასი ოყა ყვითელი სანთელი [ბაქრაძე 1987: 25]. აღნიშნულ პერიოდში ხინოს (კინტრიშის ხეობა) მოსახლეობისათვის თაფლის გასაღების ბაზარი ყარსის ოლქი იყო, სადაც ზემო აჭარის გზით შეჰქონდათ. კინტრიშისა და აჭარისწყლის ხეობებიდან გატანილი თაფლით მარაგდებოდა ბათუმის, ქობულეთისა და ოზურგეთის ბაზრები [კახიძე 2016: 107].

დასკვნები

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე წარმოებული სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას აღმოჩენილი მასალების და წერილობით წყაროებში დაცული ცნობების შეჯერების შედეგად გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. XVI-XIX სს-ში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა) მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა, აქ გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები და ბუნებრივი გარემო, კვლავ არსებით როლს თამაშობს ისტორიის ამ მონაკვეთშიც.

2. ახალი თავდაცვითი ნაგებობები იშვიათად შენდება, ძირითადად გამოიყენება წინა ეპოქების თავდაცვითი ციხეები. განსაკუთრებით ინტენსიური ცხოვრება ჩანს გონიოს ციხეზე. არქეოლოგიური მასალებითა და წერილობითი მონაცემებით ფიქსირდება თურქთა მიერ ციხის თავდაცვითი სისტემის განახლება. ციხის ტერიტორიაზე შენდება ან გადაკეთებას განიცდის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები: აბანო, მეჩეთი, სასახლე, ქურა-სახელოსნო, წყალგაყვანილობათა სისტემები, ჭები და ა.შ. ზღვისპირა ზოლში გადაკეთებულია პეტრასა და ბათუმის ადრეშუასაუკუნეების ციხეებიც, ხოლო ზემომთიან აჭარაში ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხიხანის ციხე, სადაც წინა პერიოდის შენობა-ნაგებობებთან ერთად, არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაო სიმრავლითაა გამოვლენილი გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობათა ნაშთები. იშვიათად მაგრამ, მაინც შენდება ახალი ციხეები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ზენდიდისა და ნიგაზეულის საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მრავალჯერ გადაკეთება-განახლების გამო ხშირად რთულდება გვიანი შუასაუკუნეების საამშენებლო ფენის გამიჯვნა წინა პერიოდებისაგან. მიუხედავად ამისა, ეს ეპოქა მაინც განსხვავდება ადრეული და განვითარებული შუასაუკუნეების სამშენებლო ხელოვნებისაგან. გვიან შუასაუკუნეებში ქვები უფრო ხშირად უხეშადაა დამუშავებული და წყობაც არაწესიერია. მშენებლობაში გამოყენებულია ნატეხი ქვა და ზოგჯერ აგურიც. გვიანი შუასაუკუნეების მშენებლობის კვალი კარგად ჩანს გონიო-აფსაროსის, ბათუმის,

პეტრა-ციხისძირისა და ხიხანის ციხეებზე. ნაგებობათა მშენებლობისას ზოგჯერ გამოიყენება მშრალი წყობა. ასეთი წყობითაა ნაგები ხიხანის ციხეზე შემორჩენილი გვიანი შუასაუკუნეების ყველა ნაგებობა. სხვადასხვა დანიშნულების შენობათა აღდგენა-გამაგრებისათვის, ასევე ხშირად არის გამოყენებული წინა პერიოდის საშენი მასალაც. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება წესიერი წყობით და კარგად დამუშავებული, გათლილი ქვებით ნაგები ციხეებიც. აჭარის ტერიტორიაზე ასეთია ზენდიდისა და ნიგაზეულის ციხეები. მათი კედლები ერთნარი სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები. წყობაში გამოყენებულია შედარებით კარგად დამუშავებული მოზრდილი ქვები. არათანაბარი ზომის ქვებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით ან კრამიტით. მწკრივების სიმაღლე თითქმის ყველგან ერთნაირია, ხოლო კედლის პერანგებს შორის არსებული ნაწილი შედარებით მცირე ზომის ნაგლეჯი ქვებითაა შევსებული.

XV ს-დან სიმაგრეთა თავდაცვითი არქიტექტურის თავისებურებებს განსაზღვრავს ცეცხლსაროლი იარაღის გაჩენა და გავრცელება. ახალი ტექნიკის გავლენა საქართველოში განსაკუთრებით შეიმჩნევა XVI ს-დან. სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის გავლენითაა დაშენებული გონიოს ციხის კედლებზე 1.40 სმ სიმაღლის ქონგურები.

3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდი რაოდენობით მოპოვებულია სხვადასხვა სახის მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. მათ შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინის (1368-1644 წწ) დინასტიის დროინდელი ჩინური ფაიფური. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიფურის მომდენო ჯგუფი ციხის პერიოდს განეკუთვნება (1644-1911 წწ). აღნიშნული ნაწარმი შემოტანილია ოსმალთა ჯარისკაცების მიერ და ემსახურებოდა მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. იგი არ წარმოადგენდა სავაჭრო-საექსპორტო საგანს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ფაიფურის ნაწარმი არც თუ ისე მრავალრიცხოვანია და უმრავლესობა ფინჯნის ტიპს განეკუთვნება. გარდა ამისა, აღმოჩენილია თურქეთის საწარმოო ცენტრებში იზნიკსა და ქუთაიაში დამზადებულ ფაიფურის ნაწარმთან ერთად. მსგავსი სურათი გვაქვს,

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების მიხედვითაც. როგორც, „ლურჯი-თეთრი“, ასევე პოლიქრომული და ყავისფერი საღებავით მოხატული ფაიფური ყველაზე ხშირად იმ ადგილებში გვხვდება, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში იყო.

კერამიკული ნაწარმის ცალკე ჯგუფს ქმნის ფაიანსის ნაწარმი, რომელიც დამზადებულია თურქეთში, ანატოლიის ქალაქებში იზნიკსა (XVI-XVIII ს-ის დასაწყისი) და ქუთაიაში (XVIII ს). მხატვრული გაფორმების, ორნამენტული, მოტივებითა თუ ფორმათა მოყვანილობის მიხედვით, ნაშრომში მოცემულია მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. იზნიკური კერამიკა დაყოფილია სამ ძირითად პერიოდად: იზნიკი I (აბრაჰამის ქუთჰაია - 1480/90-1525/30 წწ), ლურჯი საღებავით თეთრ ფონზე გაფორმებული ნიმუშები. იზნიკი II (დამასკოს სტილი - 1525/1530-1555 წწ), ლურჯ საღებავთან ერთად ჩნდება სხვადასხვა ფერები და იზნიკი III (როდოსის სტილი - 1555-1700 წწ), პოლიქრომული კერამიკა გაფორმებული წითელი, მწვანე, ცისფერი და ლურჯი საღებავებით, რომელთაც შემოვლებული აქვთ შავი კონტურები. მათში წამყვან ფერს წარმოადგენს წითელი. ქუთაიური კერამიკული ნაწარმის უმრავლესობას მცირე ზომის ყავის ფინჯნები და დოქის ფრაგმენტები შეადგენენ. ყავის ფინჯნებისთვის დამახასიათებელია, ნახევარსფეროსებური ან ზარისებური კალთა, სწორი, მომრგვალებული კალთასთან შერწყმული ან ოდნავ გარეთ გადახრილი და უმნიშვნელოდ გამოყოფილი პირი, მრგვალი, დისკოსებური ქუსლი და ბრტყელი ძირი. ფორმისა და მხატვრული შემკულობის მიხედვით ყავის ფინჯნები IV ჯგუფადაა დაყოფილი: I. კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული; II. ერთფერად მოხატული („მონოქრომული“), III. ორფერად მოხატული („ბიქრომული“) და IV. მრავალფერად მოხატული („პოლიქრომული“) ფინჯნები. ცალ-ცალკეა ასევე განხილული ქუთაიის საწარმოო ცენტრის თასები და დოქები. ქუთაიური ნაწარმი მოხატულია პოლიქრომულად ლურჯი, მწვანე, წითელი, მეწამული, ყვითელი, ყავისფერი, იისფერი საღებავებით და გაფორმებულია ყვავილოვანი, გეომეტრიული და ფიგუროვანი ორნამენტით.

როგორც იზნიკური, ასევე ქუთაიური ნაწარმის გავრცელება საქართველოში და მათ შორის ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე დაკავშირებულია ოსმალთა

გარნიზონთან და ცხადია არ უკავშირდება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ნაწარმი ჩვენთან უპირველეს ყოვლისა მილიტარისტული გზით ვრცელდებოდა და ემსახურებოდა ოსმალთა ჯარისკაცების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ძირითადად გამოვლენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბატონობის მთავარ ფორპოსტს, მცირე რაოდენობით გვხვდება ასევე ბათუმის, პეტრას, ზენდიდისა და ხიხანის ციხეებზეც.

კერამიკის მომდევნო ჯგუფს მოჭიქული ნაწარმი წარმოადგენს, რომლებიც, როგორც კეცის, ისე ფორმებისა და მოჭიქვის ტექნიკით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ჩანს, რომ დამზადებული უნდა იყოს სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში. კეცის მიხედვით ძირითადად გამოიყოფა სამი მთავარი ჯგუფი: ა) მოწითალო-მოყავისფრო ბ) ჩალისფერკეციანი და გ) ვარდისფერკეციანი. ყველაზე ადრეული ჯგუფი აღმოჩენილია ბათუმისა და გონიოს ციხეებზე და მიეკუთვნება ოსმალური მოჭიქული კერამიკის ჯგუფს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მილეტის ტიპის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

მოჭიქული კერამიკის შემდეგი ნაკეთობანი მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნება და XVII-XVIII სს-ით თარიღდება. მხატვრული შემკულობის მიხედვით მათი დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად: 1) ერთფერად უმეტესად მწვანე და შედარებით ნაკლებად ყვითელ, ცისფერ, ყავისფერ საღებავით მოჭიქულ („მონოქრომული“ კერამიკა); 2) ორფერად მოჭიქულ („ბიქრომული“ კერამიკა) და მრავალფერად („პოლიქრომული“ კერამიკა) მოჭიქულ ნაწარმად. ანგობირებულ ზედაპირზე გადავლებული ჭიქურის ხარისხი ორგვარია: ა) კრიალა ფერის და ბ) შედარებით უხარისხო, ჩამუქებული. მათი ნაწილი შემოტანილი უნდა იყოს ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ცენტრებიდან, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი უნდა ყოფილიყო ანატოლიის ქალაქი იზნიკი (ძველი ნიკუა). ვარდისფერკეციანი და ერთფერად მოჭიქული კერამიკის გარკვეული ნაწილი, ძალიან ჰგავს ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დამზადებულ ნაწარმს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „სამხრეთ-აღმოსავლეთ ყირიმის (IOBK) კერამიკის“ სახელწოდებით. გონიოს ციხის ტერიტორიაზე მათი შემოტანა ოსმალ

ჯარისკაცების მიერ უნდა მომხდარიყო. მოჭიქული კერამიკის შემდეგი ჯგუფი, ორფერად („ბიქრომული“) მოჭიქული კერამიკის წარმომავლობა სადღეისოდ უცნობია. სავარაუდოდ, ამგვარი კერამიკა მზადდებოდა ოსმალეთის იმპერიის რომელიმე საწარმოო ცენტრში. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება მოჭიქული კერამიკის ნაწილის ქ. სტამბულში, თექფიურის სასახლეში დამზადების შესახებ. კერძოდ თექფიურის სასახლის ნაწარმი უნდა იყოს ერთფერად მოჭიქული (განსაკუთრებით მწვანედ მოჭიქული) და „მარმარილოსებური“ დეკორით გაფორმებული კერამიკა. დასაშვებად მიგვაჩნია გარკვეული ჯგუფის ადგილზე დამზადებაც, კერძოდ ყავისფერკეციანების, რადგან ისინი კეცის სტრუქტურით ძალიან გავს ადგილობრივ სადა კერამიკას.

მომდევნო ჯგუფს ქმნის სადა კერამიკა. კერამიკის ეს ჯგუფი საკმაოდ მრავლად გვხვდება როგორც ზღვისპირა ძეგლებზე, ასევე მაღალმთიან აჭარაში. სადა კერამიკას მიეკუთვნება: კეცები, ქოთნები, ჯამები, ქილები, დოქები, ხელალები და ა.შ. ყველაზე მეტი რაოდენობით გამოვლენილია კეცები და მუსლიმანური სამყაროსათვის დამახასიათებელი ტუჩმილიანი სხვადასხვა მოცულობის მქონე დოქები და ხელალები. საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი, სამშენებლო კერამიკაც, კერძოდ: აგური და კრამიტი. კრამიტი დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი გონიოს ციხის ტერიტორიაზე. შედარებით მრავლად მოპოვებულია ზენდიდის ციხეზეც. გარკვეული რაოდენობით გვხვდება პეტრა-ციხისძირის, ბათუმისა და ხიხანის ციხეებზეც. ჩანს, რომ გვიან შუასაუკუნეებში ნაგებობათა უმრავლესობა კრამიტით ყოფილა გადახურული. ისინი დამზადებულია წითლად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კრამიტებთან შედარებით მცირერიცხოვანია აგური. აგურები სწორკუთხაა, ვიწრო და მოგრძო ფორმის

სამშენებლო კერამიკა, ისევე როგორც სადა კერამიკის სხვადასხვა ნაწარმი ადგილზე უნდა იყოს დამზადებული. აღნიშნული ნაწარმი, განსაკუთრებით მრავლად არის წარმოდგენილი გონიოს ციხის გვიანი შუასაუკუნეების ფენებში. ციხის ტერიტორიაზე სამხრეთ კარიბჭესთან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურა-სახელოსნოს ნაშთებიც.

საამშენებლო კერამიკაც თანმხლები და პარალელური მასალების მიხედვით XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

კერამიკული ნაწარმის ცალკე ჯგუფს ქმნის ჩიბუხები. მათი ფორმა და ორნამენტი მრავალფეროვანია. ძირითადი ნაწილი ყალიბშია ჩამოსხმული, და შემკულია ჭდეული გეომეტრიული თუ მცენარეული ორნამენტით. ზოგიერთ მათგანს წასმული აქვს ყავისფერი ან წითელი წერნაქი, გვხვდება დამდიანი ნიმუშებიც. ფორმის მიხედვით ჩიბუხები ჩამოგავს გაშლილ ყვავილს, ზარს, ძაბრს, დისკოს და ა.შ. როგორც წესი, ჩიბუხების ტარისა და ტანის შეერთების ადგილები გამოყოფილია მკვეთრი ჭდეული და წერტილოვანი ხაზებით. კეცის მიხედვით შეიძლება მათი დაყოფა წითლად, მოწითალოდ, ნაცრისფრად და თეთრკეციანებად. ქრონოლოგიურად ადრეულია თეთრკეციანი ნიმუშები (XVII ს), მათთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია წითელკეციანი ნიმუშები, რომლებიც XVIII ს-ის სხვადასხვა მონაკვეთით თარიღდება.

გვიანი შუასაუკუნეების მონაპოვრებში გვხვდება ლითონის ნაწარმი. მათ შორის ყველაზე ადრეულია გონიოს ციხეზე აღმოჩენილი ორი იტალიური ალეზარდი, რომელიც XVI ს-ის I ნახევრით დათარიღდა. გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვა სახის ნაწარმიც - კერძოდ. ბრინჯაოს როდინი, ბრინჯაოს დოქი და ტყვიის ჩამოსასხმელი რკინის ტიგელები. ძეგლებზე დიდი რაოდენობით გვხვდება ყუმბარები, რომელიც უკვე გვიანი შუასაუკუნეების ბოლო მონაკვეთს ასახავს და თარიღდება XVIII ს-ის ბოლო და XIX ს-ის დასაწყისით. საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნები.

არქეოლოგიურ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება მონეტებიც. მათი დიდი ნაწილი გამოვლენილია გონიოს ციხის სხვადასხვა უბანზე არქეოლოგიური გათხრების დროს. მონეტებს შორის გვხვდება, როგორც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მონეტები (ვენეციური, პოლონური), ასევე ოსმალური ახჩებიც.

4. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი ცნობების მიხედვით ჩანს, რომ გვიან შუასაუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგები იყო: მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და ა.შ. ოსმალთა ბატონობამ

მძიმე დალი დაასვა სოფლის მეურნეობას. საგადასახადო სისტემა, რომელიც ოსმალეთმა დანერგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ოსმალური დავთრების მიხედვით ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე იყო გაწერილი გადასახადი უმუხრი, რაც მთელი მოსავლის მეთედს უტოლდებოდა. გარდა ამისა, მოსახლეობა იხდიდა სხვადასხვა სახის გადასახადებს: ისფენჯი, გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ბოსტანზე, იონჯასა და თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ცხვარზე, იალაღზე, ხილზე და ა.შ. რაც ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებდა მეურნეობის განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები გვიან შუასაუკუნეებში მეტ-ნაკლებად მაინც ვითარდებოდა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. არქეოლოგიური მასალების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და მოგზაურ-მკლევართა ცნობებთან შეჯერებით ირკვევა, რომ აჭარაში გვიან შუასაუკუნეებში მოჰყავდათ ისეთი მარცვლეული კულტურები, როგორცაა: ქერი, ფეტვი, ჭვავი, ხორბალი, ღომი და სხვ.

აჭარის ყველა კუთხეში ყოფილა განვითარებული მევენახეობა. მევენახეობის განვითარებაზე მიუთითებს შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარანთა სიმრავლე, კლდეში ნაკვეთი თუ კლდეებზე მიშენებული საწნახლები, მიწაში მრავლად ჩაფლული სხვადასხვა ტევადობის ქვევრები და ა.შ. XIX ს-ის ქართველი და უცხოელი მოგზაური-მკლევარები საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ იმ ფაქტს, რომ აჭარაში ვაზი მაღალ ხეებზე იყო მიშენებული. მაღლარი მევენახეობის განვითარებას აჭარაში ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიც უწყობდა ხელს. გვიან შუასაუკუნეებში, აჭარაში მევენახეობა დაკნინდა, მეღვინეობა კი თითქმის მოისპო. ისლამის სარწმუნოება კრძალავდა ღვინის დაყენებასა და მოხმარებას, თუმცა არა მევენახეობას. აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს მევენახეობა-მეღვინეობის დაცემის მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა და იგი დაკავშირებულია როგორც, რელიგიურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან. რელიგიურმა ფაქტორმა პირდაპირი გავლენა იქონია ღვინის დაყენებისა და მოხმარების, ვაზის საღვინე ჯიშების შემცირება-დაცემაზე, თუმცა არა მთლიანად მევენახეობის მოსპობაზე.

მეხილეობის ფართოდ გავრცელებაზე გვაწვდიან ცნობებს XIX ს-ის II ნახევრის მოგზაურ-მკლევარები, ასევე ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც აჭარას წარმოგვიდგენენ, როგორც მეხილეობით, მებაღეობა-მეზოსტნეობით განვითარებულ მხარეს. ამ მონაცემების მიხედვით, ირკვევა, რომ, გვიან შუასაუკუნეების აჭარაში ხეხილის მრავალი სახეობა ყოფილა გავრცელებული: ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი, ქლიავი, თუთა, ლეღვი, ტყემალი, შინდი, კაკალი, თხილი, ნესვი და სხვ. განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ვაშლი და მსხალი.

გვიანი შუასაუკუნეების აჭარაში რამდენადმე განვითარებული ყოფილა მეცხოველეობაც. ოსმალთა ბატონობის ხანაში საქონლის სულადობა მკვეთრად შემცირებულა. მისი მიზეზი პირუტყვის ყოლაზე გაზრდილი გადასახადი ყოფილა. მიუხედავად ამისა, მესაქონლეობა აჭარაში მაინც რჩებოდა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად. მესაქონლეობა არამარტო საოჯახო მოხმარებისათვის ვითარდებოდა, არამედ იგი წარმოადგენდა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროსაც. პირუტყვი და მესაქონლეობის პროდუქტები (კარაქი, ყველი, ნალები, ტყავი) გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა.

გარდა მესაქონლეობისა აჭარაში განვითარებული ყოფილა მეფუტკრეობაც. მეფუტკრეობას მისდევდნენ მთიანი სოფლები. განსაკუთრებით კი ბევრი ჰყოლიათ ზემო აჭარის ორ სოფელში: ფუმრუკაულსა და ინწკირვეთში. მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, სანთელი) აჭარაში საექსპორტო საგანს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად, მის ექსპორტიორს წარმოადგენდა ბათუმი. XIX ს-ის 70-იანი წლების ეთნოგრაფიული მონაცემებით ხინოში თაფლის ნაწურისაგან არომატულ არაყსაც ხდიდნენ.

უძველესი დროიდან მოყოლებული, გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერთიანი ქართული კულტურისა და მსოფმხედველობის ფორმირების პროცესში. ეპოქების მანძილზე თითქმის ყველა სფეროში საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და კონკრეტულად, ჩვენი საკვლევ ტერიტორია, წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვან კერას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე 1979: აბულაძე ც., ჩილდირის ვილაიეთის ჯაზა დავთარი (1694-1732), გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბილისი
2. აბრამიშვილი...2000: აბრამიშვილი გ, ზაქარაია პ, ციციშვილი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. თბილისი
3. ალასანია 1971: ალასანია გ., აინი ალის „რისაღე“, როგორც წყარო ოსმალეთის აგრარულ ურთიერთობათა შესწავლისათვის//ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 226-235. თბილისი
4. ავალიანი 1960: ავალიანი ა., მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი
5. არჩვაძე 1974: არჩვაძე თ., თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი// ფსად II, 174-188. თბილისი
6. არჩვაძე 1978: არჩვაძე თ., აღმოსავლეთ საქართველოს გვიან ფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი// ფსად. III, 11-131. თბილისი
7. ანთაძე 1982: ანთაძე მ., საქართველოს და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII სს ნუმისმატიკური მასალის მიხედვით. თბილისი
8. ახვლედიანი 1944: ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (XVI-XIX სს). ბათუმი
9. ახვლედიანი 1946: ახვლედიანი ხ., აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბათუმი
10. ახვლედიანი 1955: ახვლედიანი ხ., ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის//ამკმ, 29-84. ბათუმი

11. ახვლედიანი 1956: ახვლედიანი ხ., სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. თბილისი
12. ახვლედიანი 1972: ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოსათვის მეზობლნი. ბათუმი
13. ახვლედიანი 1978: ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი
14. აფხაზავა... 1998: აფხაზავა ნ, მამულაძე შ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა გონიოდან// ბშრსუმ, II,269-277. ბათუმი
15. ბაქრაძე 1987: ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი
16. ბარამიძე 1959: ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმი
17. ბარამიძე 2008: ბარამიძე რ., ისლამი და მუსლიმები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოლოგიური და სოციო-კულტურული ასპექტები), დისერტაცია. ბათუმი
18. ბარამიძე 2009: ბარამიძე ი., ზენდიდის ციხისა და მისი მფლობელების ბეჟანიძეების გვარის ისტორიისათვის// სდსის, IV, 60-70. ბათუმი
19. ბარამიძე 2010: ბარამიძე რ., მუსლიმური საკულტო ძეგლები. ბათუმი
20. ბარამიძე 2016: ბარამიძე რ., აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება// აჭარა ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები. 8-15. ბათუმი
21. ბერი ეგნატაშვილი 1959ა: ბერი ეგნატაშვილი., ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი// ქართლის ცხოვრება, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედ-

- დვით დადგენილია სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. II, 326-442. თბილისი
- 22. ბერი ეგნატაშვილი 1959ზ:** ბერი ეგნატაშვილი., ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი// ქართლის ცხოვრება, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. II, 477-540. თბილისი
- 23. ბერიძე 1974:** ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი
- 24. ბერიძე 1983:** ბერიძე ვ., XVI-XVIII სს-ის ქართული ხუროთმოძღვრება, ტ.I. თბილისი
- 25. ბერიძე 2014:** ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, ტ.I. თბილისი
- 26. ბეჟანიძე 2013:** ბეჟანიძე ც., ზენდიდის ციხე, ბეჟანიძეთა საგვარეულო. ბათუმი
- 27. ბოკუჩავა 2010:** ბოკუჩავა მ., მონოქრომული და ლურჯი-თეთრი ფაიფური (საფონდო მასალების მიხედვით)//სემმ, I (46-B), 292-305. თბილისი
- 28. გამბა 1987:** გამბა ჟ.კ., მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თარგმნა მ. მგალობლიშვილმა. თბილისი
- 29. გამყრელიძე 1949:** გამყრელიძე პ., აჭარა-თრიალეთის დანაოჭებული სისტემის გეოლოგიური აგებულება. თბილისი
- 30. გრძელიშვილი... 1961:** გრძელიშვილი ი., ტყემელაშვილი ო., თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები I. თბილისი

31. გრძელიშვილი... 1964: გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში// სდსმ, I, 59-99. თბილისი
32. გრძელიშვილი... 1973: გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ. ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები// სდსმ, III, 8-30. თბილისი
33. დაკიშვილი 2011: დაკიშვილი ი., ბათუმი, წიგნი თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რ. სურმანიძემ. თბილისი
34. დუნდუა...2009: დუნდუა გ, ჯალაღონია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბილისი
35. ვარშანიძე 1974: ვარშანიძე შ., ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან. ბათუმი
36. ვარშალიძე 1996: ვარშალიძე ი., ვენეციური ვერცხლის დუკატი გონიიდან, საისტორიო მაცნე, №5, 49-50. ბათუმი
37. ვარშალიძე 1998: ვარშალიძე ი., ევროპული მონეტები გონიიდან, საისტორიო მაცნე, №7,47-49. ბათუმი
38. ვარშალიძე 2002: ვარშალიძე ი., ევროპული მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, ბაშმ, II, 99-102. ბათუმი
39. ვარშალიძე 2004: ვარშალიძე ი., სამხრეთ-კარიბჭესთან აღმოჩენილი მონეტები //გონიო-აფსაროსი IV, 141-147. ბათუმი
40. ვარშალიძე 2009: ვარშალიძე ი., მონეტები გონიო-აფსაროსიდან// გონიო-აფსაროსი VII. ბათუმი

41. ვარშალომიძე 2007: ვარშალომიძე ჯ., ქართული ხალხური ხურო-
თმოდღვრულ-დეკორატიული და სახვითი
ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ
საკულტო ნაგებობებზე (ჯამეები)// სდსკპ, I, 82-
102. ბათუმი
42. ვეიდენბაუმი 2005: ვეიდენბაუმი., ბათუმიდან ართვინამდე
(მგზავრის ჩანაწერები), თარგმნეს მ. ჩხაიძემ
და გ. საითიძემ. შესავალი, კომენტარები და
სამიუბლები დაურთო გ. საითიძემ. თბილისი
43. ვახუშტი ბატონიშვილი 1941: ვახუშტი ბატონიშვილი., აღწერა სამეფოსა
საქართველოსა. თბილისი
44. ვახუშტი ბატონიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი., აღწერა სამეფოსა სა-
ქართველოსა//ქართლის ცხოვრება, თბილისი
45. ზაქარაია 2002: ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა
ისტორია. თბილისი
46. ზოიძე 2008: ზოიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურა
ოსმალთა ბატონობის პერიოდში// სდსპ, II,
144–151. ბათუმი
47. ზოიძე 2009: ზოიძე ი., საზოგადოებრივი მდგომარეობა
აჭარაში ოსმალთა ბატონობის შემდგომ პერი-
ოდში//სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მე-
ზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური
ინტერესების კონტექსტში (აჭარის დედასა-
მშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავი-
სადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნი-
ერო კონფერენციის მასალები), 297-302.
ბათუმი

- 48. თავამაიშვილი 1997:** თავამაიშვილი გ., გონიო-აფსაროსის შიდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში 1997 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები//გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1997 წლის ანგარიში.ხელნაწერი. 18-29. ბათუმი
- 49. თავამაიშვილი 2009:** თავამაიშვილი გ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ბათუმის ციხიდან//საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“ მასალები, 166-170. ბათუმი
- 50. თავამაიშვილი... 2013:** თავამაიშვილი გ, ინიშვილი ნ., გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ექსპედიციის (SW I სექტორის) რაზმის მუშაობის ანგარიში// აჭარა წარსული და თანამედროვეობა (2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები) კრებული I, 164-186. ბათუმი
- 51. თურმანიძე 1994:** თურმანიძე ო., ბეგარა-გადასახადების ოსმალური სახეები ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში// ჟურნალი ჭოროხი. 210-220, № 3-4
- 52. თურმანიძე 2001:** თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში. ბათუმი
- 53. იაშვილი 1948:** იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი
- 54. იაშვილი 1955:** იაშვილი ვ., გონიოს ციხის ისტორიისათვის// ამკმ, 6-17. ბათუმი

55. ინაიშვილი 1971: ინაიშვილი ა., პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით// სდსმ, II, 91-109. თბილისი
56. ინაიშვილი 1974: ინაიშვილი ა., პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები// სდსმ, IV, 102-153. თბილისი
57. ინაიშვილი 1981: ინაიშვილი ნ., ადრე შუასაუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხისძირიდან// სდსმ, X, 122-135. თბილისი
58. ინაიშვილი 1987: ინაიშვილი ნ., ციხისძირის განძი//სდსმ, XVI, 118-146. თბილისი
59. ინაიშვილი 1988: ინაიშვილი ნ., ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები// სდსმ, XVII, 76-85. თბილისი
60. ინაიშვილი 1991: ინაიშვილი ნ., მინის ჭურჭელი პეტრა-ციხისძირიდან// სდსმ, XIX, 62-86. თბილისი
61. ინაიშვილი 1993: ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი
62. ინაიშვილი 2009 ა: ინაიშვილი ნ., ბათუმი ადრებიზანტიურ ხანაში//საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა“ მასალები, 153-157. ბათუმი
63. ინაიშვილი 2009 ბ: ინაიშვილი ნ., პეტრას საეპისკოპოსო კათედრა// ბიზანტიოლოგია საქართველოში-2. ნაწილი I, 277-288. თბილისი
64. ისაკაძე 2006: ისაკაძე რ., ქუთაისი XV-XVIII სს-ში, არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით. დისერტაცია. ქუთაისი

65. კასტელი 1976: დონ კრისტოფორო დე კასტელი., ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გამოფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი
66. კვანტიძე 2012: კვანტიძე გ., აბანოები გვიან შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში// კადმოსი 4, 116-153. თბილისი
